

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერება

ნათია ზვიადაძე

კენეტ ლი პაიკის ლინგვისტური მოძღვრება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **მიხეილ ქურდიანი**



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

შესავალი----- 4

**თავი I — კენეტ ლი პაიკის ტაგმემიკური თეორია და მისი ანთროპოცენტრისტული განზომილება**

- § 1. ტაგმემიკური თეორია: მისი გენეზისი და მისი აგების ანთროპოცენტრისტული პრინციპები -----11
- § 2. პაიკისეული ანთროპოცენტრიზმის მეთოდოლოგიური ასპექტი: დამკვირვებლის სამგანზომილებიანი ევექტი როგორც ლინგვისტური კვლევის უნივერსალური მეთოდი -----21
- § 3. ტაგმემიკური ერთეულები და მათი გამოვლენის მეთოდიკა -----28
- § 4. ურთიერთდამოკიდებულ ენობრივ „იერარქიათა იერარქია“ -----35
- § 5. ტაგმემიკური თეორიის პრინციპთა სისტემა და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა თანამედროვე ლინგვოკულტურული კვლევისათვის -----61
- I თავის დასკვნები -----67

**თავი II — 'Etic' და 'Emic' ცნებათა შინაარსი და მათი მიმართება კულტუროლოგიური პარადიგმის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებთან**

- § 1. ეტიკური და ემიკური ერთეულების ზოგადი დახასიათება. -----68
- § 2. ენისა და კულტურის 'Etic' და 'Emic' თვალსაზრისით კვლევის შეპირისპირებითი ანალიზი -----74
- § 3. კ. ლ. პაიკის etic/emic ორმხრივი თვალსაზრისით კვლევის წინაპირობა და ამ ცნებათა ინტერპრეტაცია თანამედროვე ენათმეცნიერებაში -----90
- II თავის დასკვნები -----102

**თავი III — კ. ლ. პაიკის როლი XX საუკუნის ენათმეცნიერების ანთროპოცენტრისტულ და კულტუროცენტრისტულ პარადიგმათა განვითარებაში**

§1. კ. ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლები და მათი მიმართება თანამედროვე ლინგვო-კულტუროლოგიურ პრობლემატიკასთან-	103
§ 2. ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკა ვ. ფ. ჰუმბოლდტისა და კ. ლ. პაიკის მეცნიერულ მემკვიდრეობაში და მათი ურთიერთმიმართება როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემა -----	119
§ 3. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზიდან ტაგმემიკურ თეორიამდე როგორც გზა ლინგვისტური ანთროპო- და კულტუროცენტრიზმისაკენ---	126
§ 4. კ. ლ. პაიკის მეცნიერული შრომების მიმოხილვა მათი ისტორიული მემკვიდრეობისა და XX საუკუნის წამყვან ენათმეცნიერულ მიმართულებათა ჭრილში -----	133
III თავის დასკვნები-----	148
<b>ზოგადი დასკვნები -----</b>	<b>149</b>
<b>ბამოყენებული ლიტერატურა -----</b>	<b>154</b>

## შესავალი

ლინგვისტურ თეორიათა მიმომხილველი კვლევები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ საჭიროა არგუმენტაცია კიდევ ერთი ახალი თეორიული შრომის აქტუალობის დასასაბუთებლად. მსგავსი ტიპის კვლევა პრობლემატურია, მაგრამ იმავდროულად აუცილებელიც რამდენიმე მიზეზის გამო: პირველ რიგში, ბევრი ლინგვისტური საკითხი, რომლითაც პერმანენტულად არიან დაკავებულნი თეორეტიკოსები, დღესდღეობით საგანგებოდ გაანალიზებული, გადაწყვეტილი და აღიარებულია ჩვენი წინამორბედების მიერ. მიუხედავად ამისა, აბსურდული იქნებოდა იმის განცხადება, რომ მათ მიერ შესწავლილი პრობლემები დღეისათვის აღარ არსებობს ან საბოლოოდ და ცალსახად გადაჭრილია. პირიქით, ჩვენ ხშირად ვგრძნობთ იმის საჭიროებას, რომ დავუბრუნდეთ ამ პრობლემებს და ხელახლა გადავამოწმოთ მათი კვლევის პრინციპები და შედეგები.

მეორეს მხრივ, ლინგვისტური თეორია თავისი არსით არის ნაშრომი იმ დარგში, რომელიც მუდმივად პროგრესს განიცდის, დისციპლინა, რომელიც მუდამ თვითძიებაშია. სწორედ, ამიტომ მნიშვნელოვანია დღევანდელი მეთოდოლოგიური მონაპოვრების პოზიციიდან იქნას განხილული მთელი რიგი საკითხები, რომლებიც მხოლოდ ტრადიციულად ინტერპრეტირებული მოგვეწოდებოდა.

შემდეგი და ყველაზე საგულისხმო წინაპირობა მოცემული კვლევისა აიხსნება იმ გარემოებით, რომ არსებობს კონკრეტული საფუძველი იმ მტკიცებულებისათვის, რომ ლინგვისტური თეორია ბოლო რამდენიმე წელია შედის სტაგნაციის ფაზაში. მიუხედავად მრავალწლიანი მცდელობისა, კავშირი თეორიასა და პრაქტიკას, მოდელსა და დარგს ან კიდევ, მეთოდსა და არსებულ მონაცემებს შორის ჯერ-ჯერობით საბოლოოდ არ არის დადგენილი და ყოველი ახალი ლინგვისტური სკოლისა თუ მიმდინარეობის მიერ განიცდის ცვალებადობას. შედეგად, დისციპლინის ისტორიამ შესაძლოა დაკარგოს უწყვეტობის, თანმიმდევრული განვითარების სახე იმ საკვლევი პროექტებიდან გამომდინარე, რომლებიც როგორც წესი, შემოიფარგლება პერიოდული თეორიული პრიორიტეტებით. ისეთი ცენტრალური თეორიული ცნებების

სტატუსიც კი, როგორცაა “სიტყვა” და “წინადადება” კვლავ განხილვის საგნად რჩება. ჯერ-ჯერობით კონსესუსი არ არის მიღწეული ლინგვისტიკის მომავალ მიმართულებასა და მოდიფიკაციასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს უფლება უქმად დაველოდოთ, თუ რა შედეგს გამოიღებს დარგის თანამედროვე მდგომარეობა და ყველამ მცირედი წვლილი მაინც უნდა შევიტანოთ თეორიული ბალანსის მიღწევაში, წინარე შრომების ძირეული საკითხებისა და პრობლემების დღევანდელი მემკვიდრეობის კონტექსტში გაშუქების გზით, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მომავალი კვლევების ორგანიზებულად და შემეცნებითად სწორად დაგეგმარებაში.

მეცნიერების ნებისმიერი დარგის განვითარება წარსულ ისტორიულ კონტექსტში იღებს სათავეს, ამიტომ თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითადი მიმართულებების შესწავლა მხოლოდ არსებული მეცნიერული მემკვიდრეობის საფუძველზე და დღევანდელი ენათმეცნიერების ავანგარდული პოზიციიდან უნდა განხორციელდეს. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა მეცნიერული თეორიების სწორად შეფასების საშუალებას იძლევა, რაც უდავოდ ღირებული აღმოჩნდა კ. ლ. პაიკის საენათმეცნიერო მოძღვრების ანთროპოცენტრული და შესაბამისად, კულტუროცენტრული კუთხით შესწავლის დროს.

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება გამოჩენილი ამერიკელი ლინგვისტისა და ანთროპოლოგის კ. ლ. პაიკის როლის განსაზღვრას XX საუკუნის ენათმეცნიერების ისტორიაში. ვახდენთ მეცნიერის ზოგადლინგვისტური მსოფლმხედველობის ანალიზს თანამედროვე მიმდინარეობათა კონტექსტში. განვიხილავთ კ. ლ. პაიკის მიერ დამკვიდრებული 'etic' და 'emic' ორმხრივი თვალთახედვით კვლევის ღირებულებას ენის კულტურასთან მიმართების ჭრილში.

ცნობილი ამერიკელი ენათმეცნიერი და ანთროპოლოგი კენეტ ლი პაიკი (1912-2000) გამოირჩევა ხანგრძლივი და მრავალმხრივი მოღვაწეობით. იგი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს XX საუკუნის ლინგვისტიკის ისტორიაში. როგორც ნოვატორი თეორეტიკოსი, კ. ლ. პაიკი სხვა ლინგვისტებთან შედარებით წინ იყო ლინგვისტური ფენომენის შესწავლის ახალი გზების აღმოჩენის კუთხით. ენის პაიკისეული კონცეფციის ადეკვატური გაგება და შეფასება შესაძლებელია მხოლოდ დღეს — როცა ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება, რომელიც პაიკთან იმპლიციტურად იგულისხმება



კატეგორიულურ წყვილში: ენა ქცევა, დღეს ხაზგასმით და ექსპლიციტურად აქტუალურია.

კ. ლ. პაიკმა XX საუკუნის II ნახევარში წინა პლანზე წამოსწია და გამოიკვლია რიგი თეორიული პრობლემები, რომლებმაც მნიშვნელოვნად განაპირობეს დისციპლინის შემდგომი განვითარება. მისმა იდეებმა ასახვა და დასაბუთება ჰპოვეს მომავალი თაობის მეცნიერთა შრომებში. ვფიქრობთ, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი პაიკის წვლილი და თანდათანობით ვლინდება მისი ძლიერი გავლენა ლინგვისტიკის თანამედროვე მიმდინარეობებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობის გახლავთ პაიკის თეორეტიკული ჩარჩო სახელწოდებით „ტაგმემიკა“, მის მიერ დამკვიდრებული ცნებები 'etics' და 'emics' ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხის შესწავლის კუთხით.

XX საუკუნის დასასრულს „ენისა და კულტურის“ პრობლემა ექცევა მკვლევართა ყურადღების ცენტრში და ხდება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ენის შესახებ მეცნიერების განვითარებაში. თუ ადრე ენისა და კულტურის კავშირი მეტწილად განიხილებოდა როგორც მნიშვნელოვანი, მაგრამ რიგითი ფაქტი, ამჟამად ეს კავშირი სპეციალური შესწავლის საგანი გახდა (ხროლენკო 2004:18). აქედან გამომდინარე, დღეს არამც თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა პაიკისეული თემატიკისა და პრობლემატიკის ექსპლიციტურად ლინგვოკულტურულ განზომილებაში განხილვა.

**ნაშრომის თემას** წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის დომინანტური მიმართულებისა და კ. ლ. პაიკის საენათმეცნიერო მოძღვრების, უფრო ზუსტად კი მისი ანთროპოლოგიის, ურთიერთმიმართება.

**პრობლემა** მდგომარეობს იმის განსაზღვრაში, თუ როგორ უნდა მოხდეს თანამედროვე ლინგვისტურ მოთხოვნათა შესაბამისად კ. პაიკის მეცნიერული ინტერპრეტაცია. გაეცეს პასუხი კითხვას: რა წვლილი შეიძლება შეიტანოს ჩვენმა მოკრძალებულმა კვლევამ თეორიული ენათმეცნიერების პრობლემატიკის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების საქმეში?

**პრობლემის აქტუალობას** განსაზღვრავს შემდეგი ორი მომენტი: ა) ერთის მხრივ, თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ყველაზე უფრო არსებითი ნიშანი — მისი ანთროპოცენტრისტულობა: „ადამიანმა საკუთარი თავი გამოხატა ბუნებრივი ობიექტების სახელებში, შეიტანა რა მათში უტილიტარული და ესთეტიკური შეფასებები. თითქმის ყოველ სიტყვაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ადამიანის გავლენა. ენა მთელი თავისი არსით ანთროპოცენტრულია. ადამიანის

თანაარსებობა თავს იჩენს მთელს ენობრივ სივრცეში. მაგრამ ყველაზე მეტად იგი აისახება ლექსიკასა და სინტაქსისში — სიტყვათა სემანტიკაში, წინადადებების სტრუქტურასა და დისკურსის ორგანიზებაში”. (არუტუნოვა 1999:3). თანამედროვე ლინგვისტიკის როგორც თეორიულ, ისე მეთოდოლოგიურ ასპექტებს საფუძვლად უდევს **ანთროპოცენტრიზმის** პრინციპი. ბ) მეორეს მხრივ კი აუცილებელი ხდება იმის აღიარება, რომ ენის ისეთი თეორეტიკოსის მოძღვრებაც, როგორცაა კ. პაიკი, შინაგანად და თანმიმდევრულად ანთროპოცენტრულია და რომ აუცილებლად მიგვაჩნია მისი ლინგოკულტურული ინტერპრეტაცია. თანამედროვე ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იძენს ენასა და კულტურას შორის მიმართების კვლევისკენ წარმართულ ტენდენციას, რომელსაც ლინგოკულტუროლოგიური მიმართულება ეწოდება. როგორც წინამდებარე კვლევა დაგვანახებს, ორივე ზემოთხსენებული პრინციპი — როგორც ანთროპოცენტრიზმი, ისე კულტუროცენტრიზმი — უკვე ბოლომდე ექსპლიციტურად თუ არა, იმპლიციტური სახით მაინც რეალიზებულია კ. ლ. პაიკის მოძღვრებაში.

ჩვენი კვლევის ამგვარად გაგებულ აქტუალურობას უკავშირდება შემდეგ ამოცანათა გადაჭრის აუცილებლობა:

1) ზოგადად პაიკის ტაგმემიკური თეორიის ანთროპოცენტრისტული არსის გამოკვლევა და ამავე დროს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად და როგორ უკავშირდება იგი ლინგვისტურ კულტუროცენტრიზმს;

2) როგორ უნდა იქნას გაგებული პაიკისეული მოძღვრების იმპლიციტური ანთროპოცენტრიზმი, თუ გავმიჯნავთ ანთროპოცენტრიზმის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს და როგორ უნდა იქნას ამ შემთხვევაში ინტერპრეტირებული, ერთის მხრივ, ენობრივი **რეფერენციის** და, მეორეს მხრივ, დამკვირვებლის პაიკისეული ცნებები მათ ურთიერთმიმართებაში?

3) როგორ უნდა იქნას გაგებული ‘Etic’ და ‘Emic’ პაიკისეულ ცნებათა შინაარსი და ურთიერთმიმართება, თუ ამ ურთიერთმიმართებას გავიგებთ როგორც პაიკისეული ანთროპოკულტუროცენტრიზმის იმპლიციტურ გამოვლინებად?

4) როგორ უნდა იქნას ინტერპრეტირებული პაიკისეული ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის მიმართება ენის კუმბოლდტისეულ თეორიასთან, თუ ამ მიმართების ინტერპრეტაციისას დავეყრდნობით, ერთის

მხრივ, პაიკის ტაგმემიკურ თეორიას და, მეორეს მხრივ კი ენის ჰუმბოლდტისეულ კონცეფციას?

5) და ბოლოს, როგორ ანუ როგორი კონცეპტუალური სახით უნდა იქნას ინტეგრირებული პაიკის ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა თანამედროვე ლინგვისტიკის პრობლემატიკაში?

**დისერტაციის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:**

1. პირველად ხდება კ. ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრების შეფასება, მისი თეორიების მასშტაბური მნიშვნელობის აღიარება და მისი საენათმეცნიერო მოძღვრების ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში;

2. პირველად ხდება ორი დიდი მოაზროვნის — ვ. ფ. ჰუმბოლდტისა და კ. ლ. პაიკის კონცეფციათა შეპირისპირებითი ანალიზი, რის შედეგადაც გამოიკვეთება მათი მეცნიერული „ნათესაობა“ ანთროპოცენტრული კონცეფციით კვლევის კუთხით;

3. პაიკის საენათმეცნიერო მოძღვრების და სხვა ენათმეცნიერთა შრომების შეპირისპირებითი ანალიზის მიხედვით მოძიებულია მეცნიერული ხაზი, რომელიც კვეთს მთელს XX საუკუნეს, დასაბამს იღებს წინა აკადემიური მემკვიდრეობიდან და განსაზღვრავს შემდგომი ეპოქის ენათმეცნიერთა კვლევის სფეროს;

4. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები წარმოაჩენს იმ პრაქტიკულ ღირებულებას, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პაიკის მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდის აქტუალურობას ენის ანთროპოლოგიური პარადიგმის ფორმირების პროცესში.

**საკვლევ მასალას** წარმოადგენს კ. ლ. პაიკის თეორიული შრომები, მისი მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სტატიები ისევე, როგორც სხვა მეცნიერთა გამოკვლევები და შეფასებები, რომლებიც გარკვეულწილად დაუკავშირეთ პაიკის ლინგვისტურ, ანთროპოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს, რათა გამოგვევლინა ის პარალელები და თეორიათა გადაკვეთის წერტილები, რომლებიც რეალურად არსებობს და ამავე დროს ყოველთვის განაპირობებს მეცნიერულ აღმასვლას. გამოყენებულია ენობრივი ნიმუშები ინგლისური და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით.

**კვლევის მეთოდად გამოყენებულია დესკრიფციული მეთოდი**, რომლის საშუალებით ვახდენთ მეცნიერის თეორიული შრომების ანალიზს და შეპირისპირებითი მეთოდი, რომელიც უაღრესად ფასეული გამოდგა პაიკის



დამსახურების განსაზღვრისათვის მისი წინამორბედებისა და შემდგომი თაობის მეცნიერთა მიერ განვითარებული მიმართულებების შეპირისპირებების ფონზე.

**დისერტაციის თეორიული ღირებულება** მდგომარეობს უპირველეს ყოვლისა საკვლევი სფეროს აქტუალურობაში: გარდა იმისა, რომ ლინგოკულტუროლოგია არის თანამედროვე ლინგვისტიკის ცენტრალური მიმართულება, იგი იმყოფება ფორმირების პროცესში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემული სადისერტაციო ნაშრომი არის ცდა პაიკის ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის თანამედროვე ლინგოკულტუროლოგიურ პრობლემატიკაში ინტეგრირებისა, რაც იმთავითვე განსაზღვრავს თემის თეორიულ ღირებულებას.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება:** ნაშრომში გამოყენებული პრინციპები და მიღებული შედეგები შეიძლება დაინერგოს ისეთ კურსებში, როგორებიცაა ენის თანამედროვე თეორია, ლინგვისტური კულტუროლოგია, თანამედროვე ლინგვისტიკის ისტორია. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ჩვენს კვლევას უნდა ჰქონდეს მეთოდური ღირებულებაც, რადგან შესწავლილი ლინგვისტური თეორია იძლევა უცხო ენების სწავლების დახვეწისა და ამ კუთხით ახალი მეთოდების დამკვიდრების შესაძლებლობას.

**ნაშრომის სტრუქტურა:** შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის და ენციკლოპედიურ წყაროთა ნუსხა, შეიცავს ცხრილებსა და საილუსტრაციო მასალას.

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

**პირველ თავში** — „**კენეტ ლი პაიკის – ტაგემიკური თეორია და მისი ანთროპოცენტრისტული განზომილება**“ განხილულია ტაგემიკური თეორია ანუ ე.წ. „თეორიათა თეორია“, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ გავლენას ახდენს დამკვირვებელი მონაცემებზე და თავად როგორ ხდება ამ მონაცემების ნაწილი. ნაჩვენებია, თუ რა გავლენა იქონია მოცემულმა თეორიამ ენის ანთროპოლოგიური და კულტუროლოგიური ანალიზის შემდგომ განვითარებაზე.

**მეორე თავში** — „**Etic**“ და „**Emic**“ ცნებათა შინაარსი და მათი მიმართება კულტუროლოგიური პარადიგმის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებთან“, მოცემულია „**ეტიკური**“ და „**ემიკური**“ ერთეულების დახასიათება, მათი შეპირისპირებითი ანალიზი და დადგენილია ენისა და კულტურის

ერთდროულად ორმხრივი პერსპექტივით კვლევის დიდი მნიშვნელობა წარმატებული კვლევითი საქმიანობისთვის.

მესამე თავში — „**კ. ლ. პაიკის როლი XX საუკუნის ენათმეცნიერების განვითარებაში**“, თავმოყრილია შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგები და პაიკის ლინგვისტური მოძღვრება გაანალიზებულია მისი მეცნიერული მემკვიდრეობის ჭრილში, რის საფუძველზეც განსაზღვრულია მეცნიერის როლი როგორც საკუთრივ ენათმეცნიერების, ისე ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების კვლევის ისტორიაში.

**ნაშრომის დასკვნით ნაწილში** ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი თეორიული შედეგები.

## თაზო I

### კ. ლ. პაიკი – ტაბეშიკური თეორია და მისი ანთროპოცენტრისტული განზომილება

#### §1. ტაბეშიკური თეორია: მისი გენეზისი და მისი აგების ანთროპოცენტრისტული პრინციპები

“რატომ ვსწავლობთ თეორიას? . . . რატომ არ შეიძლება ვიყოთ უბრალოდ პრაქტიკულები? - ასე მსჯელობენ ისინი, ვინც სათანადოდ ვერ აცნობიერებენ, რომ ზღვარი თეორიასა და პრაქტიკას შორის მკაცრად გამიჯნული არ არის. დღევანდელი პრაქტიკულობა ხშირად სხვა არაფერია თუ არა გუშინდელი თეორიის მიერ მიღებული ფორმა.” (პაიკი 1982:21)

ყველა ენათმეცნიერი სულ მცირე ერთ საერთო დაბრკოლებას მაინც აწყდება კვლევის დროს. ისინი ენობრივ მონაცემებს მოიპოვებენ მხოლოდ ენასთან საკუთარი შეხების ხარჯზე დისკურსის გარკვეული ფორმის ფარგლებში. დაკვირვების სფერო ვერასდროს სცდება მკვლევარის კონკრეტული გამოცდილების ჩარჩოებს. მონაცემები კი მონაცემებად არ აღიქმება ენობრივად მათ გააზრებამდე. შესაბამისად, ლინგვისტები განიხილავენ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომელთა შედგენასა თუ ინტერპრეტაციაში ისინი გარკვეულწილად ჩართულნი არიან. რადგან ენა საოცრად მგრძობიარეა იმისადმი, თუ როგორ გამოიყენება, ბუნებრივია, იგი ასევე განსხვავებული ფორმით შეიძლება იქნას აღქმული.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია გავაფართოოთ ჩვენი თვალსაწიერი და შევცვალოთ დაკვირვების მეთოდი. “დავაკვირდეთ არა ენას”, არამედ იმას, თუ “ლინგვისტი როგორ შეისწავლის მას”. ჩვენ ვერ უგულებელვყოფთ ლინგვისტის პერსპექტივას, მაგრამ შეგვიძლია კრიტიკულად გამოვიკვლიოთ იგი იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხდება მოცემულ ენაზე მოსაუბრეთა, თავად მკვლევართა მიერ სისტემური ცოდნის აბსტრაქცია ენობრივი გამოცდილებიდან და იმავდროულად, სისტემური ცოდნის დაკავშირება ენასთან. (ბეუგრანდუ 2000:2).

დღემდე არსებული არც ერთი თეორიის შექმნის გზა არ ყოფილა იდენტური. ნებისმიერი მკვლევარი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვითა და კონკრეტული ხერხებით წარმართავს კვლევას. ზემოთ თქმული არ გამორიცხავს არსებული მონაცემების ორგანიზებისას საერთო კანონზომიერების არსებობას. კარგი თეორია გამჭირვალე, სუფთა ფანჯარას ჰგავს. თუმცა, არაკორექტულად შედგენილმა თეორიამ შეიძლება რაიმე დაგვანახოს, მაგრამ მეტად დამახინჯებულად, ბუნდოვნად. ფანჯარამ, რომელსაც ტალღოვანი შუშა აქვს შესაძლოა დაამახინჯოს სინამდვილე. მიუხედავად ამისა, თუ ვინმეს სურს ოთახიდან გახედვა, მისთვის უკეთესია ფანჯრის არსებობა რაიმე სახით, ვიდრე გაუმჭირვალი კედლის. შესაბამისად, ნაკლოვანი თეორიის ქონა სჯობს საერთოდ უთეორიოდ ყოფნას.

რადგან თეორიის ქონა აუცილებელია, იგი ამასთანავე კონცეპტუალურ იარაღად უნდა გამოგვადგეს. მით უფრო კარგია თეორია, რაც უფრო ადვილად მოწმდება მისი შედეგები ან წინასწარი მონაცემები. ამისათვის შესაძლოა გამოვიყენოთ ორი რადიკალურად განსხვავებული მიდგომა: ინდუქციური–მონაცემებიდან თეორიისაკენ და დედუქციური–თეორიიდან მონაცემებისაკენ. თეორიის არჩევისას ჩვენ უნდა მოვიძიოთ ორგანიზებული, სისტემური მოწმობა ზოგადი პრინციპებისა, რაც დაგვეხმარება სამყაროს ფიზიკურ და კონცეპტუალურ აღქმაში.

„არც ერთ ენაში არ არის მოცემული საგანი მთელი თავისი სისრულითა და მრავალწახნაგოვნებით; მხოლოდ ენათა ნაირგვარობის ფაქტის გააზრებით არის შესაძლებელი საგნის განსხვავებულ ასპექტებთან მიახლოება, რის გამოც იზრდება ენათა შინაარსობრივი შედარების არა მარტო ლინგვისტური, არამედ კულტურულ-ანთროპოლოგიური მნიშვნელობაც. რატომ არ ღამობს კაცობრიობა – სვამს ლეო ვაისბერგერი კითხვას - ერთიანი ენის შექმნას, არამედ პირუკუ, მეტყველებს ორი ათასამდე განსხვავებულ ენაზე? ენათა მრავლიანობა ენათა შემთხვევითი თავმოყრა როდია, არამედ გზებია, რომლებიც სხვადასხვა მეთოდით პასუხობენ იმ ამოცანას, რასაც კაცობრიობა დაუსვამს თითოეულ ენას ჭეშმარიტების მიღწევის მიზნით.“(რამიშვილი 1995:10).

სხვადასხვა თეორიამ ცალ-ცალკე შეიძლება თავისი წვლილი შეიტანოს ენობრივი ნიმუშების შესწავლის საქმეში. თუ ჩვენ ერთსა და იმავე მონაცემებს სხვადასხვა თეორიის კუთხით მივუდგებით, მოცემული ნიმუშის სხვადასხვა ასპექტს დავინახავთ, უფრო სრულფასოვნად შევაფასებთ მას. სწორედ ამიტომ

ენათმეცნიერებაში მომწიფდა საფუძველი ენის ერთიანი თეორიის შექმნისათვის, რისი საწყისი პრინციპები მკაფიოდ ჩანს ჰუმბოლდტის შრომებში.

ე. ფ. ჰუმბოლდტს კანტის მიმდევრად თვლიან, თუმცა ენისა და აზროვნების ურთიერთობა ჰუმბოლდტთან თანდათანობით იქცა ენებისა და აზროვნების ურთიერთობად. ეს იყო მისი დიდი თავისებურება აზროვნების თეორიაში. აქვე იბმება ის უხილავი ძაფი, რამაც ენის კოგნიტური ფუნქცია ენათა ნაირგვარობის ფაქტთან უნდა დააკავშიროს ერთიანი თეორიის ფარგლებში. მოგვიანებით, ენათა სხვაობის ღრმად შესწავლის შემდეგ, ჰუმბოლდტმა წამოაყენა ცნობილი თეზისი: „ენათა სხვაობა არის არა სხვაობა ბგერადობისა და ნიშნებისა, არამედ მსოფლხედვისა” რომელიც, მისი თქმით, „უნდა იყოს საფუძველი და საბოლოო მიზანი ყოველნაირი გამოკვლევისა.” (ჰუმბოლდტი 1903:28).

ბუნებრივია, ღვება საკითხი: როგორ იქმნება ის ცნებათსისტემა, რასაც ენათა შინაარსობრივი შედარება უნდა დაემყაროს და რის საფუძველზეც ენის ერთიანი თეორია უნდა აიგოს? ასეთი მიზნისათვის, პირველ ყოვლისა, მასალა ჰუმბოლდტთან უნდა მოვიძიოთ; ეს იქნება სწორედ „მასალა”, რადგან ენერგეისტული ენათმეცნიერების ცნებათსისტემატიკა მას არ მოუცია. მაგრამ შესაძლებელია ე.წ. „ჰუმბოლდტიანურ ორიენტაციას” სხვა მკვლევრებაც მივაკუთვნოთ და მსჯელობა ამ კუთხით წარვმართოთ.

დესკრიფციული ლინგვისტიკის ეს მიმართულება ერთდროულად ფილოსოფიაც არის და სამყაროს ხედვაც. XX საუკუნის გამოჩენილმა ამერიკელმა ენათმეცნიერმა და ანთროპოლოგმა კენეტ ლი პაიკმა არსებული „მასალის” საფუძველზე და თავისი ორიგინალური კვლევის შედეგად შეიმუშავა ტაგმემიკური თეორია, ე. წ. „თეორიათა თეორია”, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ გავლენას ახდენს დამკვირვებელი მონაცემებზე და თავად როგორ ხდება ამ მონაცემების ნაწილი.

პაიკი ტეორიის აგებისას ადამიანს და ადამიანებს შორის ურთიერთობას ანიჭებს თეორიულ უპირატესობას ფორმალიზმთან, წმინდა მათემატიკურ გაანგარიშებებთან და იდეალიზირებულ აბსტრაქციებთან შედარებით. დამკვირვებლის სტრუქტურა გარკვეულწილად არის ენის ადეკვატური თეორიის ნაწილი. მოცემული კულტურის მოცემული ენა საკუთარი კულტურის ისტორიის მქონე გარკვეულ პიროვნებასთან მიმართებაში ენაცვლება ამ პიროვნების იმპლიციტურ თეორიას. შესაბამისად, ტაგმემიკური თეორია განიხილავს ენას

ფართო კონტექსტში, შეისწავლის რა როგორც ვერბალურ და არავერბალურ ქცევას, ისე კონკრეტული დამკვირვებლის–ლინგვისტის ფენომენს ამ მიმართულებით. თეორია ამ შემთხვევაში არის ერთიანი უწყვეტი მთლიანობა სხვადასხვა ცნებებისა, რომლებიც ჩართულია ტაგმემიკურ თეორიაში. სწორედ ამ ცნებათა სინთეზი არის სიახლე, რასაც ავტორი გვთავაზობს. თეორიის სახელწოდებაა **Tagmemics**, რაც უკავშირდება ბერძნულ სიტყვას **Tactics**. ეს გვეხმარება შიგა (**emic**) ქცევითი სისტემის შესაბამისი ბიჰევიორული ერთეულების რელევანტური სტრუქტურის არსებობის დაშვებაში.

პაიკის მიერ არჩეული ენების შესწავლისადმი დამკვიდრებული ერთ-ერთი მიდგომა ხაზს უსვამს ადამიანის გავლენის ფაქტორს კვლევით მასალაზე. ენისა და ადამიანის ურთიერთობას ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველიც გააჩნია. ენას ადამიანური წარმოშობა აქვს და ენა არა თუ ადამიანის გარეშე არ არსებობს, არამედ იგი მის გარეშე არც მოიაზრება, რასაც დ. უზნაძე ასე ასაბუთებს: „ არ არსებობს არაფერი ენაში, რომ ადამიანის მიერ არ იყოს თქმული, მის მიერ არ იყოს წარმოქმნილი” (უზნაძე 1947:166).

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის I ნახევარში გაბატონებული სისტემურ-სტრუქტურული და სტატიკური პარადიგმის დამკვიდრების ფონზე კ. ლ. პაიკის საენათმეცნიერო მოძღვრება ანთროპოცენტრიზმის პრინციპებით საზრდოობს და ამ მიმართულებით ვითარდება. აქ ნათლად იკვეთება ანთროპოცენტრული პარადიგმის ფორმირების კონტურები, რამაც უფრო ჩამოყალიბებული სახე XX საუკუნის ბოლოს, ათასწლეულთა გასაყარზე მიიღო: ანთროპოცენტრული პარადიგმა — გახლავთ მკვლევარის ინტერესთა გადართვა შეცნობის ობიექტიდან სუბიექტზე ე. ი. ხდება ადამიანის ანალიზი ენაში და ენისა ადამიანში”. (მასლოვა 2004:6).

ტაგმემიკური თეორია ავტორის თქმით, განვითარდა მსგავსად იმ ხედვისა, რომელიც უფრო და უფრო ვრცელი ხდება, რაც მეტად მიიწევ მადლა მთის მწვერვალისაკენ. თავიდან ერთი მიმართულებით მხოლოდ მოკლე მანძილს ხედავ, შემდეგ უკვე მეტი სივრცე შემოდის მხედველობის არეში. როცა აღწევ მწვერვალს, შეგიძლია დაინახო ყველა მიმართულება. სწორედ, ასევე განვითარდა ტაგმემიკური თეორია. იგი რამდენიმე ლინგვისტურ პრობლემასთან შეჭიდებით დაიწყო და ბოლოს, მივიღეთ ადამიანის ქცევასთან დაკავშირებული ერთიანი თეორია.

1948 წლისთვის კ. პაიკი ფონოლოგიაზე უკვე ცამეტი წელი მუშაობდა და სურდა ცვლილება. მან გადაწყვიტა გრამატიკისთვის მიემართა და დაიწყო ძიება გრამატიკაში არსებული ისეთი ერთეულისა, რომელიც ანალოგიური იქნებოდა ფონემისა ფონოლოგიაში. მკვლევარს აზრად მოუვიდა, რომ ნებისმიერი ენობრივი ერთეულის, დაკვირვების სფეროში მყოფი ერთეულის სხვა ერთეულებთან შეპირისპირების ფონზე შექმლო ჩამოყალიბებინა განზოგადოებული განმარტება. მოცემული ერთეულის გარანტიების რაოდენობა და მისი გავრცელების ადგილი პაიკმა ერთეულის ფუნქციად მიიჩნია.

ამ იდეის განვითარებისას პაიკმა აღმოაჩინა, რომ მას ასევე სურდა განესაზღვრა თითოეული კონკრეტული ენა, როგორც ლინგვისტური ერთეული, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მოცემული ერთეულის გავრცელების ადგილის დასაბუთებაც. სწორედ მაშინ დაიწყო პაიკმა ფიქრი იმაზე, რომ ენა (ვერბალური ქცევა) ჩართულია კულტურაში ვერბალურ ქცევაზე უფრო ვრცელ კონტექსტში.

მოგვიანებით, 1949 წლის ივნისში იგი სწავლობდა ბიზნეს წერილს, განიზრახავდა რა აღეწერა იგი ლინგვისტურ ერთეულად შეისწავლიდა მას როგორც კონტრასტის, ვარიაციისა და დისტრიბუციის ერთეულს (მისაღმების სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჩანაცვლებოდა ერთმანეთს მისაღმების ადგილას, სხვადასხვა თარიღი დაისმებოდა წერილის შესატყვის ნაწილში). კვლევა მშვენივრად მიმდინარეობდა. უეცრად, პაიკმა გააცნობიერა, რომ ბლუმფილდის მიხედვით, წერილი სულაც არ წარმოადგენდა ენას, რადგან შეტყობინება იყო განთავსებული ფურცელზე (და არ იყო ნათქვამი, წარმოთქმული). ეს კი, რა თქმა უნდა, არ იყო ზეპირმეტყველების ფორმა. მაშინ პაიკი მიხვდა, რომ მან გადაკვეთა ენა (ვერბალური ქცევა) და არავერბალური ქცევა. მეცნიერმა იგი ბგერითი ბარიერის გადალახვას შეადარა, მაგრამ არ უგრძობნია რაიმე წინააღმდეგობა, რასაც მკვლევარი ვარაუდობდა. ამის შემდგომ მან საჭიროდ მიიჩნია ენისა და კულტურის (ქცევა) ერთიანი თეორიით აღწერა.

ასე განვითარდა პაიკის ტაგმემიკური თეორია და მოიცვა ანთროპოლოგია – ეს იყო აბსოლუტური შემთხვევითობა. მეცნიერი არ აპირებდა თეორიის აგებას, არ გაუხდია იგი თვითმიზნად. პაიკმა უფრო ენობრივი მასალის შესასწავლად პრაქტიკული გზების ძიებიდან დაიწყო ეს კონკრეტული შრომა. იგი ცდილობდა მოექებნა განზოგადებანი, რაც დაეხმარებოდა მთარგმნელებს,

თავად მეცნიერს, რომ სტუდენტებისთვის უკეთ ესწავლებინა, როგორ ჩაეტარებინათ ენობრივი კვლევა. (პაიკი 1981:187-188).

პაიკის მიხედვით ლინგვისტური თეორიის დატვირთვა უნდა მოიცავდეს უცხო ენების სწავლების დახვეწას, იმ ჩარჩოების დადგენას, რაც დაგვეხმარება უკეთ გავერკვეთ კულტურასთან, ფსიქოლოგიასთან, ფილოსოფიასთან, ზოგადად ცხოვრებასთან და ქცევასთან ენის მიმართების საკითხებში.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ პაიკის ტაგმემიკური თეორიის ძირითადი დებულებები, მისი ღირებულება და როლი ენათმეცნიერული კვლევის განვითარების ისტორიაში მისი ანთროპოცენტრისტულ-კულტუროცენტრისტული განზომილების ჭრილში.

სხვადასხვა მეცნიერული შეხედულების შეჯახებისას, საჭიროა აღმოვაჩინოთ თუ რომელი მეცნიერული რეალობისა თუ ჭეშმარიტებისა სჯერათ მათ ავტორებს ან საიდან იწყებენ კვლევას. ეს პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ ლინგვისტიკაში. აუცილებელია ჩვენი კონკრეტული მოსაზრებები გავხადოთ ექსპლიციტური მკითხველისათვის, რომ მან შეძლოს სხვა ექსპლიციტურ თუ იმპლიციტურ დებულებებთან მათი შედარება. აქ შევეცდებით გადმოვცეთ ზოგიერთი შინაარსობრივი ასპექტი, რომელიც ჩართულია ტაგმემიკურ თეორიაში. არც ერთი ძირეული შინაარსი თეორიისა არ შეიძლება იყოს ახსნილი (გასაგებად) ან შესწავლილი (გამოსაყენებლად) მათი ერთმანეთთან მიმართების გარეშე. თეორია, ამ გაგებით, არის ერთი გადაჯაჭვული მთლიანობა. იგი შეიძლება შევადაროთ წრეს, რომელიც მისი შემადგენელი თუნდაც ერთი ნაწილაკის უქონლობის შემთხვევაში სრულყოფილი აღარ იქნებოდა.

**ზოგიერთი კონცეპტუალური საშუალება:**

პერსპექტივები, როგორც დამკვირვებლის შემხსები თვალსაზრისი

- ნაწილაკებად დანახული ელემენტები
- ტალღებად დანახული ელემენტები
- ველებად დანახული ელემენტები

ერთეულები ჩამოყალიბებული როგორც



- კონკრეტულ – იდენტიფიკაციური მახასიათებლები
- ვარიანტული მანიფესტაციები
- კლასის დინების და სისტემის შესაბამისად განაწილებული

ერთეულების, როგორც ერთი მთლიანის ნაწილების იერარქია

- ფონოლოგიური
- გრამატიკული
- რეფერენციული

კონტექსტი რელევანტურია

- ფორმა – მნიშვნელობის კომპოზიტების
- ცვლილებების
- დისკურსის სამყაროს მიმართ.

ჩამოთვლილი დებულებები ხელსაყრელია ადამიანის ქცევის გაგების (ენობრივი ბუნების ჩათვლით) და ამ ქცევის სტრუქტურის დადგენის თვალსაზრისით. პაიკის თეორიაში გაშუქებულია მოცემული პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიაში წარმოდგენილი ზოგიერთი მათგანი სათავეს იღებს ისტორიულ პორიზონტზე, მათი სინთეზი წარმოადგენს თეორიის სიახლეს. აქ ისევ შეიძლება მიუგებრუნდეთ ჰუმბოლდტს.


თავის ლინგვისტურ გამოკვლევებში ჰუმბოლდტი მეტად რწმუნდებოდა, რომ პიროვნული არსებობის ფორმირება მიმდინარეობს არა ინდივიდი – კაცობრიობის პოლარობით, არამედ სამწვეროვანი ურთიერთობით. ინდივიდი – ერი – კაცობრიობა (რამიშვილი 1995:23).

კ. პაიკის მიხედვით, ადამიანის ტვინი სამგანზომილებიან გამოცდილებად აღიქვამს მოცემულ ხედს. შესაბამისად, არსებობს ლინგვისტიკის სამი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით დაახლოებით ერთსა და იმავე მასალა გარკვეულწილად მსგავსად აღიქმება, მაგრამ მათ შორის საკმაო განსხვავების დაფიქსირება აუცილებელია იმისათვის, რომ უფრო ღრმა ანალიზი მოვახდინოთ. სტერეოსკოპული ხედვის სამგანზომილებიანი გამოცდილება გარკვეულწილად დამკვირვებლის დანამატია, რადგან იგი პირდაპირ ფოტოგრაფიულად მოცემული

არ შეიძლება იყოს. შესაბამისად, ენაში ყოველი ფაქტი დამკვირვებლის მექანიზმში იფილტრება (ფრანკლინი 1996:7).

ტაგემიკური თეორია ითვალისწინებს სულ მცირე სამ პერსპექტივას, რომელიც გამოიყენება **Homo Sapiens**-ის მიერ. ერთის მხრივ, ადამიანი თანმიმდევრულ მთელს თითქმის სეგმენტურად, ნაწილაკებად ანაწევრებს. ამ დროს იგი სამყაროს აღიქვამს, როგორც თანმიმდევრობითი „საგნებისგან“ შემდგარ მთლიანობას. მეორეს მხრივ, მის ხედვაში საგნები მომდინარე წყლის ჭაღებებად, დიდ-პატარა ტალღებად წარმოდგება. ეს ორი პერსპექტივა თავის მხრივ, ივსება მესამეთი – ველების ცნებით. გადამკვეთი თვისებები გროვდება ერთდროული მახასიათებლების ჯგუფებად, რომელთა ერთიანობა ქმნის დამკვირვებლის გამოცდილების მოდელს. (ნახ. 1.1)

ნახ. 1.1.



ნახ. 1.1. მარტივ მოდელში პერსპექტივების შერწყმა გვიჩვენებს თუ როგორ შეიძლება სამი სხვადასხვა დიზაინით გამოვსახოთ ერთი და იგივე ერთეულები. ერთეულები შესაძლოა

წარმოვადგინოთ იზოლირებულ ნაწილაკებად (ა), ან მომდინარე ტალღების ამპლიტუდად (ბ), ან ხაზების გადაკვეთის წერტილად (გ). ყოველივე ამის კომპოზიტს წარმოადგენს ნახაზი (დ).

ადამიანი იცნობს მის ირგვლივ არსებულ სამყაროს, როგორც ერთეულებისგან შემდგარ მთლიანობას, ელემენტი რომ ცალკეულ ერთეულად გამოვეყოთ, იგი უნდა განსხვავდებოდეს სხვა ელემენტებისაგან. იმისათვის, რომ ერთეული სწორად, ადეკვატურად ამოვიცნოთ, უნდა ვიცოდეთ თუ როგორ იცვლება იგი და თან ინარჩუნებს თვითმყოფადობას. რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს რაიმე და მაინც არ იყოს სხვა რამ? ერთეული ამოიცნობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისად ცნობილია მისი დისტრიბუციის ადგილი. მაგალითად: არსებითი სახელი და ზმნა წინადადებაში სხვადასხვა ადგილს იჭერს.

აღნიშნული თეორიის მიხედვით ენაში სამი სახის იერარქიას ვხვდებით, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, მაგრამ ამასთანავე ერთმანეთზეა გადაჯაჭვებული - გრამატიკული, ფონოლოგიური და რეფერენციული იერარქია.

1. გრამატიკულ იერარქიაში მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ნაწილები შეადგენს სიტყვებს, რომლებიც თავის მხრივ კიდევ უფრო ფართო სტრუქტურაში შედის და ა. შ. ამ იერსახის საწყის საფეხურზე გვხვდება აფიქსები —პრეფიქსები და სუფიქსები ან ძირი სიტყვისა, რომელთაგან შედგება სიტყვები: **re – act – s** ან ფრაზები: **will be reacting to smth.** და ა.შ. იქმნება წინადადებები, რაც გადაიზრდება აბზაცებში, ვითარდება მონოლოგები, რაც თავის მხრივ, მოქმედისა და მსმენელის დიალოგითაც შეიძლება შეიცვალოს.

2. ასევე არსებობს იერარქია ფონოლოგიურ დონეზე. მეორეს მხრივ, ადამიანის წარმოთქმის მანერაც შესაძლოა ერთმანეთში განთავსებული ბორბლების ფორმით განლაგდეს. მაგალითად, dog არის სამი ბგერისაგან შემდგარი მარცვალი, მაგრამ უფრო გრძელი სიტყვა, როგორცაა **refregerator** შეიცავს ხუთ მარცვალს, რომელთაგან ერთი არის მახვილიანი. ასე, რომ ერთი სიტყვა ქმნის ცალკეულ, უფრო ვრცელ წარმოთქმის ერთეულს—მახვილის ჯგუფს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლექსებში. სტროფი ლექსის შემადგენელი კიდევ უფრო ვრცელი ნაწილია. მთლიანობაში ეს არის ფონოლოგიური იერარქია.

3. გრამატიკული და ფონოლოგიური იერარქიის გარდა ტაგმემიკური თეორია განიხილავს რეფერენციულ იერარქიას. მისი შესწავლით ვახდენთ იმ შინაარსის ანალიზს, რისი თქმაც „სურს“ მთქმელს რომელიმე ერთეულზე, სიტუაციასა თუ ქმედებაზე ან კიდევ შეისწავლის მთქმელისა და მსმენელის დამოკიდებულებას, ემოციას, პრესუპოზიციას, შეფასებას ან რწმენას, რაც ითქმება (განზრახ ან განზრახვის გარეშე) მთქმელის მიერ იმ შინაარსის შესახებ, რაც გამოვლინდება მსმენელისაგან იმავე ნათქვამთან დაკავშირებით.

ტაგმემიკა არ განიხილავს საგანს თავის თავში (**“thing – in – itself”**). იგი არ შეისწავლის დროს ან მოვლენებს აღქმისაგან ან ნათქვამისგან განცალკევებით, არამედ იკვლევს საკითხებს დამკვირვებელთან, აღმქმელთან კავშირში. ბუნება, როგორც საგანი მიმღებისგან, დამკვირვებლისაგან ცალკე მდგომი ტაგმემიკური ანალიზის ნაწილი არ არის. ასე რომ, ადამიანთა ლინგვისტური რეფერენციული იერარქია ეხება მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომლებზეც საუბრობენ ან ისაუბრეს ადამიანებმა მათი წარსული თუ ახლანდელი კულტურის რაღაც ეტაპზე. თეორია არც ამტკიცებს და არც უარყოფს დამკვირვებლის მიღმა მყოფი საკითხების არსებობას; იგი არაფერს გვეუბნება მათ შესახებ (ფილოსოფია, მეორეს მხრივ, ზოგჯერ განიხილავს ასეთ საკითხებს). მსგავსად ამისა, თუმცა ტაგმემიკა მის არავერბალურ გამოყენებაში შესაძლოა განიხილავს ემიკურ არავერბალურ რეაქციებს, ლინგვისტური ფაზა ტაგმემიკისა იზღუდება ემიკური ერთეულებით, რომელთაც გააჩნიათ ვერბალური კომპონენტი. (პაიკი... 1977:363).

ენა შეიძლება განვიხილოთ როგორც ქცევის სახეობა. ენის, როგორც ქცევის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ენობრივი ელემენტები, როგორც ფორმისა და მნიშვნელობის კომბინაციები. ტაგმემიკური თეორია მათ ორივე კუთხით შეისწავლის. იმისათვის, რომ ორმა ადამიანმა დაამყაროს კომუნიკაცია, ისინი ერთი სამყაროს ნაწილები უნდა იყვნენ და ერთსა და იმავე ენაზე უნდა მეტყველებდნენ. გაცვლა მოიცავს გაზიარებას. როცა მოცემულია რამდენიმე სიტყვა, ადამიანის გონება მათ ერთმანეთთან აკავშირებს, როგორც კონტექსტის, ასევე მეტყველების საშუალებით, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ სიტყვებით კი არ განისაზღვრება, არამედ სიტყვათა ურთიერთობით უფრო ვრცელ კულტურასთან, რომლის ფარგლებშიც ამ სიტყვებს იყენებენ. მეტყველების სამყარო, აქედან გამომდინარე, ენას საზოგადოებასთან აკავშირებს.

ენის ზოგადი თეორია ხელსაყრელია თანაზიარი თვისებების პროპორციის გამო. კვლევისას რაც მეტ ენას შეეხო პაიკი და გამოიყენა ზოგადი პრინციპები იმ ენათა განხილვისათვის, რომლებიც სრულიად უცხო იყო ლინგვისტური საზოგადოებისათვის, მოხდა ისე, რომ გამოყენებულმა პრაქტიკულმა თვისებებმა მოიცვა ზოგადად ადამიანის ქცევა და ასე დაუკავშირა ენის თეორია ადამიანის ქცევის სტრუქტურის ერთიან თეორიას.

## §2 პაიკისეული ანთროპოცენტრიზმის მეთოდოლოგიური ასპექტი: დამკვირვებლის სამგანზომილებიანი ეფექტი როგორც ლინგვისტური კვლევის უნივერსალური მეთოდი

### ▪ ნაწილაკი

ადამიანი ზოგჯერ აღიქვამს სამყაროს როგორც ნაწილაკებისაგან ანუ საგნებისაგან შემდგარს. სახლები, ხეები და ხალხი აშკარად ფიზიკური საგნებია. ზოგჯერ რაიმე გამოცდილებას ან შინაარსს, რაც, რა თქმა უნდა, საგანი არ არის, მოვისხენიებთ როგორც საგნებს, რომელთა დათვლაც და გაზომვაც კი შესაძლებელია. ასეთი შინაარსი შეიძლება აისახოს ტერმინით მოძრაობა, რაც გულისხმობს მიმდინარე პროცესს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოძრაობანი მსგავსად ფიზიკური საგნებისა შეიძლება დავთვალოთ კიდევ. (მაგ: **I saw two horses, I saw two movements** – მე დავინახე ორი ცხენი, მე დავინახე ორი მოძრაობა).

ჩვენს გონებრივ კომპიუტერს ოპერირება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სამყარო ნაწილებად პროცესდება. ნაწილაკის კუთხით მიდგომისას თითოეული მათგანი მოთავსდება ჩვენს მენტალურ IBM ბარათებზე.

სიტყვაში **kit** მოცემულია სამი ბგერის თანმიმდევრობა. პირველი წარმოითქმება როგორც /k/. ბგერა წარმოითქმება ბაგეების, ხორხის, ფილტვების და ა.შ. მონაწილეობით. სიტყვებიც ერთგვარი ნაწილაკებია. სიტყვის ცენტრალური, ბირთვული ნაწილი არის სიტყვის ძირი, რომელიც სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის მატარებელია. უფრო პატარა ნაწილები არის აფიქსები, რომლებიც გავლენას ახდენს ძირითადი მნიშვნელობის ინტერპრეტაციაზე.

ზოგიერთი ენობრივი ნაწილაკი სიტყვებზე დიდია (განიხილება ფრაზულ დონეზე). არსებითი სახელის ჯგუფებიც შესაძლებელია განვიხილოთ ნაწილაკებად, კონსტრუქციებისაგან განსხვავებულ სახეობებად, კონსტრუქციათა მიმართებით ნაწილებად ან სხვადასხვა სიტყვებად.

პაიკი აღნიშნავს, რომ ხშირად შეიძლება გაგეგანდეს ფორმის მოლოდინი (ანუ მივხვდეთ როგორი ფორმაა მოსალოდნელი მანამდე ვიდრე თავად ფორმა გამოაშკარავდება). განვიხილოთ ეს შემთხვევა ლიმერიკის მაგალითზე. მხოლოდ პირველი სტროფის მოსმენის შემდეგ – **There was a young lady from Clyde,** მახვილი სიტყვებზე **'was', 'lady'** და **'Clyde'** იწყებს ფონოლოგიურ მოდელს, რომელიც გვამზადებს რაღაც მოლოდინისათვის. სიტყვების, **'there'** და **'young'** არჩევანი ხელს უწყობს მოლოდინის დასაწყისს. გრამატიკული სტრუქტურა **'was there'** აძლიერებს ჩვენს მოლოდინს. იმ დროისათვის, როცა გადავდივართ მეორე სტროფზე თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ ლიმერიკთან გვაქვს საქმე. სიტყვების **'Clyde'** და **'died'** გართობა ამყარებს ჩვენს ამოცნობას:

There was a young lady from Clyde  
Who ate some green apples and died  
The apples fermented  
Inside the lamented  
And made cider inside her insides.

(პაიკი 1982:22)

ფორმის ასეთი მოლოდინი და შინაარსის აღქმა არ მოხდებოდა, ლიმერიკი რომ არ იყოს ერთგვარი ნაწილაკი და ამასთან, მთლიანობაც. როცა ცალკეული ერთეულის მსმენელი (ან შემქმნელი) შეიგრძნობს, რომ გარკვეული სახის ერთეული დაიწყო, ერთეულის ზოგადი მოდელი მოითხოვს ფორმალურ დასასრულს. ენა არის ამ გადაჯაჭვული იერარქიული ნაწილაკების მიერ შემდგარი მოდელი.

ცხოვრების ზოგიერთი ფაზის ანალიზს ნაწილაკების მიერ შემდგარ სიმაღ ეწოდება ხაზობრივი წყობა. გონება ისეა მოწყობილი, რომ იგი აღიქვამს ცხოვრებას ერთი მეორის მიყოლებით შემდგარ მთლიანობად. სწორხაზოვანი წყობა შეიძლება შეიცვალოს (ან თან ერთვოდეს) ნაწილაკებით,

ორგანზომილებიანი ან სამგანზომილებიანი სივრცით. წიგნები შესაძლოა გაბნეულ იქნას მაგიდაზე, ყვავილები შესაძლოა დავახარისხოთ ბაღში. ოთახები დავეოთ ზედა და ქვედა სართულის ოთახებად.

ასე სივრცულად განლაგებული მწკრივი წარმოადგენს ველის შიგნით მოთავსებულ ნაწილაკებს. ნაწილაკების ხაზობრივი წყობა და ველში მათი განთავსება მნიშვნელოვანია ლინგვისტიკისათვის.

• ტ ა ლ ღ ა

პაიკი ამჯერად შესასწავლ ერთეულს სხვა კუთხით აკვირდება. კვლევამ გვიჩვენა, რომ თუკი ვეცდებით აბზაცის წაკითხვას როგორც შემდგარს ბგერათა აბსოლუტურად დაცალკავებულ ნაწილაკებისაგან, გასაოცარ შედეგს მივიღებთ. ბუნებრივი მეტყველება არასდროს ეღერს ასე. მართლაც, მეტყველების განხილვა-ანალიზი ბგერათა ნაწილაკებად დანაწევრების კუთხით შესაძლოა გარკვეულწილად მცდარიც იყოს. ინსტრუმენტული შესწავლა გვიჩვენებს, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს ბგერები. ერთი ბგერის წარმოთქმა დამთავრებული არ არის, რომ მეორის წარმოთქმა იწყება. მეტყველება ამ მხრივ შეიძლება შევადაროთ გაკრულ ხელწერას და არა ნაბეჭდ ნაწერს. ნახ 12.

ნახ. 12.

ა. Ea-s-t-or-w-e-s-t-h-o-m-e-i-s-b-e-s-t

ბ. *Eastorwesthomeisbest*

12. ბუნებრივ მეტყველებაში ბგერები ერთმანეთს ერწყმის თუ თითოეული ბგერა ხელოვნურად განცალკავდება პაუზით (ა), მეტყველება ხდება ნაწყვეტ-ნაწყვეტი და გაუგებარი. თუ წავიკითხავთ (ბ) ჩანაწერს თანაბრად ნელა, სარკეში შესანიშნო გახდება პირის გაბმულად ცვალებადი პოზიცია.

23

მკვეთრ და მდგრად ბგერის ნაწილს ნელი წარმოთქმის დროს უწოდებენ ტალღის ბირთვს. ერთი ბგერიდან მეორეზე გარდამავალ მონაკვეთს ეწოდება ზღვარი. თუკი მკვლევარის ყურადღება კონცენტრირდება ბირთვზე, მაშინ ჩვენ ვიკვლევთ ნაწილაკების კუთხით. თუკი ვაკვირდებით მთელს მიმდინარე მოძრაობას ზღვარიდან ბირთვისაკენ და პირიქით, ჩვენი ინტერესის სფერო ხდება ერთეული, როგორც ტალღა.

პაიკი განიხილავს ტალღის სხვადასხვა ტიპს: გრამატიკულ ტალღას იგი უწოდებს ტალღას, რომელშიც მოცემულია კონსტრუქციის ბირთვული, ცენტრალური ნაწილი, რომელსაც წინ უსწრებს ან მოსდევს სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც გარკვეულწილად განსაზღვრავენ ცენტრალურ ნაწილს. თუკი ასეთი კონსტრუქცია მხოლოდ ერთი სიტყვისაგან შედგება, ბირთვად შეიძლება ჩავთვალოთ სიტყვის ძირი და საზღვრულ ნაწილად – პრეფიქსი და სუფიქსი.

ფონოლოგიური ტალღა შესაძლოა იყოს ცალკეულ ბგერასავით მოკლე ან ისეთი ვრცელი, როგორც ლექცია. თითოეულს შესაძლოა ჰქონდეს ბირთვული და ზღვრული ნაწილები მაგ: წინადადება **'I don't want to'**... არის ცალკეული ფონოლოგიური ტალღა, რომელშიც **'I don't'** არის წინა საზღვარი, **to** არის მომდევნო ზღვარი და **'want'** არის მახვილიანი მარცვალი, რომელიც შეადგენს ტალღის მახვილიანი ჯგუფის ბირთვს.

რეფერენციული ტალღა აშუქებს გადმოცემულ მოვლენებს ან არგუმენტს. ასე, რომ ამბავი, მონათხრობი შეიძლება განვიხილოთ როგორც ტალღა: წინარე ზღვარი შეესაბამება სცენის დაწყების ფაზას, სიუჟეტს შევყავართ მოვლენების მსვლელობაში, შემდეგ მოდის კულმინაციური წერტილი (ბირთვი) მოქმედი გმირი თავს აღწევს დაბრკოლებას და ცხოვრობს ბედნიერად (მომდევნო ზღვარის) შემდეგ.



ანალიზის დროს ტალღებზე დაკვირვება არ ამცირებს ნაწილაკების კუთხით კვლევის საჭიროებას. როდესაც ტალღას ვიკვლევთ ცალკეულ ერთეულად, იგი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ნაწილაკი ისევე, როგორც ფიზიკურად შერწყმადი ასპექტების კუთხით კვლევისას ნაწილაკის ტალღად განხილვა შესაძლებელია.

ტალღური თვალთახედვა შესაძლოა მიუხედავად მეცნიერების ისტორიასაც. მეცნიერების ბირთვად დროში შესაძლოა მივიჩნიოთ შეფარდებითი სტაბილურობის პერიოდები მათ პრესუპოზიციებში, მეთოდოლოგიასა და მიზნებში. კუნი ასეთ ბირთვის უწოდებს „კვლევის ტრადიციის გაგრძელებას“, ან „ნორმატიულ მეცნიერებას“, ან „პარადიგმას“ თეორიისა. წინარე ბირთვი ასეთი ტალღისა მისთვის იქნებოდა გენეზისი ანუ წარმოშობა ახალი თეორიისა, როცა იგი თავის სტატუსს იძენს. ბირთვის შემდგომი ზღვარი (Postnucleus) ერთ-ერთი ასეთი ტალღისა იქნება, როცა მკვლევარები შენიშნავენ „მეთოდოლოგიური დირექტივების უკმარისობას, რომ მოგვაწოდონ სრულყოფილი პასუხები ბევრ მეცნიერულ პრობლემაზე“. კუნის დაკვირვების სფეროს წარმოადგენდა არა მხოლოდ საკუთრივ ბირთვი, წინარე ზღვარი ან მომდევნო ზღვარი, არამედ კავშირი, გადაკვეთა ტალღებს შორის, თავად „გარდამავლობის“ მომენტი (კუნი 1962:37).


- **ველი**

ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ როგორ შეიძლება დავაკვირდეთ ნაწილაკებს და ტალღებს, რომლებიც გარკვეული სახის კონტინუუმში ერთმანეთს ერწყმის და ვნახეთ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ბირთვს. საინტერესოა, განვიხილოთ მთელი რიგი ურთიერთკავშირები, რომლებიც ერთეულთა დაკავშირებისას წარმოიქმნება სისტემაში. ერთეულთა ურთიერთკავშირის მთელ ასეთ რიგს ვუწოდებთ ველს.

არც ერთ ერთეულს ცალკე არ ექნება რაიმე მნიშვნელობა. ერთეული ხდება რელევანტური მხოლოდ კონტექსტთან მიმართებაში. ამ კონკრეტული ურთიერთობის (კონტექსტის) მიღმა ერთეული არაინტერპირებადი ხდება დამკვირვებლისათვის. მაგ: მარტივი წრე დამკვირვებელმა შეიძლება აღიქვას რიცხვით სახელად ციფრის 1000 კონტექსტში, ასო-ბგერად ანბანში მაგ: **ppp** ან

კიდევ თვალუბად, ცხვირად ან კბილებად შესაბამისი ნახატის კონტექსტში. ამიტომ როცა ჩნდება კითხვა, რას ნიშნავს წრე თითოეულ მოცემულ შემთხვევაში, ნათელი ხდება, რომ მისი ფაქტობრიობა არის დამკვირვებლის მიმართ რელატიური. ნახ. 13 წარმოადგენს ნათელ ილუსტრირებას იმისა, თუ რამდენად განსხვავდება ერთეულის მნიშვნელობა სხვადასხვა კონტექსტში.

ნახ. 13



ნახ. 13. ერთეულების განსაზღვრა ხდება კონტექსტთან მათი მიმართების მიხედვით. წრე აღიქმება როგორც აღნიშნული ფაქტი მხოლოდ ველთან და ამ ველის დამკვირვებელთან მის კავშირში.



სისტემის ფონოლოგიური ერთეულები, რომლებიც წარმოადგენენ სიმბოლოებს შესაძლოა განლაგდნენ რიგებად ისე, რომ თითოეული შეესაბამებოდეს სულ მცირე ერთ მახასიათებელს. საერთოდ, ერთეული ან უნდა განვიხილოთ როგორც ველის მახასიათებელთა შერწყმის „წერტილი“, ან ერთეულთა არსებობას უნდა მივუდგეთ როგორც ამ ერთეულთა ურთიერთკავშირის საფუძველზე შედგენილ ველს. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვაკლინოთ ერთდროულად არსებული რამდენიმე მახასიათებელი.

ხმოვანთა სისტემა თანხმოვანთა მსგავსად შესაძლოა განვიხილოთ როგორც ველი. თუკი წარმოთქმისას ყველაზე მაღალი წერტილის მდგომარეობას დავაფიქსირებთ ხმოვნების / i, a, u / -ს წარმოთქმისას მივიღებთ

სამი სამზე დიაგრამას, რომელშიც /i/ და /u/ ზედა რიგზე განლაგდებიან წინა და უკანა სვეტებში, /a/ ხმოვანი კი ქვედა შუა სვეტში. ნახაზი 1.4 ორი ნაწილისაგან შედგება და ნათლად ასახავს ტაგმემიკურ თეორიაში ცხრილების გამოყენების ტენდენციას, რაც ხელს უწყობს ველის სტრუქტურის წარმოჩენას, ისევე როგორც ეს საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა ფონოლოგიაში.

ნახ. 1.4

(ა)



ნახ. 1.4. ენის უმაღლესი წერტილი გამოიყენება ცხრილზე მოცემული წერტილების ასაგებად. ხმოვნების აღწერა ხდება ამ სქემასთან მიმართებით. (ა) შემთხვევაში ბაღე მოცემულია პირის აპარატში. (ბ) შემთხვევაში ხდება მისი კატეგორიებად დაყოფა. გეგმა პედაგოგიურად გამოსადეგია.

ასევე საინტერესოა გაცილებით უფრო ვრცელი ერთეულების შესწავლა ველის სტრუქტურასთან მიმართებაში.

შესაბამის შემთხვევებში ერთი და იგივე მოვლენა შესაძლოა განვიხილოთ როგორც ნაწილაკი, ტალღა ან ველი – ან ამ სამი მიდგომის კომბინირება მთქმელის ან მსმენელის აღქმაში. ადამიანის ემოციური მდგომარეობა ან მისი უახლოესი თუ შორეული გამოცდილება გავლენას ახდენს ამ სამიდან რომელიმეს პრიორიტეტების ცნობიერ თუ არაცნობიერ არჩევანზე. ადამიანის ენა ხშირად ავლენს ამ არჩევანს.

ჩვენ განვიხილეთ ის საშუალებები, რითაც შესაძლოა დავაკვირდეთ საგნებს ან გამოცდილებას. სამყარო შესაძლოა განვიხილოთ როგორც ნაწილაკების, ტალღებისა და ველისაგან შემდგარი მთლიანობა. თეორიის ავტორს კვლევის შემდეგ ეტაპზე შემოჰყავს დამკვირვებელი უკანა ფონზე, ხოლო წინა პლანზე გამოდის დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები.

### §3 ტაგმემიკური ერთეულები და მათი გამოვლენის მეთოდოლოგია

- კონტრასტი და იდენტიფიკაცია

ერთეულის ამოცნობა საინტერესო სირთულეებს უკავშირდება. ჩვენ არ ვიცით ესა თუ ის საგანი (შინაარსი) რა არის, თუკი არ ვიცით ის რა არ არის. ამოცნობა ნაწილობრივ უარყოფითია. ნაწილობრივ იგი ერთეულთა შორის კონტრასტზეა დამოკიდებული. ჩვენ არ გვეცოდინება მაგ: რა არის ცხენი თუკი მას ძროხისგან ვერ გამოვარჩევთ.

ერთი და იგივე კომპონენტები, რომლებიც გვიჩვენებს რითი განსხვავდება ერთი ერთეული მეორისაგან, ასევე გვეხმარება იმ ერთეულის ამოცნობაში, რომელიც ახლოს აღარ არის ერთეულთან, რომლისგანაც იგი გამოვყავით. მაგ: შესაძლოა დავაკვირდეთ სიტყვებს 'seal' და 'zeal', რომლებიც შეიცავს ორ განსხვავებულ ბგერას /s/ და /z/-ს სიტყვის კომპონენტებად. შემდგომში ეს ორი ბგერა - /s/ და /z/- შესაძლოა გამოვიყენოთ იმ სიტყვების ამოსაცნობადაც, სადაც ისინი კონტრასტულ წყვილებად არ გვევლინებიან – 'zebra' შესაძლოა

ნათლად ამოვიცნოთ მაშინაც კი, როცა არანაირი 'sebra' არ მოიპოვება. ესაა ნიშნები, რომლებიც კონტექსტთან მიმართებაში კონტრასტულია საიდენტიფიკაციოა სხვა შემთხვევებისათვის. კონტრასტის კომპონენტი კვლევისთვის საინტერესოა, თუკი ეს ორი დაპირისპირებული ერთეული მსგავსია. რას ვგულისხმობთ მსგავსებაში? ერთეულები მსგავსია, თუკი მათთვის ერთი და იმავე სამყაროს (კონტექსტის) ზოგიერთი კომპონენტი საერთოა.

კონტრასტის ბევრ ყველაზე საინტერესო პრობლემას ადგილი აქვს, როცა შესადარებელი კომპონენტები მართლაც მსგავსია, მაგალითად: მსგავსი ფერების ან ბგერების შემთხვევაში. ფერების განსხვავება უფრო შესამჩნევია, თუ შევადარებთ ერთმანეთის მიყოლებით. ასევე, განსხვავებათა გაგონების საუკეთესო საშუალებაა, მათი მოსმენა თითქმის იდენტურ კონტექსტში, მაგ: ისეთი სიტყვათა წყვილს, რომელიც თითქმის იდენტურია (seal / zeal) ეწოდება მინიმალური წყვილები, რადგან განსხვავება დაყვანილია ორი ბგერის 's'-სა და 'z'-ს სხვაობაზე.

აქ ისევ დამკვირვებლის კომპონენტი შემოდის ლინგვისტიკაში. ენა არ არის მხოლოდ დაუკავშირებელი ბგერების, წინადადებების, წესების ან მნიშვნელობათა ნაკრები. იგი არის გაბმული, უწყვეტი სისტემა მათი ინტეგრაციისა ერთმანეთთან, ქცევასთან, კონტექსტთან, სამყაროსთან და დამკვირვებლის პერსპექტივასთან. იგი არის ფორმა-მნიშვნელობის კომპოზიტი.

უცხო ენის შესწავლისას ლინგვისტმა უნდა მოძებნოს და შეისწავლოს მეტყველების ერთეულთა ამოცნობა და გამოყენება, რაც მას საშუალებას აძლევს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს გაუგოს ან გაგებულ იქნას, იმოქმედოს შესაბამისად. მან უნდა მოახერხოს ამოცნობა და ერთეულების გამოყენება ინსაიდერის ხედვით.

როცა ასეთი ერთეულები კონკრეტული ენის სისტემის ბგერებია, მათ ფონემებს უწოდებენ; თითოეული მათგანი ფონემიკურია ამ კონკრეტულ ენასთან მიმართებაში. ფონემიკიდან განზოგადებული სახით პაიკმა აიღო ტერმინი *emic* (პაიკი, 1967) ენის ნებისმიერი ასეთი ერთეულის წარმოსადგენად იერარქიის ნებისმიერი დონიდან.

ხმოვნები და თანხმოვნები შესაძლოა დაგუპირისპიროთ ერთმანეთს გარკვეულ კონტექსტუალურ ჩარჩოებში. ჩვეულებრივ, არსებობს ნაკლები განსხვავებები მათი წარმოთქმისას სხვა კონტექსტში.

ბგერები შესაძლოა განლაგდეს ცხრილების სახით; არა მხოლოდ ერთ ბგერაში ან მოცემული ჩარჩოს ბგერათა ერთ წყობად, არამედ ისინი განლაგდებიან კონტრასტებად ბგერათა ქვესისტემებში, რომლებიც პაიკის მიხედვით შესაძლოა განვიხილოთ სამგანზომილებიანი მატრიცის ბგერების ემიკურ ერთეულად. მეცნიერი კონტრასტულ ერთეულებს ასევე გვიჩვენებს სვეტებად განლაგებული სქემის სახით.

ლექსიკურ ერთეულთა შორის კონტრასტიც შესაძლოა დავინახოთ მატრიცის სახით ცხრილებში. ზოგჯერ სიტყვები მსგავსად წარმოითქმება, მაგრამ მნიშვნელობა განსხვავებულია. კონტრასტი მათ მნიშვნელობებს შორის ზოგჯერ ნათელია იმ განსხვავებული კონტექსტის გამო, რომლებშიც ამ მოცემული მნიშვნელობით აღნიშნული სიტყვები გვხვდება. სიტყვას 'big' აქვს რამდენიმე ლექსიკური მნიშვნელობა, რომელთა განსხვავება ადვილი არ არის დამწყებისათვის. თუკი ვეცდებით სიტყვის „big“ გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში, იგი სწორად შეიძლება მოერგოს ზოგიერთ კონტექსტს, მაგრამ არა ყველას.

მხოლოდ ენაში როდია კონტრასტი მნიშვნელობის, მიზნისა და კულტურის რელევანტური. მაგ: ინგლისური 'Good-bye' შესტიკულაციით ხელის რამდენჯერმე დაბლა დაქნევით გამოიხატება, მაგრამ ესპანურად მოლაპარაკებ ეს შესტი შესაძლოა არასწორი საპირისპირო მნიშვნელობით გაიგოს.

ინგლისურ შესტიკულაციათა ეს წყვილი არის შესტიკულაციის მთელი რიგის ნაწილი (კულტურულად განპირობებული ჩვევები ჭამისა, ჯდომისა და ღიმილისაც კი). შეადგენენ რა დისკურსის განსხვავებულ სამყაროს თავისი კონტრასტული მახასიათებლებით, ისინი განსხვავდებიან ენებისა თუ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ავსტრალიაში ყოფნისას პაიკი თავს ირთობდა ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული რეკლამების თვალთვლით და თავად განასხვავებდა ამერიკელი და ავსტრალიელი გოგონების ფოტოებს მათი განსხვავებული ღიმილის მიხედვით. ამერიკელი გოგონები იღიმებოდნენ პირის კუთხეების გაღებით, როცა ავსტრალიელები უმეტესად უფრო ზომიერად იღიმებოდნენ. ერთ-ერთმა ავსტრალიელმა ასეთი რეპლიკა გააკეთა: „ღიას, ეს ამერიკული სურათები კბილის პასტის რეკლამებს ჰგავს!“ (პაიკი 1982:51).

- ვარიაცია

ნორმალური სოციალური ქცევა საჭიროებს იდენტურობის ამოცნობას ცვლილების მიუხედავად. ცვლილების დროს იდენტურობის პრობლემა სიახლეს არ წარმოადგენს. ჩვენ აქ განსაკუთრებით გვაინტერესებს ერთეულის ის ნიშნები, რომელთა შეცვლა ისე იქნება შესაძლებელი, რომ არ გამოიწვევს ერთეულის ამოცნობის შესაძლებლობის დაკარგვა.

ნიმუში მთლიანობაში შესაძლოა შეიცვალოს თანდათანობით დროის პერიოდში. ბავშვი იზრდება და იქცევა კაცად. ზრდის სხვადასხვა ეტაპზე მშობლები-სათვის პრობლემა არ არის მისი ამოცნობა. მაგრამ უცხოეთის თვეების ბავშვის სურათის გარჩევა იმავე ასაკის ძმის სურათისაგან, არც თუ ისე ადვილია.

გარე, სისტემისათვის უცხო, დამკვირვებელს შესაძლოა სირთულეები წარმოეშვას იმ ნიშნების მოძებნისას, რომლებიც გადამწყვეტია სტრუქტურულად მინიმუმი და ქცევის რელევანტური ბეგრების (ფონემების) სეგმენტთა ამოცნობისათვის, რომლებიც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკისათვის – შიგა დამკვირვებლისთვის - გარკვეულწილად უცვლელი თვისებაა.

მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს უჭირს ერთეულთა მცირე მახასიათებლებზე კონცენტრირება. იგი უფრო ნათქვამის, შეტყობინების მთავარ, ცენტრალურ ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას. დამატებით, ვარიანტები შესაძლოა ერთდროულად იყოს სტილის ან დამოკიდებულების, რომლებიც მნიშვნელოვანია სოციალური თვალსაზრისით. თუ, მაგალითად ბიჭი ეტყვის გოგონას **‘That’s a beautiful hat you’ ve got on!’**, მაგრამ ეტყვის ამას დამცინავი ტონით, გოგონა მიხვდება ლექსიკური მნიშვნელობის საპირისპირო გამკიცხავ მნიშვნელობას.

ვარიაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდუალურ ფონემებზე, ასევე მას მიყვავართ სიტყვებში ზოგიერთი ბეგრის დამატებამდე, შეცვლამდე ან წაშლამდე – ანუ მორფოფონემურ ცვლილებებამდე. ბრძანება **“Come here!”** შეიძლება იქცეს ბრძანებად **‘C’m’ere!’** სწრაფი მეტყველების დროს. ბევრი ამერიკელი წინადადებას **‘Ed had edited it’** წარმოთქვამს როგორც **/edededit/**, - სწრაფი მეტყველების დროს მესამე მარცვალზე მახვილით. მორფოფონემური ცვლილებების გამო, იზოლირებულად წარმოთქმული ასეთი წინადადება ამავე ამერიკელებისათვის შესაძლოა გაუგებარი იყოს. კონტექსტი (დისკურსის

სამყაროს ველი) რელევანტურია გონებრივი მოწყობისა, რისი საშუალებითაც ხდება ნათქვამის გაგება.

გრამატიკულ ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ თავისუფალი და განპირობებული ვარიანტები ისევე, როგორც ფონემებსა და მორფემებს. წინადადების ქვემდებარეში გამოვლენილი თავისუფალი ვარიაცია შესაძლოა დანახულ იქნეს ერთი სიტყვის მეორით ჩანაცვლებით ერთსა და იმავე ნაკადში. **‘The tiger swallowed the boy and the snake swallowed the boy’**. **‘the tiger’** და **‘the snake’** ავსებენ ქვემდებარის ადგილს. რადგან მოყვანილ მაგალითებში გრამატიკული კავშირი ერთი და იგივეა, ეს ცვლილება თავისუფალ ვარიაციად აღიქმება.

განპირობებული ვარიაცია შეიძლება შევნიშნოთ შემასმენლის გამოყენებაში, მაგ., შევადაროთ: **‘The tiger sees the canary’** და **‘The tigers see the canary’**. სიტყვის “tiger” მრავლობითში გადაყვანა იწვევს შემასმენლის შეცვლასაც (**sees**→**see**). ეს არის შემთხვევა, როცა ქვემდებარე ტაგმემის თავისუფლად შერჩეულმა მრავლობითმა რიცხვმა განაპირობა შემასმენლის შესატყვისი ვარიანტი.

ვარიაცია გავლენას ახდენს ასევე გრამატიკულ კონსტრუქციებზეც, წინადადებებში სხვადასხვა წევრის ადგილის განსაზღვრით. მაგალითად, სიტყვა **‘yesterday’** შესაძლოა უსწრებდეს ან მოსდევდეს სიტყვათა რიგს **‘I came from Detroit’**. თუკი მეტ-ნაკლებად იზოლირებული კუთხით განვიხილავთ დროის ტაგმემას, შესაძლოა ვთქვათ, რომ წინადადებაში იგი შესაძლოა საწყის ან ბოლო ადგილზე განთავსდეს. არჩევანი ლოკალურად თავისუფალია, მაგრამ დისკურსის ფოკუსური სტილი განპირობებულია. მაგ: შევადაროთ: **“I came from Chicago today but yestarday I came from Detroit”** და **“I came from Chicago today but I came from Detroit yestarday”**.

კონსტრუქციებს ასევე გააჩნიათ შემოკლებული ვარიანტებიც: **‘She can sing better than I can sing/ She can sing better than I can’** ასევე, ლექსიკური და გრამატიკული სისტემები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ჩვენ შესაძლოა ვთქვათ **‘You know the way’**, და **‘thou knowest the way’** - (ამაღლებულ პოეზიასა და ლოცვებში), მაგრამ ნაერთი **‘You knowest the way’** მიუღებელია. ერთეულთა შესაბამისი განთავსება გულისხმობს და ითვალისწინებს მთლიანად ენის მოდელს და არა უბრალოდ მის იზოლირებულ ნაწილებს.



საკითხის განხილვისას პაიკი გულისხმობს, რომ თანმიმდევრულ ხაზში სეგმენტთა განცალკავება ზოგჯერ სირთულეს წარმოადგენს, რადგან ორ უფრო დიდ ერთეულს შორის მოთავსებული მცირე ელემენტის ნაწილობრივი ან სრულყოფილი გაზიარება, ორივე მხრიდან, ხდება იმ წერტილში, სადაც ისინი ერთმანეთს ერწყმიან. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ვიცოდეთ, რომ ეს ორი ერთეული სიტყვაში არსებობს და არ ვიცოდეთ, თითოეული სად იწყება და სად მთავრდება. ზოგჯერ სეგმენტაცია განუსაზღვრელია. ნაწილაკის თვალსაზრისით ხედვა მოითხოვს გამოკვეთილ სეგმენტაციას, მაშინაც კი, როცა ასე არ არის. ტალღური ხედვა გულისხმობს ერთეულთა არსებობას მათი საზღვრების სპეციფიური იდენტიფიკაციის საჭიროების გარეშე. როცა ვარიაცია წარმოიშობა სეგმენტთა შერევისაგან, ამ ორი პერსპექტივით მიდგომა რადიკალურად განსხვავებულია: ორს შორის არჩევა დამოკიდებულია მკვლევრის სხვადასხვა საჭიროებაზე. შესაბამისად, განსხვავებულია თავად დამკვირვებლის პერსპექტივა ან განსჯა და არა მონაცემები.

- დისტრიბუცია

კოორდინირებისათვის გარკვეული ადგილი უნდა იყოს წარმოშობის წერტილი, რაც საშუალებას აძლევს პირს ამოიცნოს თავის იდენტურობა უფრო ვრცელი სამყაროს ფონზე. რაიმემ უნდა მიგვანიშნოს იმ უახლოესი გარემოცვიდან მივმართოთ უფრო ვრცელ მოდელს, თუკი გვინდა გავიგოთ პიროვნების, საგნის ან სიტყვის მნიშვნელობა. მე მესაჭიროება ორიენტირება უფრო ფართო კონტექსტთან – სამყაროსთან მიმართებაში. დისკურსის „მე“ (II პირთან მიმართებაში) გვთავაზობს აზრს, რომ მთქმელმა იცის რაღაც მის სოციალურ კავშირებზე. მაგრამ სანამ პირი, ინდივიდი არ გასცდება საკუთარ თავს და მის მეზობელს იერარქიულად დალაგებულ გარე სამყარომდე, იგი გარკვეულწილად იკარგება საკუთარ თავში.

პაიკი იხსენებს თავის აღტაცებას, როცა III კლასში ყოფნის დროს ერთ, წითელი აგურით აგებულ, სკოლის შენობაში მან დაწერა საკუთარი მისამართი: **‘Woodstock, Connecticut, USA, World’**. მეორე ასეთი აღტაცება მან განიცადა მოგვიანებით, წაიკითხა ჯოისის ნათქვამი მის ერთ-ერთ გმირზე: **‘He turned to**

**flyleaf of the geography and read that he had written there: himself, his name and where he was. (Stephen Dedalus, Class of Elements, Clongowes wood College, Sallins, Country Kildare, Ireland, Europe The World, The Universe)’.**

პატარა ბავშვსაც კი აღაფრთოვანებს იმის შეგრძნება, რომ იგი უფრო ფართო სამყაროს ნაწილია. (პაიკი 1982:60)

იდენტურობის ცოდნა თავისთავად მოიცავს რელევანტური დისტრიბუციის ცოდნასაც. ერთეული, პიროვნება ან სიტყვა, ნაწილობრივ ხასიათდება მისი წევრობით იმ ჩანაცვლებადი ერთეულების კლასში, რომელიც შესაძლოა შესაბამისად განთავსდეს მოცემული სტრუქტურის იმავე ადგილას. მაგ: **kitten, dog, train, bicycle** არსებით სახელთა იმ ქვეჯგუფის წევრებია, რომლებმაც შესაძლოა შესაბამისად შეცვალონ ერთმანეთი როგორც არსებითი სახელის ფრაზის ძირითადმა ნაწილებმა. მაგ: **a large kitten – a large dog, a large train, a large bicycle**. ეს ფრაზები მთლიანობაში, თავად არიან წევრები უფრო მაღალი დონის კლასის ფრაზული ერთეულისა, რომელიც შესაძლოა შეგვხვდეს დამატებით ნაკადში ინგლისურ წინადადებისა, როგორცაა **“Joe saw a large kitten”**.

სიტყვა ან სიტყვათა კლასი, რომლის წევრიც ეს სიტყვაა ნაწილობრივ ხასიათდება ან ამოიცნობა სტრუქტურული თანმიმდევრობით (გრამატიკული კონსტრუქციებით ან ლექსიკური ერთეულებით), რომლის ნაწილიც თავად არის. ერთეული ნაწილობრივ განისაზღვრება იმ კონსტრუქციით, რომელშიც ის გვხვდება. ჩამოთვლილი არსებითები ნაწილობრივ ამოიცნობა იმ ფაქტით, რომ ისინი გვხვდება არსებითიან ფრაზებში, რომლებშიც მათ წინ უსწრებს არტიკლი **‘the kitten’**, ან ზედსართავი **‘the lonely kitten’** ან შესაძლოა თან ერთვოდეს განმსაზღვრელი ფრაზა **‘the kitten I used to own’**.

მსგავსად, პიროვნებას, როგორც სიტყვას გრამატიკულ კონსტრუქციაში, აქვს თავის ადგილი გარკვეულ სოციალურ სტრუქტურაში, რომელიც ნაწილობრივ ახდენს მის იდენტიფიკაციას განსაზღვრული სოციალური როლის დაკისრებით. მაგ: ასაკოვანი მამის ვაჟი და, ამავე დროს მამა, თავის შვილებისა ან ოჯახის თავი. მეორეს მხრივ, თავად ისიც ნაწილია იმ უფრო ვრცელი ნათესაური სტრუქტურისა ისევე, როგორც არსებითული ფრაზა ვერ იარსებებს სიტყვების გარეშე.

წარმოთქმის მხრივაც, ბგერების ადგილი, სადაც ისინი გვხვდება ბგერათა თანმიმდევრობის დროს ძალიან მნიშვნელოვანია მოცემული ბგერის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრისათვის.

მაგ: ბგერა 'h' ძირითადად გვხვდება სიტყვების დასაწყისში (**hang**), მაშინ როცა ბგერა 'ng' გვხვდება სიტყვის ბოლოს (**hang**).

ყოველ ენას აქვს თავად დადგენილი ზღვარი ხმოვანთა და თანხმოვანთა ერთად წარმოთქმის მხრივ.

ფონოლოგიასა და გრამატიკაში, ორი ენა განსხვავდება ბგერათა და ტაგმემათა დისტრიბუციით. ერთ ენაზე მოსაუბრეს შესაძლოა გაუჭირდეს ან ეუხერხულოს მეორე ენის სტრუქტურის შეთვისება. ენის შესწავლის პრობლემები თავს იჩენს იქ, სადაც მოსალოდნელია მსგავს ერთეულთა დისტრიბუციის სხვადასხვაობა. დამწყებ შემსწავლელს ესაჭიროება ვარჯიში არა მხოლოდ ახალი ბგერების ათვისებაში, არამედ ძველი ბგერებისა ახალ კომბინაციებში.

ქცევის ერთეულთა დისტრიბუცია კონტროლდება სხვადასხვა სახის ელემენტებით. ლინგვისტიკური კონტროლი შეიძლება მოიცავდეს ლექსიკურ, ფონოლოგიურ, გრამატიკულ ან მიმართებით ელემენტებს.

კ. ლ. პაიკი ველის ფარგლებში ერთეულების კონტრასტისა და მსგავსების გავლით ამოცნობას გვთავაზობს. იგი განიხილავს მათი ვარიაციის და დისტრიბუციის მხარეებს. ტაგმემიკურ თეორიაში ყურადღება მახვილდება 3 ასპექტზე, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ, და, ამავე დროს, გარკვეულწილად, მაგრამ არა სავსებით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. ამ სტრუქტურულ ასპექტებს პაიკი უწოდებს იერარქიებს. შრომის შემდგომ ნაწილში განვიხილავთ გრამატიკულ, ფონოლოგიურ და რეფერენციულ ენობრივ იერარქიებს.

#### §4 ურთიერთდამოკიდებულ ენობრივ „იერარქიათა იერარქია“

რელევანტური, სტრუქტურული ჩართვა ნაწილებისა ერთ მთელში, როცა, თავის მხრივ, ეს მთელი ხდება ნაწილი კიდევ უფრო ფართო მთელისა არის მნიშვნელოვანი კომპონენტი პაიკის კვლევისა. ეს მიდგომა შენარჩუნებულ იქნა ლინგვისტური მონაცემებიდან გამომდინარე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიის დიციპლინაში ძლიერი მხარდაჭერა აქვს იერარქიულ ხედვას.

- გრამატიკული იერარქია

იერარქიის „დონე“ გაცილებით მეტია პაიკის მიერ გრამატიკის განხილვისას, ვიდრე უბრალო ხარისხი უფრო დიდ ერთეულებში მათი ჩართვისა. თითოეულ ძირითადი ტიპის დონეს აქვს გარკვეული ფუნქცია ქცევაში. მის სტრუქტურულ მოწყობაში, ფორმა ახდენს ზოგადი სახის გავლენას მსმენელზე (რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ამ დონის მნიშვნელობას). მაგ: **s-k-u-n-k** არის მართლწერის ფორმა (რომელიც ასახავს წარმოთქმის ფორმას), ამასთან იგი ატარებს მნიშვნელობას ამერიკული ცხოველისა, რომელსაც საშინელი სუნი აქვს.

განვიხილოთ განსხვავება ორ კონსტრუქციას შორის: **‘That skunk smells bad’** და **‘that bad smelling skunk’**; პირველი ფორმალურად აცხადებს, რომ მდგომარეობა მართალია და მეორე — უბრალოდ ახარისხებს, გამოჰყოფს მის თვისებას ყოველგვარი განზრახ დადასტურების, მტკიცების გარეშე. პირველი შესაძლოა გამოდგეს საუბრის დასაწყისში, ხოლო მეორე ვერ გამოდგება ამავე ფუნქციაში, თუმცა, შემოქმედებითმა სდუდენტებმა ან პოეტებმა შესაძლოა მიაგნონ რაღაც კონტექსტს, ნორმის მიღმა სიტუაციას, სადაც მოულოდნელი ფორმა შესაძლოა შეგვხვდეს. ნორმების ჩართვა თეორიაში მნიშვნელოვანია რაღაც კუთხით. ტაგმემიკაში ისინი შემოდიან ტალღურ ხედვასთან კავშირში. მნიშვნელობის მქონე მტკიცებით მახასიათებლებს, კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მოდიფიკაციით ნორმის ან ნორმის მიღმა, ჩვენ ვუწოდებთ ტერმს.

აღსანიშნავია, რომ რელიტიური დამოუკიდებლობა, იზოლირება მტკიცებულებებისა განისაზღვრება მხოლოდ მათი კავშირით ისევე უფრო მაღალი დონის ერთეულთან — საუბართან. საუბრის დონე გულისხმობს სოციალური ურთიერთგაცვლის მნიშვნელობით ფუნქციას. ეს არის ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს ჩვენს საწყის წერტილს მრავალი ლინგვისტური განმარტებისათვის. ენა ეს არის ქცევის ნაწილი. იგი არ არის იზოლირებული არავერბალური ქმედებისაგან, ინტეგრირდება მასთან და იძენს მნიშვნელობას სოციალურ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

მორფემები და ფონემები სიტყვებში მოიცავს კიდევ შემდეგი დონის წყვილებს. გრამატიკული სტრუქტურის ყველაზე დაბალი დონის წყვილი - სიტყვის ძირი, როგორცაა **berry** იქნება მარტივი წვერი წყვილისა --- **blackberry**. იქნება მორფემული კომპლექსი (აქ, შედგენილი ძირი) სიტყვაში **blackberries**: ‘s’

მრავლობითის ნიშანი კიდევ ერთი მარტივი მორფემა-აფიქსია. თითოეული ტიპის წყვილში, შესაძლოა იყოს უფრო პატარა (მინიმალური) ან გრძელი სახეობები სპეციფიკური დონეებისა ზოგადი სახის დონის ფარგლებში.

ტაგემის 4 მახასიათებელი ნაწილობრივ დამოუკიდებელი არიან და, ამავე დროს, ორმხრივად კავშირში არიან ერთმანეთთან ურთიერთგადაჯაჭვული კომპონენტებით და განმარტებებით. ზოგადად ეს 4 კომპონენტი გვეხმარება პასუხი გავცეთ ყველასათვის ცნობილ კითხვებზე:

1) სად აქვს ადგილი უშუალო სტრუქტურულ გარემოცვაში ამ კონკრეტულ ნაწილს?

2) რომელ ერთეულთა რიგი შეიძლება იყოს ნაწილი უფრო დიდი ერთეულისა იმავე ადგილზე?

3) რატომ არის ერთეულთა წყობის ნებისმიერი წევრი რელევანტური იმავე, უშუალოდ მხედველობაში მყოფი, სტრუქტურის სხვა პოზიციის ერთეულთა რიგისა.

4) როგორ ახერხებს რეფერენციის განზოგადებული ჩარჩო, იერარქიის ამ ან სხვა დონეზე, ასახოს ან აკონტროლოს ცალკეულ ნაწილთა შეკავშირება.

### პაიკი გეთავაზობს 4-ნაწილიან დიაგრამას

#### 1) პოზიცია

სად?

ერთ მთელში ნაწილის სპეციფიკური ადგილი

ტაგემის მახასიათებელი ბირთვული და ზღვრულიკავშირით(მიმართებით)

სინტაგმატური კავშირები

#### 2) კლას/ებ/ი

რა? (ერთეულები, ნაწილები)

პოზიცია (ერთიანი სტრუქტურის) შესატყვისად ჩანაცვლებად ერთეულთა ზოგადი რიგი.

ნაწილაკის მახასიათებელი

პარადიგმატური კავშირები

#### 3) როლი

#### 4) კოჰეზია

რატომ? (რელევანტურობა)	როგორ ხდება სხვა ერთეულთან შეკავშირება
ერთი რიგის სპეციფიკური ფუნქცია სხვებთან მიმართებაში, ერთი მთელის შიგნით	იერარქიის ნებისმიერი დონიდან აღებული მასალების ზოგადი მონაცემები, რომლებიც კონტროლდება ან რომლებიც აკონტროლებენ შესასწავლ საკითხს.
ბიჰევიორული მნიშვნელობა	ველის მახასიათებელი, სისტემური სტრუქტურა
პრაგმატიკული კავშირი	ჩარჩო კავშირები

კონტექსტუალურ ერთეულს (ტაგემემას) გააჩნია ურთიერთგადამკვეთი თვისებები, თითოეული მათგანი კვაზი-დამოუკიდებელია, მაგრამ იმავდროულად დამოკიდებული ყველა დანარჩენზე. ასე რომ, მოცემული ერთეული არ არის იზოლირებული ლექსიკური ნაწილი, არამედ ერთეულთა და ერთეულთა მახასიათებლების წყება (ე.ი. ორმხრივად რელევანტური), რასაც თვალნათლივ გულისხმობს ტერმინი 'ერთეული კონტექსტში'.

1) **სტრუქტურული პოზიცია:** ერთეული გრამატიკული სტრუქტურები ხასიათდება ნაწილებით, რომლებიც შეადგენენ გარკვეულ მთლიანობას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს კიდევ უფრო ვრცელი მთელის ნაწილს, - რეალობას. მაგრამ იმისათვის, რომ ზოგადი არსი გახდეს ამოსაცნობი, როგორც ემიკურად, ისე ეტიკური ვარიაციით (რაც მოიცავს ჩანაცვლებად ნაწილებს), ეს ნაწილები როგორმე დანახული უნდა იყოს მუდმივი სტრუქტურული პოზიციის შიგნით არსებულ ერთეულებად.

პოზიციები (**Slots**) ხშირად განსხვავებულია სტრუქტურაში, როგორც ერთ მთლიანობასთან ბირთული და ზღვრული მიმართებებით. ამ კავშირებს ადგილი აქვს იერარქიის ნებისმიერ დონეზე. მაგ სიტყვაში 'skunks' ბირთვული ძირი არის 'skunk' (ფუძის მნიშვნელობით) და ზღვრული სუფიქსია - "s". იგივე შეიძლება ითქვას წინადადებების, აბზაცის, დიალოგის დონეზე (იერარქიის სხვა საფეხურებზე).

2) ჩანაცვლებადი კლასი: გრამატიკულ სტრუქტურაში შესაძლოა ჩავანაცვლოთ სხვადასხვა ლექსიკური ნაწილიდან ერთი მეორეთი პროპორციაზე გავლენის მოხდენის გარეშე (ზოგადი და არა ლექსიკურად სპეციფიკური კავშირი). ასე მაგალითად, ნაცვლად **'The skunk lent its X to Y'**, შესაძლოა მოვისმინოთ: **'The man lent presence to the occasion'** ან **'A big boy whom I used to know lent his top to a friend'**; მაგ: **'The skunk, the man and a big boy whom I used to know'** განიხილება როგორც წევრები ფრაზული, სახელადი ჩანაცვლებადი ჯგუფისა და შესაბამისად, განთავსდებიან ქვემდებარის პოზიციაში.

3) როლი: ერთი და იმავე კლასის როლი შესაძლოა სრულად განსხვავდებოდეს ერთი წინადადებიდან მეორეთი შეცვლისას თუ კი ვიტყვით: **'I smelled the skunk'** სიტყვის **'skunk'** როლი აბსოლუტურად განსხვავებულია შემდეგი წინადადებებისაგან – **'The skunk smelled me'**: ვინ რას აკეთებს? მაგრამ ვნებითი გვარის წინადადებაში **'I am smelled by skunk'** მე არ ვასრულებ მოქმედებას, თუმცა მე ვარ წინადადების ქვემდებარე.

სწორედ ასეთი ფაქტი განსაზღვრავს ძველთაგანვე ცნობილ განსხვავებას გრამატიკული ურთიერთობების ფორმასა და ფუნქციას შორის. კერძოდ, პაიკი ხაზგასმით აღნიშნავდა ტაგმემიკური თეორიის თავის პირველსავე გამოცემაში (პაიკი, 1954), რომ არსებობდა არა მხოლოდ ერთი ქვემდებარული ტაგმემა (მაშინ grameme-ად წოდებული, მაგრამ tagmeme II გამოცემაში (1967), არამედ სხვადასხვა ქვემდებარულ ტაგმემათა რიგი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ როლის მნიშვნელობით. ასე რომ, არსებობდა ქვემდებარე როგორც მოქმედი (**subject-as-actor**) ცალკე, განსხვავებით ტაგმემისაგან ქვემდებარე, როგორც მიზანი (**subject-as-goal**) (სადაც 'goal' არის ბლუმფლდისეული ტერმინი, რომელიც პაიკთან (პაიკი, 1977), იდენტურია ტერმინისა 'undergoer' ან ტერმინისა 'Patient' -ფილმორის შრომაში (ფილმორი, 1969).

არსებობს ასევე ეტიკური სხვადასხვაობა ასეთი როლების მნიშვნელობაში: მაშინ, როცა ნარჩუნდება იმავე სახის გრამატიკული ფორმალური პროპორცია ლექსიკურ ნაწილთა ჩანაცვლებამ შესაძლოა შეცვალოს შეტყობინებითი კავშირი ნაწილებს შორის. მაგ: წინადადებაში **'I killed the stinking skunk to get out from under the house'**, მე ვარ მოხალისე შემსრულებელი: მაგრამ წინადადებაში

– **‘I smelled that intolerable unavoidable odor’**, მე ვარ იძულებითი შემსრულებელი. ემიკურიდან ეტიკური როლის მნიშვნელობათა განსხვავების ამ კუთხით შესწავლა მკვეთრად მიჯნავს პაიკს და პაიკის მიდგომას ამავე საკითხისადმი არსებული განსხვავებული მოსაზრებებისაგან.

4) ჩარჩო და კონტროლი, კოჰეზია: სიტყვები უნდა განვიხილოთ ერთ გაბმულ მოტიანობად, ანუ საუბრის სტრუქტურათა ნაწილები უნდა იყოს შინაგან სისტემურ თანხმობაში. მაგ: **/Skunks are mild, beautiful and pleasant unless frightened or disturbed/** განსხვავდება წინადადებისაგან **/that skunk is lifting/**. და ეს უკანასკნელი არის სიგნალი, რომ იგი ღიზიანდება. ფონური ჩარჩო-მიმართება მოიცავს რიცხვს და ეს გამოიხატება შეთანხმებებში: **“Skunks are”** და **‘That skunk is’**, სადაც სიტყვები **‘is’, ‘are’** კონტროლდება განსხვავებით რიცხვში **‘skunk/skunks’**. ამასთან, ნაცვალსახელი **‘it’** არჩეულია იმიტომ, რომ ცხოველთა სახელები, ჩვეულებრივ ნეიტრალური ნაცვალსახელით მოიხსენიება და ასევე ახლანდელი დრო **‘are/is’** კონტროლდება რეფერენციის გრამატიკული ჩარჩოთი. თხრობითი სტილის ამ დროს გამოყენება მიუთითებს მეტ-ნაკლებად მუდმივ მახასიათებლებზე (როცა მოქმედი საუბრობს ახლანდელ სიტუაციაზე).

განსხვავება მოცემულ 4 მახასიათებელს (პოზიცია, კლასი, როლი და კოჰეზია) შორის შესაძლოა, ასევე, აღიწეროს ლინგვისტებისათვის ცნობილი სხვა ტერმინების საშუალებით:

- 1) სინტაგმატური მიმართება ნაწილთა თანმიმდევრობისა უფრო ვრცელ მოვლთან;
- 2) პარადიგმატული კლასი – შესატყვისი ჩანაცვლებადი ნაწილები;
- 3) პრაგმატიკული რელევანტურობა ამ სახის ერთეულის ბიჰევიორულ ფუნქციასთან;
- 4) ერთეულთა შეთანხმება.

ფუნქტური კვლევისათვის, უნდა შევძლოთ ზოგად იდეებს შევუსაბამოთ კონკრეტული დეტალები. თუმცა, როცა დეტალი თავისთავად უზარმაზარია



თავისი მრავალფეროვნებით, მისი წარმოდგენის მექანიზმიც კომპლექსურია. ძალიან მარტივ თეორიაში შესაძლოა გამორჩენილი იყოს გადამწვევტი ბიჰევიორული დეტალები.

მათემატიკა ჩაწერის სისტემის გარეშე ნაკლებ გამოსადეგი იქნება ვიდრე ამ სისტემით. რომაული რიცხვითი სახელების შეცვლა არაბულით იწვევს გამრავლების პრაქტიკის განსხვებას. პრაქტიკა, ისევე როგორც თეორია, ცვლის სამყაროს. რა სახის ჩაწერის სისტემა შეიძლება დაგვეხმაროს იმაში, რომ გადავერთოთ ენის როგორც ცალკე მდგომი წინადადებისაგან შემდგარი სისტემის ხედვიდან იმ მიდგომაზე, რომლის საშუალებით ყველა ერთეული აღიქმება რელევანტურად მხოლოდ კონტექსტთან მიმართებაში?

თავად ენაც კი, როგორც ერთი მთლიანობა არ შეიძლება განვაცალკევოთ როგორც ცალკე მეცნიერების შესწავლის ობიექტი. არ შეიძლება იგი მთლიანად გამოვყოთ კულტურისაგან და განვიხილოთ როგორც მის მიღმა მდგომი. მოცემული თეორიის განხილვის თითქმის ყოველ საფეხურზე ვრწმუნდებით, რომ ანთროპოცენტრისტული და შესაბამისად, კულტუროცენტრისტული ტენდენცია თუ ექსპლიციტურად არა, იმპლიციტურად მაინც რეალიზებულია პაიკის ტაგმემიკურ თეორიაში.

პაიკი ახდენს ერთი სახის ტაგმემის სისტემურ ჩაწერას თავის დიაგრამაში, სადაც საუბრის, როგორც გრამატიკული იერარქიული სტრუქტურის ნაწილის, განხილვა ხდება უკვე დამკვიდრებული კლასიკური დიაგრამით – ხისებრი სტრუქტურით (**tree-structure**), მაგრამ მისი ნაწილების 4 ტაგმემიკურ მახასიათებლად დახარისხებით.

ხისებრი დიაგრამა ანაწევრებს საუბრის თანმიმდევრობას უშუალო შემადგენლებად (იხ. ნახ. 1.5, გვ.45). იგი თავიდანვე მიუთითებს, რომ საუბრის ეს ნაწევრები ჩართულია უფრო დიდ კონტექსტში, რაც გამოსახულია დანაწევრებული ხაზით პირველსავე განშტოებაში ზედა მარჯვენა მხარეს. ხის ძირში წარმოდგენილია თავად მიმდინარე საუბარი, რაც თავის მხრივ A-დან D-მდე კატეგორიებად არის დაყოფილი. წვეროსთან პირველი ხაზის ქვედა მარცხენა ბოლოზე მოცემულია ციფრი (2), რომელიც მიესადაგება 4 მახასიათებლიდან მეორე ჯგუფს – კლასს; ამ წერტილზე კლასის სახელწოდება გახლავთ საუბარი, რაც მოიცავს მთელი წინადადების ხერხემალს A-დან D-მდე. და ზუსტად მის ქვეშ, ფრჩხილებში მოცემულია მისი დამოკიდებულება

არსებულ მასალასთან, ანუ ლინგვისტურ სოციალურ სისტემასთან კოპეზიის ჯგუფიდან (4).

ეს თანმიმდევრობა შემდგომ იყოფა ორ ტაგმედად, რომელთაც მივყავართ მარჯვენა და მარცხენა ტოტებამდე. მარცხენა ტოტი აღნიშნულია ზემოდან I ჯგუფისათვის როგორც ბირთვი, ქვემოთ კი მესამე ჯგუფისათვის, როგორც საუბრის ინიციატორი; კითხვითი წინადადება მოიცავს II უჯრედს (ჯგუფის შევსებას იმავე ტოტის ქვედა ბოლოზე). მარჯვენა ტოტი სახელდება, როგორც ზღვრული ან პასუხი წარმოდგენილი აბზაცის საშუალებით, რომელშიც დრო და პირადი მიმართება კონტროლირდება კოპეზიით.

თავის მხრივ, პარაგრაფი B-D იყოფა ბირთვად და ორ ზღვრულ ნაწილად, რომელიც არის საუბრის თემა. პირობითი შეთავსება და შედეგი გამოხატულია: გარდამავალი რთული წინადადებებით (B), ბიტრანზიტული მეტყველების ნაწილით (C), რომელიც აქ იმავდროულად არის წინადადება, და გარდაუვალი დამოკიდებული წინადადებით (D). რთული წინადადება (B) იყოფა ორ ნაწილად Ba და Bb; ვნებითი გარდამავალი წინადადების ძირი (Bbiiiv) კი იყოფა ქვემდებარედ, შემასმენელად და განსაზღვრებად. (ადგილის სიმცირის გამო შემდგომი დაყოფის ასახვა დიაგრამაზე არ ხდება.)

ასეთ ნახაზში მრავალი დეტალია წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ერთი არსებითი სიცარიელე მას მაინც ახასიათებს. იგი გვაწვდის მხოლოდ ერთი კონკრეტული საუბრის, წინადადების ან ფრაზის (მოცემულ დროში) სტრუქტურას. იგი არ გვიჩვენებს, რომ მოცემული მაგალითები უფრო ვრცელი მიმდინარე ნიმუშის ნაწილია, რომელთა არჩევითობის შესაძლებლობები მოიცავს გაცილებით მეტ არჩევით ტაგმემას.

ნახაზში 1.6. პაიკი აღნიშნული სიცარიელის შესავსებად გეთავაზობს უფრო ზოგადი ფორმულის ერთ ნიმუშს. მოცემული ფორმულა წარმოადგენს ამ ნიმუშზე დაშენებულ პოტენციურ შესაძლებლობათა დიდ ოდენობას. ამასთან იგი თანადროულად წარმოადგენს ყოველ მათგანს.

ინგლისური დამოუკიდებელი მტკიცებითი ბიტრანზიტული წინადადება არის არჩეული წარმოდგენილ ნახაზში, მაგრამ დაყვანილია მის ძირეულ ფორმამდე (გამოტოვებულია გარემოებები) და წარმოდგენილია აბრივიატურული სახელით. მოცემულია 4 სეგმენტი, რომელთაგან სამი სავალდებულოა (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება) და ერთი არჩევითი (ირიბი დამატება) მახასიათებელი ფორმულა გასდევს თანაბარ ნიშანს. შემდეგ მოცემულია

თითოეული ტაგმემა, პირველად მითითებულია მისი ჩვეულებრივ აუცილებელი არსებობა (რაც ნაჩვენებია + ნიშნით; თუმცა ტაგმემა შესაძლოა გამოტოვებულ იყოს სპეციალურ კონტექსტში, სადაც კონტექსტი ნათელია ან მოცემულია მისი არჩევითობის შემთხვევა (ნაჩვენებია ± ნიშნით). შემდეგ მოდის მახასიათებლის 'პოზიციის' აბრივიატურა (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება), რასაც მოსდევს როლის მახასიათებელი ტირის შემდეგ (შემსრულებელი, გამონათქვამი, მიზანი, თვალთახედვა). ორწერტილის შემდეგ 'პოზიციის' შემვსებთა კლასია მითითებული (მაგალითად: არსებითი სახელური ფრაზა, მტკიცებითი ზმნური ფრაზა, არსებითი სახელის ფრაზა "to" ან სხვა შედარებითი ნაწილაკით). ამ კონკრეტულ აბრივიატურაში კოჰეზიის მახასიათებელი არ არის მოცემული.


მონაცემები იმდენად რთულია, რომ სხვადასხვა მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობდა განსხვავებულ სელექციას მონაცემებიდან და სხვადასხვა შედეგობრივი ფორმულებით წარმოგვიდგენდნენ ანალიზს. მაგალითად, ბლუმფილდი იყენებდა წინადადების ძირის ტაგმემის როლს წინადადების კატეგორიზაციისათვის. მაგალითად: მისი ტერმინები: 'actor', 'action', 'goal' (ან 'undergoer') (ბლუმფილდი 1933:267) შეესაბამება ტაგმემიციისტების ტერმინებს: 'actor', 'statement' და 'undergoer' გარდამავალ ფუძე წინადადებაში. ესპერსენტან (1937), მეორეს მხრივ, სახელწოდებები უფრო ჰგავდა პაიკის 'პოზიციის' ტერმინებს (ქვემდებარე-შემასმენელი-დამატება). ფრიზი (ფრიზი 1952:76-86) ირჩევდა არსებითისა და ზმნის მსგავს სიტყვათა ჯგუფებს. მაგრამ აღნიშნავდა მათ ციფრებით 1 და 2. პაიკის მიხედვით. კოჰეზიის ჯგუფზე დაფუძნებული ჩაწერის სისტემა შესაძლოა ასევე ყოფილიყო გამოგონებული, თუმცა თავად პაიკი ვერ იხსენებს მსგავს შემთხვევას. შესაძლოა ვინმემ ექსპერიმენტის სახით, იგივე ფუძე წინადადება რიცხვთან კავშირში, განიხილოს როგორც მაკონტროლებელი ერთეული, კონტროლირებული ერთეული და როგორც არაკონტროლირებადი ქვემდებარე-შემასმენელ-დამატებასთან მიმართებაში.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, გარდაუვალი მარცხი იქნება, თუ დაიკარგება მარტივი მიმართება კონტექსტუალურ ერთეულთან; მაგალითად, როცა ნორმალური კავშირი როლისა კლასთან მხედველობაში არ მიიღება. მაგ: გადაპრანჭული ქალბატონი ეკითხება ახალგაზრდას, რომელიც ცხვირს აქსუტუნებს: **"Little boy, do you have a handherchief?"**. ბიჭი პასუხობს: **"Yes, ma'am but I'm not allowed to lend it to anybody"**. ამ მაგალითში ქალბატონის როლი იყო დაჟინებული ბრძანება, მაგრამ მისი დამოკიდებულება კლასთან აღმოჩნდა

ნორმის მიღმა, რადგან იგი კითხვის დასმის ფორმით წარმოითქვა (კლასი). ბიჭმა მოახდინა ამ ბრძანების თხოვნად ინტერპრეტაცია. ქალის ხმის ტონალობა და ინტონაცია მიანიშნებდა მის ნორმის-მიღმა ინტენციასზე, მაგრამ ბიჭს გამოეპარა ეს სიგნალი (პაიკი 1982: 78).

ნახაზში, (1.5) წარმოდგენილ ტაგმემიკურად სახელდებულ ხისებრ დიაგრამას შეუძლია გვიჩვენოს გრამატიკული კონსტრუქციების, როგორც ერთეულების (უშუალო შემადგენლების), თანმიმდევრული იერარქიული ჩართვა უფრო ვრცელ კონსტრუქციაში: (1) ტერმინი „პოზიცია“ (Slot) „ხის ტოტზე“ გვიჩვენებს მის ჩართვას უფრო მაღალი დონის ერთეულში; მაგალითად, როგორც ბირთვისა ან ზღვრისა ტალღურ მახასიათებლებში. (2) ტოტის ქვემოთ ფუნქციის იარლიყი მიუთითებს მის როლზე მთელთან კავშირში; (3) გადაკვეთის წერტილზე კონსტრუქციის იარლიყი გვაძლევს სახელს იმ ნაწილისა, რომელიც ხდება საუბრის მომენტში და ავსებს მის მომცველ პოზიციას; (9) კონსტრუქციის იარლიყის გვერდით ზოგჯერ წარმოდგენილი ფრჩხილებში მოცემული შემოთავაზება მიუთითებს მაკონტროლებელ ან კონტროლირებად მახასიათებლებზე სისტემის იერარქიის ერთსა და იმავე ან სხვადასხვა დონეზე სხვა ნაწილებთან მიმართებაში. სივრცის ნაკლებობის გამო, აქ მხოლოდ ფრაგმენტია მოცემული რელევანტური იარლიყებისა და არსებითი სახელისა. ამასთან, ზმნის ფრაზები გამოტოვებულია ისევე როგორც, წინადადებების უმეტესი დეტალები იხ. ნახ. 1.5 (პაიკი 1982:78).

ნახ. 1.5.



. დამოუკიდებელი მტკიცებითი ბიტრანზიტული ფუძე წინადადება

ნახ. 1.6. ა.

(1) ქვემდებარე	(2) საკუთარი არსებითი სახელის ფუძე ქვემდებარე ნაცვალსახელი ცვლადი სახელობითი ფრაზა	(1) შემასმენელი	(2) გამონათქვამის ზმნური მტკიცებითი ფრაზა
+	(3) მოქმედი პირი	+	(3) მტკიცებულება
	(4) ქვემდებარე აკონტროლებს შემასმენლის რიცხვს. სახელობითობა კონტროლდება დისკურსით		(4) მეტყველების ბიტრანზიტული ფრაზა თავისი არსებობით ორმხრივად მაკონტროლებელი და კონტროლირებადი ირიბი დამატებით და მოქმედი ქვემდებარით, დამატებით. ქვემდებარის რიცხვით კონტროლირებადი რიცხვით.
	(1) დამატება (ირიბი დამატება)	(1) დამატება	(2) სხვადასხვა ტიპის წინადადება ან დამოკიდებული წინადადება – მტკიცებითი, კითხვითი, ბრძანებითი, ან სხვა თვლადი არსებითის ფრაზა ნაცვალსახელი [და სხვა, მონოლოგის ჩათვლით]
+	(3) ირიბი დამატება	+	(3) ვისთვის სრულდება მოქმედება (დამაჩივბა ან “მიზანი”)
-	(4) დისკურსის გარემოცვით კონტროლირებული სქესი და რიცხვი	-	(4) დისკურსით კონტროლირებადი სქესი და რიცხვი

ბ. IndeDeclBTCIRT = +S-A:NP+P-sta:DeclVP+Ad-U:CNP+AdSc:to NP

ნახაზი 1.6. წარმოგვიდგენს განზოგადებული 4-უჯრედიან ტაგმემიკური ჩანაწერის სისტემას. სურათზე “ა” მოცემულია აღწერილობითი ტერმინები. ”ბ” ჩანაწერი კი ასახავს ნაწილობრივ შინაარსს რომელიც წარმოდგენილია სიმბოლოთა აბრევიატურის გზით. ეს ხერხი გამოიყენება, როცა საკმარისია ნაკლები მონაცემების აღნუსხვა. ეს ფორმულა წარმოგვიდგენს ფუძე წინადადებას **'Bill gave the skunk to the garbage man'** და **'Bill gave him the skunk'**, შემდგომი ვარიაციით, სადაც აღნიშნული წყობა შენარჩუნებულია (პაიკი 1982:82).

- ფონოლოგიური იერარქია

ჩვენ განვიხილეთ ერთეულთა გარკვეული მახასიათებლები ფონოლოგიურ იერარქიაში. ბგერები შესაძლოა ერთმანეთს შეერწყნან, შევიდნენ ველის სტრუქტურაში, შესაძლოა ატარებდნენ შესაბამის ტონურ კონტრასტებს. მათი ადგილი სიტყვაში გავლენას ახდენს წარმოთქმის სირთულეებზე, მათი რაოდენობა და მოწყობა კი მარცვალთა სტრუქტურაზე. ამჯერად, ჩვენი ყურადღების ცენტრში ექცევა თავად ფონოლოგიური იერარქია, ნაცვლად მისი მახასიათებლების გამოყენებისა ელემენტების ან პრინციპთა საილუსტრაციოდ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ მასალის ნაწილი გრამატიკული ერთეულების კუთხით, მაგრამ ერთი და იგივე შემცველობა, იგივე წინადადება შესაძლოა განლაგდეს ფონოლოგიურ ერთეულებადაც. სწორედ ეს სეგმენტები მსგავსად გრამატიკულისა განაპირობებენ ენის სისტემის ანალიზს მკაფიო იერარქიების მიხედვით. თუმცა სიტყვა **'skunks'** ერთმარცვლიანია, მაგრამ ორი მორფემისგან შედგება (**ფუძეს + სუფიქსი**): **'horrible'** სამი მარცვლისაგან შემდგარი ერთი მორფემაა (ერთი სიტყვა) შესაბამისად **'to be careful'** არის მხოლოდ ერთი მახვილის ჯგუფი, მაგრამ იგი შეიცავს 3 სიტყვას 4 მარცვლით და 4 მორფემით.

წარმოთქმის კუთხით, არსებობს მკვეთრი განსხვავებები იერარქიაში ნაწილთა სხვადასხვა დონის ფუნქციებს შორის. ისევე, როგორც, მაგალითად გრამატიკაში დამოკიდებულ და მთავარ წინადადებას აქვთ გარკვეული სახის დამოუკიდებლობა საუბრის ინიციატორობის კუთხით მისაღმების შემდეგ, ასევე არსებობს ფონოლოგიური დამოუკიდებლობა, რაც უფრო მეტად უკავშირდება მარცვალს და მახვილის ჯგუფს, ვიდრე იზოლირებულ ბგერას (მაგ. K-ს), ან სხვა ბგერათშეთანხმებებს, რომლებიც მარცვალზე ნაკლები მოცულობის არიან.

შესაბამისად, უფრო მარტივია, უმეტეს ენებში ასწავლო წერა-კითხვის უცოდინრებსაც კი ფრაზა მარცვალთა მიხედვით, მაგრამ რთულია მოსთხოვო მათ მთლიანობის ბგერებად დანაწევრება.

პროფესიონალ ფონეტიკებსაც კი გარკვეული კონცენტრაცია სჭირდებათ ერთმანეთის მიმდევრობით წარმოთქმული ბგერების გამოყოფისათვის. ასე რომ, ეს დამოუკიდებელი მახასიათებელი მნიშვნელოვანია. მარცვალთა სისტემით წერა ისტორიულად სხვადასხვა დროს იქნა გამოგონილი, მაგრამ თითქმის ყველა ანბანს, ოდესმე გამოგონილს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული სახის შორეული ნასესხობანი იმ ისტორიულ შემთხვევასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა შუა აღმოსავლეთში, როდესაც მოხდა ანბანის ზოგიერთი ნიშნის აბსტრაქცია (თავიდან მხოლოდ თანხმოვნების) ეგვიპტური იეროგლიფებიდან. თავიდან ეს ნიშნები უბრალოდ სიტყვათა სურათები იყო, რომელთაგან ზოგიერთი მოგვიანებით გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ წარმოედგინათ ნებისმიერი მარცვალი, რომელთა საწყისი თანხმოვანი იყო.

ფონოლოგიაში ერთეულთა იერარქიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ქცევის გაგებისათვის.

მინიმალური (ყველაზე მოკლე) ფონოლოგიური სეგმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომ ცალკე ერთეულად გამოვეყოთ სხვებისგან განსხვავებული შემადგენლობით, არის ფონემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რელევანტური ბგერა არის **emic** ერთეული, და არა **etic**. არსებობს ფონეტიკური ვარიანტები თითოეული ასეთი ფონემური ერთეულისთვის, რაც ეყრდნობა იმ გარემოს, რომელშიც ფონემა წარმოითქმება (მაგალითად: 'n' ბგერა მცირედ განსხვავდება ბგერის 'u' წინ ან შემდეგ პოზიციაში **sun/numb**. ასეთივე მცირე განსხვავება შეინიშნება სხვადასხვა ხმოვნების წინ 'n' ბგერის წარმოთქმისას: **nymb, nymph, neck, noose, nap, know**). სპეციალური ფონეტიკური ხელსაწყოებით ჩაწერა ავლენს ასეთ ნიუანსურ განსხვავებებს, მაგრამ ჩვეულებრივი მოსაუბრე – არაფონეტიკი, ვერ შენიშნავს ასეთ დეტალებს; კიდევ რომ გაიგოს უცხო აქცენტი (ნორმიდან გადახვევა), ვერბალურად ვერ ახსნის მათ არსებობას.

პაიკი აღნიშნავს, რომ ეს იყო ვერბალიზებული ცოდნის ის აკადემიური მემკვიდრეობა, რომელიც მან მიიღო წინამორბედი მეცნიერებისაგან და ამ ცოდნას დამატებული მისივე მიდგომა ენების ანალიზისა მიდგომისა, რამაც დაანახა პაიკს,



რომ ფარდობითი სიტუაციები არსებობს ყველა სახის ადამიანურ ქცევაში. მან განაგრძო ტერმინები **phonemic** და **phonetic** მთელს ქცევაზე და ამოავლო **phon** (მნიშვნელობით **'pronunciation'**) და გამოიყენა მხოლოდ მათი დაბოლოებები **'emic'** და **'etic'**. ტაგმემა არის ერთ-ერთი ასეთი ერთეული, სადაც შინაარსი (და არა ტერმინი) განვითარდა პასუხად პაიკის კითხვაზე: არსებობს გრამატიკული „ფონემა“, რომელსაც ექნება მსგავსი მახასიათებლები კონტრასტის, ვარიაციის და რელევანტური დისტრიბუციისა?

ჩვენ ვნახეთ, რომ ბევრების აღქმა, როგორც მხოლოდ იზოლირებული ერთეულებისა, არ არის ადეკვატური. ზოგჯერ ისინი უნდა შევისწავლოთ როგორც ერთმანეთში შერწყმადი, ურთიერთგადამკვეთი ტალღები და ისინი უნდა დავინახოთ როგორც კონტრასტული სისტემისა და ველის ერთეულები. ამ ნაწილში განვიხილავთ ამ მოვლენის პაიკისეულ ილუსტრირებას, რომლითაც ნაჩვენებია, რომ ინგლისურ ენაში შესაძლებელია ინტონაციის არჩევანი მსგავს 4 ტიპად ანუ ინტონაციური მიმართებითი დონეებით.

აღსანიშნავია, რომ, პაიკის აზრით, პოეტებს ნება უნდა მიეცეთ თქვან, რასაც ფიქრობენ და გრძნობენ. ამასთან დაკავშირებით, ბევრ სწავლულს განსხვავებული აზრი აქვს. მნიშვნელობის ნაწილი და ხშირად მნიშვნელოვანი ნაწილიც ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვის ან ფრაზის ინტონაციაზეა დამოკიდებული, მაგალითად: ფრაზა **"That brain of his is magnificent"** სხვადასხვაგვარად აღიქმება ინტონაციური ცვლილების მიხედვით. ასეთი განსხვავებები მნიშვნელოვანია პოეტისათვის: საკამათო თემა სწორედ აქ იკვეთება, რადგან მნიშვნელობა გარკვეულწილად ინტონაციით გადმოიცემა.

პოეტებს უფლება უნდა ჰქონდეთ თავიანთ ლექსებში მიუთითონ ინტონაციის ნიშნები, ხმის ხარისხი და ა.შ. და დაავალონ მასწავლებლებს და დრამის მესვეურებს ავტორის მითითების მიხედვით ასწავლონ ლექსები ან შეასრულონ პიესის კონკრეტული ნაწილები სცენაზე. თუმცა, ზოგი თვლის, რომ ასეთი ინტერპრეტაციის უფლება მკითხველს უნდა რჩებოდეს.

თვით პაიკმა რამოდენიმე ლექსი დაწერა ამ მოვლენის საილუსტრაციოდ, სადაც ნათლად ჩანს ხმის ხარისხის გავლენა ლექსის მნიშვნელობაზე. ხმის სიმების დაძაბულობა, სუნთქვა, სიჩქარის ცვლილება და პაუზები ემატება ინტონაციის სპეციფიკას და მიიღწევა ავტორისათვის სასურველი შედეგი.

საილუსტრაციოდ განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს, რომელშიც ინტონაციის ნიშნები განზრახ არის მითითებული:

**ხმის ხარისხი:**

საგალობელი სტილი:

დაბალი ტემბრი:

სუნთქვისმიერად:

**თვით ლექსი:**

“The Power is MINE!”

The tyrant chants.

Yet he pants;

მცირე პაუზით

Breath/ comes/ short.

ჯგუფებად და თითოეულის

შემდგომ შესუნთქვით:

დაჭიმეთ ხმის სიმები,

God squeezes.

გააგრძელეთ მეორე სიტყვა:

მოხვენებითი ერთი-ორი

Sovereign sneezes...

დაცემინების მსგავსი

წარმოთქმით:

არავერბალური

And poof!!!

სუნთქვითი შეძახილით,

კრემენდოს ზრდით

**პოზიცია (Slot)**

გართიმულ ლექსში პოეტური სტროფის დასასრული

**კლასი (Class)**

სიტყვები, რომელიც ბოლოვდება მარცვლების გარკვეული რიგით

**როლი (Role)**

სემანტიკური კავშირებისადმი

ყურადღების მინიჭების ფუნქციით

(ელეგანტურ პოეზიაში) რასაც სხვა

შემთხვევაში არ მიექცეოდა ყურადღება

**კოჰეზია (Cohesion)**

ფორმათა შეთახმების კონტროლი. მაგ:

**(h)ills with (m)ills; un (tr)ue with (y) ou**

ფონოლოგიურ კონტექსტში მოცემული ერთეული არის ტაგმემა, რომელშიც წარმოთქმა ერთეუბა. აღნიშნული 4 მახასიათებელი აქ ჩნდება ხაზოვანი ერთეულის დონეზე, რითმით დაკავშირებულ სიტყვებისა და სტრიქონების რიგში.

#### ▪ რეფერენციული იერარქიის დონეები

გრამატიკულ იერარქიაში პაიკი მკვეთრად განასხვავებს გარკვეული სახის შემოთავაზებას (დამოკიდებული წინადადების ან წინადადების ფორმაში) და სიტყვის აღნიშვნას (მაგალითად: სახელი აღნიშნავს პიროვნებას ან საგანს და ასევე მტკიცებულება მიჩნეულ იქნა შედარებით უფრო დამოუკიდებელ ფენომენად, ხოლო ტერმინი უფრო დამოკიდებულ ფენომენად. ფონოლოგიურ იერარქიაში მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭა მარცვალს ფონემასთან შედარებით ანალოგიური გზით. რეფერენციულ იერარქიაში მეტ დამოუკიდებლობას ვანიჭებთ მოვლენის შესახებ მონათხრობს, ვიდრე რაიმეს სახელს. ასე რომ, პიროვნება სახელად **Socrates** განიხილება, როგორც უფრო დაბალი იერარქიული დონე, ვიდრე მოქმედება მოცემული წინადადებაში: "**Socrates drank himself to death**". აქ აღწერილი მოვლენა განიხილება უფრო მაღალი რანგის ფენომენად, ვიდრე საგნები ჩართული ამ მოვლენის მსვლელობაში და მოყვანილი მასთან მიმართებაში.

სხვა განსხვავებებთან ერთად არსებობს ძირეული განსხვავება გრამატიკულ და რეფერენციულ ერთეულებს შორის. ლექსიკური ელემენტი **Socrates** უნდა დარჩეს არსებით სახელად ყველა შემთხვაში, მაგრამ როგორც იმავდროულად სახელად რეფერენციულ ელემენტს, მას აქვს უნარი იმისა, რომ შეიცვალოს პერეფრაზით რეფერენციული იდენტურობის დაკარგვის გარეშე, კიდევ რომ აღარ იყოს არსებითი სახელი. მაგ: პიროვნებაზე საუბრისას შესაძლოა ამ შემთხვევაში ითქვას, **You Know who I mean**, ან **the great Socrates**, ან **he**. მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს ინტენცია აღიქმება მსმენელის (ან მკითხველის) მიერ თუკი სპეციფიკური კონტექსტი განსაზღვრავს მას და საშუალებას აძლევს მონაწილეებს (მოქმელს და მსმენელს) გაუგონ ერთმანეთს, რომ ერთსა და იმავე პიროვნებაზეა საუბარი, ეს არის მათი **emic**-ური განსჯა იდენტურობისა და არა კონტექსტის მიღმა დარჩენილი გარეშე პირისა.

თავად ის ფაქტი, რომ რეფერენციული იერარქიით ერთეულის პერეფრაზირება შესაძლებელია უამრავ განსხვავებულ გრამატიკულ ფორმად

მთავარი დასტურია იმისა, რომ რეფერენციის იერარქიები და გრამატიკული იერარქიები ერთი და იგივე არ არის, რადგან ხშირად ისინი არაიზომორფულია. მათი ფორმები ხშირად განსხვავებულია (თუმცა მათ ზოგიერთ გამოვლინებაში აუცილებელი ჰომოფონური განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ **emic**–ურად ერთი და იგივე მიმართებითი ელემენტი შესაძლოა გამოისახოს სხვადასხვა გრამატიკული ფორმით).

მეორეს მხრივ, არსებობს პარალელი: როგორც გრამატიკაში შესაძლოა იყოს დაწვეილებული დონეები სიტყვისა და ფრაზის, ასევე იდენტურობის რეფერენციულ დონეს შესაძლოა ჰყავდეს “ა” და “ბ” ჯგუფის კონკრეტული წევრი, რომელიც ეკუთვნის უფრო დიდ ჯგუფს ამ გვარისა. ასეთივე პარალელი შესაძლოა მოიძებნოს უფრო მაღალ დონეზეც, ორი „ცალკეული” მოვლენა შესაძლოა ერთდროულად მიმდინარეობდეს, საბოლოოდ კი წარმოიქმნება ერთი მოვლენა. ბიჭი (თავისი წარსულით) ხვდება გოგონას (განსხვავებული ისტორიით), მათ შეუყვარდებათ ერთმანეთი, ქორწინდებიან და ცხოვრობენ ბედნიერად, (**they fall in love, marry and live happily ever after**). ასეთი შერწყმადი მოვლენის კომპლექსი განიხილება ისევე, როგორც ერთეული ანალოგიური რთული წინადადებისა გრამატიკაში.

გრამატიკისა და ფონოლოგიის შესაბამისად, რეფერენციის დონეზეც გამოსადეგია სქემა **პოზიცია, კლასი, როლი და კოჰეზია**. მიზანი, მაგალითად ასახვას პოვებს როლის უჯრედში მოვლენის აღწერის დროს, რომელიც შესაძლოა შეივსოს ექსპლიციტურად მკვლევარის მიერ, ან უსიტყვოდ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკის მიერ. მნიშვნელობის, მიზნის ან რელევანტურობის წმინდა ანალიზის გათვალისწინების გარეშე ვერ გააკეთდება ისეთი ანალიზი, რომელიც დააკმაყოფილებს მათ, ვისაც სურვილი აქვთ გაიგონ “რა მოხდა”?

ასეთი როლი შესაძლოა იყოს გართულებული. რაიმე მოვლენას შესაძლოა ჰქონდეს მიზანი, რომელსაც მივყავართ უფრო დიდ მიზნამდე, ან მოტივები შესაძლოა იყოს შერეული (ორმაგი) და პიროვნების როლი ამ შემთხვევაში განსხვავებულად წარმოჩნდება სხვადასხვა დამკვირვებლის ინტერპრეტაციის მიხედვით. ასე რომ, რეფერენციულ რეალობაში ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა დამკვირვებლის ქმედებას ცალ-ცალკე, რადგან მათი მიზნები განსხვავებულია.

აღწერილი მოვლენა შესაძლოა შევიდეს ზღვრულ პოზიციაში, ქმედებათა იმ როლში, რომელსაც მივყავართ დამაკვირვებლებელ, ბირთვულ მოვლენამდე. საკითხი, რომელიც ავსებს აღწერის ამ პოზიციას, არის ერთი წევრი

პერეფრაზების რიგისა, რომელიც ამოცნობადია მთქმელის მიერ, როგორც (ემიკურად) იგივე მისი მოსაზრებიდან და როგორც მისაღები ცვლა მისთვის მისივე თხრობის ამ ადგილას ან მოცემული მონათხრობის სხვა ადგილებზე.


მაგრამ იმისთვის, რომ მოვლენა აზრიანი და გასაგები გახდეს მსმენელისათვის უნდა არსებობდეს მსმენელის მოლოდინი ისევე, როგორც მთქმელის მოლოდინი მსმენელთან მიმართებაში, რასაც განაპირობებს საუბრის გაბმულობის ხარისხი. მსმენელის მიერ წარმოთქმული ყოველგვარი ასეთი გამონათქვამი უწყვეტელობის კავშირის გარეშე (მაგალითად: ხუმრობის განსაზღვრა) ქმნის შესაძლებლობას მსმენელმა შეაფასოს მთქმელი გიჟად ან მატყუარად. აქ, რეფერენციის ჩარჩოსთან დაკავშირებული ჭეშმარიტება და სიყალბე პოულობს გამოსატყვას აღწერილობაში. რეფერენციის თითოეულ დონეს გააჩნია საკუთარი ტაგმემები. მოვლენის მსგავსად, გვარის წევრიც შესაძლოა წარმოდგეს 4 უჯრედიან დიაგრამასთან: პოზიცია, კლასი, როლი და კოჰეზიასთან მიმართებაში.

პაიკი აღნიშნავს, რომ ადამიანი ცხოვრობს ფარდობით სივრცულ-დროითი რიგის მიმართებების გადამკვეთ წარმოუთქმელ და იმპლიციტურ ჩარჩოებში – ლოგიკურ უწყვეტელობაში, სოციალურ სტრუქტურებში, ფსიქოლოგიურ ჩართვაში, რეალობასთან დაკავშირებულ რწმენით სისტემებში, საინტერესო მოვლენებში და ა.შ. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია სიტყვებით გადმოსცეს ყოველივე ამის შინაარსი დეტალურად. არჩევანი უნდა გაკეთდეს. თუ კი ვინმე საერთოდ დაიწყებს მსჯელობას ბაღანსი უნდა დარჩეს ხელშეუხებელი, თუმცა იგი რჩება ძლიერ ძალად, საუბრის ძირითადი ნაწილის მაკონტროლებლად.

უფრო მეტიც, ნებისმიერ ენაში ან კულტურაში სამეტყველო პრეზენტაციის წყობა ნებისმიერ ამ ჩარჩო ტიპში მიჩნეული იქნება როგორც ნორმალური (ძირეული) წყობა, როცა იგი პირველად შეისწავლება ბავშვობაში ან ხშირად გამოიყენება უფრო მოგვიანებით.


მაგრამ პრეზენტაციის ნორმის-მიღმა ფორმები უნდა წარმოიშვას, როცა მთქმელს აქვს რაიმე ექსპლიციტური, ნაკლებ არსებითი მიზეზი ძირეული საკითხის გაშუქებისათვის, რადგან ამ შემთხვევაში ეს კონკრეტული საკითხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ჩვეულებრივი ადგილი ჩარჩოს, როგორც ერთი მთლიანობის იერარქიულ, მიმდევრობით თუ ცხრილულ სტრუქტურაში (პაიკი 1982:104).

ნახ. 1.7. ა.




$$9 + 4 = 13$$

ბ.



$$9 + 4 = 1$$

გ.



$$2 + 2 = 1$$

ნახაზი 1.7. შესაძლოა გამოვიყენოთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ნათქვამის ჭეშმარიტება ამ შემთხვევებში ეყარება არა გრამატიკული ფორმის სიზუსტეს, არამედ მის კავშირს იმ მიმართებით ჩარჩოსთან, რომელშიც იგი წარმოითქმება.

(ა)შემთხვევაში 9+4 საზობრივ მოდელთან მიმართებაში ვლენულობთ ციფრს 13; 12 საათიან საათის ციფერბლატზე იმავე სახის შეკრებით ვლენულობთ 1.00 საათს (ბ); საათზე, სადაც მოცემულია მხოლოდ 0 და 2 საათი, 2+2 გვაძლევს 1 (გ). (მსგავსად, მეტაფორა გადმოგვცემს ჭეშმარიტებას ერთსა და იმავე მოლოდინის, განზრახვის და ლიტერატურული ჟანრის ჩარჩოში მოქმედ მთქმელ-მსმენელის გაერთიანებულ მოლოდინთან მიმართებაში).

ძალიან მნიშვნელოვანია არ შეგვეშალოს გრამატიკულად წინადადების შედგენის სიზუსტე იმ ჭეშმარიტებასთან მიმართებაში, რაც კავშირშია კონკრეტულ რეფერენციის ჩარჩოსთან. ნათქვამი უნდა იყოს ფაქტობრივად სწორი, კიდევ რომ ცუდად იყოს წარმოდგენილი. მაგ: გრამატიკულად აბსოლუტურად გამართულია თუ ვიტყვით: **Plato drank the poison** – ისევე როგორც, თუ ვიტყვით: **Socrates drank the poison.** მაგრამ პირველი შემთხვევა მცდარად აღიქმება ისტორიასთან ჩვენს წარმოდგენით მიმართებაში.

ურთიერთგაგება მთქმელსა და მსმენელს შორის შესაძლოა არ გაქრეს, როცა მათ მიერ სამყაროს აღქმის ეს ფორმები განსხვავებულია, მაგრამ შესაძლოა მოხდეს, მაგალითად, იუმორის გაზიარება, თუ კი მთქმელიც და მსმენელიც იცნობს ნათქვამში ჩართულ მიმართებით ჩარჩოებს.


თითოეული იერარქიის თითოეული დონის ყოველ ერთეულს – გრამატიკულს, ფონოლოგიურს და რეფერენციულს – გააჩნია ფიზიკური კომპონენტი.

ტაგმემიკურ თეორიაში არ არსებობს სემანტიკური იერარქია განცალკავებით, აბსტრაქტულად მდგომი ყოველგვარი ფიზიკური მანიფესტაციისაგან. რეფერენციული იერარქია არ არის მხოლოდ სემანტიკური, არამედ იგი წარმოადგენს განსხვავებულ და ერთდროულ სტრუქტურირებას ერთი და იმავე შემადგენლობისა, რომელიც ასევე იგება გრამატიკული და ფონოლოგიური იერარქიების მიერ.

შინაარს/შემცველობას, რომელსაც იზიარებს გრამატიკა, ფონოლოგია და რეფერენციული დონე ჩვენ ვუწოდებთ ლექსიკონს. მაგრამ ეს ტერმინი კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობის მატარებელია ამ კონტექსტში, ვიდრე უბრალოდ სალექსიკონო ერთეულების ჩამონათვალი. იგი მოიცავს კონკრეტულ, განსაკუთრებული წარმოთქმის ნაწილს, რომელიც ექცევა ყურადღების ცენტრში

კონკრეტულ შემთხვევაში; ეს არის ერთეული, რომელიც შეიცავს სულ მცირე ერთ მორფემას.

ნახ. 1.8.



ნახაზი 1.8. ნათლად ასახავს ამ კონკრეტული ფორმა-მნიშვნელობის მქონე ბიჰევიორულ კომპოზიტს და განიხილავს სამივე განზომილებას ერთმანეთთან კავშირში. რეფერენციის, გრამატიკის და ფონოლოგიის იერარქიების გამოყოფა არ ხდება თანაზიარი შინაარსისაგან.

ემიკური წარმოთქმა არის ბიჰევიორულად სრულმნიშვნელოვანი თანადროული კომბინაცია სამი სტრუქტურისა, რომლებიც იზიარებენ მომენტალურ ლექსიკურ მანიფესტაციას ლექსიკონის ჩათვლით, რაც ვრცელდება იერარქიულად ისე, რომ მოიცავს ლექსის წაკითხვას ან ლექციის პრეზენტაციას.



პოეზია, იუმორის მსგავსად, იკვლევს კავშირებს ერთდროულ იერარქიებს შორის. იგი იყენებს ფონოლოგიას ყურადღების გასაძლიერებლად. პაიკი გვთავაზობს საკუთარ ლექსს, სადაც მიმართებითი კავშირები რითმის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო გრამატიკულ ფორმაზე გავლენას ახდენს წარმოდგენილი დისკურსის სტრუქტურა (დეკემა, რომელშიც ამოღებულია მცირე მნიშვნელობის სიტყვები).

### TELEGRAM

CAN YOU COME  
NEED YOU HERE  
FEELING QUEER  
HOPING  
GRAB A TRAIN  
MAKE IT QUICK  
I'LL GET SICK  
WAITING

(პაიკი 1982:116)

გრამატიკის კუთხით, მივაქციოთ ყურადღება, რომ ზმნის **"need"** წინ არ არის მოცემული ქვემდებარე და დამხმარე ზმნა **'I am'** სიტყვის **'feeling'**. წინ. ასევე ნიშანდობლივია ბალანსი სიტყვებისა (არსებითი ნიშანი პოეზიისათვის) – **hoping; waiting** – როგორც გრამატიკული რითმის სახისა. რაც შეეხება ფონოლოგიურ ელემენტებს, აქ მხოლოდ რითმა როდია აღსანიშნავი ორივე სტროფის II და III სტრიქონებს შორის (**here-queer; quick-sick**), ასევე მნიშვნელოვანია მიმართებით იმპლიკაციასთან კავშირი. (იმპლიკაცია: **Since you're not here, I feel queer; ; Unless you come quick, I'll get sick**). დამატებით, მიმართებითი კუთხის მხრივ, საინტერესოა ასევე ორივე სტროფის I სტრიქონების ბალანსი, პარალელიზმი სიტყვებს შორის **'come'** და **"grab"** (I – ნახევრად ბრძანებაა, II პირდაპირი ბრძანება, რაც გულისხმობს იმპლიციტურ ბრძანება-თხოვნას). მსგავსად, ავადმყოფობის თემა უფრო სრულყოფილად ვითარდება II კუპლეტში.

ისეთი მონაცემების განხილვისას, რომლებიც ჩართულია მთლიანი ლექსის შეფასებაში (და არა მისი ცალკეული წინადადებებისა), მისი კონკრეტული, ფიზიკურად გამოხატული სიტყვები, წინადადებები, რითმები და არსებული

გამოცდილება რელევანტურია მისი მნიშვნელობის, იმპლიკაციის, ავტორის ინტენციის და მკითხველის ინტერპრეტაციისათვის. ამას მივყავართ განსხვავებამდე ტაგმემიკურ თეორიასა და იმ თეორიებს შორის თავისი ემიკური განზოგადებით, რომლებიც კვაზი-მათემატიკურ აბსტრაქციებს გვთავაზობენ წესებისა და სიმბოლური სისტემებისა, კონკრეტულობისა და დამკვირვებლის რელევანტურობის გარეშე. ეს განსხვავება ნათლად ჩანს, თუ პაიკის შეხედულებას დაუპირისპირებთ ჩომსკის ნათქვამს, რომლის მიხედვით სიმბოლოები მხოლოდ ექსპლიციტურად მოიცავს მისი ფილოსოფიურ და პროცედურულ ფოკუსს (ჩომსკი 1962: 129).

პაიკის შეხედულება უფრო ახლოა ფიზიკოსის მიდგომასთან, ვიდრე მათემატიკოსის ან ლოგიკოსისასთან. წმინდად ფორმალური ასპექტი ლექსისა, ან ენის სხვა რომელიმე მანიფესტაციისა, არ აკმაყოფილებს მეცნიერის ინტერესებს. პაიკი ეძებს ყურადღების ბალანსს ფორმასა (ფიზიკური და სისტემური კავშირების და კონტექსტის ჩათვლით) და მნიშვნელობას (ბიჰევიორულ გავლენის ჩათვლით სამივე იერარქიაზე) შორის.

ტაგმემიკური თეორია ამტკიცებს, რომ ენა მოიცავს და შედგება ემიკური ფორმა-მნიშვნელობის მქონე კომპოზიტებისაგან.

არც ერთი ადამიანის რელევანტური ერთეული არ არსებობს კონტექსტის გადამკვეთი ტიპების სისტემასთან კავშირის გარეშე. ერთეულები არსებობენ განზომილების ვრცელ მატრიცაში და კვეთენ კავშირებს, რომლებშიც კონკრეტული ერთეული ვრცელდება და მოიცავენ მთელ სამყაროს ჩვენი მიმართების კოგნიტიურ ჩარჩოსთან.

სწორედ ეს კონტექსტუალური ფაქტორი ანიჭებს ტაგმემას მის ალტერნატიულ ტექნიკურ სახელს „ერთეული კონტექსტში“. თითოეული ტაგმემა მოიცავს ერთეულის 4 სახით დისტრიბუციას ტაგმემიკურ მატრიცაში, რომელთაგან ნებისმიერი შესაძლოა მოექცეს ყურადღების ცენტრში. ნებისმიერ მომენტში იგი ვლინდება ელემენტების რიგიდან (უჯრედი 2-კლასი) ერთი ელემენტით ისე, რომ ნებისმიერი წევრი აღნიშნული რიგიდან ჩანაცვლებადია მოცემულ კონტექსტში სტრუქტურული მახასიათებლების ცვლილების გარეშე. მიუხედავად ამისა, ელემენტთა ეს რიგი არის ნაწილი კიდევ უფრო დიდი ნიმუშისა, რომელიც მოიცავს მას. ეს ნაწილი იჭერს კონკრეტულ ფუნქციონალურ ადგილს (უჯრედი 1 –პოზიცია) უფრო დიდ ნიმუშთან მიმართებაში. ამავე დროს, მას აქვს მნიშვნელობა და მიზანი (უჯრედი 3-როლი), რომელიც კავშირშია ქცევასთან ან დამკვირვებლის მიერ ან ერთეულის შეფასებასთან, რაც ჩართულია კიდევ უფრო

ერცულ ზოგად-ფონურ რიგში (უჯრედი 4-კოჰეზია). წარმოდგენების, სიტუაციების, ბიოგრაფიათა, ისტორიების და ა. შ. მიმართებითი წყობა ხელს უწყობს დამკვირვებლის თვალთახედვით ერთეულების შეკავშირებას.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ერთეული კონტექსტში შესაძლოა იყოს მიგნებული იერარქიის ნებისმიერ დონეზე. არც ერთი იერარქია არ არსებობს ერთმანეთთან მიმართების გარეშე. თეორიას უნდა შეეძლოს ინტერაქციის ნებისმიერი ვარიაციის აღწერა. აქ იკვეთება თეორიის დამაკვირვებელი დასკვნა – პირად ინტერაქციას ენიჭება პრიორიტეტი აბსტრაქციების ან საგნების იდენტიფიკაციასთან მიმართებაში. ესენი არიან პიროვნებები, რომლებიც აღიქვამენ, წარმოადგენენ და ხვდებიან კავშირებს. ეს არის პიროვნება, რომელიც საუბრობს ამ შინაარსებზე, მაგრამ პიროვნებებს გააჩნიათ შეზღუდვები. ამიტომ უნდა ჰქონდეთ იერარქიები და იერარქია, გარდამავალი სხვა იერარქიაში. მხოლოდ მაშინ შეძლებენ ისინი გამოიძახონ საჭირო კომპლექსურობა მათი გამოცდილებისა.

დესკრიფციული ლინგვისტიკის ეს მიმართულება ერთდროულად ფილოსოფიაც არის და სამყაროს ხედვაც. მისი მთავარი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ ფენომენი შემოდის ინდივიდუალური ფორმებით მსგავსად ადამიანის თითის ანაბეჭდებისა ან ერთი და იმავე ხის ფოთლებისა, რომლებიც იდენტურნი არასდროს არიან და მაინც ისინი იზიარებენ იმდენ ძირეულ მსგავსებას, რომ საჭიროა და შესაძლებელი მათი თანაკლასიფიცირება.

შესაბამისად, ინდივიდუალური მანიფესტაციების გამოვლენა ხდება etic-დონეზე (ტერმინი ნასესხები ფონეტიკიდან) თეორიის ძირითადი ინიციატორი გახლავთ კ. ლ. პაიკი, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანმა ამერიკელმა და უცხოელმა სწავლულებმა თავიანთი უტყუარი წვლილი შეიტანეს ამ სფეროში ჩატარებული ღირებულებით.

ამრიგად, ტაგემიკა განიხილავს ენას სამი კომპონენტის მქონედ: ველი, ტალღა და ნაწილი; ამსგავსებს რა ლინგვისტიკას ფიზიკას. (1927 წ. ფიზიკოსთა კოპენჰაგენის კონგრესზე ნ. ბორი, მ. პლანკი და სხვები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ სინათლე ტალღაც არის და ნაწილაკიც და არა ერთი რომელიმე მათგანი). და მაინც, ტაგემიკა ყურადღებას უთმობს დადებით მონაცემებს (ისევე, როგორც სტრატეგიული გრამატიკა და სხვა თეორიები), რადგან ტაგემიციტები არიან ძირითადად ველის ლიგვისტები, რომლებიც ადგენენ ფონემურობაზე დაფუძნებულ ანბანებს ჯერ კიდევ დაუწერელი ენებისათვის და გრამატიკას ტექსტთა მთელი

ბიბლიოთეკით, აწყობენ რა მათ ადგილობრივი ზღაპრებიდან პენიცილინის გამოყენების თანამედროვე ინსტრუქციებამდე და ბიბლიის თარგმანებამდე. ტაგმემიკაში ნაჩვენებია მხოლოდ აქტუალური ფორმები, რაც თეორიას ანიჭებს ძლიერ სინქრონიულ ორიენტაციას. თუმცა ზოგიერთმა ტაგმემიციტმა, ასევე, იმუშავა შიგა რეკონსტრუქციასა და სხვადასხვა ენების შედარებაზე (მაგალითად: ი.კოსტელო; ს. გუდჩინსკი; რ. ლონგარქე) (მაკკაი 1987:52).

**SIL-ში (Summer Institute of Linguistics)** პაიკის პრეზიდენტობის დროს (მხოლოდ 1942-1979 წლებში) შედგა 513 ენის კატალოგი, რომლებიც დალაგდა ამ ენების ეთნოლოგიური სტატუსის მიხედვით. (Barbara Grimes, Ed. Dallas, SIL 1978) ზოგიერთი მკვლევარი ტაგმემიკის ძირითად ღირებულებად მიიჩნევს მის მამოძრავებელ ელემენტს – ჭეშმარიტ მონაცემებს ეგზოტიკური ენებიდან. პრაქტიკულ დონეზე ტაგმემიციტების ყურადღების ცენტრში ექცევა წერა-კითხვის ცოდნა და ორენოვანი განათლების ძირითადი საკითხები. თეორიულად ისინი მიიწვევენ წინ კოჭუხის, ტექსტის ანალიზის და დისკურსისაკენ (ლონგეიკერი 1976: 27).

პაიკის „ტაგმემიკური“ მიდგომა მრავალმხრივ განსხვავდება ამერიკის საენათმეცნიერო სკოლის ძირითადი მიმდინარეობებიდან, მაგრამ ყველაზე მეტად ეს განსხვავება მდგომარეობს მის კომპლექსურობასა და სრულყოფილებაში.

ენის ორგანიზება ტაგმემიკური თეორიის მიხედვით განიხილება: (ა) 'ფოკუსის სხვადასხვა სიღრმიდან', რომლის მიხედვით ხდება არჩევა მონაცემებისა და ასპექტების რომლებიც ექცევა ყურადღების ცენტრში; (ბ) ორმხრივი „მიდგომით“ (ეტიკური და ემიკური) – ერთეულები შეისწავლება სისტემის გარედან და შიგნიდან დაკვირვების საფუძველზე; (გ) სამწვეროვანი 'ხედვით' (ნაწილაკი, ტალღა, ველი); (დ) შესატყვისი სახეობის ხერხით – (თვისება, მანიფესტაცია, დისტრიბუცია); (ე) სამსაფეხურიანი 'იერარქიით' (ფონოლოგიური, ლექსიკური, გრამატიკული); (ვ) მრავალდონიანი სტრუქტურით – (მორფემა, სიტყვა, ფრაზა და ა. შ.), (ზ) სხვადასხვა 'სტილის' ნარევით, რაც უკავშირდება სოციალურ და გეოგრაფიულ დიალექტებს, სოციალურ როლებს, ინდივიდთა პიროვნულობას, ემოციებს და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ პაიკი იძლევა უამრავ სპორადულ მაგალითს სხვადასხვა ენიდან, მაინც, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ არსად სრულყოფილად არ ხდება თეორიის ყველა შემადგენელი ნაწილის საერთო ანალიზი. ხშირად დასაბუთება მხოლოდ თეორიულ არგუმენტაციას ეყრდნობა, რაც ზოგჯერ საკმაოდ დამაინტრიგებელია და მოსალოდნელიც ამდენად გართულებული მიდგომისათვის. (ბიუგრანდე 2000)

ჩვენ კი პაიკის თეორიულ თვალსაწიერში ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკის ადრეულ გამოძახილს შევნიშნავთ, რაც საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული მისი ტაგმემიკური თეორიის დებულებებსა და პრინციპებში. პაიკის მოძღვრებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას და მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ყოველი ასპექტი ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით განიხილება.

## **§ 5 ტაგმემიკური თეორიის პრინციპთა სისტემა და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა თანამედროვე ლინგვოკულტურული კვლევისათვის**

ნებისმიერი თეორიის ღირებულება მისი პრაქტიკაში დანერგვით განისაზღვრება. საინტერესოა, თუ რა ასახვა ჰპოვა კ. ლ. პაიკის ტაგმემიკურმა თეორიამ სხვა უფრო ახალგაზრდა მეცნიერების კვლევებსა და პრაქტიკულ ექსპერიმენტებში და როგორ იქცა ტაგმემიკური მატრიცა ევრისტიკულ გამონაგონად.

ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ განვითარებული უნარი დასავლურ ცივილიზაციაში არის დანაწევრება, პრობლემების დახლეჩა კომპონენტებად. ჩვენ ეს კარგად გამოგვლის, ისე კარგად, რომ ხშირად ვეღარც ვაერთებთ ამ დაცალკავებულ ნაწილებს (ტოფლერი 1984:12).

ადამიანი დასაბამიდან იბრძვის აღიქვას სამყაროს თვითორგანიზებადი, რთული სისტემა. კომპლექსურობის თეორიისადმი მზარდი ინტერესის ფონზე ყურადღებას იქცევს ცნობილი ამერიკელი ენათმეცნიერის კენეტ ლი პაიკის მიერ შემუშავებული ტაგმემიკური კვლევის მეთოდი, რომელიც არა მხოლოდ ლინგვისტური ანალიზის, არამედ სხვადასხვა მეცნიერულ დარგში კონკრეტული მიღწევის უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, თუ როგორ გამოიყენება პაიკის თეორიაზე დაყრდნობით მიღებული მატრიცა თანამედროვე მკვლევრების პრაქტიკულ მოღვაწეობაში და რაოდენ დიდია მისი ღირებულება ევრისტიკაში. ეს თეორია წარმოადგენს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და პრაქტიკული გზების მოძიებით პრობლემების გადაჭრის უნიკალურ მეთოდს, რაც საშუალებას გვაძლევს გავიდრმაგოთ ცოდნა საკუთარი აღმოჩენების გზით. აღნიშნული თვალსაზრისით

კვლევამ განსხვავებულად დაგვანახა ბევრი მეცნიერული პრობლემა, მათ შორის მივიღეთ რიტორიკის ახლებური განმარტება: „რიტორიკა, როგორც იუნგი, ბეკერი და პაიკი განმარტავენ – დაინტერესებულია უპირველესად შემოქმედებითი პროცესით, რომელიც მოიცავს მთელ წერით პროცესს და მწერლის ყველა არჩევანს, რასაც იგი წერის წინარე ეტაპზე აკეთებს, დაწყებული შავად დაწერილი მასალიდან მის საბოლოო რედაქტირებამდე” (ტოფლერი 1984:12).

ასეთმა მიდგომამ განაპირობა განახლებული ინტერესი რიტორიკის სხვადასხვა ასპექტებისადმი, რომლებიც მიესადაგება თხზულების შექმნის პროცესს – „ინფორმაციის აღმოჩენას, შინაარსის ჩამოყალიბებას, კავშირების დანახვას, კომუნიკაციის აქტის წინარე პრობლემების ანალიზსა და მათ გადაჭრას ისევე, როგორც სხვადასხვა ევრისტიკულ გამონაგონს, როგორცაა თავსატეხები, თავისუფალი წერის სტილი და სხვა” (იუნგი... 1970:12). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა კავშირშია ტაგმემიკური მატრიცა რიტორიკასთან და როგორ ერგება იგი თხზულების შექმნის პროცესს.

ტაგმემიკური მატრიცა, რომელიც უკვე ფართოდ გამოიყენება წერასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელოებსა და კლასებში, როგორც დასაწერი შინაარსის სისტემატურად წარმომშობი საშუალება, ასოცირდება წერის წინარე ეტაპთან (ფელპსი 1988:47). ამ მხრივ, აზრთა სხვადასხვაობას ვაწყდებით. სამწუხაროდ, ტაგმემიკური მატრიცის, როგორც ევრისტიკული საშუალების მხოლოდ წერის საწყის სტადიაზე გამოყენება სრულყოფილად ვერ ახერხებს წერითი პროცესის, როგორც ერთი მთლიანობის განჭვრეტას, იმ შეუქცევადი კომპლექსური პროცესის სწორად შესწავლას, რომელშიც შემოქმედებით მუშაობასთან გვაქვს საქმე.

ევრისტიკა, როგორც ტაგმემიკური მატრიცა, არსებული თვალსაზრისის მიხედვით, წარმოდგენილი იყო წერის წინარე ეტაპთან კავშირში. კითხვა, რომელიც ახლა ჩვენი კვლევის საგანი ხდება, ღიი ოდელის მიხედვით, საინტერესოა ბევრი თანამედროვე თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსისათვის: „სისტემური გამოკითხვის პროცედურა (როგორც ტაგმემიკური მატრიცა) გამოსადეგი იქნება თუ არა მომზადების და გამეორების ეტაპებზე?”- (ოდელი 1978: 148). სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს საჭიროება გამოვიკვლიოთ, თუ როგორ მიესადაგება ევრისტიკა წერის ყველა სტადიას, რადგან გამოგონება არის შეუქცევადი, მიმდინარე პროცესი.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული იმას როდი ნიშნავს, რომ ინსტრუქტორებმა პრაქტიკიდან უნდა ამოიღონ ტაგმემიკური მატრიცა როგორც გამოგონების სტრატეგია. პირიქით, მათ უნდა უზენონ სტუდენტებს, როგორ მოახდინონ ჩადებული მნიშვნელობის გამოყენება მატრიცის მიხედვით არა მხოლოდ წერის წინარე ეტაპზე, არამედ მთლიანად წერითი პროცესის დროს. განსაკუთრებით გამეორებისას, როცა ჩადებული მნიშვნელობა შესაძლოა გახდეს „ხელახლა გამოგონების” მეთოდი.

რიჩარდ იუნგის მიერ აგებული ტაგმემიკური მატრიცა ეყრდნობა კენეტ პაიკის ლინგვისტური თეორიის პრინციპებსა და ნიუტონისეულ ფიზიკას. პაიკის მიხედვით ენის სტრუქტურას შესაძლოა მივუსადაგოთ 4 წყება მახასიათებლებისა.

1. ერთეულები როგორც სტრუქტურები;
2. დამატებითი პერსპექტივები;
3. ენა, როგორც სოციალური ქცევა;
4. ერთმანეთზე გადაბმული იერარქიები.

ეს მახასიათებლები გახდა საფუძველი 9-უჯრედიანი მმართველი ბადის შექმნისა, რომელიც ენობრივ სტრუქტურებს შეისწავლის წინადადების დონის მიღმა და შესაძლოა მოერგოს მთლიანად წერით პროცესს. შესაბამისად, იმ კოგნიტიურ მოვლენებს, რომლებიც ჩართულია წერის პროცესში.

ტაგმემიკური მატრიცა მწერლებისაგან მოითხოვს განიხილონ იდეები (არსებული ცოდნა) სამი თვალსაზრისით: როგორც ნაწილაკი (ფიქსირებული ერთეული), ტალდა (ცვალებადი ფორმა), ველი (უფრო დიდი მთელის ნაწილი). იგი მოითხოვს მწერლებისაგან გამოსცადონ საგანი, თითოეული ამ პერსპექტივის მიხედვით - (ნაწილაკი, ტალდა, ველი), რათა დადგინდეს მისი კონტრასტული თვისებები (რა განასხვავებს მას სხვა რამისაგან); მისი ვარიაციის რანგი (შემთხვევები, როცა იგი განსხვავებულია და მაინც იგივეა); და მისი დისტრიბუცია (რა სახის კონტექსტს შეიძლება შეიცავდეს იგი).

პროგრესიას 9-უჯრედიანი მატრიცის გასწვრივ გაჰყავს მწერალი მარტივიდან უფრო კომპლექსური ხედვისაკენ. როგორც ჩარლზ ბეკი აღნიშნავს, „ტაგმემიკური ანალიზის პროგრესია მისდევს ურთიერთგადამკვეთ 9 ასპექტს, რაც გვეხმარება განმარტების ფორმის, ფუნქციისა და არსის შინაარსის ანალიზში” (ბეკი 1992:706).

ასე რომ, აღნიშნული პროგრესია განაპირობებს მოძრაობას მარტივიდან კომპლექსურ კოგნიტიურ პროცესამდე.

### ტაგმემიკური მატრიცა

	კონტრასტი	ვარიაცია	დისტრიბუცია
ნაწილაკი	ფიქსირებული ერთეული	ერთ-ერთი ჯგუფიდან	კლასიფიცირებული უფრო ფართო კონტექსტში
ტალღა	დინამიური მოვლენა ან ობიექტი	დინამიური პროცესი	დინამიური გარემოს ნაწილი
ველი	ნაწილების ან ელემენტების სისტემა	სხვადასხვა სისტემებთან შედარებული სისტემა	სისტემა გარემოსთან ინტერაქციაში

I(იუნგი 1970:60)

მატრიცაში წარმოდგენილი მოძრაობა მარტივიდან რთულისკენ პარალელურია დავალებათა თანმიმდევრობაში წარმოდგენილი პროგრესისა. შესასრულებელ დავალებათა თანმიმდევრობის ტაგმემიკურ თეორიაზე დაფუძნებით ანუ ნაწილაკის, ტალღის და ველის ისევე როგორც კონტრასტის, ვარიაციისა და დისტრიბუციის პრინციპებზე დაყრდნობით ტაგმემიკური მატრიცა იქცევა ევრისტიკულ გამონაგონად, რომელიც ფართოდ გამოიყენება წერითი პროცესის მანძილზე.

პედაგოგიაში გავრცელებული მიდგომა დავალებათა თანმიმდევრული აგებისა გულისხმობს თითოეული დავალების ერთმანეთთან შესაბამისობას და მარტივიდან რთულისაკენ პროგრესიით მოცემული კურსის დაუფლებას. რ. ლარსონის მიხედვით, დავალებათა შემუშავებულ წყებაში „თითოეული დავალების მიზანი უნდა იყოს სტუდენტის აზროვნების, ორგანიზების უნარისა და აზრების გადმოცემის ისე განვითარება, რომ მან შეძლოს თავი გაართვას უფრო რთულ პრობლემას მომდევნო დავალებაში.” (ლარსონი 1981:212) ასე რომ, დავალებათა თანმიმდევრობა ხშირად იქცევა მაკონტროლირებად ჩარჩოდ კონკრეტული კურსის სწავლებისას. ტაგმემიკურ თეორიაზე დაფუძნებულ დავალებათა თანმიმდევრობას გაჰყავს სტუდენტები პირადი ცოდნის მიღმა თანაზიარ ტრადიციებსა და ღირებულებამდე. როგორც ბეტი პიტლიკი, ერთ-ერთი თანმიმდევრული რიგის



შემქმნელი, აღნიშნავს, ამ თვალსაზრისით შედგენილ დავალებათა თანმიმდევრობა კიდევ ორ მიზანს ემსახურება: 1) კოგნიტიური უნარის განვითარებას და 2) ეხმარება სტუდენტებს შეაფასონ წერა, როგორც ცოდნის შექმნის საშუალება (პიტლიკი 1987:3).

როგორც ვხედავთ, ტაგმემიკური მატრიცის მიხედვით შედგენილი დავალებათა თანმიმდევრობა კარგ შედეგს იძლევა არა მხოლოდ წერის საწყის ეტაპზე, არამედ მთელი შემოქმედებითი პროცესის მანძილზე.

სწორად გამოყენების შემთხვევაში დავალებათა თანმიმდევრობაში მისი მაკონტრილებელ შინაარსად ჩართვით, მატრიცის ძირეული ელემენტები ხდება ღირებული ევრისტიკული გამონაგონი, რომლის მორგება შეიძლება წერის მთელ პროცესზე. ასეთ შემთხვევაში პრაქტიკოსებს ისევე, როგორც თეორეტიკოსებს, შეუძლიათ დაინახონ ტაგმემიკური თეორიის სრული პოტენციალი.

ტაგმემიკა არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ წერის საწყისი ფაზით, როგორც იდეების მოწოდების მეთოდი. იგი უნდა მოერგოს ამ ფაზას, როგორც ევრისტიკული გამონაგონი ისევე, როგორც მთელ წერით პროცესს. რადგან გამოგონების ქმედება ვრცელდება მთელ წერით პროცესზე – ჩვენ ვაგრძელებთ იმის აღმოჩენას, რასაც ვფიქრობთ წერის დროს. ამ თვალსაზრისით, ტაგმემიკა ერთმანეთთან აკავშირებს თეორიას, პრაქტიკასა და წერის შედარებას, რაც, თავის მხრივ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოგნიტიურ პროცესებს, რომლებიც უშუალო კავშირშია შემოქმედებით პროცესთან.

ტაგმემიკური თეორია ჩამოყალიბდა უნიკალურ თეორიად მე-20 საუკუნის რიტორიკულ თეორიებს შორის მისი მისწრაფებით უნივერსალების ამოცნობისადმი და იმ საფუძვლიანი მტკიცებულებებით, რომ ტაგმემიკის აქსიომები ჭეშმარიტია ადამიანური ქცევის ყველა სახისთვის. ამის გამო, იგი განჭვრეტს არა მხოლოდ წიგნიერებასა და პედაგოგიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიასა და ანთროპოლოგიურ კომპლექსურობაშიც ღრმად გვახედებს.

შესასწავლ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ტაგმემიკური მატრიცის გამოყენება ხელსაყრელია არა მხოლოდ თხზულების წერის პროცესში, არამედ მის მიხედვით აგებულ დავალებათა თანმიმდევრობა ერთმნიშვნელოვნად სწორ მიმართულებას აძლევს ენის სწავლების პრაქტიკულ კურსებს: ამ კუთხით შესაძლოა აიგოს კითხვის, საუბრის, გრამატიკის და სხვა მოდულების პროგრამები. იგი საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს არა მხოლოდ უცხო ენის

სწავლების კუთხით, არამედ შესაძლებელია მისი წარმატებით დამკვიდრება სხვადასხვა დარგის სასწავლო პროგრამებში. კონკრეტული კურსის პროგრამაზე აღნიშნული მატრიცის მორგება კი თითოეული მასწავლებლის პერეოგატივია, რაც ცხადია, გარკვეულ ვარიაციებს წარმოშობს და გამოიწვევს ამ მეთოდის კიდევ უფრო დახვეწასა და განზოგადებას.

ცხადია, დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს ასეთი მიდგომა თანამედროვე ლინგოკულტუროლოგიური კვლევისათვის, რადგან ტაგმემიკური თეორია გეთავაზობს უნივერსალურ მეთოდს, რომლითაც შესაძლოა ისარგებლონ მრავალი დარგის მკვლევრებმა. განსაკუთრებით ღირებულია მისი პრინციპები ლინგოკულტუროლოგიური პრობლემატიკის შესწავლის კუთხით, რადგან ტაგმემიკა დამკვირვებლის (ადამიანის) პერსპექტივიდან იძიებს ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხს.

## I თავის დასკვნები:

შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე ვასკვნით:

1) კ. ლ. პაიკის მიერ შემუშავებულ ტაგმემიკურ თეორიას საფუძვლად უდევს ანთროპოცენტრიზმის პრინციპი. იგი თავისი არსით ანთროპოცენტრულია, რადგან მისთვის არსებითია ადამიანის, ამ შემთხვევაში — დამკვირვებლის — ისეთი გავლენა კვლევის მონაცემებზე, რომლის შედეგად იგი თვითონ იქცევა ამ მონაცემთა სტრუქტურულ კომპონენტად.

2) პაიკისეულ თეორიაში არა მხოლოდ ზოგადად ენობრივი სუბიექტი, არამედ თვით ლინგვისტიც, როგორც მკვლევარი აღიქმება და გაიაზრება ენისა და კულტურის ორგანული ურთიერთკავშირის ფონზე. შესაბამისად, ტაგმემიკის მიხედვით ენა, როგორც ვერბალური ქცევა გააზრებულია როგორც კულტურული ქცევის ერთ-ერთი და, ამავე დროს, აუცილებელი განზომილება.

3) იქედან გამომდინარე, რომ თანამედროვე ლინგვისტური კულტუროცენტრიზმი უნდა ჩავთვალოთ ანთროპოცენტრიზმის ერთ-ერთ განშტოებად და შედეგად, უნდა მივიჩნიოთ, რომ პაიკის ანთროპოცენტრისტულ — კულტუროცენტრისტული ტაგმემიკა უნდა წარმოადგენდეს — როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით — ლინგვისტური კვლევის კულტუროლოგიური პარადიგმის განუყოფელ და აუცილებელ მომენტს.

4) პაიკისეული მოძღვრების იმპლიციტურ პოსტულატთა ექსპლიკაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ მკვლევარ-დამკვირვებლის როლი ამ მოძღვრებაში ინტერპრეტირებულ იქნეს ანთროპოცენტრისტულად, ხოლო ენობრივი რეფერენციული ფენომენი კი — კულტუროცენტრისტულად. ამგვარად, პაიკისეული მოძღვრების სინთეზური აღქმა და გააზრება იძლევა იმის საშუალებას, რომ ვილაპარაკოთ ამ მოძღვრების ანთროპოკულტუროცენტრიზმზე.

5) ზემოთხსენებული პაიკისეული ანთროპოკულტუროცენტრიზმი იძლევა მისი ლინგვოლიდაქტიკური ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც. ხოლო ეს უკანასკნელი მომენტი ქმნის პაიკისეულ იდეათა უცხო ენათა სწავლების მეთოდიკაში ნაყოფიერი დანერგვის პერსპექტივას.

## თავი II

### 'Etic' და 'Emic' ცნებათა შინაარსი და მათი მიმართება კულტუროლოგიური პარადიგმის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებთან

#### §1. ეტიკური და ემიკური ერთეულების ზოგადი დახასიათება

ყოველგვარი კვლევა საერთო არსის წვდომისაკენ არის მიმართული, რადგან ყოველი არსება ცდილობს გაერკვეს საკუთარ არსში: „არსება უკვე არს თავით თვისით მყოფი. (+ესე იგი არს თავსა შორის თვისსა მყოფი), ხოლო შემთხვევითი არსებისა შინა ხილული, ვერ შემძლებელი თავსა შორის (შინა) თვისსა ყოფისად, არამედ სხვისა შორის მქონებელი ყოფისა (ე)“ (ორბელიანი ტ. I:537). კაცობრიობა, მიუხედავად მრავალი უღირსი საქციელისა, დღიდან გაჩენისა ქვეცნობიერად მიისწრაფვის იყოს „თავით თვისით მყოფი“, რადგან უფალმა შეგვქმნა ჩვენ არსებებად: „სხეულად, სულიერად, მგრძნობელად, ცხოველად, სიტყვიერად და მოკუდავად“, (ორბელიანი ტ. I:503). ასევე, ყოველ მოვლენას გააჩნია საკუთარი შინაარსი ე.ი. ის, რაც მასშია ჩადებული.

თუ არსებულ საკითხს ენათმეცნიერული კუთხით მივუდგებით, არსი და მოვლენა იმ ოპოზიციურ წყვილს წარმოადგენს, რომლის ლოგიკური გამოვლინება ენა და მეტყველებაა. რადგან ადამიანი ენობრივი არსებაა ენობრივი პრობლემებით დაინტერესება ყველა დროში აქტუალურია. ამ კუთხით, ხშირად საინტერესო აღმოჩენის მოწმენიც ვხდებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ამერიკელი ენათმეცნიერის კ. ლ. პაიკის მრავალმხრივი მოღვაწეობა და კერძოდ, ენობრივი სისტემის შიგა და გარეგანი ხედვის მისეული პრინციპი, რამაც კიდევ უფრო მეტად განსაზღვრა მისი როლი XX საუკუნის ენათმეცნიერების განვითარებაში.

ენისა და მეტყველების სოსიურისეული დაპირისპირების მიხედვით მოდელი არის ენა (langue), სტრუქტურა—მეტყველება (parole). ამ გაგების ერთგვარი ინტერპრეტაცია, ჰოკეტის განმარტება, რომლის მიხედვით მოდელი არის კულტურა, სტრუქტურა – კულტურის ქცევითი მანიფესტაცია. თუმცა, ჰოკეტთან ენისა და მეტყველების დაპირისპირება ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კვლევის ობიექტი როდია. მისთვის ენათმეცნიერების ობიექტი ერთ მთლიანს წარმოადგენს.

(ჰოკეტი 1947:180). ამავე შეხედულებას იზიარებს კ. ლ. პაიკი. იგი უარყოფს მენტალური და ფიზიკური ქცევის გამოიწვევას და გვთავაზობს იდეალურ ვარიანტს, რომელიც ორივე მხარეს გულისხმობს.

ტერმინები „etic” და „emic” უკვე კარგად დამკვიდრებულია სოციალურ მეცნიერებებში, თუმცა ხშირად მეცნიერების მიერ არ ხდება ამ ტერმინების ზუსტად იმ მნიშვნელობით გამოყენება, რომლითაც პაიკმა დაამკვიდრა ისინი ლინგვისტიკაში. იმდენად საგულისხმო გარდატეხა მოახდინა etic და emic თვალთახედვით კვლევამ, რომ აუცილებლად ჩავთვალოთ ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში ცალკე თავი მიგვეძღვნა ამ საკითხისათვის. შევისწავლეთ მეცნიერის მიერ მიღებული ტერმინების ეტიმოლოგიისა და განვითარების საკითხი. განვიხილავთ მათ გამოყენებას და იმ გარკვეულწილად განსხვავებულ მიდგომას, რაც ზოგიერთ ანთროპოლოგს გააჩნია etic/emic შინაარსისადმი.

პაიკი განიხილავს ენას, როგორც ქცევას ორი სხვადასხვა თვალსაზრისით. სისტემის შიგა და გარეგნულმა ხედვამ, მისმა ორმხრივმა კვლევამ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. etic თვალთახედვა შეისწავლის ქცევას მოცემული სისტემის გარედან როგორც მნიშვნელოვან საწყის მიდგომას უცხო სისტემასთან. ხოლო emic თვალსაზრისით შევისწავლით ქცევას სისტემას შიგნიდან. პაიკი გვთავაზობს ხელსაყრელ ტერმინებს etics და emics. მეცნიერმა სახელდებისთვის გამოიყენა სიტყვები „phonetic” და „phonemic”. შემოკლებული ტერმინები გამოიყენება მათი სახელდების წყაროს ანალოგიურად, მაგრამ უფრო ზოგადი მიზნებისათვის. თავის მხრივ, ფონოლოგია – ენის, ხოლო ფონეტიკა – მეტყველების სინონიმურ წყვილად განიხილება. ვლელულობთ თანმიმდევრულ ხაზს, ერთის მხრივ: **არსი-ენა-ფონოლოგია-emics**, ხოლო მეორეს მხრივ, **მოვლენა-მეტყველება-ფონეტიკა-etics**.

პრინციპული განსხვავებები etic და emic მიდგომას შორის ენისა და კულტურის მიმართ მეცნიერმა შემდგენაირად ჩამოაყალიბა:

- ეტიკური მიდგომა ეხება ყველა ენასა და კულტურას – ან მათ შერჩეულ ჯგუფს – ერთდროულად. მას კარგად მიესადაგება ტერმინი „შედარებითი” ანთროპოლოგიური გაგებით. ემიკური მიდგომა კი პირიქით, კულტურულად სპეციფიკურია და მიესადაგება მხოლოდ ერთ კონკრეტულ ენას ან კულტურას.

- ეტიკური ერთეულები და კლასიფიკაციები ხელმისაწვდომია ანალიზის წინარე ეტაპზე, ეფუძნება რა არსებულ მასალას, მკვლევარის მიერ შექმნილ შესაბამის ცოდნას. ეტიკური ერთეულების მოძიება შესაძლებელია მხოლოდ ანალიზის პროცესში ენის შესწავლის დროს. ისინი უნდა აღმოვაჩინოთ, მათ არსებობას წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ. მკვლევარს შეუძლია შეადგინოს ეტიკურად ორგანიზებული კულტურათაშორისი სქემა. ეტიკური სტრუქტურა გარკვეული სისტემისა მასზე მუშაობის დროს უნდა იქნას აღმოჩენილი.

აღნიშნული ორი ერთეულის შინაარსი და თვისებები შესაძლოა ერთმანეთთან შეპირისპირებით ჩამოვაყალიბოთ:

- გარეგანი (ექსტერნალური)/შიგა (ინტერნალური) ხედვა: ეტიკური თვალსაზრისით ჩატარებული ანალიზი და აღწერილობა არის „უცხო“, საკვლევი სისტემის გარეთ მყოფი, მათი კრიტერიუმი ექტერნალურია. ეტიკური აღწერილობით კი გვეწოდება შინაგანი ხედვა იმ კრიტერიუმებით, რომელიც სისტემაშივე არჩეული.

- ექსტერნალური/ინტერნალური გეგმა: ეტიკური სისტემა, შესაძლოა აიგოს რაიმე კრიტერიუმით ან „ლოგიკური“ გეგმით, რომლის რელევანტურობა შესასწავლი (დაკვირვების ქვეშ მყოფი) სისტემისადმი ექსტერნალურია. ეტიკური სისტემის აღმოჩენა ან შედგენა საჭიროებს თავად სისტემის შიგა ფუნქციონირების რელევანტური კრიტერიუმის ჩართვას.

- აბსოლუტური/მიმართებითი კრიტერიუმები: ეტიკური კრიტერიუმი შესაძლოა ხშირად მივიჩნიოთ აბსოლუტურად. ეტიკური კრიტერიუმები შეესაბამება სისტემის შიგა მახასიათებლებს და მათი განსაზღვრა ხდება ურთიერთკავშირის მიხედვით.

- არაინტეგრაციული/ინტეგრაციული: ეტიკური ხედვა არ საჭიროებს ყოველი ერთეულის განხილვას უფრო ვრცელი გარემოს ნაწილად. ეტიკური ხედვა მოითხოვს, რომ ყოველი ერთეული დანახულ იქნას როგორც უფრო დიდი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციური ნაწილი.

- მსგავსება და განსხვავება სისტემურის პირისპირ: ორი ერთეული განსხვავდება ეტიკურად, როცა ინსტრუმენტალური გაზომვები/გამოთვლები გვიჩვენებს სხვაობას. ეტიკურად ერთეულები განსხვავდება მხოლოდ ერთ სისტემაში მოქმედი ხალხის განსხვავებული პასუხების მიხედვით.

- ნაწილობრივი/სრული მონაცემები: ეტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია ანალიზის ადრეულ ეტაპზე ნაწილობრივი ინფორმაციით. ემიკური კრიტერიუმი კი საჭიროებს იმ სისტემის სრულყოფილ ცოდნას, რომელთანაც იგი კავშირშია და საიდანაც იძენს მნიშვნელობას.

- წინასწარი/საბოლოო პრეზენტაცია: ეტიკურ მონაცემებს შევყავართ სისტემაში – ანალიზის საწყისი ეტაპი. საწყისი ეტიკური აღწერილობა თანდათან იხვეწება და იცვლება ემიკური ერთეულით. საბოლოო ანალიზი ანუ პრეზენტაცია მოცემულია ემიკურ ერთეულებში. ემიკურ სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენთ არა მხოლოდ სისტემასთან დაკავშირებულ ალგებრულ წერტილებად, არამედ ფიზიკური აღწერილობით. (პაიკი 1967:38)

თუ რა შედეგს გვაძლევს etic/emic-ური განსხვავების იგნორირება და ეტიკური აღწერილობის გამოყენება იქ, სადაც ემიკურია საჭირო, საუკეთესოდ არის მოცემული სეპირის შენიშვნაში:

„წარმოდგენელია გაიგო თუ რას აკეთებს პიროვნება, სანამ უსიტყვოდ არ მივიღებთ იმ ძირეულ წესებს ინტერპრეტაციისა, რომელთაც სოციალური ტრადიცია მუდმივად გვთავაზობს ჩვენი დაბადების დღიდან. თუ ვინმე ეჭვის ქვეშ აყენებს ამ მოსაზრებას, სცადოს და მოსინჯოს იმ შრომატევადი მოხსენების (ეტიკურის) მომზადება, რომელიც ასახავს რომელიმე სოციუმის მკვიდრთა რაიმე ქმედებას მაგ. რელიგიურს, კულტურაში შესასვლელი ყოველგვარი გასაღების გარეშე, ანუ ემიკური სისტემის ცოდნის გარეშე. თუ კი მომხსენებელი გამოცდილი მწერალია, იგი წარმატებით აღგვიწერს ყოველივე ნანახსა და გაგონილს, მაგრამ შანსი იმისა, რომ მან შეძლოს დაკავშირება ერთმანეთთან ნანახისა ან გაგონილის ისე, რომ ეს გასაგები ან მისაღები იყოს ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის პრაქტიკულად ნულის ტოლია. იგი იქნება დამნაშავე მოცემული სცენის დამახინჯებულად წარმოდგენაში. მისი ემფაზა იქნება მუდმივად არასწორი. მისთვის საჭირო იქნება ისეთი მომენტები, რომლებიც ამ კულტურის წარმომადგენლებისთვის ჩვეულებრივი ქმედებაა და არ იმსახურებს განსაკუთრებულ კომენტარს. ასეთი დამკვირვებელი სრულად ვერ შეძლებს მნიშვნელოვანი, გარდამტეხი მომენტების დაჭერას მოცემული სცენის აღწერისას, რაც ფორმალური მნიშვნელობის მქონეა იმათ გონებრივ მოწყობაში, ვინც ფლობს ამ კულტურული გარემოცვის გაგების გასაღებს.“(სეპირი 1927:546-547).

ამ მხრივ, ადამიანთა ქცევისაგან განსხვავებული მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: ემიკური მიდგომის დროს მკვლევარმა შესაძლოა აღწეროს კონკრეტული მანქანის, როგორც ერთი მთლიანის, სტრუქტურული ფუნქციონირება. შესაძლოა ჩაურთოს ცხრილები, სადაც წარმოდგენილი იქნება მთელი მანქანის ნაწილების ფუნქციონირება მათი ურთიერთკავშირის მიხედვით; ეტიკური მიდგომით მკვლევარმა შესაძლოა აღწეროს ცალკეული ელემენტები, ჭანჭიკები, შურუფები, სახრახნები, უფრო კომპლექსური ნაწილები, როგორცაა გენერატორები და ძრავები, სხვადასხვა მარკის ავტომობილებისა, რომლებიც ზოგადი კრიტერიუმის მიხედვით სისტემატურადაა დალაგებული საწყობ ოთახში.

ვერბალური მასალის ემიკური აღწერილობის დროს გარკვეული ფიზიკური მოვლენები უნდა შევინახოთ გონებაში. ეს არის სულ მცირე ორი ტიპი, რომელთაგან არც ერთის იგნორირება არ შეიძლება. ესენია: (ა) ლინგვისტური – ვერბალური და (ბ) ექსტრალინგვისტური – არავერბალური. ყოველი ემიკური ერთეული ენაში უნდა იქნას შესწავლილი მის დისტრიბუციასთან მიმართებაში – დისტრიბუციისა ვერბალურ ქცევასთან ისევე, როგორც არავერბალურ კულტურულ ქმედებასთან კავშირში.

ენობრივი ერთეულების არავერბალურ კონტექსტში გავრცელების შესასწავლად გასათვალისწინებელია იმ პირების არავერბალური პასუხები, რომელთაც მიმართავენ. როგორც მოქმედების ვერბალური პასუხები დაგვეხმარებოდა საკომუნიკაციო ელემენტების მნიშვნელობის გაგებაში, ასევე დაგვეხმარება არავერბალური ელემენტებიც. ენობრივი სტრუქტურის აღწერისას აუცილებელია პასუხების (ვერბალურისა და არავერბალურის) გათვალისწინება.

ეს ანალიტიკური დამოკიდებულება ნაწილობრივ შეიძლება გამოვრიცხოთ ანალიზის შემდგომ ეტაპზე (შემდგომი მასალის წარმოდგენისას). მაგრამ აღნიშნული თეორია მაინც შენარჩუნებულია. მეორე ენიდან თარგმნისას ადვილად შესაძლებელია ვინმე დანებდეს იმ ილუზიას, რომ ასეთი დამოკიდებულება არ არსებობს, რადგან „სიტყვები” გამოიყენება მხოლოდ მონაცემების მისაღებად და მისი ფუნქციისა და სტრუქტურის გადასაწყვეტად. მონოლინგვური მიდგომისას კი პირდაპირი დამოკიდებულება არავერბალურ კონტექსტთან უფრო ადვილად შესამჩნევია. ორივე შემთხვევაში, როგორც კი მკვლევარი გაითავისებს, რომ იგი აბსოლუტურად დამოკიდებულია როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ტიპის დისტრიბუციაზე, მზადაა სწორი შეფასებისათვის და მიდის დასკვნამდე, რომ ენის თეორია არ არის განცალკავებული ადამიანური ქმედების სხვა ფაზებისაგან.



ორივე მდგომას – ეტიკურსა და ემიკურს – გააჩნია დიდი ღირებულება ქცევის ანალიზის გარკვეული ფაზებისათვის. etic თვალსაზრისით კვლევა განსაკუთრებული ღირებულებისაა:

1) უპირველეს ყოვლისა, დამწყები სტუდენტისათვის, რადგან იგი ამზადებს მას, რომ სწრაფად შეიცნოს შესასწავლ მოვლენათა შორის განსხვავება და ეხმარება დაინახოს მცირეოდენი განსხვავება მსგავს მოვლენებს შორის.

2) ამ პროცესში მან შეიძლება შეითვისოს ტექნიკა და სიმბოლიზმი (ფონეტიკური ანბანი) კულტურის მოვლენების ჩასაწერად.

3) სპეციალისტსაც კი, რომელიც მოხვდება აბსოლუტურად განსხვავებულ კულტურულ გარემოში, სხვა გზა არ აქვს, გარდა იმისა, რომ დაიწყოს კვლევა დაუხვეწავი არაზუსტი ეტიკური აღწერიდან. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად გამოცდილი ემისტია იგი. მას მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია დაასრულოს თავის ემიკური აღწერილობა, რაც ჩაიწერა მონაცემები ეტიკურად, მისი წინარე გამოცდილების ნიშნით,

4) გეოგრაფიული ხასიათის მოვლენის ან ცალკეული სახის დიფუზიის ან წინასწარ შერჩეული ქმედებების ჩამონათვალის შესწავლის დროს, მოცემულ ტერიტორიაზე მკვლევარმა შესაძლოა არ აირჩიოს სრული ემიკური შესწავლა თითოეული ადგილობრივი კულტურის ან დიალექტისა, ასეთ ვითარებაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეტიკური შედარება.

ემიკური შესწავლის ღირებულება შემდეგში მდგომარეობს: 1) მას მიყვარათ იმ საშუალებათა დანახვამდე, რითაც ენისა და კულტურის კონსტრუირება ხდება არა როგორც სხვადასხვა შემადგენელ ნაწილთა წყებად, არამედ როგორც მოქმედ მთლიანობად; 2) იგი გვეხმარება შევადაროთ არა მხოლოდ კულტურა და ენა, როგორც მოწესრიგებული მთელი, არამედ შევაფასოთ ცალკეული მოქმედი პირი ამ ცხოვრებისეულ დრამაში — მათი დამოკიდებულებით, მოტივებით, ინტერესით, პასუხებით, კონფლიქტითა და პიროვნული განვითარებით.

პაიკის მიხედვით, საჭიროა სიფრთხილე ეტიკური და ემიკური აღწერების ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან ისინი ხშირად ძალიან მსგავსნი არიან. იმდენად, რომ საკითხში გაურკვეველმა მკითხველმა შესაძლოა თქვას, რომ არანაირი განსხვავება არ არის ენის ბგერათა სისტემების ფონეტიკურ და ფონემიკურ აღწერებში, ან ისეთი მცირეა განსხვავება, რომ ემიკური აღწერილობისათვის საჭირო დამატებითი მცდელობა უსაფუძვლოდ მოეჩვენოს. (პაიკი 1967:41).

მონაცემთა უმეტესი ნაწილი ერთნაირია და, ამის გამო, ზოგადი შინაარსიც ძალიან მსგავსია. ასევეა ორ სხვადასხვა სურათზე დაკვირვების შემთხვევაშიც, რომლებიც მოწმდება სტერეოსკოპული ხედვით. ამ კუთხით გამოუცდელი პირი მათ იდენტურად აფასებს, მაგრამ სამგანზომილებიანი ეფექტი, რომელიც წარმოიშობა ერთი და იმავე სცენის ერთდროულად ორი თვალსაზრისით სტერეოსკოპული ხედვისას აღებული ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე განათების პირობებში, ამ დამატებით აღქმას მართლაც გასაკვირს ხდის. ეს შესაძლებელია etic/emic თვალთახედვით. „ეტიკური“ ლინზით მკვლევარი ხედავს მონაცემებს, უსიტყვო მიმართებით ყველა შესადარებელ მოვლენებზე ორიენტირებულ პერსპექტივასთან – ბევრები, ცერემონიები, საქმიანობა ყველა ადამიანისა დედამიწის ყოველი ნაწილიდან.

მეორე, ემიკური ლინზით იგი ხედავს იმავე მოვლენებს, იმავე დროით მონაკვეთში, და იმავე კონტექსტში. მხოლოდ იმ პერსპექტივასთან მიმართებაში, რომელიც ორიენტირებას ახდენს კონკრეტული კულტურის კონკრეტული მოვლენების ფუნქციაზე, მხოლოდ მის სტრუქტურაზე. ყოველივე ეს გაივლის „დამკვირვებლის“ გონებრივ მექანიზმში და შედეგად ვლდებულობთ ადამიანის ქცევის „სამგანზომილებიან გაგებას“ ნაცვლად „ბრტყელი“, ეტიკური შესწავლისა.

## §2. ენისა და კულტურის 'Etic' და 'Emic' თვალსაზრისით კვლევის შეპირისპირებითი ანალიზი

ცალკეულ კულტურაში არსებობს ბევრი მოვლენა, რომლებიც ზედაპირულად მსგავსი ან იდენტური შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ რომლებიც ფუნქციონირებენ განსხვავებულად. ეს განსხვავება ხშირად გამოწვეულია მოქმედი პირების განსხვავებული მიზნებით. მიზანი კი ბევრ შემთხვევაში ნათელია გარე დამკვირვებლისთვის ან სხვა მონაწილისათვის; ზოგჯერ იგი ბუნდოვანია როგორც გარე დამკვირვებლის, ისე მონაწილისათვის. როცა მიზნის განსხვავება ადვილად შესამჩნევია, იგი ამოიცნობა დასაკვირვებელ მოვლენათა უფრო ვრცელ თანმიმდევრობაში, რომელშიც უფრო მცირე გავრცელების მოვლენებია ჩართული (დისტრიბუცია) – და იმ პასუხების მიხედვით, რომლებიც დაუყოვნებლივ გაიცემა. როცა მიზანი დროებით დამალულია სხვა მონაწილეთაგან, ალტერნატიული

პასუხების არჩევანი იცვლება მას შემდეგ, რაც სხვა მოვლენების მიერ ნათელი ხდება მიზნობრივი განსხვავება, ან მიღებული პასუხის მიხედვით მონაწილეები მოგვიანებით განსჯიან, იყვნენ თუ არა ადეკვატურები.

ნაწილობრივი, მცირემასშტაბიანი მაგალითი ასეთი შემთხვევისა არის ჰომოფონების წყვილები:

(1) seal (ბეჭდის დასმა) / seal (სელაპი); flat (ვაკე) / flat (ბინა); branch (ხის ტოტი) / branch (ფილიალი); ring (ბეჭედი) / ring (დარეკვა), change (შეცვლა) / change (ხურდა); mean (გულისხმობა) / mean (ძუნწი), kind (კეთილი) / kind (სახეობა); strike (გაფიცვა) / strike (დარტყმა);

ან კიდევ წარმოთქმის მიხედვით მსგავსი, მაგრამ მართლწერითა და მნიშვნელობით განსხვავებული ჰომოფონები:

(2) sun/son (მზე/ვაჟიშვილი); right/write – (მარჯვენა, უფლება/წერა); sea/see – (ზღვა/შეხედვა); know/no (ცოდნა/არა); hour/our (საათი/ჩვენ); wear/where (ჩაცმა, ტარება/სად); eye/I – (თვალი/მე); hear/here – (მოსმენა/აქ); their/there – (მათი/იქ); two/too – (ორი/აგრეთვე).

მოცემულ შემთხვევებში გარეგანი, ვიზუალური ან ბგერითი ფორმა მსგავსია, სიტყვების მნიშვნელობები – სხვადასხვა. იმ პასუხების ან საპასუხო რეაქციების გამო, რომლებიც მათ გამოყენებას მოსდევს, განსხვავებულია აგრეთვე ის ვერბალური ნაკადი, რომელშიც ისინი ერთვება.

ირონიაც გვთავაზობს განსხვავებული ტიპის ჰომოფონიას, რომლის ინტენცია გულისხმობს აუდიტორიის მცირე ნაწილს მაინც, რომ ადეკვატურად მოხდეს მისი გაგება. თუკი ეს მიზანი ვერ განხორციელდება, ირონია „დაიკარგება“. მეტყველების იმიტირება მსგავსია ასეთი ირონიისა და სრულიად განსხვავდება ბავშვის მიერ ლაპარაკის სწავლისას უფროსის იმიტაციისაგან.

ჩვენს კულტურაში არსებობს სპეციფიკური ლეგალური პროცედურები, რომლებიც გამოიყენება ემიკურად განსხვავებული, მაგრამ ფიზიკურად მსგავსი მოვლენების გასარჩევად: მძარცველს იარაღი ჰქონდა თუ არა თან ძარცვის დროს? წითელ შუქზე მოძრაობდა მძღოლი, როცა მან დაარტყა მამაკაცს? ამ დანაშაულის ჩამდენი ფსიქიურად დაავადებული იყო, თუ იგონებდა შეშლილობას? მართლა ცდილობდა თუ არა პატიმარი გაქცევას, თუ მცველმა ვერ გაიგო? შესაბამისად, ყოველდღიურ სიტუაციაში არსებობს გარკვეული კრიტერიუმი, რომელსაც

მიუხსადაგებთ ყოფით საკითხებს. ეს ახსნა ნამდვილი მიზეზია, თუ მხოლოდ მობოდიშება სიზარმაცის ან უპასუხისმგებლობის შესანიღბად? მართლა გატყდა თუ არა თეფში? და ა. შ.

არავერბალური ქმედებისას ისევე, როგორც ვერბალური ქმედებისას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორაზროვნებას, რაც გაირკვევა მხოლოდ ფართო კონტექსტის შესწავლით. მაგალითად: X ქვეყნის ხალხი იცნობს თუ არა იმ ელემენტებს, რომელთაც მოცემულ ქმედებამდე მიყვავართ, და ირჩევს თუ არა ამ ქმედებას განზრახ, თუ სხვას ბრმად ან იძულებით ემორჩილება?

ლინგვისტური წრეებისათვის კარგად ცნობილი ასეთი ემიკური განსხვავების ილუსტრაციას გვთავაზობს სეპირი. სანთლის ჩაქრობისას წარმოთქმული „wh” ბგერა თუმცა ფიზიკურად მსგავსია სიტყვებისას whirl, why და სხვათა „wh” ბგერისა (ინგლისურის ზოგიერთ დიალექტში), მაინც იგი „სრულიად განსხვავებულია” მისგან იმ ტიპის მოვლენათა რიგის გამო, რომელსაც ის ეკუთვნის.

ორივე შემთხვევაში წარმოთქმის პროცესი მსგავსია, მაგრამ პირველი ქმედების დროს მიზანი არის სანთლის ჩაქრობა და ეს მოვლენა განეკუთვნება მოვლენათა რიგს, როგორცაა მაგ: „დასაძინებლად წასვლა” და ა. შ. მეორე შემთხვევაში, ბგერა ხდება სიტყვის ნაწილი, ხოლო სიტყვა წინადადების, წინადადება კი საუბრის ნაწილი. (სეპირი 1925: 34).

ემიკური მიდგომა განიხილავს მათ როგორც მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოვლენათა წყვილს. ერთი სახის ეტიკური მიდგომა, რომელიც უგულებელყოფს მიზანსა და მნიშვნელობას, განიხილავს მათ იდენტურ წყვილად.

სეპირი ამბობს: „ყოველ ადამიანურ ქმედებას აქვს ვარიაციათა გარკვეული რაოდენობა. სწორად რომ ვიმსჯელოთ, არც ერთი ასეთი რეაქცია არ იქნება გაგებული, თუ არ მიუხსადაგებთ ვარიაციათა რიგს, ნორმას ან ტიპს” (სეპირი 1925: 34).

წინამდებარე ნაწილში ჩვენ განვიხილეთ მოვლენები, რომლებიც ფიზიკურად მსგავსია (ან დაახლოებით მსგავსი), მაგრამ ემიკურად განსხვავებული. ამჯერად განვიხილავთ ფიზიკურად განსხვავებულ, მაგრამ ემიკურად მსგავს ქმედებებს. ვეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება იყოს მოვლენები ფიზიკურად არაიდენტური, მაგრამ ემიკურად იგივე.

შეუძლებელია, რომ ადამიანმა გაიმეოროს რაიმე ქმედება ისე, რომ იგი იყოს წინა ქმედების ზუსტი ორეული. საზომი ინსტრუმენტები გვიჩვენებენ გარკვეულ

ვარიაციას – („გაბნევა“ ან „გაშლა“ მცირე განსხვავებებისა ასეთი განმეორებადი მოქმედების დროს) – ეს იქნება თავის გაქნევა სიგნალზე „არა“ თუ ტუნების მოძრაობა, ენა და ვოკალური სიმების უარყოფითი ნაწილაკის „არა“ წარმოთქმისას, თუ ბურთის დასაჭერად გაკეთებული ნახტომი – არც ერთი მოძრაობა არ შეიძლება იყოს გამეორებული დევიაციის (გადახრის) გარეშე.

ყოველი ქმედებისას იარსებებს მცირე ფიზიკური ვარიანტები. ეტიკურად თითოეული გამეორება ამ ერთეულისა მიიჩნევა მკაფიოდ, გასაგებად იმ ეტიკური კვლევისას, რომელიც იძიებს აბსოლუტურ ფიზიკურ განსხვავებებს. ემიკურად, ვარიაციათა ასეთი „გაბნევა“ გარდაუვალია.

თუმცა, ხშირად ფიზიკური ვარიაცია ერთი და იმავე ფიზიკური ერთეულის გამეორებათა შორის გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ადამიანის მიერ მის ქმედებაზე დაკისრებული ფიზიოლოგიური მახასიათებლები. ზოგჯერ ვარიაცია შესაძლოა ისეთი მცირე იყოს, რომ თვალისთვის უხილავი, ყურისთვის გაუგონარი აკუსტიკური განსხვავებებით შემოიფარგლოს. სხვა შემთხვევაში, შეიძლება იმდენად დიდი იყოს ვარიაციული განსხვავებები, რომ მკაფიოდ და ადვილად შეინიშნებოდეს. ადგილობრივი მონაწილეები მოცემული ქმედებისა კი ვეღარ ამჩნევენ მათ მაშინაც კი, როცა ყურადღება მახვილდება ასეთი სახის განსხვავებებზე. მაგალითად, თუკი ფრაზას – ”Here is a cap” – წარმოვთქვამთ ჩქარი ინტონაციით, ზოგჯერ ტუნები დახურულიც კი რჩება. სხვა შემთხვევებში ტუნები იღება ოდნავ ჰაერის პატარა ნაკადის გამოსაშვებად. ინგლისურ ენაში ასეთი წარმოთქმის ერთეულები არის ეტიკურად (ამ შემთხვევაში აბსოლუტურად) სხვადასხვა, მაგრამ ემიკურად იგივე.

ეტიკური, არა-ემიკური განსხვავება გვხვდება ყველგან (ნებისმიერ ადგილზე) გარდა ემიკურად იმავე მოვლენების სრული გამეორებისას: ვარიანტების ფორმირება განპირობებულია მოძრაობის იმ მცირე ცვლილებებით, რომლებიც თან ერთვის ერთი ემიკური მოძრაობის მომდევნო ან წინა მოძრაობაში შერთვას. მაგალითად, ენის მოძრაობა ”s” ბგერის წარმოთქმისას სიტყვაში ”missile” განსხვავდება ამავე ”s” ბგერის წარმოთქმისაგან სიტყვაში ”task”. ყოველი ბგერა განსხვავდება ეტიკურად იმ შესაძარებელ მოძრაობათა თანმიმდევრობის მიხედვით, რომელშიც ისინი გვხვდება. ყოველი მოძრაობა, არავოკალურის ჩათვლით ხასიათდება იმავე თვისებებით. განმეორებადი ტიპების შესაბამისად, ეტიკური განსხვავება შესაძლოა იყოს ისეთი დიდი, რომ უცხო დამკვირვებელმა ადვილად

შენიშნოს მაშინ, როცა ადგილობრივი შემსრულებელი ემიკური რეაგირების დროს ვერანაირ განსხვავებას ვერ ამჩნევს.

პაიკი იხსენებს: „მე კარგად მახსოვს გააკვირვება, რაც თან ერთვოდა ინფორმაციის მიღებას, რომ სიტყვაში, „paper” ორი „p” ბგერა არ იყო ერთი და იგივე ინგლისური ენის ჩემს მიერ გამოყენებულ დიალექტში. პირველი „p” ბგერა არის ფშვინვიერი თანხმოვანი (ასპირატი), ხოლო მეორის წარმოთქმას მხოლოდ სუსტი ჰაერის ნაკადი მოსდევს. მეცნიერისთვის ეს მსგავსება იყო ფონემიკური; „მე არ შემიძინავეს ეტიკური განსხვავება სანამ არ შევისწავლე ფონეტიკა” – აღნიშნავს იგი. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვაში „paper” პირველი „p” განსხვავდება არა მხოლოდ მოძრაობის ტიპით, არამედ მოძრაობის თანმიმდევრობით მეორისაგან. მაშინ, როცა მეორე „p” ეტიკურად ცალკე ბგერად უდერს, პირველი „p” ეტიკურად ორად აღიქმება – p + ჰაერის ნაკადის გამოშვება. (პაიკი, 1996).

ასეთი ტიპის ეტიკურ განსხვავებებს ადგილი აქვს ერთდროულად თანმიმდევრობებში. ასე რომ, სიტყვის „missile” ყოველი გამეორება გვაძლევს განსხვავებულ „s” ბგერას თითოეულ შემთხვევაში და ყოველი გამეორება სიტყვისა „past” განსხვავებულ „s” ბგერას. ასეთი ვარიაცია განპირობებულია გარემომცველი განსხვავებებით, როცა ბგერა „s” კავშირშია, ერთის მხრივ, ბგერებთან „i”, „l”, „a” და, მეორეს მხრივ, ბგერებთან „k”, „t”.

მეორეს მხრივ, შინაარსის „სახელი” სახელდებასთან დაკავშირებით მეცნიერს არ ჰქონია რაიმე სირთულე, რომ დიდი და პატარა სახლისათვის, ორივე შემთხვევაში, მიესადაგებინა ერთი და იგივე სახელი. ეტიკური მრავალგვარობისა და გავრცელებული გამოყენებისადმი მგრძობელობა მეორე შემთხვევაში გაცილებით ვრცელი აღმოჩნდა, ვიდრე პირველში. არაფონოლოგიურ ერთგვარ საგნებში და ქცევებში სხვადასხვაობის აღმოჩენა უფრო ადვილია ინსაიდერისათვის, ვიდრე ფონოლოგიასთან მიმართებაში.

სრული გამეორებისას მიღებული ვარიანტის ტიპს ეწოდება **თავისუფალი** ტიპი. მეზობელი მოძრაობების თანმდევ ან შერწყმად შედეგობრივ ვარიანტს ეწოდება **განპირობებული**; მოძრაობათა თანმიმდევრობიდან მიღებულ ვარიაციას, რომელიც ცალკეულ ერთეულად მოქმედებს, ეწოდება კომპლექსური. თავისუფალი, განპირობებული და კომპლექსური ვარიანტები გვხვდება ყველა ზოგადი ტიპის

ქმედებაში; მკვლევარი მზად უნდა იყოს, რომ შენიშნოს ისინი კვლევის ნებისმიერ ეტაპზე.

მარტივი და კომპლექსური ვარიანტების გარდა, ასევე არსებობს შერეული, შერწყმადი ვარიანტი ისევე, როგორც ცალკეული ეტიკური სეგმენტი შესაძლოა იყოს შერწყმული კომპოზიტი ორი ემიკური სეგმენტისა.

პიროვნება, დამკვირვებელი ემიკურად უკავშირდება საგნებს (შინაარსს) განსხვავების, მსგავსებისა და შესაბამისობის გავლით.

კონკრეტული კულტურის გარემოცვაში ადგილობრივი დამკვირვებლისთვის ემიკური ერთეულები მიიჩნევა ერთმანეთისაგან განსხვავებულად ყოველდღიურ ქმედებასთან მიმართებაში.

ანალოგია: ბიჭი არ არის გოგონა. მთა არ არის დაბლობი. დღევანდელი გადასახედიდან დანახული გუშინდელი დღე დღევანდელი არ არის. ახალგაზრდობა მოხუცებულობა არ არის. ემიკური ერთეულები კონტრასტულ წყვილებად გვევლინებიან. სიტყვების "sit" და "set" ორ ხმოვან ბგერას შორის კონტრასტი ხდის მათ ემიკურად განსხვავებულს.

შემდგომი იმპლიკაცია: რამდენიმე წლის წინ, როცა კ. ლ. პაიკი ლექციებს ატარებდა არლივტონში, ტეხასის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კლუბში, ფენომონოლოგისტმა პროფესორმა ლენორე ლანგდორფმა უთხრა მას: „თქვენ იმანუელ კანტივით საუბრობთ! პაიკს გაუკვირდა: „მე არ მიფიქრია ამის შესახებ, მაგრამ როცა გადავამოწმე, აღმოვაჩინე, რომ ჩემს მიერ დაკავშირებულ დამკვირვებელს და საგანს აქვს რაღაც საერთო აზროვნების კუთხით კანტთან“. კანტი ამბობს: „ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ მხოლოდ გარეგნული ცოდნა, მაგრამ ვერასდროს შევადწვეთ თვით საგნებში“ (პაიკი, 1996).

პაიკი ეთანხმება, რომ არ არსებობს გზა, რომლითაც სრულად გამოვრიცხავდით ჩვენეულ დამკვირვებლის გავლენას სამყაროზე. სამყაროს ელემენტების ჩვენეული კატეგორიზაცია საშუალებას გვაძლევს მხოლოდ ნაწილობრივ აღვიქვათ სამყარო. როცა დამკვირვებელი ახდენს კატეგორიზაციას, იგი აქცევს მას საგნებად, თითქოსდა ისინი იყვნენ იზოლირებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ იარსებებდნენ გარკვეული სახის ფიზიკური ან მენტალური კონტექსტის გარეშე. ასეთი კატეგორიზაციის შედეგად მიღებულ ერთეულებს უწოდებს პაიკი ემიკურ ერთეულებს.

ნებისმიერმა თეორიამ, რომლითაც ჩვენ ვცხოვრობთ, უნდა შექდლოს იმის დაშვება, რომ სისტემის შიგნით მყოფმა ინსაიდერებმა (როგორებიც არიან

მშობლიურ ენაზე მოლაპარაკებები) შესაძლოა რომელიმე საგანი და რაიმე შინაარსი აღიქვან როგორც ერთი და იგივე, თუმცა გარე დამკვირვებელი აუცილებლად შენიშნავს მათ შორის არსებულ განსხვავებას. ეს გახლავთ ეტიკური მრავალფეროვნებით განპირობებული.

ზოგიერთ შემთხვევებში ინსაიდერისათვის იმდენად ძნელია განსხვავების აღქმა ემიკური მსგავსების ფონზე, რომ შესაძლოა დასჭირდეს სპეციალური წვრთნა მის ამოსაცნობად. სხვა შემთხვევებში, განსხვავება შესაძლოა იყოს აშკარა, მაგრამ იგნორირებული, როგორც არაელეგანტური რამ მოსაუბრის საკომუნიკაციო მიზნისთვის.

ემიკური განსხვავების აღმოჩენა უფრო ადვილია, როცა გარკვეულწილად მსგავსი საგნები, ელემენტები გვხვდება ქცევის ტიპური თანმიმდევრობის შესაბამისად ერთსა და იმავე პოზიციაში. მაგრამ, სადაც ორი "საგანი" აღიქმება ინსაიდერის მიერ როგორც სხვადასხვა მნიშვნელობის ან ქცევითი მიმართების მატარებელი, ემიკური კონტრასტები – ემიკური განსხვავებები – ჩნდება თანმიმდევრული ქცევის ან სისტემური მოწყობის შესაბამის ადგილებზე.

ქცევის რელევანტური ემიკური ერთეულები გვხვდება მოცემული ქცევის კონტრასტულ პოზიციებზე. ბგერები "p" და "t" კონტრასტულია (ფონემიკურად ე.ი. ემიკურად) სიტყვები "pie" და "tie" დასაწყისში, მაგრამ ორი "p" სიტყვაში "paper", თუმცა განსხვავდება (ფონემიკურად ე.ი. ემიკურად), გვხვდება სიტყვაში სხვადასხვა პოზიციაში და საკმაოდ მსგავსია იმისათვის, რომ სემანტიკური რელევანტურობის იგნორირება მოვახდინოთ. მეორეს მხრივ, თუ ვინმე იტყვის ერთსა და იმავე სიტყვას ათასჯერ, მანქანა დააფიქსირებს მცირეოდენ სხვაობას თითოეული წარმოთქმისას. ეს განსხვავებები ის ეტიკური ვარიანტებია, რომლებიც არ ატარებენ სემანტიკურ იმპლიკაციას. ხანდახან ამ კუთხით პრობლემებსაც ვაწყდებით მაშინ, როცა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ორი ემიკურად განსხვავებული წარმოთქმა ერთი და იმავე სიტყვისა. მაგრამ ეს სხვაობა შესამჩნევი შეიძლება იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ბგერები კონტრასტულია სხვა შემთხვევებში, ფრაზის "I am going", თქმა სწრაფად შეიძლება როგორც "I'm going".

ანალოგია: ქადა არ არის კვერი. ჩვენს კულტურაში ეს ორი სიტყვა ემიკურად განსხვავებულია. მაგრამ ქადა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, თუმცა ის მაინც ქადა იქნება.



ორივე, ფიზიკური ფორმა საგნის ან მოქმედებისა და მისი სოციალური მნიშვნელობა ან გავლენა, წარმოადგენს ემიკური ერთეულის ნაწილებს. დამკვირვებელი, აქედან გამომდინარე, ჩართულია გარემოს კონტრასტულ კატეგორიზაციაში ორი ემიკურად კონტრასტული ერთეულის ფიზიკური იზომორფიზმის შემთხვევაშიც.

ორმა ადამიანმა შესაძლოა ვინმე მოკლას ავტოავარიით, მაგრამ თუ ერთმა ეს ქმედება უნებლიედ ჩაიდინა, სოციალური კომპონენტი ამ ინციდენტის უბედურ შემთხვევად კატეგორიზაციას ახდენს, ხოლო თუ ეს განზრახ იყო ჩადენილი, მაშინ იგი მკვლელობად განიხილება. კატეგორიზაციის დროს გათვალისწინებულია მენტალური ჩარევა ფიზიკური ფაქტის ჩადენისას. სასამართლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიძიებს არა მხოლოდ ფიზიკურ ქმედებას, არამედ მისი შემსრულებლის მენტალურ მონაწილეობას, დამკვირვებლის ინტერპრეტაციას ან შეფასებას, რაც განაპირობებს დასაკვირვებელ ქმედებას. ყოველივე ეს არის ემიკური კატეგორიზაციის ნაწილი.

ანალოგია: აქვე გასათვალისწინებელია კულტურათშორისი განსხვავებები. მაგ: ბუზის მოკვლა ჩვენი კულტურის სისტემაში მყოფი ადამიანის მიერ შესაძლოა აღვიქვათ სისუფთავის აქტად, მაგრამ ჰინდუს მიმდევარის მიერ შესრულებულ იგივე აქტს რელიგიური მნიშვნელობა ენიჭება. მხედველობაშია მათი რწმენა, რომლის მიხედვით ადამიანთა სულიერი რეინკარნაცია შეიძლება მოხდეს ცხოველთა სხეულში.

სწორედ ამიტომ პაიკი უარყოფს ისეთ ანალიზს, რომელიც განიხილავს ადამიანის ქმედებას მხოლოდ ინდივიდის მენტალურ კომპონენტებთან კავშირში. იგი ასევე უარყოფს ნებისმიერ ანალიზს, რომელიც ყველა სახის ქცევას მხოლოდ ფიზიკური გამოვლენის კუთხით იკვლევს. შესაბამისად, პაიკი არ ემხრობა ქცევის ისეთ ანალიზს, რომელიც ისე მკვეთრად მიჯნავს მენტალურს და ფიზიკურს, რომ მხედველობაში არ იღებს მათ შესაძლო ურთიერთგადაკვეთას, როცა დამკვირვებელი ახდენს მისი გარემოცვის ეტიკურ კატეგორიზაციას (იხ. ნახ. 2.1).

ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით პაიკი სათანადო ყურადღებას არ უთმობს მნიშვნელობას და არ გამოჰყოფს სპეციალურ „დონეს“ მნიშვნელობისათვის ისევე, როგორც მის თეორიაში არ მოიძებნება იერარქიის ცალკე საფეხური „სემანტიკისათვის“. არსებობდა მოსაზრება, რომ „მნიშვნელობა“ როგორც ასეთი „მეტალინგვისტურ“ ცნებად იქცა, გვერდზე გადგა, როგორც ერთ-ერთი ასპექტი „მასალისა“, ან გახდა მეორეხარისხოვანი და გადაინაცვლა ლინგვისტური

სისტემის – „ფონოლოგია“, „მორფოლოგია“, „სინტაქსი“ – სრული აღწერის შემდგომ. უმეტესწილად „მნიშვნელობა“ გახდა წყარო „ სწრაფი გასაღებისა“ ან დამხმარე საშუალება მსგავსი ან განსხვავებული ელემენტების გარჩევისას.

ბლუმფილდის მიხედვით, კ. პაიკი შეეცადა 1948 წელს მოეძიებინა ფორმულა „ნებისმიერი წარმოთქმის უშუალო შემადგენლების“ გამოსავლენად „მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე“, თუმცა მოგვიანებით მან მიატოვა ე. წ. „ ანალიზის ალგორითმი“, რაც, მეცნიერის აზრით, განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ თუ მნიშვნელობის ზუსტი ცოდნა შეუძლებელია, მისი უტილიზირებაც წარმოუდგენელია. ბლუმფილდი საკმაოდ კატეგორიული იყო მის შენიშვნაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „მნიშვნელობის ასე უგულვებელყოფა ნიშნავს იმას, რომ ლინგვისტი არ არის დაინტერესებული ენით, რადგან ენა ფუნქციობს როგორც საკომუნიკაციო საშუალება და იგი ასეთ შემთხვევაში ვეღარ მოახდენს საკომუნიკაციო პროცესისა და მისი შინაარსის ანალიზს. სემანტიკური კომპონენტები არსებითია ენის, როგორც საკომუნიკაციო სისტემის, წარმოსადგენად. ჩვენ გვჭირდება ვიცოდეთ, რას ნიშნავს „სტრუქტურა“ და არა უბრალოდ ის, რომ იგი კარგად ჩამოყალიბებულია. მნიშვნელობის გამორიცხვა ყველაზე საჭირო სტრუქტურული კომპონენტის ამოგდებას ნიშნავს. ლინგვისტმა შეიძლება გვერდი აუაროს მნიშვნელობის ხსენებას, მაგრამ არა მნიშვნელობის გამოყენებას.“ (ბეუგრანდე 2000:13).

მეორეს მხრივ, პაიკი უარყოფს მხოლოდ „მნიშვნელობაზე“ დაფუძნებულ ანალიზს ისევე, როგორც მხოლოდ „ფორმის“ გათვალისწინებას. იგი ასევე ეწინააღმდეგება იელმსლევის დუალიზმს გამონათქვამისა და შინაარსის ფუნქციონალურ დიქოტომიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მნიშვნელობა განიხილება როგორც „ცალკეული ურთიერთობა“ „ფიზიკური მანიფესტაციის“ გარეშე. პაიკი „ფორმას“ და „მნიშვნელობას“ უსადაგებს ფიზიკურ და ფუნქციონალურ მახასიათებლებს.

ასე რომ, მნიშვნელობა პაიკისათვის არ წარმოადგენს არც დონეს არც იერარქიულ საფეხურს, არამედ ყოველი დონისა და იერარქიისათვის თანმდევი ასპექტს. მკვლევარი თვლის, რომ თითოეული ნაბიჯი ლინგვისტური ანალიზისა უნდა ეხებოდეს ფორმა-მნიშვნელობის კომპოზიტს, რომელშიც ფორმასა და მნიშვნელობას არ არის აუცილებელი ჰქონდეთ ერთი-ერთზე კავშირი. მნიშვნელობა არსებობს არა ცალკეულ ნაწილებში, არამედ ენის ერთიან სტრუქტურულ მთელში ან „ვერბალურ ქცევაში“ – „იდენტიფიცირებულ


კონტექსტში”. მაგ: თითოეული მორფემა თავის მნიშვნელობას იძენს მხოლოდ სხვებთან, მთელ სისტემასთან მიმართებაში კონკრეტული თანმიმდევრობის დროს.

აქდან გამომდინარე, მნიშვნელობის მკვეთრი სეგმენტაცია ფაქტიურად შეუძლებელია. ერთი ერთეულის მნიშვნელობა ნაწილობრივ ადგენს მოსაზღვრე ერთეულის მნიშვნელობას ისევე, როგორც თავადაც განიცდის მსგავს გაგენას მეზობელი ერთეულისაგან. მნიშვნელობა ერთიანი კომპლექსურობის კონტრასტულ კომპონენტს წარმოადგენს და განიხილება როგორც სრული ბიჰევიორული მოვლენის ფუნქცია ერთიან სოციალურ მატრიცაზე.

ეფიქრობთ, ფორმა-მნიშვნელობის კომპოზიტი სწორი მიგნებაა და პაიკის კრიტიკა ამ თვალსაზრისით, მსუბუქად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია. იხ. ნახ. 2.1

ნახ. 2.1.

2.1. (ა)




2.1. (ბ)



2.1. (გ)



2.1. (დ)



(პაიკი 1996, ნაწ.2: 7)

ანალოგია: ნახაზში 2.1. (ა) მოცემულია ორი ერთმანეთისაგან სრულიად განცალკავებული წრე. პირველი სახელდებულია როგორც „აზრი“ (მნიშვნელობა) და მეორე როგორც „ფიზიკური ქმედება“. ნახაზი მოიცავს ქმედების ორ სახეობას, მაგრამ შეისწავლის მათ ცალ-ცალკე.

მეორე ნახაზში 2.1. (ბ) მოცემული წრე წარმოადგენს მხოლოდ, მნიშვნელობას ყოველგვარი ქმედების გამორიცხვით. 2.1. (გ) – პირიქით, შეისწავლის მხოლოდ ფიზიკურ ქმედებას მნიშვნელობის გარეშე. ყოველივე ამას უარყოფს პაიკი. ნახაზი 2.1. (დ) გვთავაზობს იმ ხედვას, რომელსაც მეცნიერი ემხრობა. ეს არის ნაწილობრივი ურთიერთგადაკვეთა, სადაც „თავი“ და „სხეული“ ნაწილობრივ ერთმანეთს კვეთს და ნაწილობრივ განცალკავებულია.

კ. ლ. პაიკის თეორიის მიხედვით მხოლოდ ვერბალური და არავერბალური ქმედების ერთობლივი შესწავლით წარვმართავთ ენის კვლევას სწორი მიმართულებით. ე.ი. ენაში არსებული მოდელები არის etics და რასაც ვიყენებთ – emics. ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის შედარებაც კარგად ასახავს, თუ რომელ ემიკურ ვარიანტს ირჩევს თითოეული იმ ეტიკური მოდელებიდან, რომლებიც გააჩნია ინგლისურ ენას.

ინგლისური ენის  
ვარიანტები:

**BE (ბრიტანული)**

**AE (ამერიკული)**

1) autumn	(შემოდგომა)	fall
2) sweet shop	(ტკბილეულის მაღაზია)	candy store
3 over the road	(ქუჩის საპირისპირო მხარეს)	across the street
4) tinned	(დაკონსერვებული, თუნუქის ყუთში)	canned
5) close shave	(ბეწვზე გადარჩენა (სასაუბრო))	close call
6) bobby	(პოლიციელი)	cop (colloq)
7) flat	(გადამწვარი ელექტრო ხელსაწყო)	dead
8) public school	(სკოლის ტიპი, ძირითადად კერძო, რომელიც ამზადებს მოსწავლეებს კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისათვის)	preperatory school

9) passage-way (გასასვლელი რიგებს შორის)	aisle
10) cot (ჩვილის საწოლი დახურული გვერდებით)	crib
11) at present (ამჟამად, დრ.ზმნიზედა)	presently
12) directly (დაუყოვნებლივ)	immediately after

(ზვიადაძე, 1981)

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ორივე ვარიანტი გამოიყენება ბრიტანულ თუ ამერიკულ ინგლისურში. თუმცა, ასეთი სახის კლასიფიკაცია იმ ვარიანტებს წარმოადგენს, რომლებიც უფრო მშობლიურია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაკვირვებათა მოხსენებებში ადამიანურ ელემენტს შემოქავეს დიდი განსხვავებები. ერთ დამკვირვებელს შესაძლოა ჰქონდეს უნარი უფრო სხარტად აღიქვას ტონალური, ინტონაციური განსხვავებები – ინტენსივობა, ხანგრძლივობა, რიტმი; ან ერთს შესაძლოა ჰქონდეს უფრო ხანგრძლივი მესხიერება ვიდრე მეორეს. ერთმა დამკვირვებელმა შესაძლოა შეაჩეროს ყურადღება მთელ რიგ დეტალებზე შემთხვევით, განზრახ და კარგი სწავლების შედეგად და, შესაბამისად, „დაინახოს“ და აღნუსხოს ისინი. დასაშვებია, რომ სხვამ ვერ შენიშნოს ასეთი ნიუანსები ერთი და იმავე მოვლენის დაკვირვების დროსაც კი. მსგავსად ამისა, ერთი დამკვირვებელი შესაძლოა დროებით ან მუდმივად დაინტერესებული იყოს ქცევის ერთი კომპონენტით, მაგრამ მხედველობიდან გამორჩეს სხვა კომპონენტები.

ადეკვატური ეტიკური წვრთნა საგრძნობლად ამცირებს ასეთი სახის განსხვავებებს ისე, რომ ინდივიდუალური ფონეტიკური მოხსენებები ენათა ბგერითი სისტემების შესახებ მსგავსია. მიუხედავად ამისა, განსხვავებები სხვადასხვა დამკვირვებლის ეტიკურ მოხსენებებს შორის მაინც იწვევს ბუნდოვანებას.

იმისათვის, რომ ვისაუბროთ გარკვეული სახის ეტიკურ ტიპებზე, ხელსაყრელია მათი სახელდება **ინსტრუმენტალურ, შესავალ და აღქმად ეტიკურ მოხსენებებად**. პირველი მათგანი აღწერს დეტალებს როგორც აბსოლუტურს — ისევე დაწვრილებით და ზუსტად როგორც საზომი ხელსაწყო; შესავალი ეტიკური მოხსენება ისეთი მოხსენებაა, რომელშიც მოცემულია მცდელობა მოგვცეს

განსხვავებები ისეთად, როგორც მოცემული ინდივიდის ან ასეთ ინდივიდთა საშუალო ჯგუფის ფიზიოლოგიური ზღვრები ამის საშუალებას იძლევა. აღქმითი ეტიკური მოხსენებები არის მოხსენება კონკრეტული დამკვირვებლისა მოცემულ დროს, რომელიც ასახავს ნაირსახეობას და იდიონსინკრაზიას — ინდივიდის უნარის, წვრთნისა და ყურადღების მენტალური ფოკუსისა.

ემიკური მოხსენებები მოცემული კულტურის ქცევის კონკრეტული ფაზის ან კომპონენტის შესახებ უნდა იყოს ბევრად უფრო ფორმაზე ორიენტირებული, ვიდრე ეტიკური მოხსენებები, რადგან ემიკური პროცედურები სპეციფიკურად აგებულია იმაზე, რომ ნებისმიერმა მკვლევარმა მოახერხოს მონაცემების აღნუსხვა შინაგანი სტრუქტურის მოცემული წერტილიდან.

როგორც ვხედავთ, პაიკის მოძღვრება მთლიანად ანთროპოცენტრული ტენდენციით ხასიათდება. პაიკი ადამიანის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე არ განიხილავს თითქმის არც ერთ ენობრივ პრობლემას. მხოლოდ ადამიანის, დამკვირვებლის პრიზმაში გარდატეხილი საკითხები ხდება მეცნიერის განხილვის საგანი.

ჩვენ ვნახეთ, რომ ეტიკურად მსგავსი ერთეულები შესაძლოა ემიკურად სტრუქტურულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ახლა ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ და მოცემული საკითხი უფრო ფართო ჭრილში განვიხილოთ. პაიკის მიხედვით, სტრუქტურული მსგავსება ან განსხვავება განისაზღვრება და ანალიტიკურად უკავშირდება ემიკურად სტრუქტურირებულ მთელს—სისტემას.

პაიკი აღნიშნავს, რომ რაიმე სახის თამაში ენაცვლება პატარა კულტურულ სისტემას—გარკვეულწილად მცირე დიალექტის, სპეციალური სტილის ან რომელიმე ენის ანალოგიურ ქვესისტემას. მაგალითად: ბანქოს ორი სახის თამაში შესაძლოა იყოს მსგავსი ისე, რომ თამაშის წესების არმცოდნე დამკვირვებელმა ვერ გაარჩიოს, თუ რომელი თამაშია ეს მაშინაც კი, როცა მას აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა იმაზე, რომ ორი ასეთი თამაში არსებობს მოცემულ საზოგადოებაში. ამ თამაშების კარტები შესაძლოა ჰგავდეს ერთმანეთს, მოთამაშეებიც მსგავსი განლაგებით ისხდნენ, ერთი და იმავე რაოდენობის კარტები ეჭირათ ხელში... და ა.შ. ეს საგნები/მოვლენები და ბევრი სხვა რამ შესაძლოა იყოს ეტიკურად მსგავსი. თუმცა, პირველი თამაში როგორც ერთი მთლიანობა, სრულად განსხვავდება მეორისაგან და ნებისმიერი კონკრეტული ქმედება თითოეულ თამაშში მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მოვლენათა სრულ თანმიმდევრობასთან მიმართებაში, რომლითაც შედგენილია იგი.

თავად კ. ლ. პაიკი ორ სხვადასხვა თამაშზე კრიკეტსა და ბეისბოლზე დაკვირვებით ახდენს აღნიშნულის ილუსტრირებას. როგორც უკუმაგდების ქმედებას (კრიკეტსა და ბეისბოლში) აზრი ენიჭება მხოლოდ თამაშის მთელ სისტემასთან კავშირში, ისე თანხმომავანი ან ხმომავანი ბგერა რელევანტურია კომუნიკაციისათვის მხოლოდ ბგერათა მთელ სისტემასთან მიმართებაში, რომლის ნაწილიც თავად არის. ორ ენაში, ბგერათა წყვილი, რომლებიც იმდენად მსგავსია, რომ ერთსა და იმავედ ეჩვენება გარე დამკვირვებელს, შესაძლოა მოთავსდეს სრულიად განსხვავებულ ადგილას იმ ენის ფუნქციონალურ სისტემაში, რომელშიც მათ ვხვდებით. მაგალითად, ორი ენა შესაძლოა ეტიკურად შედგებოდეს ბგერათა შემადგენლობისგან, რომლებიც აღქმული იყო თითქმის იდენტურად, მაგრამ ემიკურ სისტემაში ბგერების ორგანიზებით ძალიან განსხვავებულად იქცა. დაუშვათ, რომ A და B ენები ცალ-ცალკე შედგება შემდეგი თანხმომავნების რიგისაგან:

p t k K  
 p<sup>h</sup> t<sup>h</sup> k<sup>h</sup>  
 b d g G  
 f s  
 v z

სიმბოლოთა აქ წარმოდგენილი პირველი რიგი გვიჩვენებს ბგერებს, რომლებიც წარმოთქმისას ხასიათდება იმ არტიკულაციით, რომლითაც (სხვა მახასიათებლებთან ერთად) იხურება პირის ღრუ. 'p' ბგერის წარმოთქმისას ტუჩები ასრულებენ ამ მოძრაობას; 't' ბგერის წარმოთქმისას ენის წვერით ხდება იმავე მოძრაობის შესრულება; 'k' ბგერის წარმოთქმისას იდენტური ქმედება ხორციელდება ენის უკანა, მაღალი ნაწილის მიერ, ხოლო 'K' ბგერის წარმოთქმისას დახურვა სრულდება ენის უკანა ნაწილით პირის სიდრმეში. ბგერები p<sup>h</sup>, t<sup>h</sup>, k<sup>h</sup> იგივეა, რაც p, t, k მცირედ გასაგონი ამოსუნთქვით დახურვის შემდგომ. ბგერები b, d, g და G ასევე მსგავსია პირველი რიგის ბგერებისა, გარდა იმ სხვაობისა, რომ მესამე რიგის, ამ ბგერების, სახმო სიმების ვიბრაცია ფიქსირდება წარმოთქმისას. ბგერების 'f' და 's' წარმოთქმის ღროს მოძრაობა იმავე მიმართულებით ხორციელდება (განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ 'f' ბგერის

წარმოთქმისას ქვედა ტუჩი ეხება ზედა კბილებს, ნაცვლად ზედა ტუჩისა) და პირის ღრუს იმავე ორგანოებით, რომლითაც წარმოითქმება 'p' და 't', მაგრამ ამჯერად სრულად არ ხდება ჰაერის ნაკადის შეწყვეტა. 'v' და 'z' ბგერები უმატებენ სახმო სიმთა ვიბრაციას 'f' და 's' ბგერებს.

ვთქვათ, A ენაში  $p^h$  არის იმავე ბგერითი ერთეულის წევრი, რაც p;  $p^h$  არის ეტიკური ვარიანტი. არც ერთი სიტყვა ამ ენაში არ იქნება განსხვავებული მხოლოდ ამ ბგერების მიხედვით. B ენაში კი ორი რიგი არის ემიკურად მკაფიოდ მოცემული. A ენაში 'K' არის ეტიკური ვარიანტი ემიკური ერთეულისა, რომელიც შეიცავს 'K' ბგერას; უკანა ნაირსახეობას 'K' ბგერისა ადგილი აქვს მხოლოდ უკანა ხმოვნების 'a' და 'o' წინამდებარე პოზიციაში. (მაშინ, როცა 'K' წინ უსწრებს წინამდებარე ხმოვნებს 'i' და 'o' ან სხვა თანხმოვანს, ან გვხვდება სიტყვის ბოლოს); G უნდა ჩაითვალოს 'g' ბგერის შემცველი ემიკური ბგერითი ერთეულის ნაწილად მსგავსი მიზეზის გამო.

B ენაში პირიქით, ბგერები 'K' და 'K' შეესაბამება სხვადასხვა, ცალკეულ eme-ს ბგერ სიტყვაში, რომლებიც განსხვავდება მათი წარმოთქმის მიხედვით.

A ენაში ბგერა 'p' განსხვავდება ბგერისაგან 'b', განსხვავებულია აგრეთვე 't' და 'd', 'k' და 'g'.

B ენაში ყრუ და მჟღერი წყვილები ერთიანდებიან ერთ ფონემებად, მჟღერი წევრი გვხვდება ხმოვნებს შორის, სადაც ყრუ წევრები არ წარმოითქმება.

A ენაში 't', 's', 'v' და 'z' წარმოადგენენ მკაფიო ემიკურ ერთეულებს, მაგრამ B ენაში 'f' და 's' ბგერები ერთი ემიკური ერთეულების წევრები არიან, როგორც 's' და 'z' ბგერები, რადგან 'v' და 'z' ბგერები ეტიკურ სადისტრიბუციო ვარიანტებად გვევლინება, რომლებიც გვხვდება მხოლოდ ხმოვნებს შორის, სადაც 'f' და 's' ბგერები არ წარმოითქმება.

ემიკურ ერთეულთა სია A და B ენებში:

A ენა, 10 ემიკური ერთეული:

p t k  
b d g  
v z

B ენა, 9 ემიკური ერთეული:

$p^h$   $t^h$   $k^h$   
p t k K  
f s



f s

თუკი ეტიკურ ვარიანტებს შეზღუდული დისტრიბუციით დაგურთავდით ამ სიებს, მაგრამ მოვათავსებდით ფრჩხილებში იმ სიმბოლოებთან ახლოს, რომლებიც წარმოადგენენ მთლიან ერთეულებს, მივიღებდით ორი სისტემის შემდგომ ტიპს:

A ენა

B ენა

p t k (K)

p<sup>h</sup> t<sup>h</sup> k<sup>h</sup>

(p<sup>h</sup>) (t<sup>h</sup>) (k<sup>h</sup>)

p t k K

b d g (G)

(b) (d) (g) (G)

f s

f s

v z

(v) (z)

(პაიკი 1967:49-50)

საერთაშორისო შეუსაბამოების ანალიზის დროს უდავოდ დიდია მნიშვნელობა იმ ფაქტის შეფასებისა, რომ არა მხოლოდ ბგერები, გრამატიკა, თამაშები და აშკარა ქმედებები შესაძლოა შეიცავდნენ სხვადასხვა ემიკურ სისტემებში მოცემულ ეტიკურ ინვენტარს მოვლენებისა, არამედ ფიქრის პროცესებიც დასაშვებია, რომ განსხვავდებოდნენ იმდენად, რამდენადაც ისინი იყენებენ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობები არის საგანი (სუბიექტი) შესადარებელი წყობისა. ძირეული ეპისტემოლოგიური დამოკიდებულება, ემოციური თვალთახედვა და მორალური ხასიათიც ასევეა აგებული. ერთი ერის ადამიანების მეტყველება (კლასი, საზოგადოება და ა.შ.) შესაძლოა „არალოგიკურად“ ან „გაუგებრად“ უღერდეს მეორესთვის, რადგან დამკვირვებელი დიდი ხნის მანძილზე უცხო თვალთ აკვირდება ქმედებას ნაცვლად იმისა, რომ ეძიოს გზები, თუ როგორ შეისწავლოს ემიკური თვისებები (მოდელები) აშკარა და ფარული ქმედებისა.

იგივე თეორია ეხება ინდივიდთა კომუნიკაციისა თუ ბავშვის განათლების გარკვეულ პრობლემებს. თითოეული პიროვნება გარკვეულწილად შეესაბამება ცალკეულ ქვეკულტურას. მისივე საკუთარი ემიკური მოწყობით გავრცელებული, ჩვეული ემიკური სტრუქტურისათვის ჩვეული გამოცდილება არის პრერეკვიზიტი ორივე ვერბალური და არავერბალური, გაერთიანებულ ერთ მთელში. სანამ ეს არ

ხდება, ნებისმიერი ორი ადამიანისათვის ყოველთვის თავს იჩენს ურთიერთგაგების პრობლემა.

ხანგრძლივი თანაცხოვრების შემდეგ დიდი ხნის დაქორწინებული წყვილი (კარგად შეწყობილი წყვილი) სწავლობს მრავალი სახის ემიკური მიდგომით კომუნიკაციას თუნდაც მცირე, უმნიშვნელო ეტიკური მინიშნების დახმარებით. ადამიანებს, რომელთაც ნაკლები აქვთ საერთო, ან მეცნიერების დისციპლინებს შორის ორმხრივი გაგების მიღწევა უფრო რთული ხდება. მაგალითად: ჩვენს შრომაში სიტყვა „მორფოლოგია“ ეხება გრამატიკული სტრუქტურის ფაზას და არა მცენარეთა სტრუქტურას (ბიოლოგია) ან კიდევ, ტომოგრაფიულ მახასიათებლებს (გეოლოგია).

თითოეულ კულტურას გააჩნია საკუთარი „თეორიები“, საკუთარი კულტურის ფანჯრები, როგორც გზები სამყაროს აღქმისა; და რადგან ერთი მოცემული კულტურის გარემოში ხალხს შეუძლია ურთიერთგაგების დამყარება განსხვავებული მოსაზრებების არსებობის შემთხვევაშიც კი, ასევე შესაძლებელია საუბრის წარმართვა ენობრივი განსხვავებების შესწავლის გზით. ზოგადად ახალი სიტყვების სწავლის ჩვეული გზაა მათი კონტექსტში მოსმენა, რაც ხაზს უსვამს კონტექსტის როლს მნიშვნელობის შეცვლასა და გაგებაში.

ემიკური და ეტიკური ერთეულების შესწავლამ კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ კ. ლ. პაიკი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც შექმნა ენობრივი ქცევის ვერბალური და არავერბალური დონეების ანთროპოცენტრისტულ-კულტუროცენტრისტული ინტერპრეტაციის როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური საფუძვლები.

### **§3. კ. ლ. პაიკის etic / emic ორმხრივი თვალსაზრისით კვლევის წინაპირობა და ამ ცნებათა ინტერპრეტაცია თანამედროვე ენათმეცნიერებაში**

ემიკური ერთეულების შიგნით ვარიანტების არსებობისა და ერთეულთა მთელი სისტემისადმი დამოკიდებულების მოკლედ განხილვის შემდეგ, შეგვიძლია ასევე შევისწავლოთ გარკვეული სახის ქცევის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა.

ფრიზი (1945) დაუინებით მოითხოვდა, რომ ყოველი ენობრივი სიტუაციისათვის ახლად შედგენილი სახელმძღვანელო იყო საჭირო. ცალკეული

„მოდული“ სხვადასხვა ენის შესაბამისი თარგმანით არ გამოდგება. ესპანურის მცოდნეს ინგლისურის შესწავლისას სჭირდება სხვა წიგნი, ჩინურის მცოდნეს ინგლისურის შესწავლისას კი სხვა სახელმძღვანელო. ბევრი სპეციფიკური დეტალი – etics – ინგლისურის, ესპანურის, ჩინურის ბგერები, გრამატიკა და ლექსიკა განსხვავდება. ასე რომ, მათი სწავლება საჭიროა ცალკეულ საკითხებად. დამატებით (და ენისთვის ეს შესაძლოა კიდევ უფრო რთული იყოს) ამ საკითხთა ემიკურ ერთეულებად და თანმიმდევრობებად დაჯგუფება საკმარისად განსხვავდება იმისათვის, რომ საჭიროდ მივიჩნიოთ მათდამი სპეციფიკური მიდგომა. ამასთან, ინგლისური ენის შესასწავლი სახელმძღვანელო ესპანურად მოლაპარაკეთათვის სრულიად განსხვავებულად უნდა იყოს შედგენილი ესპანური ენის სახელმძღვანელოსაგან, რომელიც გათვალისწინებულია ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთათვის.

რაც უფრო მეტად ვიცნობთ ქმედების ორ შესაძარებელ, მაგრამ განსხვავებულ, სისტემებს, მით უფრო ადვილია იმ სირთულეების წინასწარ პროგნოზირება, რომლებიც უნდა გადალახონ შემსწავლელებმა. თუ ორი ენა შეიცავს ბგერით მსგავს ემიკურ ერთეულებს, შესაბამისად გაერცელებული ვარიანტებით, ამ ნაწილაკთა სწორად წარმოთქმის შესწავლისას ნაკლებ სირთულეს წავაწყდებით. თუ კი A ენაში გვაქვს ორი ემიკურად განსხვავებული ბგერითი ერთეული, მაგრამ B ენაში იგივე ეტიკური ბგერები ერთი ემიკური ერთეულის ნაწილებია, B ენაზე მოლაპარაკეს ძალიან გაუძნელდება A ენაზე გასაგებად მეტყველება ამ კუთხით. მაგალითად: ბგერები /ae/, /e/, /i/ ინგლისურ ენაში ემიკურად განსხვავებული ბგერითი ერთეულებია, რომელნიც ქართულში ერთი ემიკური ერთეულის („ე“-ს რიგის ბგერები) ნაწილებია. შესაბამისად, ინგლისურად მოლაპარაკეთათვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს იმ ენათა ბგერების სწორად წარმოთქმა, რომლებშიც ეს განსხვავება ემიკურია.

etic-emic-ური მეთოდის ამხსნელობითი ღირებულება ცხადი ხდება, როცა მას მიუხედავებთ ზოგიერთ პრობლემას, რომელთაც ვაწყდებით უცხო ენის პრაქტიკული სწავლებისას ინგლისურ ენაში. მაგალითად, არის ორი ხმოვანი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება სიტყვებში bait-bet, pate-pet, sail-sell და ა. შ. მათთვის, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა, საკმაოდ ნათელია ეს განსხვავება. შესაძლოა, ინგლისურად მოსაუბრეებს გაუკვირდეთ კიდევ იმის აღმოჩენა, რომ ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ლათინო-ამერიკელთათვის საოცრად რთულია ინგლისური ენის შესწავლის პროცესში ამ ბგერების განსხვავებულად

წარმოთქმა. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათა მნიშვნელობა დამოკიდებულია სწორედ მათ სწორად წარმოთქმაზე, მაინც მათ სჭირდებათ ხანგრძლივი დრო იმისათვის, რომ განასხვავონ ხმოვნები bait და bet (ისევე როგორც bit, bet, bat).

აღნიშნული სირთულე კიდევ უფრო გასაკვირი ხდება, როცა ვნახავთ, რომ მათ ენაშიც არსებობს მსგავსი ბგერები. ისმის კითხვა: თუ ესპანურსა და ინგლისურში არის „ერთი და იგივე ორი ბგერა, რატომ უნდა გაუჭირდეთ ესპანურად მოლაპარაკეთ ინგლისურ ენაზე მსგავსი ბგერების წარმოთქმა? პასუხი სწორედ etic-emic-ურ ხედვაში მდგომარეობს. ეტიკურად, ესპანურისთვის და ემიკურად ინგლისურისთვის ბგერები იგივეა, ან დაახლოებით იგივე. ემიკურად ისინი აბსოლუტურად განსხვავებულნი არიან. მაშინ, როცა ინგლისურში ეს ხმოვნები ზოგჯერ მსგავს პოზიციაში გვხვდება სიტყვებში – თანხმოდანთა ერთი და იმავე წყვილებს შორის მაგ. bait-bet – ესპანურ ენაში მათი გამოყენება მხოლოდ განსხვავებულ კონტექსტში გვხვდება.

პირველი ხმოვანი ინგლისური სიტყვისა "halo" ძალიან ჰგავს ესპანურ სიტყვას "pelo" (თმა). ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ "pelo" და "halo" ერთმანეთს ერთმანეთს. შესაბამისად, ინგლისური ენის ბგერა დიალექტის "perry" ძალიან ჰგავს ესპანურ სიტყვას "perro" (ძაღვი). მაგრამ ესპანური სიტყვის "pelo" პირველი ხმოვანი არასდროს არ დგას "-r" ბგერების წინ; ხოლო პირველი ხმოვანი ბგერა სიტყვის "perro" გვხვდება მხოლოდ "-r" ბგერების წინ. ამასთან, ბგერები სიტყვებისა "bait" და "bet" ინგლისურში განასხვავებენ მნიშვნელობებს კონკრეტული სიგნალების პოზიციაში. კონტრასტული სტატუსი ამ ორი ეტიკურად განსხვავებული ინგლისური ხმოვნებისა აქცევს მათ ასევე „ემიკურად“ განსხვავებულად. არაკონტრასტული დისტრიბუცია ორი ეტიკურად განსხვავებული ესპანური ხმოვნებისა პირიქით, ტოვებს მათ „ემიკურად იგივე ბგერებად“.

შესაძლებელია მოცემული პრობლემის განზოგადება: როცა ერთი ენა შეიცავს ორ ეტიკურად განსხვავებულ ხმოვანს, რომლებიც ემიკურად იგივეა, ამ ენაზე მოლაპარაკეთ შეექმნებათ სირთულე იმ ბგერათა წარმოთქმისას იმ უცხო ენაში, რომლებშიც ისინი ემიკურად განსხვავებულია. ეს თეორეტიკული პრინციპი მნიშვნელოვანწილად საფუძვლად უდევს ბოლო პერიოდის სახელმძღვანელოების მომზადებას უცხო ენების პრაქტიკული კურსის სწავლებისათვის.

ემიკური ერთეული არ არსებობს ვაკუუმში. იგი არის როგორც ერთი წერტილი უფრო ფართო სისტემისა, რომლის შემადგენელი ნაწილიც თავად არის. ემიკური სისტემა არ არის ერთეულთა არაორგანიზებული აგრეგატი, მსგავსად

ვედროში ჩაყრილი ბილიარდის ბურთებისა, არამედ იგი არის ურთიერთდაკავშირებული ერთეულების წყება, რომელთაგან თითოეული თავისი ფუნქციური არსებობით დამოკიდებულია სისტემაში სხვა თანმხლებ ერთეულთა ფუნქციურ არსებობაზე სწორედ ისევე, როგორც შეიძლება განვსაზღვროთ „ვაეი“ „მამასთან“ მიმართებაში და პირიქით. ხმოვანი ბგერა “e” ფუნქციობს სისტემაში სხვა ხმოვნებთან მიმართებაში, რომლებიც გავრცელებულია სისტემაში მის კონტრასტულად.


ჩვენი საკუთარი ემიკური მოდელი ქცევისა ძლიერ გავლენას ახდენს, შეიძლება ითქვას, აკონტროლებს კიდევ ჩვენს აღქმით სისტემას. ჩვენ გვესმის უცხო ენის ბევრი კომპონენტი მშობლიური ენის ემიკური ერთეულების სახით. ესპანურად მოლაპარაკეს არ გაუჭირდება სიტყვების bit/bet ან mate/met წარმოთქმა, მაგრამ აუცილებლად შეექმნება დაბრკოლება მათ შორის განსხვავების გაგების მხრივ მოსმენის დროს. ამ შემთხვევაში იგი ახდენს ეტიკური მონაცემების რეინტერპრეტაციას საკუთარი გამოცდილების იმ სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, რომლებიც არ შეიცავს ამგვარ განსხვავებას.

ეს ემიკური შემეცნებითი რეინტერპრეტაცია ეტიკური მონაცემებისა (ან ემიკური მონაცემებისა სხვა სისტემაზე) შესაძლოა ილუსტრირებულ იქნას კენჭების ყუთების ბადეში ჩაგდების მაგალითით. დაუშვათ, რომ ყუთების ფორმა ასეთია:


ნახ. 2.2.


შემდგომ ვივარაუდოთ, რომ გამყოფები ისეთი გამჭვირვალეა, რომ მათი დანახვა შესაძლებელია. ბადის ფორმა ასევე განისაზღვრება იმ მოდელით, რომელსაც კენჭები ქმნიან ჩავარდნის დროს.

(ბადე ა)



განსხვავებული ფორმის ბადე შეიქმნება კენჭის შემდგომი მოდელიდან. (ბადე ბ)



(პაიკი 1996:35/36)

მაგრამ თუ ჩვენ ჩავაგდებთ კენჭებს ბადეში (ბ), და ამ ბადესა და მიწას შორის მოვათავსებთ (ა) ბადეს, საბოლოო კენჭის მოდელი მიწაზე ძლიერ განისაზღვრება (ა) ბადით.

აღნიშნულის მიხედვით შესაძლოა ვთქვათ, რომ ესპანურად მოლაპარაკეს აქვს ფონემიკური ბადე (ა), როცა უსმენს ბადედან (ბ) მომავალ ინგლისურს. ამიტომ, ესპანელს მაინც საკუთარი ბადიდან (ა) ესმის და ახდენს (ბ) ბადის იმიტირებას დამახინჯებულად, როცა წარმოთქვამს (ა) ბადიდან.

მსგავსი პრობლემები არსებობს არა მხოლოდ ენების, არამედ ჩვეულებების, აზრების ან ფილოსოფიური სისტემების გაგების სირთულეთა გააზრებაში.

განათლება, მნიშვნელოვანწილად არის პროცესი, რომელიც ახორციელებს სტუდენტის ფართო ეტიკურ კულტურათშორის წვრთნას, სხვადასხვა ემიკური სიტუაციების გამოცდის გზით და ასეთ სიტუაციებზე რელევანტური სტრუქტურის მორგების საშუალებით ისე, რომ სტუდენტს მიეცეს საკმაო ადაპტირების უნარი, რათა არ იყოს მიჯაჭვული საკუთარ ემიკურ ბადეს. ვარჯიშმა შესაძლოა გარკვეული გამოცდილება შესძინოს სტუდენტს მხოლოდ ერთი კონკრეტული ბადის შიგნით.

ამ თვალსაზრისით, განათლებამ, რომელიც განსხვავდება ვარჯიშისაგან, უნდა შესძინოს უფრო ფართო გამოცდილება ისე, რომ ღრმა ეტიკური ცოდნის საფუძველზე სტუდენტი გახდეს მოქნილი და შემეცნებითად წარმოსახვითი, როცა იგი დადგება პრობლემის ან მისი ემიკური სტრუქტურის წინაშე. კარგი იქნება, თუ

ლინგვისტური ლექციები ჩაუტარდებათ ისეთ სტუდენტებს, რომელთა პირველადი ინტერესის სფერო ენა არ გახლავთ. ეს შეაიარაღებთ მათ სამყაროს ხედვის სტერეოსკოპული ფანჯრით.

ახლა შესაძლებელია ვისაუბროთ იმაზე, რომ ენის თეორიას, რომელიც განზოგადებულია etic-emic ორმხრივი ხედვით, გააჩნია მრავალი თანაკვეთის წერტილი ფილოსოფიურ პრობლემებთან. ამჯერად, განხილვის გარეშე მათი ჩამოთვლით შემოვიფარგლებით:

როგორ გავლენას ახდენს ენობრივი ბაღე — ლინგვისტური ემიკური სისტემა — ადამიანის მიერ სამყაროს აღქმაზე? სინამდვილის რომელი მახასიათებლები ადგენენ ადამიანის ემიკური სისტემის ზღვარს: აღქმითი თუ ლინგვისტური? არის თუ არა რომელიმე ფაქტი, შემჩნეული ადამიანის მიერ, „ემიკურად“ ისე მოწყობილი, რომ თავისთავად არ იყოს მოქცეული დამკვირვებლის სტრუქტურების გავლის ქვეშ? არსებობს თუ არა რაიმე ნეიტრალური ფაქტი, რითაც შესაძლოა დავიწყოთ განხილვა? რა კავშირია სუბიექტურ და ობიექტურ მონაცემებს შორის, თუ ობიექტური მონაცემები მაღავეს თავის თავში ადამიანის ემიკური სტრუქტურის კომპონენტს? როგორ უკავშირდება ასეთი ვარაუდები ფიზიკური თეორიის პრობლემებს, რომელშიც დამკვირვებელი უნდა შემოვიდეს მხედველობაში? თუ ყველა საკითხი ემიკური სტრუქტურისაა, როგორ ვახდენთ მრავალგვარობის პრევენციას და რა აკონტროლებს საერთო არსის აუცილებელ არსებობას — გამოცდილების ბირთვის, რომელიც ყველა ენაში მოიპოვება, - და შესაძლებელს ხდის თარგმანს ერთი ენიდან მეორეზე?

თუ დავუბრუნდებით პრაქტიკულ საკითხებს, შესაძლებელი იქნება დავინახოთ სტერეოსკოპული კუთხით, თუ რატომ უძნელდება ზოგიერთ ადამიანს იყოს მეგობრული სხვა კულტურის წარმომადგენლების მიმართ. ისინი უყურებენ ხალხს, ჩვეულებებს, მოვლენებს და პრობლემებს მხოლოდ თავიანთი ემიკური ბადიდან. რაც უნდა იყოს ამ არაადაპტირებულობის, მოუქნელობის მიზეზი — გამოცდილების სიმცირე, სხვათა მიმართ ინტერესის ნაკლებობა თუ ეგოიზმის რაღაც გამოვლინება — მას მიყვაროთ გაუგებრობებამდე, კულტურულ განხეთქილებებამდე, არაეფექტურობამდე და ზოგჯერ კულტურულ სისტემაზე სერიოზული ზიანის მიყენებამდეც კი. ზიანი კი შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ ვიღაც მაღალი მოტივებით მოქმედებს, მაგრამ აკლია სიყვარული. სწორედ სიყვარული შეაძლებინებს მას ნელა, მოთმინებითა და ეგოიზმის გარეშე დაამყაროს ურთიერთობა სხვებთან. ამას ესაჭიროება ხალხი, რომლებიც არიან

კომპეტენტური და, ამავე დროს, ერთგულნი გულისა და გონებისადმი ასევე, სულიერად თავდადებულნი, ინტელექტუალურად დისციპლინირებულნი და პიროვნულად მეგობრულები.

ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ სეპირმა განჭვრიტა ის ძირითადი თვალთახედვა, რომლითაც etic და emic თვალსაზრისს განვასხვავებთ ერთმანეთისაგან. მანვე მიანიშნა იმ ფონოლოგიურ სისტემებზე, რომელშიც ორ ენას შესაძლოა ჰქონოდა ეტიკურად იდენტური, მაგრამ ემიკურად განსხვავებული სისტემები. პაიკი ამ უკანასკნელს მიიჩნევს ძირეულ აღქმად – წყაროდ ემიკურ ერთეულთა და ემიკური სისტემების, როგორც ასეთის, სისტემატიკური კავშირის ლინგვისტურ ველში. თუმცა, სხვა ავტორებიც უფრო ადრეულ პერიოდში შეეცადნენ ფონემიკური კავშირის გაგებას, მაგრამ მათ კავშირს საერთო ემიკურ სისტემასთან ღრმად არ ჩასწვდომიან.

საინტერესო იქნება სეპირის შემდეგი ციტირება:

„ექსტერნალურ, გარე დაკვირვებებს ინდივიდთა მარეგულირებელ პროცესზე ხშირად ფსიქოლოგიური მნიშვნელობის კუთხით არასწორ გზაზე გავყავართ. ჩვეული მიდგომა, მაგალითად, იმ ქმედებათა ტენდენციებისადმი, რომლებიც ცნობილია როგორც რადიკალური და კონსერვატორული, ნამდვილ ფსიქიატრს არ აღაფრთოვანებს, რადგან მან ყველაზე უკეთ იცის, რომ ქცევის იგივე ტიპს ექსტერნალური შეფასებისას შესაძლოა აღმოაჩნდეს სრულიად განსხვავებული, საპირისპირო მნიშვნელობებიც კი სხვადასხვა ინდივიდებისათვის” (სეპირი 1932:520). შესაძლოა პარალელი გავავლოთ პირობითად მარსიდან ჩამოსულ დამკვირვებელთან, რომელმაც არაფერი იცის იმ ჩვევების შესახებ, ჩვენ რომ ომს ვუწოდებთ. იგი ინტუიციურად შეცდომაში შედის და დასჯად მძიმე მკვლელობას და ბრძოლის დროს სავსებით ლეგალურ და ე.წ. კეთილშობილურ, გამირულად მტრის განადგურების აქტს ერთმანეთში ურევს (სეპირი 1927:556).

შევადართო კლუკონის მსჯელობას: „ორ კულტურას შესაძლოა ჰქონდეს თითქმის იდენტური ინვენტარი და მაინც აბსოლუტურად განსხვავდებოდნენ... პირველი პასუხისმგებლობა ანთროპოლოგიისა არის განიხილოს მოვლენები ისე, როგორც ამას ის ხალხი აღიქვამს, ვისაც იგი შეისწავლის”. (კლუკონი 1949:34).

ფონეტიკასა და ფონემიკას შორის დამოკიდებულების საკითხის შესწავლის განვითარება სეპირის მნიშვნელოვანი სტატიის (Sapir 1925) გამოსვლის შემდეგ განხორციელდა ბევრი მკვლევარს მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.



შესაბამისად, მორფემიკის შესწავლა სწრაფად განვითარდა რისი ძირითადი სტიმული ბლუმფილდის (1993 ), შემდეგ ჰარისის (1942 ) სტატიები გახლდათ.

საკუთრივ პაიკი, კონკრეტულად ფონემიკური პრინციპების გაგების მხრივ თავს სეპირის (Sapir 1925), ბლუმფილდის (Bloomfield 1933), სვოდეშის (Swadesh 1934, 1935, 1937) და - ბევრად უფრო ნაკლებად – ტრუბეტკოის (Trubetskoy 1935) მოვალედ თვლის.

ენ არბორში 1937 წელს ჩატარებულ კონფერენციაში პაიკმა პირველად მოისმინა სეპირისაგან ენის ჩოგბურთის თამაშთან შედარების მაგალითი. თუმცა, მეცნიერი შენიშნავს, რომ ის მიზეზები, რის გამოც პაიკმა მხოლოდ ენობრივი საკითხებიდან გადაინაცვლა etic-emic-ური კულტურული პარალელებისაკენ განპირობებული იყო იმ პრობლემებით, რომელთაც იგი ლინგვისტურ თეორიაში წააწყდა. ეს მოხდა სრულიად დამოუკიდებლად სხვა მეცნიერთაგან.

პაიკი მხოლოდ თავის თეორიაზე მუშაობისას წააწყდა სეპირის იმ საგულისხმო მინიშნებებს და პარალელებს, რომელთა ციტირებასაც ვხვდებით მის შრომებში. ხოლო სტუდენტის მიერ ერთი ემიკური ენობრივი სტრუქტურებიდან მეორეზე გადასვლის დროს არსებული თითოეული სიტუაციისთვის ცალკეული სახელმძღვანელოს საჭიროების საკითხზე ყურადღება პირველად ფრიზმა გაამახვილა (ფრიზი 1952).

ბოლოდროინდელი მოთხოვნა ენის თეორიისადმი უფრო ზოგადი მიდგომისა შესაძლოა განვმარტოთ, როგორც ენის ელემენტების ეტიკური შესწავლის საჭიროება როგორც ერთი მთლიანობისა კონკრეტულ ენაზე მუშაობისას. უნივერსალური გრამატიკის პრობლემა, პაიკის აზრით, შესაძლოა ნაწილობრივ გადმოიცეს ეტიკურ-ემიკური ტერმინებით.

ლასველი და კაპლანი იყენებენ ტერმინს ქცევა (behaviour) იმ ქმედებების აღწერისათვის, რომლებიც კულტურას უკავშირდება, ხოლო როცა ქმედება ექვემდებარება კულტურას – ტერმინს "conduct" (ლასველი, კაპლანი 1950:48). ქმედებას ისეთ ოპერაციას უწოდებენ, როდესაც მოვლენები განიხილება მნიშვნელობის გარეშე (შევადართ ეტიკ ერთეულები), მაგრამ პრაქტიკად მოიხსენიებენ, ისეთ ოპერაციებს, როდესაც მოვლენები განიხილება მნიშვნელობის პერსპექტივაში (შევადართ ემიკური ერთეულები).

მედერი უპირისპირებს თავისუფლების ენებს კომუნიზმის და ნაციზმის ენებს (მედერი 1962:92-95-97), დემოკრატიის თემის განხილვას ვხვდებით ლასველთან და კაპლანთან (ლასველი, კაპლანი 1950:239).

etic/emic შინაარსის ხალხურ ზღაპრებზე მისადაგება მოახერხა დანდესმა (დანდესი 1962, 1963). ხოლო, თუ როგორ განხორციელდა სოციალურ სტრუქტურებზე მათი მორგება, კარგად არის მოცემული ბოკთან, რომელიც ამბობს, რომ იგი ეცადა აეთვისებინა ის მიდგომა, რომელსაც პაიკი ემიკურს უწოდებს.

ადამიანთა საზოგადოებების, პროცედურების etic-სა და კულტურათაშორისი საკითხებისადმი მისასადაგებელი ტერმინების მიკვლევა შესაძლებელია ოლივერთან (ოლივერი 1958:807). ექსტენსიური ეტიკური აღწერილობები მცენარეებისა და პრიმიტიულ კულტურაში მათი გამოყენების შესახებ ინფორმაცია გვხვდება რობინსთან, ჰერინგტონთან და სხვებთან.

უფრო ადრეული, იმავე შინაარსის შემცველი სახელწოდებების მოსაძიებლად, რომელთაც რაღაც კავშირი აქვთ etic-emic მიდგომასთან, საინტერესოა ლევინი, რომელიც აღარებს არისტოტელესეულ შეუცნობად გარეგნულობას ბიოლოგიის ცნებას „ფენოტიპი“, და გულისხმობს, რომ არისტოტელეს მიდგომა იმ მახასიათებლებისადმი, რომლებიც განსაზღვრავენ საგნის დინამიკურ კავშირებს შესაძლოა შევადაროთ გენოტიპს მისი განპირობებული გენეტიკური კავშირებით (ლევინი 1936:11).

ასე რომ, ქვის ვარდნა, პლანეტის ბრუნვა ორბიტაზე და ქანქარის რხევა წარმოადგენენ ერთი და იმავე გენოტიპის სხვადასხვა ფენოტიპებს.

ზოგადი პრობლემა შესაძლოა შეჯამდეს გუდენოუს შეფასებით, რომელიც ამტკიცებს, რომ „მეცნიერების დიდი პრობლემაა, თუ როგორ მივიდეთ მატერიალურობის ობიექტური სამყაროდან მისი მრავალგვარობით (სამყაროს ეტიკური ხედვა), ფორმის სუბიექტურ სამყარომდე, რამდენადაც იგი არსებობს ჩვენი თანამემამულეების „თანამოძმეთა გონებაში“ (მათი ემიკური ერთეულების აღმოჩენის გზით) (გუდენოუ 1957:173).

ჩვენი ხედვის მიხედვით ყოველ ემიკურ ერთეულს გააჩნია ფიზიკურად გამოვლენილი კომპონენტი ისე, რომ ფიზიკური მახასიათებლები გადაბმულია ფუნქციურ მახასიათებლებზე ფორმა-მნიშვნელობის კომპოზიტიში.

მნიშვნელოვანია, ასევე, პაიკისა და ჰარისის განსხვავებული მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი. 1988 წლის ამერიკის ანთროპოლოგიური ასოციაციის ყოველწლიურ შეკრებაზე გაიმართა დებატები „ინსაიდერ/აუთსაიდერის“ ცნებებთან დაკავშირებით პაიკსა და ჰარისს შორის, რომელიც ეხებოდა etic-emic ცნებებს, რომლებიც პირველად პაიკმა შემოგვთავაზა (1954წ.) და მათ ჰარისიეულ ვერსიებს

(1964 წელს და უფრო გვიან). საინტერესოა ამ ისტორიულმა „გონებათა შეხვედრამ“ გამოიწვია თუ არა მათ შორის რაიმე თანხმობა?

კ. ლ. პაიკი აღნიშნავს, რომ იგი დიდად აფასებს ჰარისის შეხედულებას ადამიანური ისტორიის გაგებისათვის ინფრასტრუქტურის მნიშვნელობის თაობაზე და ძალიან ღირებულად თვლის მისეულ შეფასებას ინფრასტრუქტურის არჩევანზე გავლენის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

„როცა ხდება ისტორიის შესწავლა ჩანაწერების გარეშე უნდა შევისწავლოთ ნარჩენების გროვა და სხვა საჭირო ინფორმაციის წყარო: ჩემთვის ეს გასაგებია და მესმის, თუ როგორ წარმართა ამან ჰარისის ყურადღება აღნიშნული მიმართულებით – ამბობს პაიკი, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, მე არ მქონია მათი ხელმისაწვდომი მონაცემები, მხოლოდ ერთად მოსაუბრე ცოცხალი მოლაპარაკებები, რამაც მიბიძგა, მომესმინა მიმდინარე სოციალური ინტერაქციისათვის სოციალურ ურთიერთობებზე დაფუძნებული არჩევანის გაკეთებისას. (პაიკი 1967:60)

შედგებად, პაიკის მიდგომა დაეყრდნო არჩევანს, როდესაც ის პირისპირ დადგა ზემოთ მოყვანილ ალტერნატივებთან და სოციოლინგვისტურ წრესთან, წარმოიშვა რა ნაწილობრივ საკვებისა და სამოსის მნიშვნელოვანი საჭიროებიდან.

აბორიგენებთან ყოფნის დროს, თავის მხრივ, აღნიშნულმა ფაქტმა მეცნიერი მიიყვანა სოციალური ინტერაქციის, როგორც საწყისი წერტილის, განხილვამდე. ემიკური კავშირები დამავიწყებელი, გადამწყვეტ ფაქტორად ხალხის გაგებისთვის.

მაშინ მეცნიერისთვის ყველა ადამიანური არჩევანის წყაროდ ხელმისაწვდომმა განზოგადებულმა ფონურმა სტრუქტურამ გამოიწვია ეტიკური სტრუქტურის (პირველ რიგში ფონეტიკის) მხედველობაში მიღება, საიდანაც შესაძლებელი იყო კონკრეტული კულტურის ემიკური სხვადასხვაობის დანახვა.

ასე რომ, პაიკისათვის ეტიკური, უნივერსალური ისტორიული ნიმუში, და ემიკური, კულტურულად სპეციფიკური მოდელი, ყოველთვის გადაჯაჭვული იყო და არ შეიძლებოდა მათი ცალ-ცალკე კვლევა ან კიდევ რიგ-რიგობით ჯერ ერთის, როგორც გონების გარეთ და შემდეგ მეორის – როგორც მის შიგნით არსებულის. პაიკს თავიდანვე სჭირდებოდა ჰოლისური ხედვა. მას არსებითად მიაჩნია ანთროპოლოგიისათვის, რომ თანაბრად დაფასდეს ორივე ფაქტორის საჭიროება ფიზიკურ ან სოციალურ სიტუაციებში ხელმისაწვდომი ქმედებების,

განზოგადებული ეტიკური ნიმუშისა და სპეციფიკურ კულტურაში მისი ემიკური ფორმალიზების შესაძლებლობა. (კეი 1993:7)

ამგვარად, – etic და emic ცნებების კვლევა დიდი ღირებულების მქონეა ქცევის ანალიზის გარკვეული ფაზებისათვის. ამ ორი მიდგომით კვლევისას წარმოიშობა ე. წ. „სამგანზომილებიანი ეფექტი“, „ბრტყელი“ ეტიკური კვლევიდან ადამიანის „სამგანზომილებიან“ გაგებამდე. აღნიშნული ერთეულების ღირებულებას კიდევ უფრო ახლებურად დავინახავთ, თუ პაიკის თეორიას ჰუმბოლდტს დავუკავშირებთ.

ადამიანი, როგორც ენობრივი არსება, ცხოვრობს როგორც:

- 1) ზოგადი ენით აგებულ სამყაროში; ისე
- 2) კონკრეტული ენით აგებულ სამყაროში.

პაიკის მიხედვით, ენობრივი ელემენტები etic ერთეულებია, ხოლო მათი კატეგორიზაციის შედეგი – emic ერთეულები. შესაბამისად, etic მიდგომა ეხება ყველა კულტურას ან ენას ან მათ შერჩეულ ჯგუფს ერთდროულად. emic მიდგომა კულტურულად სფეციფიკურია და მხოლოდ ერთ ენას ან კულტურას მოიცავს. ე.ი. კულტურათაშორის ოპოზიციასთან გვაქვს საქმე.

ჰუმბოლდტის თეორიით, კულტურას ენობრივი ფესვები გააჩნია.

„ენა არ არის ქმედების პროდუქტი (Ergon), იგი თვით ქმედებას (Energia) წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მისი ნამდვილი განსაზღვრება მხოლოდ გენეტიკური შეიძლება იყოს... ჩვენ სამართლიანად წარმოვიდგენთ ენას კიდევ უფრო დიდ ფენომენად, ვიდრე უბრალოდ ადამიანურ პროდუქტად. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს სულიერი მხარეც, რადგან კაცობრიობის ენათა სტრუქტურების განსხვავება გამოწვეულია ერების სულიერი თვითმყოფადობით.“ (ჰუმბოლდტი 1903:70).

არსებული უამრავი ვერბალური ქცევიდან ენები არჩევენ ვერბალური ქცევის იმ ფორმას, რომელიც უკეთ ერგება მათი ენის ემიკურ სტრუქტურას.

პაიკის მიხედვით, ვერბალური და არავერბალური ქმედების ერთობლივი შესწავლით ენის კვლევას წარვმართავთ სწორი მიმართულებით.

ჰუმბოლდტთანაც „ერის გონის“ შესაცნობად ამოსავალი ენაა. ზოგადი ვარიანტებიდან ადამიანი ირჩევს მისი კონკრეტული ენის ვარიანტებს. ე.ი. ენაში არსებული მოდელები არის etics და რასაც ვიყენებთ, emics. ჰუმბოლდტისეული „ზოგადი და შენი ენით აგებული სამყარო“ პაიკის etic და emic ერთეულებშია

წარმოდგენილი. თუ ამ ლოგიკის ხაზს გავეყვებით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პაიკი ჰუმბოლდტის სოციოლინგვისტური გამოვლენაა.

ამრიგად, 'etic' და 'emic' ორმხრივი თვალთახედვით კვლევა უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა თანამედროვე ლინგვისტურ წამყვან დარგებში არა მხოლოდ ღრმა, თეორიული ანალიზის ჩატარების კუთხით, არამედ მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. ამ კუთხით განსაკუთრებით ღირებულია აღნიშნული მიდგომის მიმართება კულტუროლოგიასთან.

ცნებების 'etic' და 'emic' ავტორი, ენას კულტურისაგან განყენებულად არ შეისწავლის, პირიქით, იგი ნებისმიერ ენობრივ მოვლენას უფრო ვრცელ კონტექსტთან — კულტურასთან მიმართებაში განიხილავს, რამაც კულტუროლოგიური საკითხების შესწავლის ახალი ეტაპი დაამკვიდრა ენათმეცნიერებაში.

უაღრესად დიდია, ამ თვალსაზრისით, კვლევის მეთოდოლოგიური ღირებულება კულტუროლოგიური პარადიგმის ჩამოყალიბების პროცესში. საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ და პაიკისეული თეორიის ნოვატორულმა დატვირთვამ შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა.

## II თავის დასკვნები:

1) პაიკისეული მოძღვრების ანთროპოკულტუროცენტრისტული არსის უშუალო გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ სოციალური ინტერაქციის მისეული პრინციპები. ეს უკანასკნელი გარემოება ქმნის ამ მოძღვრების იმ თანამედროვე თეორიაში ინტეგრირების პერსპექტივას, რომელიც სოციალურ ინტერაქციას განიხილავს ერთდროულად როგორც ენობრივ და კულტურულ ფაქტს.

2) პაიკისეული მოძღვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის ის ჰოლისტური ხედვა, რომელიც არა მარტო იძლევა ენობრივი სისტემის და ვერბალური ქცევის ეტურ და ემურ დონეთა სინთეზურად ურთიერთდაკავშირებული ხედვის შესაძლებლობას, არამედ გულისხმობს კიდევ ამ ხედვის მონაცემთა ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციის აუცილებლობას.

3) პაიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამსახურებად მიჩნეულ უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა არა მხოლოდ გამოიჭინა ერთმანეთისაგან ენობრივი ქცევის ვერბალური და არავერბალური დონეები, არამედ შექმნა კიდევ მათი ანთროპოცენტრისტულ — კულტუროცენტრისტული ინტერპრეტაციის როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური საფუძვლები.

etics — emics, როგორც ოპოზიციური წყვილის თანმიმდევრული განხილვით და როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ ენობრივ ქცევებთან მათი კავშირის ხაზგასმით, პაიკმა რეალური საფუძვლები შეუქმნა ენის ისეთ ჰოლისტურ აღქმას, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თანამედროვე ლინგვისტური ანთროპოკულტუროცენტრიზმი.

4) პაიკისეული მოძღვრების ჭეშმარიტად თანამედროვე რეცეფციის წინაპირობად მიჩნეულ უნდა იქნას არა მხოლოდ ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევაში მისი ინტეგრაცია, არამედ მისი დაკავშირებაც ენის ჰუმბოლდტისეულ კონცეფციასთან, რადგან სწორედ თანმიმდევრული ანთროპოკულტუროცენტრიზმი უნდა ჩაითვალოს ორივე ამ მეცნიერისა და მოაზროვნის ფუძემდებლურ პრინციპად.

### თავი III

## კ. ლ. პაიკის როლი XX საუკუნის ენათმეცნიერების ანთროპოცენტრისტულ და კულტუროცენტრისტულ პარადიგმათა ბანკითარებაში

„წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“. მეცნიერების ნებისმიერი დარგის განვითარება წარსულ ისტორიულ კონტექსტში იღებს სათავეს. ამიტომ, ყოველი თეორიის, მათ შორის ლინგვისტური მოძღვრების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი მხოლოდ არსებული მეცნიერული მემკვიდრეობის საფუძველზე და ენათმეცნიერების თანამედროვე მიმართულებებთან კავშირში უნდა განხორციელდეს. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა მეცნიერული თეორიების სწორად შეფასების საშუალებას იძლევა, რაც შესაბამისად, გარკვეულ წვლილს შეიტანს ლინგვისტური აზროვნების შემდგომი ევოლუციის საქმეში.

ჩვენი საკვალიფიკაციო შრომის მიზანი სწორედ ამ მიმართულებით განისაზღვრა. შევეცადეთ შეგვესწავლა ცნობილი ამერიკელი ენათმეცნიერის კენეტ ლი პაიკის მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობა და გაგვეკეთებინა გარკვეული დასკვნები მისი ლინგვისტური მოძღვრების შეფასების კუთხით.

I და II თავებში წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე ვახდენთ პაიკის თეორიული და პრაქტიკული მიღწევების განზოგადებას არსებული მეცნიერული კონტექსტის ჭრილში, რის წარმოდგენასაც შევეცდებით სადისერტაციო თემის მოცემულ ნაწილში.

### **§1. კ.ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლები და მათი მიმართება თანამედროვე ლინგვო-კულტუროლოგიურ პრობლემატიკასთან**

„მე ვისურვებდი ისეთი ფილოსოფიის არსებობას, რაც გაამყარებდა ჩემს ყოველ ჩვეულებრივ გამოცდილებას ისევე, როგორც ასახავდა ჩემი და ჩემი წინამორბედების აკადემიურ ცხოვრებას. მე მინდა ფილოსოფია, რომლითაც

ვიცხოვრებდი და რომლითაც ვიაზროვნებდი.” (პაიკი 1987:79) – აღნიშნავს მეცნიერი. საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობს პაიკი მოცემულ შენიშვნაში, როგორია მკვლევარის აზროვნების ფილოსოფიური ფონი და რა წვლილი მიუძღვის მის ლინგვისტურ მოძღვრებას ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაში.

სანამ მსჯელობას ამ მიმართულებით გავშლით, აუცილებელია მიმოვიხილოთ ლინგვისტიკის საწყისი პრინციპები, რომლებიც იმთავითვე განსაზღვრავს პაიკის მოძღვრების ფილოსოფიურ წინამძღვრებს:

1. ენის შესწავლის მონოლინგუური მიდგომის მართებულობის გაგება და არსებული რეალობის ემიკური ბუნების მიღება მოიცავს ორ საწყის წერტილს:

ა) თარჯიმნის გარეშე ენის შესწავლა საჭიროებს „დასაკვირვებელი წინადადებების” ნაწილობრივ სიზუსტეს და მათი მნიშვნელობის ინტერსუბიექტურ თანხმობას;

ბ) ენობრივ სტრუქტურასა და სხვა ბიჰევიორულ სტრუქტურებს გააჩნიათ ერთეულები, რომლებიც „ემიკურია” – ე. ი. ისინი ნაწილობრივ ენათესავეებიან კონკრეტულ კულტურას და ნაწილობრივ შედგენილნი არიან თანდაყოლილი ადამიანური თვისებებით, რაც განპირობებულია ხალხის კავშირით სამყაროს მათ გარშემომყოფ ნაწილთან;

გ) მონაცემებთან დამკვირვებლის კავშირი შეცნობადი მასალის ნაწილია.

2. იერარქიულად აღქმული ენა და ნიმუშებად შემეცნებული რეალობა ავტორის თვალთახედვით აფუძნებს შემდგომ ფილოსოფიურ ვალდებულებებს:

ა) ენის ემიკურ ერთეულებს ვხვდებით ენისა ან ქცევის კიდევ უფრო ვრცელ ემიკურ ერთეულებში იერარქიის სამ სხვადასხვა ტიპში;

ბ) იერარქიულ სტრუქტურებსა და მათ ურთიერთგადაკვეთას მივყავართ იმ ნიმუშებამდე, რომელთა აღწერილობა თეორიის ელემენტებს მოიცავს;

გ) იერარქიულ მოდელირებას და ურთიერთშერწყმას გააჩნია სხვადასხვაგვარი იმპლიკაცია თეორიისა და ანალიზისთვის.

3. N-განზომილებიან მოდელს მივყავართ ყოველდღიური გამოცდილების პარადოქსებამდე, რაც უკუაგდებს ლოგიკური მიდგომის სიმარტივისა და დამარწმუნებლობის მოლოდინს:



ა) ცალკეული ერთეულით გამოხატული მნიშვნელობის ურთიერთშერწყმადი მოდელები ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელობას გადმოსცემენ;

ბ) N-განზომილებიან მოდელებს თავისის წვლილი შეაქვთ უწყვეტელობის –კოჰეზიის თეორიაში;

გ) N-განზომილებიანი მოდელების არსებობას გააჩნია ფილოსოფიური იმპლიკაციები.

4. შემოქმედებითი დამკვირვებელი ცხოვრობს საკუთარ ემიკურ სამყაროში:

ა) დამკვირვებლებს გააჩნიათ პერსპექტივათა სტატიკური, დინამიკური, მიმართებითი, არჩევითი დამატებითობა;

ბ) ყოველი კონკრეტული (ეგზოტიკური) ენის ფარგლებში წარმოქმნილ ხალხურ ნაამბობს იმპლიციტურ ფონად აქვს რაღაც ადგილობრივთა ემიკური მსოფლხედვიდან;

გ) ინდივიდებისა და საზოგადოებების მსოფლმხედველობას შორის განსხვავება ატარებს ფილოსოფიური იმპლიკაციის ხასიათისაა.

5. 4-უჯრედიანი ტაგმემა გვეხმარება ფილოსოფიურ საკითხებში ანალიტიკური შეღწევის საშუალების მოპოვებაში:

ა) (1) იერარქიული პოზიცია, (2) ჩანაცვლებადობა, რაც ვლინდება კლასის წევრებში, (3) როლი და მიმართება, და (4) არსებული და მაკონტროლებელი კოჰეზიური სისტემა გახლავთ ტაგმემიკის კომპონენტები;

ბ) ზოგიერთი წინადადება ატარებს რეფერენციული იერარქიის ოთხივე უჯრედის გასაღებს;

გ) ტაგმემიკას მიყვარათ ინტეგრაციული ფილოსოფიისკენ მისი უნარით შეითავსოს ელემენტები უწყვეტ, გაბმულ ჯაჭვად და შესაბამისად, იმ პოზიციამდე, რომელიც კრავს ფორმასა და მნიშვნელობას და საგანს პიროვნებას უკავშირებს.

სწორედ აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით განვითარდა მეცნიერის ფილოსოფიური ხედვა, რისი დაწვრილებითი ანალიზიც ჩვენი შემდგომი განხილვის საგანია.

პირადი ინტერაქცია სოციალურ-ფიზიკურ კონტექსტში არის ხელსაყრელი გზა კულტურათშორისი ცოდნის თეორიისაკენ. ჩვენ გვსურს ვიცნობდეთ საკუთარ თავს, ვიცოდეთ რა ვიცით და როგორ ვიცით? მხოლოდ გონი ვართ, თუ მხოლოდ

სხეული? როგორ უკავშირდება ჩვენი გონი და სხეული ირგვლივ არსებული სამყაროს ჩვენეულ აღქმას?

საკუთარი თავის, გონის, სხეულის და ჩვენ ირგვლივ არსებული სამყაროს ცოდნა უკეთესად აღიქმება ყოველ მათგანზე ერთდროული დაკვირვებით.

„ჩემი კავშირი გარშემომყოფ სამყაროსთან მოიცავს არა მხოლოდ ჩემს ირგვლივ არსებულ ფიზიკურ ელემენტებს, არამედ ჩემს გონებას და ირგვლივ მყოფი ხალხის ენას“. (პაიკი 1996:11).

ამის გამო, პაიკის აზრით, სამყაროს ერთ მთლიანობად აღქმისათვის საწყისი წერტილი უნდა იყოს ხალხის ინტერაქციაზე დაკვირვება არსებული საზოგადოების კონტექსტში (რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ) და მათ ირგვლივ არსებული ფიზიკური სამყაროს კონტექსტში (ასევე, რომლის ნაწილიც ისინი არიან).

ენას, რომლის საშუალებით უმეტესწილად ხორციელდება სოციალური ინტერაქცია, პაიკი უწოდებს მოცემული საზოგადოების „სატელეფონო ურთიერთგაცვლას“, რომელიც ისე აკავშირებს ხალხს ერთმანეთთან, რომ ისინი ახორციელებენ ურთიერთგაგებას, და, ამასთან, კავშირს ამყარებს ხალხსა და მათსავე მსოფლმხედველობას შორის ისევე, როგორც მათსა და მათ მიერ ფიზიკური სამყაროს შესახებ არსებულ ცოდნას შორის.

მეცნიერი აღნიშნავს, რომ აღნიშნული თვალსაზრისი აღმოცენდა მისი მცდელობიდან შეესწავლა ხალხი კულტურათაშორისი ლინგვისტური კვლევის საშუალებით.

„იმისათვის, რომ გამეგო ადამიანებისათვის, მესაჭიროებოდა ჩავღრმავებოდი მათ ფიზიკურ ქმედებებს, რომ შემესწავლა, თუ რა იყო მიზნები მათი ქმედებისა ან მათი წარმოდგენები ირგვლივ არსებულ გარემოზე. ამისათვის მე მჭირდებოდა ენის გამოყენება. ამიტომ მომიხდა ადგილობრივი ენის შესწავლა და მოსმენა. მაგრამ კულტურათაშორისმა პრობლემებმა მოითხოვა დაკვირვება სხვადასხვა კულტურათაშორის წარმოდგენებზე“. (პაიკი 1996:1).

ზიარ სოციალურ-ფიზიკურ გარემოში ადამიანს შეუძლია ენის შესწავლა თარჯიმნის გარეშე. ეს გულისხმობს კულტურათაშორისი გზით ენის შესწავლის თანაზიარი უნარის არსებობას და საგნების სახელების, სოციალური სტრუქტურისა და სამყაროს ხედვის გადაცემას.

საინტერესოა, თუ როგორ იწყება კომუნიკაცია ასეთ ვითარებაში. 1936 წელს პაიკმა პირველად წარმოადგინა და განავითარა „მონოლინგვური დემონსტრაციის“

მეთოდი, რომ ესწავლებინა სტუდენტებისათვის, როგორ მოქცეულიყვნენ ისეთ გარემოში ენის შესწავლისას, სადაც არ იყო ანბანი, ლექსიკონი, არანაირი დაწერილი გრამატიკული წესები და თარჯიმანი. მეცნიერი ხედება პიროვნებას ბაქანზე სტუდენტების (ან სხვათა) თვალწინ ისე, რომ არ იცის არც მისი ენა და არც მისი წარმომავლობა. სტუდენტებს მოჰყავთ ასეთი ნებისმიერი პირი პაიკთან, ყოველგვარი ინფორმაციის მიწოდების გარეშე. რამდენიმე საგნის, ფოთლის, ჯოხის და სხვა წვრილმანი ნივთების გამოყენებით დგება საკომუნიკაციო აქტი.

პაიკი იწყებს ერთ-ერთ საგანზე მითითებით და ელოდება სადემონსტრაციოდ მოყვანილი პირის პასუხს (რა თქმა უნდა, მის ენაზე) დაახლოებით ასეთი წინადადებით: „ეს არის ჯოხი“... ჩვეულებრივ ნახევარ საათში მეცნიერს ხელთ აქვს რამდენიმე საგნის სახელწოდება გარკვეულ განსხვავებებთან ერთად („დიდი ფოთოლი“/„პატარა ფოთოლი“), რიცხვის განსხვავება („ორი ფოთოლი“) ან წინადადებები; („მან ჯოხი დამარტყა“/„მე მას ჯოხი დავარტყი“) და ა.შ.

პაიკმა განავითარა მონოლინგუური დემონსტრაცია, რადგან იგი მაშინაც და (თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე) ჩართული იყო სტუდენტების მომზადებაში თუ როგორ მოეხდინათ დამწერლობის არმქონე ენების ანალიზი. მისივე აღიარებით, მათ ძალიან გაუჭირდებოდათ აღწერილი მეთოდის გარეშე.

საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერა სახელდების რელევანტურობისადმი მოდის ორი ცნობილი ფილოსოფოსისა და ლინგვისტის ქვინისა და ულიანისაგან.

ქვინი, რომელიც თანამედროვეობის წამყვანი ამერიკელი ლინგვისტია, განიხილავდა მსგავსი დემონსტრაციის იმპლიკაციებს დაახლოებით ორი დეკადის მანძილზე. იგი უწოდებდა ამგვარი დემონსტრაციის დროს მითითებით დაჭერილ წარმონათქვამებს „დასაკვირვებელ წინადადებებს“. ულიანი შეუერთდა ქვინს და საოცრად გაამყარა მისი პოზიცია წარმოთქმათა რელევანტურობის კუთხით აღინიშნა რა, რომ დასაკვირვებელი წინადადებები ენის ფსკერზეა მოთავსებული და მხოლოდ მათი საშუალებით იძენს ენა თავის მნიშვნელობას. სწორედ, ამიტომ ისინი გადმოგვცემენ ყოველგვარი რწმენის, ყოველგვარი მეცნიერული თეორიის ძირეულ სამხილს. (ქვინი... 1978:28).

ერთ-ერთი უპირატესობა მონოლინგუური დემონსტრაციისა გახლავთ ის, რომ იგი იწყება ინტერსუბიექტურობით, ერთად მომუშავე ხალხით. მაგრამ ამასთან, იგი ერთ შეკვრაში ათავსებს ხალხსა და საგნებს საწყისი წერტილისათვის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მეთოდი უკუაგდებს აბსტრაქტულ გონებას ფიზიკურ

სამყაროსთან მიმართების გარეშე. ასე რომ, მონოლინგუური დემონსტრაცია იწყება ფიზიკურ კონტექსტში ადამიანური ქცევის რელევანტურობით და შესაძლებლობით.

ადამიანის ბუნებაში არსებული თანაზიარი ენობრივი უნარი განიხილება როგორც გამოთვლითი ტექნიკური მოწყობილობა (hardware), ხოლო შესწავლილი სპეციფიკა სხვადასხვა ენებისა შესაძლოა მივიჩნიოთ პროგრამულ უზრუნველყოფად (software).

პაიკი თვლის ზოგიერთი მიზნის მისაღწევად, რომ უკეთესია კომპლექსური სიტუაციიდან დაწყება და პროცესის წარმართვა მარტივისაკენ, ვიდრე პირიქით.

აღნიშნულ მოსაზრებას უსათუოდ ვეთანხმებით. მივიჩნევთ რა, რომ იგი ბუნებრივ მეთოდს წარმოადგენს და რეალურ შედეგამდე მიგვიყვანს, რაც ძალიან მარტივი მაგალითითაც შეიძლება გამოვხატოთ:

თუ ვინმეს სურს მანქანის მართვის შესწავლა, უფრო ხელსაყრელია დაიწყოს სწორედ მანქანის მართვით, მისი გამოყენებით და არა თითოეული საბურავის ან ჭანჭიკის მექანიზმის შესწავლით. აღნიშნული როდი გამორიცხავს დეტალური შესწავლის მნიშვნელობას, მაგრამ ეს განპირობებული უნდა იყოს სრულყოფილი ერთიანი კვლევის მოთხოვნებით.

ჩვენი შრომის პირველ თავში აღწერილი პაიკის ტაგმემიკური თეორია, უპირველეს ყოვლისა, ინტერესდება ენისა და ხალხის კავშირით.

პაიკის მიერ გამოყენებული „დასაკვირვებელი წინადადებები“ როგორც აღვნიშნეთ მრავალი წლის მანძილზე გამოიყენებოდა ფილოსოფიაში. (ქვინი... 1990:42).

პაიკის მეორე, ძირითადი კონცეფცია ფილოსოფიასთან მიმართებაში რელიგიური შეფასებისაა. ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ „პირველად იყო სიტყვა..“ ეს არის საკმაოდ ძლიერი არგუმენტი ენასთან დაკავშირებით. შემდეგ თქვა უფალმა „იქმნას ნათელი!“. ეს გარკვეულწილად უკავშირდება ფილოსოფიურ დაკვირვებას წინადადებებზე. შემდეგ, როცა უფალმა უთხრა ადამს ცხოველებისათვის სახელები დაერქვა, ორი რამ მოხდა: ერთი, რომ ადამიანმა, რაღაც ნებისმიერი სახელი უწოდა საგანს, ანუ მოახდინა სახელდება, და მეორე, სწორედ ამ სახელს იყენებდა უფალი ადამთან საუბრის დროს – ანუ მის ენაზე მეტყველებდა.

ღმერთი ჩვენ გვესაუბრება ჩვენს ენაზე. რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ საგნებზე სახელების დარქმევით ჩვენ ვახდენთ გარემოს

კატეგორიზაციას. მეორეს მხრივ, ამით „ვაშენებთ ჩვენივე სამყაროს ხედვას“, „ვაგებთ ჩვენს სტრუქტურას“ ან „ვაწყობთ ყოველივეს ერთ სისტემაში“.

პაიკის მიხედვით, სისტემის წარმოდგენა ბიბლიური გაგებით არის სწორედ რომ ჭეშმარიტება, რაც იმავდროულად მეცნიერების შთაგონების წყარო უნდა იყოს.

„უფალმა ზღვას, მდინარეს ... უწოდა „წყალი“, ხმელეთს - „მიწა“... რატომ მოახდინა ღმერთმა გარემოს კატეგორიზაცია სახელდებით? რადგან „იგია სიტყვა“ – რაც არის მისი სტრუქტურა – და ჩვენ ვართ შექმნილი მის ხატად, რომ მსგავსადვე მოვახდინოთ კატეგორიზაცია“. (ფრანკლინი 1996:8).

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ადამიანის დაცემის“ შემდეგ, ხალხს არ სურს დაიცვას ურთიერთობა, კიდევ რომ შეექმლოს. რა მოხდა? ადამიანმა სცადა უარყო პირადი, დამკვირვებლის, კავშირი სინამდვილესთან და ნაცვლად ამისა შეითვისა გარკვეული სახის ობიექტური მეცნიერება, ობიექტური ფილოსოფია, მექანიზმი და ა.შ. პირადი ჩართვა ეყრდნობა კატეგორიზაციას და ანალოგიითა და მეტაფორით გავრცელებულ კატეგორიებს.

პოეტი რობერტ ფროსტი ამბობდა: „მეტაფორა არის კიბე, რომლითაც შეგიძლია ცაზე ასვლა“. შეუძლებელია პოეზიის შექმნა მეტაფორის გარეშე. იგი ხომ იღებს კატეგორიებს და განაგრძობს მათ აბსტრაქტულად და სისტემატიკურად. ჩვენ არ ვიქნებით, ადამიანები ჩვენი შინაარსით თუ ვერ განვასხვავებთ „დედას“ და „მამას“, „მთის წვერს“ და „ძირს“, „წყალს“ და „ხმელეთს“. მეტაფორის ასეთი გამოყენება ადამიანის არსების ნაწილია და ენიდან მომდინარეობს.

მეცნიერებისა და ფილოსოფიის „ოცნება“ იყო ინსაიდერის უარყოფა და მხოლოდ აუთსაიდერის თვალთახედვით კვლევა. პაიკის მიხედვით ეს შესაძლებელია.

ჩვენ ვაკვირდებით – რა ხდება, რას ვაკეთებთ – და ვახდენთ ყოველივე ამის კატეგორიზაციას. ამით ჩვენ ვაწესებთ საზღვრებს მის ირგვლივ. და როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის „ხე“ და ის არის „ბუჩქი“, ჩვენ მივმართავთ მათ, როგორც ნაწილაკებს, მაგრამ ზოგჯერ უნდა გამოვიყენოთ ტალღური ხედვაც, რადგან ხშირად ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ იმაში, თუ რას ვხედავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვისაუბრებთ გასაგებად. ყოველთვის არსებობს გარკვეული ხარისხი „ეგო“ სინდრომის ჩართვისა, რადგან როგორც ადამიანები,

ჩვენ ვახდენთ სახელდებას. ადამიანთა შორის ლინგვისტები ყველაზე მეტად და პირდაპირ არიან ჩართულნი სამყაროს, მეცნიერების და ფილოსოფიის აღქმაში.

როგორც თეისტი პაიკი თვლის, ადამიანი არის სამყაროს არსებითი ნაწილი და ამიტომ მას შესწევს უნარი მოახდინოს სამყაროს არსებითი კატეგორიზაცია. ევოლუციონერები იწყებენ კვლევას მთელი სამყაროთი, ადამიანების გარეშე. ამ შემთხვევაში, ყველაფერი უნდა განვითარდეს ლოგიკურად, სისტემატიკურად. გონება ამის გამო არის ერთი შემდგომი საფეხური, მაგრამ სული, როგორც ასეთი, მიუღებელია მსგავსი ტიპის კვლევისათვის.

პაიკს ახასიათებს ღრმა რწმენა ადამიანისადმი, ამიტომ იგი იწყებს მტკიცებით, რომ „პიროვნება დგას ლოგიკაზე უფრო მაღლა“, მაგრამ ამის აღიარებით პაიკი ხლენს ლოგიკისა და მეცნიერების მთელ ისტორიას, რადგან იგი მიიჩნევს ჩვეულებრივ დამკვირვებელს უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე მაგალითად, რომელიმე საგნის ატომებია.

ნორმალური ადამიანური ბუნება მოითხოვს საგნების, მოვლენების, აზრებისა და პიროვნებების სახელდებასა და განხილვას.

ფიზიკურ მეცნიერებებში კატეგორიზაცია ჩვეულებრივი გაგებით არის აგრეთვე არსებითი. ჩვენ არ შეგვიძლია დავიწყოთ მეცნიერული განხილვა, თუ თავიდან არ გაგვაჩნია საგნების, მოვლენების და ხალხის სადი აზრით განხილვის გამოცდილება.

ფიზიკოსი აინშტაინი ამბობდა: „ყველაზე ელემენტარული ცნება ყოველდღიურ ნაფიქრში, არის ცნება ხანგრძლივად (მარად) არსებული საგნებისა, როგორცაა მაგიდა ჩემს ოთახში. მაგიდა, როგორც ასეთი, კი არ მეძლევა მე დასაკვირვებლად, არამედ ის კომპლექსური შეგრძნებები, რომელთაც მე ვარქმევ სახელს „მაგიდა“. (აინშტაინი 1952:158).

შესაბამისად, იმისათვის, რომ აღიქვა სამყარო ან უბრალოდ რაიმე საგანი – მოცემული მაგიდა – უპირველეს ყოვლისა, პაიკს საჭიროდ მიაჩნდა უფრო მეტად იმ პიროვნების გაგება, ვინც ამ საგანს ახსენებს, ვიდრე თავად საგნის შემადგენელი ატომებისა.

აქ ისევ ვპოულობთ პაიკის კავშირს იმანუელ კანტთან. მან თქვა, რომ ჩვენ არ ვიცით „საგანი თავის თავში“. ჩვენ ვაკვირდებით რაიმე საგანს ჩვენს გარეთ და გგჯერა, რომ რაღაც კონკრეტული არის იქ, მაგრამ შეგვიძლია მისი კონტროლი მხოლოდ მაშინ, როცა როგორც დამკვირვებელი ვახდენთ მის კატეგორიზაციას. ასე რომ, ჩვენ არ ვიცით „საგანი თავის თავში“. ჩვენ ვიცით, რომ ხე ხეა, რადგან

იგი განსხვავდება ბუჩქისაგან, რომელიც არ არის ხე და პირიქით. ეს ვიცი, როგორც დამკვირვებელმა, საკუთარი წარმოდგენით, და არა როგორც „საგანი თავის თავში“. ჩვენ შევიცნობთ მას მხოლოდ დამკვირვებლის საშუალებით, რომელსაც შეუძლია კატეგორიზაცია, და შესაბამისად, „სინამდვილის დამახინჯებაც“. თუ ჩვენ მეგობრულები ვართ, ვახდენთ კატეგორიზაციას, თუ ‘მტრულად გამწყობილნი’, ვამახინჯებთ სინამდვილეს.

ეს არის ის საწყისი წერტილი, რომელიც იმ ფილოსოფიური კონტექსტის დაშვების საშუალებას გვაძლევს, რომელშიც ჩვენ შეგვიძლია „ვიცხოვროთ და ვიფიქროთ“ კიდევ.

ისმის კითხვა: „რატომ არის ჩართული ლინგვისტიკა რეალობისა და სინამდვილის პოვნაში?“

პაიკის მიხედვით, უფალმა აქცია კატეგორიზაცია არსებითად და ზოგიერთი ფილოსოფოსი იზიარებს ამ შეხედულებას. თუ ისინი ამ შემთხვევაში იტყვიან, რომ „პირველად იყო სიტყვა“, ეს უფრო მეტი რამ არის, ვიდრე მეტაფორული გამონათქვამი. ამით ვუახლოვდებით ღმერთის ბუნებას, გარკვეული სახის კატეგორიზაციას. ასე რომ, როცა უფალმა ხმელეთს უწოდა „მიწა“ და ჩვენ შეგვქმნა მის ხატად, ვინ უნდა იყოს უკეთეს პოზიციაში სინამდვილეზე ფილოსოფიურად საუბრის დროს თუ არა ის, ვისაც სწამს უხენაესი? ენა მხოლოდ კატეგორიზაციის საშუალებას როდი გვაძლევს, იგი ასევე გვაკონტროლებინებს ერთმანეთს ამ კატეგორიზაციით, და რომ არ მომხდარიყო ენათა დაყოფა, განვითარების პროცესი სრულიად სხვა გზით წარიმართებოდა.

კატეგორიზაცია კონცენტრირდება ენის ირგვლივ, რადგან მისი პრინციპი გარკვეულწილად აყალიბებს სოციალურ იდენტურობას.

ვის შეიძლება ჰქონდეს სწორი მიმართულება ჭეშმარიტებისაკენ, თუ არა მას, ვისაც სწამს, რომ უფალი არის ყოველივეს შემქმნელი? ვისაც სწამს, რომ „პირველად იყო სიტყვა“, ვისაც სჯერა, რომ ჩვენ ვართ შექმნილი მის ხატად – რომ მოვახდინოთ კატეგორიზაცია – სახელდება.

რა შანსი აქვს პაიკის ამ ხედვას, რომ აღიარებულ იქნას მეცნიერულ წრეებში? მხოლოდ რამდენიმე მეცნიერი თუ ეთანხმება დუალისტს, ვისაც სჯერა სულის არსებობისა. სხვები უარყოფენ სულს და სწამთ გონებისა. პაიკი მხოლოდ ამ ორის ინტეგრაციით და მათი გათვალისწინებით წარმოებულ კვლევას მიიჩნევს ჭეშმარიტების ამოცნობის რეალურ საშუალებად.

ჩვენ ვიცი, რომ საზოგადოებები, ენები რადიკალურად განსხვავდებიან: მაშინ როგორღა არის ჩვენთვის შესაძლებელი ვისწავლოთ განსხვავებულ კულტურულ გარემოში? მეორეს მხრივ, ყველა კულტურა, საზოგადოება და ენა იზიარებს გარკვეული სახის ქმედებებს ან მიზნებს. მაშინ რატომღა განსხვავდებიან ისინი რადიკალურად? ფილოსოფოს გუდმენის (გუდმენი, 1978) მიხედვით, რაც მეორადია, შესაძლოა აღვწეროთ როგორც მკაცრი შეზღუდვების ქვეშ მყოფი „რადიკალური რელატივიზმი“. უნივერსალური კომპონენტები, რაც თანდაყოლილია ნებისმიერი კულტურისთვის, შეზღუდვებს უწესებს კულტურათაშორის მრავალგვარობას.

თავისუფლება, რომ იმოქმედო გარკვეულ დონემდე როგორც ინდივიდმა, ასევე თანდაყოლილი თვისებაა, რაც გარკვეული გადახრის (მრავალფეროვნების) ნებას გვრთავს.

პაიკის მიხედვით ძალიან ცუდი არაფერი არ არის პირველადი. ცუდი არის კარგის დამახინჯება. (პაიკი 1996:11). მისი ამ მტკიცების საფუძველი რელიგიაშია პოვნური: იოანე დამასკელის მტკიცებით ბოროტს საკუთარი სუბსტანცია არ გააჩნია, ბოროტება არის არასრული (ან დეგრადირებული) სიკეთე.

მეცნიერმა მოცემული მოსაზრება განავითარა მცდელობისას გაეგო საერთაშორისო ქაოსი და მას დამატებული შინა სირთულეები, რაც გვაქვს ყოველ კულტურაში ზოგიერთ ინდივიდს შორის. პაიკს, ამ თვალსაზრისით, საკუთარი შეხედულებები გააჩნია, რომელთაც იგი გამოთქვამს უნივერსალიებთან დაკავშირებით:

1. **ინტელექტუალური უნივერსალიები.** რომლებიც არსებობს ყოველ საზოგადოებაში არის მისწრაფება „თავის თავში“ არსებული სიბრძნისადმი. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს სიბრძნის გარკვეული დოზა იმ სურვილთან ერთად, რომ იგი მოპოვებულ ან გამოყენებულ იქნას თავად მის მიერ.

რაც შეეხება ინტელექტუალური უნივერსალიების დამახინჯებას, ინტელექტუალური განვითარების სურვილმა შესაძლოა მიგვიყვანოს უარყოფით მხარეებამდე — ამპარტავნებამდე და სხვებზე დომინირების სურვილამდე. გარემო პირთა პერსპექტივიდან ასეთი ცოდნა უარყოფითად აღიქმება, რადგან იგი ხელს უწყობს უარსაყოფი ამპარტავნების გაღვივებას.



2. **ესთეტიკური უნივერსალიები.** ნებისმიერ საზოგადოებაში შესაძლოა მოვიპოვოთ გარკვეული სახის ახსნა, თუ რატომ მიიჩნევა რაიმე სახის გარემო ან საგანი ღამაზად, თვალის და ყურის საამებლად.

რაც შეეხება ამგვარი უნივერსალიების ნეგატიურ მხარეს, შესაძლოა ესთეტიკურის საპირისპიროდ გამოვხატოთ მობეზრება ან დაწუნება იმ საგნებისადმი, რომლებიც მიჩნეულია უღამაზოდ ან მოუწესრიგებლად. ყოველ კულტურას გააჩნია საკუთარი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც განიჩნევა ესთეტიკური უნივერსალიის პარადიგმა.

მეცნიერი ესტუმრა ფილიპინების, ახალი გვინეის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის არაცივილიზებულ საზოგადოებებს და ყველგან მან დაინახა სიღამაზისადმი წყურვილი. მხატვრობაში, ღამაზ საყურეებსა თუ ყვავილების მოვლაში ესთეტიკურობისადმი მისწრაფება შეინიშნებოდა.

3. **მორალური უნივერსალიები.** ყოველ ქვეყანაში არსებობს გარკვეული მოსაზრება, რაც განაპირობებს მორალური პასუხისმგებლობის დაკისრებას. ყველგან დადებითად აღიქმება დახმარება, შემწეობა და სხვა კეთილი ქმედებები. ასევე, საზოგადოდ აღიარებული აზრია, რომ რაიმე პირადი, სოციალური ან ფიზიკური საკუთრება ან სიტუაცია უნდა იყოს პატივსაცემი და შენარჩუნდეს შეუბღალავად.

რაც შეეხება ნეგატიურ მორალურ უნივერსალიებს ამ კუთხით, ასეთად შესაძლოა მივიჩნიოთ რაიმე სახის ქურდობა, რომელიც გააკიცხული იქნება საზოგადოების მიერ. მექსიკის მიქსტეკოთა შორის, პაიკის მიხედვით, ნებისმიერი პირი, ბავშვებზე არაადეკვატური მზრუნველობის გამოვლენის შემთხვევაში, განიდევნება თავის თემიდან.

პაიკისათვის გასაკვირი იყო იმის აღმოჩენა, თუ როგორ ხვდებიან გაუნათლებელ, არაცივილიზებულ საზოგადოებაში გარედან მოსულ პირს, რომელიც შემოდის რადიკალურად განსხვავებული კულტურული ჩვევებით. გარკვეული დროის შემდეგ ისინი შეიცნობენ კონკრეტულ აუთსაიდერს, როგორც “კარგ ადამიანს”, მიუხედავად მათთვის თითქმის შეუცნობელი კულტურული განსხვავებებისა. სიკეთე არის ისეთი მორალური უნივერსალია, რომელიც აუცილებლად შეიცნობა გარეგნულ გამოხატულებებსა და ჩვევებში მოცემული დროისა და საჭირო კონტაქტის უზარმაზარ განსხვავებათა ფონზეც (სანამ

აუთსაიდერი, როგორც ასეთი მოკვდება, მაგალითად, საწყისი მცდარი შეფასების ქვეშ).

4. **ფიზიკური და ეკონომიკური უნივერსალები.** ყოველ საზოგადოებას აქვს რაიმე სახის საჭიროება (საკვები, თავშესაფარი და სხვა). მოცემულ საზოგადოებას შესაძლოა გააჩნდეს გზა, თუ როგორ გამოიყენოს ისინი გაცვლის მიზნებისათვის. მაგ., შიმშილი ჩაითვლება ამგვარ საკითხებთან დაკავშირებულ ერთ უნივერსალიად და, ასევე, იქნება მცდელობაც მის დასაძლევად.

რაც შეეხება ნეგატიურ ფიზიკურ ან ეკონომიკურ უნივერსალებს, ეკონომიკური პრობლემების დაძლევის დროს ინტეგრაციის მომენტი შესაძლოა ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდეს საქონლის გაცვლის დროს ქურდობის ან მოტყუების წყალობით. არსებობს კატეგორიული შესაძლებლობა, რომ ვიღაცამ შეიძლება მოიპაროს და სხვები მათი მიზეზით შიმშილობას შეეწირონ.

ასე რომ, მსგავსად სხვა უნივერსალებისა, ფიზიკური და ეკონომიკური უნივერსალებიც გარკვეული კანონზომიერებით არსებობენ სამყაროში.

5. **სოციალური უნივერსალები.** ადამიანებს სურვილი აქვთ მიიღონ გარკვეული სახის დაფასება, შეფასება და მხარდაჭერა საკუთარი საზოგადოებისაგან. მათ სჭირდებათ სოციალური სტრუქტურა, რაც საშუალებას აძლევთ იმუშაონ ერთად, ისარგებლონ გაერთიანებული მცდელობით და ისიამოვნონ საზოგადოების თანაწევრობით.

უარყოფით სოციალურ უნივერსალებთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ, ადამიანებმა შესაძლოა უბედურად იგრძნონ თავი გარკვეული სახის გაკიცხვის გამო ან დაბალი სოციალური კლასიფიკაციით, რითაც ღებულობენ მათ საზოგადოების რაღაც ფენაში ან ფენათა შორის. მათ არ სურთ იყონ გაძევებულნი, უარყოფილნი. მათ სურთ „ეკუთვნოდნენ“ ამ საზოგადოებას.

ცხადია, კ. ლ. პაიკი აკვირდებოდა არა მხოლოდ ერთად ცხოვრების სხვადასხვა გზას, არამედ პიროვნებების შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სხვადასხვა საშუალებების მუდმივ არსებობას განსხვავებული კულტურული წყობის სისტემებში.

6. **რელიგიური უნივერსალები.** ყოველ საზოგადოებას ჰყავს წევრები, რომლებიც ცდილობენ ახსნან მოცემული საზოგადოებისა და ფიზიკური სამყაროს სტრუქტურის ბუნებისათვა.

რაც შეეხება ნეგატიურ რელიგიურ უნივერსალებს, თეისტური პერსპექტივიდან მექანიზმი შესაძლოა მივიჩნიოთ რეალობის ნეგატიურ დამახინჯებად. წმინდად მექანიკური პერსპექტივიდან თეიზმი მიიჩნევა რეალობის აკადემიური ხედვის დამახინჯებად. ორივე ხედვა მოიპოვება აკადემიურ საზოგადოებაში, თითოეულის სხვადასხვაგვარი ვარიანტული პერსპექტივით.

ექსტერნალური და ინტერნალური გამოცდილება ოჯახთან, საზოგადოებასთან, სკოლასთან, კვლევასთან კავშირის ჩათვლით ან დამოუკიდებელი საწყისი წარმოდგენები ქმნის რელიგიური უნივერსალების განსაზღვრის საფუძველს ქმნის.

7. **ლინგვისტური უნივერსალები.** პაიკმა უკვე გამოყო რამდენიმე უნივერსალური ლინგვისტური კომპონენტი: ენასთან კულტურათაშორისი ინტერაქციის შესაძლებლობა; ემიკური ერთეულების–კონტრასტის, ვარიაციის და დისტრიბუციის ერთეულებს შორის სახელდება; სამი იერარქიის–ფონოლოგიის, გრამატიკის და რეფერენციის არსებობა, როცა თითოეულ მათგანს სტრუქტურის სხვადასხვა დონე გააჩნია და ტაგმემიკური ერთეულის სტრუქტურის თითოეულ დონეზე (ადგილი, კლასი, როლი და კოჰეზია) ნაწილაკის, ტალღის და ველის გავლით პერსპექტივის დროებითი არჩევანის შესაძლებლობა.

რაც შეეხება ლინგვისტური უნივერსალების უარყოფას, თუ ჩვენ უარვყოფთ ემიკურ ერთეულებს, მაშინ ვერ შევძლებთ ვერც ერთი პიროვნების, საგნის ან მოვლენის შეცნობას მათი მეორედ ნახვის შემთხვევაში. თუ უარვყოფთ იერარქიებს, ცხოვრება შეწყვეტს არსებობას, რადგან ნაწილი-მთელის მიმართების უარყოფის შედეგად ვერ შევძლებთ გავარჩიოთ ცხვირი და თავი ერთმანეთისაგან. თუ უარვყოფთ გრამატიკას, არ იარსებებს სტრუქტურულად გამართული თხრობა. თუ უკუვაგდებთ რეფერენციულ ფონს / წარსულს (ჰორიზონტს, რეფერენციის ჩარჩოს, ან სოციალურ გარემოს), არასდროს გვეცოდინება ჩვენი ადგილი საზოგადოებაში. თუ უგულებელვყოფთ ფოკუსის შესაძლო არჩევანს და ცვლას სტატიკურიდან დინამიკისაკენ, რელატიური ხედვისაკენ (ნაწილაკი, ტალღა, ველი), ჩვენ ვერ შევძლებთ ოდესმე გადავიტანოთ ყურადღება რაიმეს კეთებიდან რაიმედ ყოფნამდე.

ლინგვისტური უნივერსალების ჩამოყალიბების წყაროდ გვევლინება ადამიანურ გამოცდილებათა დამკვირვებელი.

დამკვირვებლის ფაქტორი დიდ მნიშვნელობას იძენს პაიკის ფილოსოფიურ დაკვირვებებში. პიროვნებებმა შესაძლოა იმსჯელონ ემიკურ “იგივეობაზე”, რაც პირად ცოდნას აკავშირებს ენასა და გამოცდილებასთან. ასეთი მიდგომა აკავშირებს ადამიანს (როგორც საკუთარ თავსა და საზოგადოებაში მის ქმედებებზე დამკვირვებელს) სიტყვებთან, ფიქრებთან, სხვა ადამიანებთან. ადამიანები აღიქვამენ საგნებსა და პიროვნებებს მხოლოდ კავშირით მათ სტრუქტურულ პოზიციასთან, ჩანაცვლებადი კლასის წევრობასთან, სოციალურ, ფიზიკურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და ისტორიულ სტრუქტურაში მათ ფუნქციურ როლთან და რეფერენციის ფონური ჩარჩოების ფონზე მათზე იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად დაწყებულ კონტროლთან.

პიროვნებამ შესაძლოა აირჩიოს დაუმტკიცებელი საწყისი პრესუპოზიციები და შესაძლოა ასევე განიხილოს სიტუაცია, მოვლენა ან საგანი იმ მომენტისათვის სტატიკურად, დინამიკურად და რეფერენციულად (ნაწილაკი, ტალღა, ველი). ასეთი ელემენტები იერარქიულად არის მოწყობილი მათ ფიზიკურ თვისებებთან, თანმიმდევრულ „თხრობით“ წყობასთან ან მათ რეფერენციულ სტრუქტურასთან კავშირში. ადამიანი იზრდის ცოდნას სწორედ ამ ფონოლოგიური, გრამატიკული და რეფერენციული იერარქიების მოდელთა ქსელების გადაკვეთით.

კ. ლ. პაიკის ფილოსოფიური აზროვნება მკვეთრად გამოსატული რელიგიურობით არის გამსჭვალული. ამ კუთხით განსაკუთრებით საგულისხმოა მისი წიგნი “With Heart and Mind” („გულითა და გონებით“), სადაც მეცნიერი გვასწავლის, თუ როგორ შეიძლება ქრისტიანული სარწმუნოებისა და მეცნიერების ინტეგრირება.

უფრო ზუსტად კი გვიჩვენებს თუ როგორ შეიძლება ქრისტიანი ინტელექტუალები ემსახურონ სარწმუნოებას და წვლილი შეიტანონ ჭეშმარიტებისაკენ სვლაში.

პაიკი შენიშნავს, რომ ლოგიკურ პროცესს გააჩნია გარკვეული ზღვარი (შეზღუდვები), რაც დიდი ხნის მანძილზე გახლდათ მეცნიერული კვლევის საგანი უმეტეს აკადემიურ დისციპლინებში.

ბუნებრივი მეცნიერებები, მაგალითად, იღებენ მასალის მცირე ნაწილს და განავრცობენ მას ზოგადად მთელს სამყაროზე. თვით-შემცველი ინტელექტის

ამბიციას არ გააჩნია ფანჯრები, რომლებიდანაც გარეთა სინათლე შემოაღწევს: (პაიკი 1996:5).

სიტყვა ინტელექტუალი არის კომპოზიტი ორი სიტყვისა „inter” „შორის” და „legere” „ამორჩევა”. მაგრამ თუ ადამიანს აქვს ისეთი ცოდნა, რომელსაც სიბრძნე აკლია (wisdom – wis – ბრძენი და dom – განსჯა), ვერ გააკეთებს სწორ არჩევანს, სწორად ვერ განსჯის: მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი მიიღებს ღვთისკენ მიმართულ მსოფლმხედველობას, იგი შეძლებს ცოდნისა და სამყაროს ხედვის ინტეგრაციას.

კ. ლ. პაიკი ლინგვისტური კუთხით განიხილავს, თუ როგორ განსხვავდება კულტურის აღქმა მოცემული კულტურის შიგა და გარე ხედვის მხრივ.

ამ განხილვის მთავარი საგანია ის მიზეზი, თუ რატომ აღიქვამს სხვადასხვა ხალხი ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვაგვარად. ამისთვის მეცნიერი, როგორც აღვნიშნეთ, გვთავაზობს ხელსაყრელ ტერმინებს etic და emic: ცნება „etic” ეხება გარე დამკვირვებლის ხედვას, ხოლო „emic” ადგილობრივი სისტემის შიგნით მყოფი ინდივიდის აღქმას. პაიკი აღნიშნავს, რომ etic ხედვა არის უცხო, გარეშე პირის დაკვირვების შედეგი, ხოლო emic ხედვა – შიგა ხედვის ფორმა. ქრისტიანმა ინტელექტუალებმა არ უნდა აღიქვან სხვა ხალხების ჩვეულებები, ქმედებები და პრობლემები მათი ემიკური ბადის გვერდის გავლით. მათ უნდა ისწავლონ ამ ორი ხედვის ინტეგრირება ქრისტიანობის უნივერსალურ პრინციპებზე დაყრდნობით, მიუახლოვდნენ სხვადასხვა კულტურას განზოგადებული პერსპექტივიდან იმისათვის, რომ მოიპოვონ უნარი შესაფერისად იცხოვრონ მასპინძელი კულტურის სისტემაში.

პაიკი მიგვითითებს იმ ინდივიდის სავალ ბილიკზე, რომელიც თავის მსოფლმხედველობას უყრის თავს, ღვთის სიტყვის მნიშვნელობის სხვადასხვა ენაზე აღმოჩენის პროცესში.

როგორც მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ქრისტიანები უნდა იყვნენ ანტი-ინტელექტუალები, რადგან უფალი არის სიბრძნისა და ცოდნის ნამდვილი წყარო.

კაცობრიობას სურს ბედნიერება – მიუხედავად ტკივილისა, შიშისა, ბრაზისა, მწუხარებისა თუ მარტოობისა.

ეს აყენებს ადამიანს ლოგიკაზე მაღლა – ინდივიდის სული იძენს ხანგრძლივ შიგა პრიორიტეტს ნააზრვეის ფილოსოფიურ ელევანტურობას, მეცნიერებას, საზოგადოებას ან განცდილ რეალობასთან მიმართებაში.

სამყარო იცვლება – მაგრამ რჩება მუდმივი ყველა კულტურის მოდელისა და რწმენის სისტემაში. ოქროსა და წოდების წყურვილი და საგანსა ან ადამიანში არსებული ესთეტიკური სილამაზის ბოროტად გამოყენება ისევე როგორც მოცემული კულტურით განსაზღვრულ სხვა „სიკეთეთა“ მიმართ დახმარება, აღმოცენდება ადამიანური ფესვებიდან ყოველ სოციალურ გარემოში.

მეცნიერის მცდელობა გახლდათ დაეკავშირებინა სული აკადემიურ ნააზრვეთან. საჭირო იყო ჰოლისტიკური მიდგომა ენისადმი კონტექსტში – „გულითა და გონებით“. პაიკის მიხედვით, ჩვენ გვესაჭიროება გულისა და გონების დაკავშირება ზებუნებრივ რეალობასთან მისასვლელად, ჭეშმარიტების შესაცნობად. (პაიკი 1996:15)

ემიკური ჯგუფებიც გარკვეულწილად, ხალხის მსგავსია – თითოეულს საკუთარი პირადობა გააჩნია თავისი ბრძოლით, სამართლით, სირთულეებით. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა კულტურის ქრისტიანთა ცხოვრებაში უფლის გამოვლენის განსხვავებული მახასიათებლები არსებობს. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ერთი და იგივე შუქი, რომელიც აღმასის სხვადასხვა თრაშიდან გამოასხივებს. იგი სხვადასხვაგვარად ბრწყინავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველმა კულტურამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჭეშმარიტების შეცნობაში (პაიკი 1996:113).

კ. ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლების მიმოხილვაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანს ესაჭიროება ენა, რომ დაეხმაროს მას საკუთარი ფიზიკურ, სოციალურ, ესთეტიკურ და ფილოსოფიურ გარემოსთან კავშირში, საკუთარი თავის შეცნობაში. ე. ი. შეიძლება განვაცხადოთ, რომ პიროვნება ადამიანურ ბუნებაში არ ექვემდებარება ლოგიკას არც ცხოვრებაში და არც ენასა და ფილოსოფიაში.

აქ იკვეთება ანთროპოლოგიური პარადიგმის ფორმირების კონტურები, რომელმაც უფრო ჩამოყალიბებული სახე ათასწლეულთა გასაყარზე მიიღო: ანთროპოცენტრული პარადიგმა გახლავთ მკვლევრის ინტერესთა გადართვა შეცნობის ობიექტებიდან სუბიექტებზე, ე. ი. ხდება ადამიანის ანალიზი ენაში და ენისა ადამიანში (მასლოვა 2004:6). ეს გახლავთ თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიის ძირითადი პრობლემატიკა, რასაც საკმაოდ

დაწერილებით ეხმაურება პაიკი თავის ლინგვისტურ მოძღვრებაში და რაც ნათლად აისახება მისი თეორიის ფილოსოფიურ ქვეტექსტში.

**§2 ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკა ვ. ფ. ჰუმბოლდტისა და კ. ლ. პაიკის მეცნიერულ მემკვიდრეობაში და მათი ურთიერთმიმართება, როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემა**

კ. ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრების მიმართულებათა ფილოსოფიური საფუძვლების შესწავლამ ვფიქრობთ, ერთ საინტერესო მოსაზრებამდე მიგვიყვანა. კერძოდ, მივაკვლიეთ ბევრ პარალელს გამოჩენილი გერმანელი ენათმეცნიერის ვ. ფ. ჰუმბოლდტისა და კ. პაიკის მსოფლმხედველობაში, რაც მკაფიოდ არის ასახული მათ თეორიულ შრომებსა და კვლევით მიზნებში. თუმცა, მათ მეცნიერულ ნათესაობაზე ლინგვისტურ ლიტერატურაში რაიმე სახის შრომა არ მოიპოვება, შევეცდებით დავასაბუთოთ არსებული მოსაზრების დაშვების თეორიული საფუძვლები.

ვ. ფონ ჰუმბოლდტს ეკუთვნის იდეა „შედარებითი ანთროპოლოგიის“ ჩამოყალიბებისა (1795), რაც მოგვიანებით უფრო განსაზღვრულ მიმართულებასა და კონკრეტულ შემცველობას იძენს მის ენის თეორიაში. ჰუმბოლდტის მიხედვით არაფერი ისე არ გვაახლოვებს ადამიანისა და ერის ხასიათის საიდუმლოებას, როგორც ენები. ჰუმბოლდტის ინტერესს მიმართულს საგნებით განსხვავებული აგებულების მქონე ენებისადმი (ბასკური, ამერიკის არაცივილიზებული ენები, მაღაიზიურ-პოლინეზიური ენებისადმი) თან ერთვოდა ისტორიული, ანთროპოლოგიური და ეთნო-ფსიქოლოგიური კვლევები ერებისა მათში „ყველაზე წმინდა და უზენაესი ჰუმანიზმის“ გამოვლენის მიზნით. აქვე შევნიშნავთ, რომ კ. პაიკიც ძირითად საკვლევ მასალად არაცივილიზებული საზოგადოებების ენებს ირჩევდა.

შედარებითი ენათმეცნიერების ამოცანას ჰუმბოლდტი შემდეგნაირად აყალიბებს: მთავარი აქ არის... ნამდვილი, ღირსეული ხედვა ენისა, მისი ქმედების სფეროს სათავეთა გავრცელების სიღრმეში“. ეს იმას ნიშნავს, რომ ენის ფუნქციონირება უნდა გამოვიკვლიოთ მისი „ყველაზე ფართო მასშტაბით – არა

მხოლოდ მისი დამოკიდებულება მეტყველებასთან... არამედ აზროვნებასა და გრძნობით აღქმასთან” (რამიშვილი 1984:37).

ჰუმბოლდტის თანადროულ ეპოქაში მხოლოდ მან მოახერხა ენასა და აზროვნებას შორის საჭირო წონასწორობის აღდგენა.

მის მიერ ენათა განსხვავებული ასპექტებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვის მეთოდი, მისი არგუმენტირებულობის სიღრმე და ძალა, მისი აზრების მიმართულება გვარწმუნებს, რომ ჰუმბოლდტი თანდათანობით გამოიმუშავეს მეთოდი, რომლის მიხედვით შესაძლებელია მიუუახლოვდეთ ენისა და აზროვნების საწყის ერთიანობას, ასევე კულტურის ფენომენტა და ენის ერთიან საწყისს, რითაც ჰუმბოლდტი კულტურათა შესახებ მეცნიერებების გაერთიანებას უყრის საფუძველს.

აზროვნება ყოველთვის უკავშირდება ენას: სხვაგვარად აზრი ვერ მიაღწევს თავის მკაფიო გამოხატულებას, წარმოდგენა ვერ იქცევა გაგებად. მნიშვნელოვანია ჰუმბოლდტის შემდგომი გამონათქვამი: „ენა არის აზრის ჩამომყალიბებელი ორგანო”. თუმცა, ყოველივე ეს ხდება არა აბსტრაქტულად, არა „ზოგადად ენაში”, არამედ რეალურ, კონკრეტულ ენებში. თავისი კვლევის მთავარ მიზნად ჰუმბოლდტი თვლიდა ენების დამოკიდებულების გარკვევას „წარმოდგენათა სამყაროსადმი” როგორც „ენათა საერთო შინაარსისადმი”. (რამიშვილი 1984:20-21).

პაიკის თეორიაშიც მსგავს პარალელებს ვაწყდებით. იგი უგულებელყოფს ყოველგვარ აბსტრაქციას და კონკრეტულ ენებში პოულობს საკვლევ მასალას. ასევე, თანხვედრას ვხედავთ ენისა და კულტურის დამოკიდებულებასთან მიმართებაში.

პაიკი აღნიშნავს: არანაირი ნიშნაში არ არსებობს იზოლირებულად, უფრო ვრცელი კონტექსტისაგან ავტონომიურად ისე, რომ დარჩეს მნიშვნელობის მქონედ ადამიანებისათვის. ენობრივი ერთეულები შესწავლილ უნდა იქნეს ფართო კონტექსტში” (პაიკი 1996:14).

პაიკის ემიკური ფილოსოფია კომპლექსურია. იგი აკავშირებს დამკვირვებელს და საგანს, ფიქრს და აქტს (ქმედებას), მორალურ ინტენციას და ესთეტიკურ განსჯას. იგი კვლევას იწყებს კომპლექსური სისტემიდან საზოგადოებისა და „გარე” სამყაროს ინტეგრირებით საკუთარი თავისა და საგნის ემიკურ დუალიზმში.

ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე მექანიკური კომპიუტერი. მას სჭირდება მიზანი, ისევე როგორც ფიზიკური ფორმა. ანუ გარეგნული ფორმისა და მენტალობის ინტეგრაცია. პიროვნება, რომელიც მხოლოდ იკვებება, ვერ



იცხოვრებს სამყაროს შიგა ყოფით. ასე რომ, მეცნიერი იწყებს არა წესების, კავშირების და საგანთა კლასების იზოლირებულად აღწერით, არამედ ადამიანით, რითაც ურთიერთკავშირებს სუბიექტურს და ობიექტურს საგანთა ემიკურობაში. დამკვირვებლის, ადამიანის, ფაქტორი განმსაზღვრელია პაიკის თეორიაში.

ჰუმბოლდტიც ასევე უარყოფს იზოლირებული კვლევის მეთოდს. ენა მისი არსით არის მუდმივი და თან ცვალებადი. „ენა არის ენერჯია /Energia/ და არა ერგონი /Ergon/“. ენა სულის მუშაობაა, რომელიც ცდილობს არტიკულაციით უზრუნველყოს საჭირო აზრის გადმოცემა. ენა არის მეტყველების ქმედების ყველა აქტის ერთობლიობა. მის ცალკეულ ელემენტებზე დაყრდნობით არ შეიძლება ამოიცნო მისი სიღრმისეული დახვეწილობა. ეს მხოლოდ ერთიან მეტყველებაში ჩანს. ენის სიტყვებად და წესებად დაყოფა არის მხოლოდ სამეცნიერო ანალიზის მკვდარი პროდუქტი (რამიშიელი 1984:12).

ამგვარი დახასიათებით ენის ფორმა სამეცნიერო აბსტრაქციის ნაყოფი ხდება. არასწორი იქნებოდა მისი გონების პროდუქტად აღქმა, რაც რეალურად არ არსებობს. სინამდვილეში ენის ფორმა ინდივიდუალური სწრაფვაა, რომლითაც ხალხი თავის აზრს გამოხატავს.

ენა არ უნდა გავიგოთ, როგორც მასალა, რომელიც შეიძლება გაშიფრო მისი ნაწილების განხილვისას. ეს არის მუდმივად შემომქმედი ორგანიზმი, სადაც განსაზღვრულია კანონები და არა მისი მოცულობა.

ენის ათვისება ბავშვების მიერ არ არის სიტყვათა უბრალო გაცნობა. ეს არის ენობრივი უნარის ზრდა ვარჯიშთან და წლებთან ერთად. ამ სფეროში წარმატება მიიღწევა არა დამახსოვრებული სიტყვების ოდენობით, არამედ იმ სინქარის ზრდით, რომელიც უნარის განვითარებას და მასალის დაგროვებას უწყობს ხელს. ბავშვები მექანიკურად კი არ იზეპირებენ ენას, არამედ მათში ენობრივი უნარი ვითარდება. ვინაიდან ადამიანის განვითარებისათვის განკუთვნილია განსაზღვრული პერიოდი, ეს მოვლენა ხდება ბავშვობაში.

ასე რომ, ორივე მეცნიერი უგულბელყოფს აბსტრაქტულ, განზოგადებულ მიდგომას ენებისადმი. ისინი ენათმეცნიერებას უყენებენ ყველაზე იმანენტურ მოთხოვნებს და არ კმაყოფილდებიან ენის როგორც ანალიტიკური ლინგვისტიკის ობიექტისადმი ვიწრო მიდგომით.

თავის ლინგვისტურ გამოკვლევებში ჰუმბოლდტი შეეხო სოციალურ-ფილოსოფიური ხასიათის მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია „ხალხისა“ და „ენის“ გაგებათა გამოვლინებასთან.

1801 წლის ბასკების შესახებ მონოგრაფიის ფრაგმენტებში ჰუმბოლდტი წერს: „სხვადასხვა ენები – ერთი და იმავე საგნის სხვადასხვაგვარი აღმნიშვნელი როდია, არამედ მისი განსხვავებული ხედვაა (Asichten). ენათა მრავალგვარობით მდიდრდება ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე და იმაზე, რაც ჩვენს მიერ აღიქმება ამ სამყაროში; ამავდროულად, ფართოვდება ადამიანური აზროვნების დიაპაზონი ჩვენთვის” (ჰუმბოლდტი 1903:601).

გავისხენოთ: კ. პაიკი ცალსახად მიიხნევს, რომ ენათა მრავალგვარობა არა მხოლოდ ენობრივ, არამედ სწორედ წარმოდგენით განსხვავებაზე მიგვითითებს. თითოეული ერი ან ინდივიდი არსებული ეტიკური ვარიანტებიდან იმ ემიკურ ერთეულებს აგებს, რომლებიც კატეგორიზაციის შედეგად მიღებული, მისთვის უფრო მშობლიური გამოსატვის საშუალებაა. იგი ამასთან, აღნიშნავს, რომ „ყოველმა კულტურამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჭეშმარიტების შეცნობაში” (პაიკი 1996:113).

რადგან კაცობრიობის ენებად დაყოფა ემთხვევა მის ეთიკურ ჯგუფებად დაყოფას. აქედან გამომდინარეობს, რომ ენასა და ერს უფრო ზუსტად კი ერის სულს, შორის არსებობს აუცილებელი კორელაცია.

„ენა და ერის სული ვითარდება არა ერთმანეთისაგან განცალკავებით ან მიმდევრობით, არამედ ისინი განუყოფლად შეადგენენ ინტელექტუალური შესაძლებლობის ერთსა და იმავე ქმედებას” (რამიშვილი 1984:42).

ამ შემთხვევაში „ერის სული” მისი ენასთან ერთობის კუთხით აღარ არის მეტაფიზიკური სიდიდე, არამედ ხდება ენის სოციოლოგიური შინაარსის შესაძლო ობიექტი.

ენათა ემპირიული სხვაობა უკავშირდება ერთა შორის სხვადასხვაობას. ჰუმბოლდტი ამ განსხვავების ახსნას უფრო მაღალი პრინციპიდან გამომდინარე ცდილობს. მან დაამკვიდრა „ერის სულის” გაგება შედარებით ენათმეცნიერებაში და მასვე დააკისრა დასმული საკითხის გადაწყვეტა.

კ. ლ. პაიკი უფრო რელიგიურ ჭრილში განიხილავს მოცემულ საკითხს, თუმცა პარალელიზმი აქაც შეინიშნება: მის შრომებში პირდაპირი მცდელობაა მოცემული სულისა და აკადემიური ნააზრვეის დაკავშირებისა.

ჰუმბოლდტს ასევე შემოაქვს ტერმინი „ერის ენობრივი შეცნობა” (ჰუმბოლდტი 1903). (nationeller Sprachsin). მას ეყრდნობა თეზისი ენათა ორგანულ ერთობაზე და მასშივე მოიპოვება იმანენტური პრინციპი ენათა „მნიშვნელოვანი განსხვავებებისა”, რაც თავიდანვე გაუგებრობის წყაროდ იქცა.

ჰუმბოლდტმა კი თავისი გენიალური ხედვით დაინახა მასში ენათა ფუნქცია და დანიშნულება როგორც განსხვავებული გზები ზოგადსაკაცობრიო ამოცანის - „სამყაროს აზრად ქცევა“ – განხორციელებაში თანამონაწილეობისა.

ენის შინაგანი ფორმის პრობლემა აქტუალური გახდა XIX ს. 20-იან წლებში. ბევრი მკვლევარი მას „წმინდა ინტელექტუალურ ნაწილად მიიჩნევდა“ და გამოჰყავდათ იგი თავად ენობრივ საზღვრებს გარეთ. თუმცა, ეს მიდგომა იმთავითვე არასწორია. არ შეიძლება „ინტელექტუალური ნაწილი“ გავიგოთ როგორც არაენობრივი, წმინდად ლოგიკური სტრუქტურა. იგი თავად „ენობრივი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია“.

ენის შინაგანი ფორმის იდეა წარმოადგენს ენის ერთიანი განხილვის ახალი ორიენტაციის ამოცანას; ამგვარ ლინგვისტურ ნააზრევს შეესაბამება ისეთი სულიერი მდგომარეობა, რომელიც არ აღიწერება მეცნიერებაზე ორიენტირებული მსოფლმხედველობის ტერმინებით.

მის კორელატად გვევლინება აზროვნების არა ფორმალურ-ლოგიკური სქემა, არა მშრალი, ცივი გონება, არამედ ჩვენი სულის ყოველი ფუნქციის ერთობლიობა მათ ცოცხალ თანაქმედებაში.

როგორ შეიძლება ჰუმბოლდტის მოცემული მოსაზრებები არ მივიჩნიოთ მეცნიერულ მემკვიდრეობად იმ მკვლევარისა, რომელმაც შექმნა ენის ერთიანი თეორია. ვინც მთელი თავისი არსით, თეორიული თუ პრაქტიკული მოღვაწეობით სწორედ ენის, როგორც ერთიანი ორგანიზმის შესწავლის მეთოდს უწევდა პოპულარიზაციას. კ. ლ. პაიკის დაკვირვების უშუალო ობიექტს ცოცხალი ენები წარმოადგენდა. იგი ენას მხოლოდ კონტექსტში განიხილავდა და თითოეული ენის ფუნქციაშიც ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ ინდივიდუალურ გზას ხედავდა.

„ფილოსოფიური საფუძვლების მქონე ენათა შედარების“ ფარგლებში ჭეშმარიტების ძიების პრობლემის განხილვას მიყვავართ შედარებითი ენათმეცნიერების თეორიის აღქმის ფილოსოფიურ თეორიასთან დაახლოვებამდე.

საინტერესოა ვ. ფ. ჰუმბოლდტისა და კ. ლ. პაიკის მიმართების საკითხი კანტის ზოგიერთ შეხედულებასთან.

მეცნიერულ ლიტერატურაში არა ერთხელ დასმულა კითხვა ჰუმბოლდტის კანტის გნოსეოლოგიასთან დამოკიდებულების შესახებ. შემთხვევითი როდია, რომ მისი ფილოსოფია მრავალი მოაზროვნის, მათ შორის ჰუმბოლდტის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა.

ჰუმბოლდტის კანტიანელობის თეზისის მხარდამჭერთა უმრავლესობა ორი მოაზროვნის შეხედულებებს ან ეთიკურ, ესთეტიკურ და ისტორიულ – ფილოსოფიურ ხედვასთან მსგავსებას ეძებენ, ან ხედავენ პირდაპირ პარალელიზმს მათ ტერმინოლოგიას შორის.

რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა ჰუმბოლდტის კანტთან კავშირის შესახებ. ბევრი ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ მოსაზრებას, მაგ. , გ. რამიშიელის და მ. ქურდიანის აზრით კანტსა და ჰუმბოლდტს შორის პრინციპული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კანტის თანახმად ადამიანის გარემომცველ სამყაროზე ხდება ლოგიკური სტრუქტურების პროეცირება და სამყარო, ამის გამო, არის ტრანსცენდენტური, ჰუმბოლდტის თანახმად კი ადამიანი ზუსტად ისე ცხოვრობს მოვლენებთან და საგნებთან, როგორც ისინი ენას მოაქვს მასთან, ანუ ვიტგენშტაინის კვალდაკვალ იგივე იდეა კანტიანურ ტერმინებში რომ აღვწეროთ: ადამიანის გარემომცველ სამყაროზე ხდება ენობრივი სტრუქტურების პროეცირება და სამყარო, ამის გამო, არის ტრანსცენდენტური.

ეს განსხვავება მართლაც რომ პრინციპული მნიშვნელობისაა. თუმცა, მეორე მხრივ, აშკარაა ასევე პრინციპული ხასიათის ნათესაობა და თანხმიერება ამ ორი მეცნიერის გარკვეული იდეებისა და არაერთი ნაშრომისა.

ასეთად უპირველესად, მიიჩნევა სიმძიმის ცენტრის გადატანა შინაგანი გამოვლინებებიდან ადამიანური არსების სიღრმეში. მეორე, რაც უნდა აღინიშნოს არის ე.წ. „მიამიტური რეალიზმის გადალახვა“, რომელიც კანტმა განახორციელა თავის შემეცნების თეორიაში, ხოლო ჰუმბოლდტმა – ენის თეორიაში. ამოსავალი წერტილი ორივესთვის იყო არა ემპირიულად მოცემული საგანი, არამედ იმ კონსტიტუციური პირობებისა და გზების გამოვლენა, რომელთა გავლით ხდება საგანთა და მოვლენათა აღქმით ობიექტებად გადაქცევა.

მაგრამ ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმბოლდტი ბრმად არასდროს მისდევდა კანტის ფილოსოფიას. იგი ყოველთვის საკუთარი გონების ფილტრში ატარებდა იდეებს და ისე მიდიოდა დასკვნებამდე.

რაც შეეხება პაიკის კავშირს კანტთან, თავად მეცნიერიც გაკვირვებული დარჩა იმ საერთოს აღმოჩენით, რაზეც ტეხასის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ კლუბში პროფესორმა ლენორე ლანგსდორფმა მიუთითა: „თქვენ იმანუელ კანტით ლაპარაკობთ“. როცა პაიკმა გადაამოწმა საკუთარი შეხედულებები, მართლაც დაიჭირა მსგავსება კანტთან აზროვნების კუთხით. იგი ეთანხმება კანტის ნათქვამს,

რომ „ჩვენ შეიძლება მოვიპოვოთ გარეგნული ცოდნა, მაგრამ ვერასდროს შევადგინებთ თვით საგნებში” (პაიკი 1966:70).

პაიკის მიხედვით, არ არსებობს გზა, რომლითაც სრულად გამოირიცხებოდა ჩვენეული დამკვირვებლის გავლენა სამყაროზე. კატეგორიზაციის დროს ჩვენ ვაქცევთ სამყაროს ელემენტებს საგნებად, თითქოსდა ისინი იყვნენ იზოლირებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ იარსებებენ გარკვეული სახის ფიზიკური ან მენტალური კონტექსტის გარეშე. როგორც ვხედავთ, პაიკი იზიარებს კანტის შენიშვნას: ჩვენ არ ვიცით „საგანი თავის თავში” (Thing-in-itself); ანუ ვიცით, ის, რაც ჩვენი წარმოდგენით გვეძლევა დაკვირვების ობიექტად.

ამრიგად, ჰუმბოლდტისა და პაიკის გარკვეულ მეცნიერულ კავშირს კიდევ უფრო საფუძველს ჰმატებს კანტის ფილოსოფიურ შეხედულებებთან მათი მიმართება. თუმცა ჩვენ არ განგვიზრახავს მათი კანტიანელებად წარმოდგენა, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ორ მეცნიერს გარკვეული ნათესაობა აკავშირებს კანტის შემეცნებით თეორიასთან, რაც მათ ენობრივ თეორიებშია ასახული.

ნეოჰუმბოლდტიანური მიმართულება თანამედროვე ენათმეცნიერებაში ცდილობს მოიძიოს ჰუმბოლდტის თეორიული ხედვის ემპირიული გამოყენება. (როგორც ევროპაში – იოჰან ლეო ვაისგერბერი, ი. ტრირი, ჰ. გიპერი და სხვა, ასევე საქართველოში – გ. რამიშვილი, მ. ქურდიანი და სხვ.).

ამერიკულ ენათმეცნიერებაშიც აუცილებელი გახდა მიემართათ ჰუმბოლდტის ავტორიტეტისათვის. სპეციალური ლინგვისტური გამოკვლევები მიუძღვნეს ჰუმბოლდტს და ჰუმბოლდტიანელობას გ. ბაზიდიუსმა, რ. ბრაუნმა, რ. მილერმა და სხვებმა.

უფრო და უფრო ხშირად მოიხსენიებენ ჰუმბოლდტს თანამედროვე ანთროპოლოგიურ, კულტურის, ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ შრომებში.

ჰუმბოლდტის ენის თეორია არის ანთროპოლოგიური თეორია, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს არა მხოლოდ სტატისტიკური შინაარსის კითხვაზე თუ რას წარმოადგენს ადამიანი, როგორც „ენობრივი არსება”, არამედ უფრო კონკრეტულად დასმულ კითხვაზე: „რას აღწევს ადამიანი ენის გზით”?

ვფიქრობთ, ამ მიმართებით კვლევა წინ წაიწევს და ჰუმბოლდტის „გამოყენებაც” უფრო ეფექტური იქნება აქ დასახული მიზნისთვის თუ ენობრივი სინთეზის პოსტულატიდან ამოვალთ (რამიშვილი 1995:33).

ჩვენ კვლევა სწორედ ამ მიმართულებით წარვმართეთ და შევეცადეთ გვეჩვენებინა კ. პაიკის თეორიაში ჰუმბოლდტის მიერ შემოთავაზებული

შეხედულებების ევოლუცია. პაიკის „etic” და „emic” ერთეულების ღირებულება კიდევ უფრო ახლებურად დავინახეთ, როცა პაიკის თეორია ჰუმბოლდტს დავუკავშირეთ.

კვლევის ეს ნაწილი ენობრივი სინთეზის პოსტულატის მიხედვით წარმართეთ და შევეცადეთ გვეჩვენებინა კ. ლ. პაიკის თეორიაში ჰუმბოლდტის შემოთავაზებული შეხედულებების ევოლუცია და მათი მიმართება ლინგვისტიკის საერთო ანთროპოლოგიურ მიმართულებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ენა ყველა დროში ეთნოსის საკმაოდ მკაფიო საიდენტიფიკაციო მახასიათებელს წარმოადგენდა, ყოველთვის უდავო იყო ენის კულტურასთან კავშირი – მაკროლინგვისტური პრობლემატიკა (ენა და კულტურა), რომლისადმი ინტერესმაც თავის აპოგეას ვ. ფ. ჰუმბოლდტისა და სხვათა შრომებში მიაღწია, მეორეხარისხოვნად იქცა XX საუკუნის I ნახევარში სტრუქტურალიზმის მიღწევების გამო: „თუმცა, უკვე გასული საუკუნის ბოლოს ჰუმანიტარული ცოდნის მეცნიერული პარადიგმის ცვლილების ჭრილში ქანქარამ საწინააღმდეგო მიმართულებით დაიწყო მოძრაობა და ნაცვლად გაბატონებული სციენტიკისა, სისტემურ-სტრუქტურული და სტატიკური პარადიგმისა, შემოდის ანთროპოლოგიური, ფუნქციონალური, კოგნიტური და დინამიური პარადიგმა, რომელმაც დაუბრუნა ადამიანს „ყოველი საგნის საზომის” სტატუსი და დააბრუნა იგი სამყაროს ცენტრში” (ვორკაჩევი 2004,4).

### **§ 3. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზიდან ტაგმემიკურ თეორიამდე როგორც გზა ანთროპო- და კულტუროცენტრიზმისაკენ**

ენციკლოპედიაში “Britanica” ვკითხულობთ, რომ ტაგმემიკა აღმოცენდა ბლუმფილდისეული უშუალო შემადგენლებით ანალიზისა და ადამიანის ქცევასთან დაკავშირებული პაიკის საკუთარი ზოგადი თეორიის საფუძველზე. (Language in Relation to a Unified Theory of the Structure of Human Behaviour, 3vol. 1954-60; 2 nd ed. 167). მოცემული განმარტებით დაინტერესებამ საფუძველი მოუშადა ჩვენს შემდგომ მიმოხილვას.

დესკრიფციული ლინგვისტიკის მამამთავარს, ლ. ბლუმფილდს თავისი ზოგადენათმეცნიერული თეორია გამოჰყავდა ბიჰევიორიზმისაგან, - ადამიანის

ქცევის შესახებ მეცნიერებისაგან, რომელიც ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მიმდინარეობას წარმოადგენს.

აღიარებულია, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერების ფარგლებში, სინტაქსს უშუალო შემადგენელთა სინტაქსს უწოდებენ. ისევე, როგორც ენობრივი ანალიზის სხვა სფეროებში, აქაც დესკრიპტივისტები ძირითადად ლ. ბლუმფილდის მოძღვრებას ემყარებიან”.. (შარაძენიძე 1972:107).

შევეცდებით ვუჩვენოთ, თუ რა მიმართულებით აღიარებდნენ ბლუმფილდის იდეებს დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლები.

მართალია, ლ. ბლუმფილდი მორფოლოგიასა და სინტაქსს მიჯნავს, ერთმანეთისაგან, მაგრამ იგი რიგ გრამატიკულ ცნებებს ორივე ამ დარგისათვის ერთად განიხილავს. ასეთ საერთო ცნებებს განეკუთვნება რთული ფორმა შემადგენლები, უშუალო, საბოლოო კონსტრუქცია, გრამატიკული თვისებები ანუ ტაქსემები (რიგი, მოდულაცია, ფონეტიკური მოდიფიკაცია და შერჩევა) და ტაგმემები (კონსტრუქციული, ენდოცენტრული, ეგოცენტრული, გამოსატულება). გრამატიკული განლაგების მარტივი თვისება არის **გრამატიკული თვისება ანუ ტაქსემა**. ტაქსემა წარმოადგენს ფორმის უმცირეს ერთეულს, რომელსაც ცალკე თავისთავად მნიშვნელობა არ აქვს. გრამატიკული ფორმის უმცირესი მნიშვნელობის მქონე ერთეულს ბლუმფილდი უწოდებს **ტაგმემებს**, ხოლო მათ მნიშვნელობებს – **ეპისემებს**.

ტაგმემა შეიძლება შედგებოდეს ერთზე მეტი ტაქსემისაგან. ეს იქნება შერჩევის, რიგის, მოდულაციის ტაქსემები. არც ერთ ცალკე აღებულ ტაქსემას თავისთავად არა აქვს რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ ყველანი ერთად ქმნიან გრამატიკულ ფორმას, ტაგმემას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს.

ბლუმფილდის სინტაქსურ მოძღვრებაში ახალი და საინტერესო არის კონსტრუქციათა შემადგენლებისა და უშუალო შემადგენლების გამოყოფა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივი კონსტრუქციის ანალიზი უნდა იყოს არა ხაზოვანი და ერთდროული, არამედ სიღრმითი და საფეხურებრივი. ყოველ საფეხურზე უნდა გამოიყოს ის კომპონენტები, რომლებიც ამ გამოსატულებას ქმნიან. ასეთი ანალიზი უეჭველად ფასეულია და პრინციპულად მისაღები, თუმცა, არც კონსტრუქციათა კლასები და არც შემადგენელთა კლასები ბლუმფილდის მიერ საბოლოოდ დადგენილი არ არის. ცხადია, ასეთ ვითარებაში უშ-თა მიხედვით ანალიზი ვერ იქნება ეფექტური.

ბლუმფილდმა წარმოადგინა სინტაქსური ანალიზის თავისებური პროგრამა, განსაზღვრა რიგი ძირითადი ცნება, მაგრამ საკითხი ბოლომდე და თანმიმდევრულად მას არ დაუმუშავებია. რაც შეეხება საკუთრივ უშ-ებს, მათ ბლუმფილდი სრულიად არ ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. უშ-თა მიხედვით ანალიზი მისი სინტაქსური მოძღვრების თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი მხარეა. მის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპთა მიხედვით კონკრეტულ ენათა კვლევა თავად მეცნიერს არ გაუშლია.

ამ ამოცანის განხორციელება ბლუმფილდის მიმდევარ დესკრიპტივისტებს დაეკისრათ. აღნიშნული საკითხის დამუშავებას დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში 40-იან წლებში მოჰკიდეს ხელი.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში არსებული ვითარება ასახულია კ. პაიკის წერილში „ტაქსემები და უშუალო შემადგენლები“. ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ბევრ მათგანს ვინც ლ. ბლუმფილდის შრომის „ენის“ შესწავლით იყო შთაგონებული და მის საფუძველზე ცდილობდა ენის დესკრიფციული ანალიზის ჩატარებას, იმედები ერთგვარად გაუცრუვდა, ვინაიდან მასალა ბევრად უფრო რთულად დასამუშავებელი აღმოჩნდა, ვიდრე ეს განსაზღვრებიდან ჩანდა.

თვით პაიკს უცდია გამოეყენებინა ბლუმფილდის პრინციპი მექსიკის ინდიელთა ენის მიქსტეკოს რთული სინტაქსის ანალიზისათვის და იმ დასკვნამდე მისულა, რომ საჭიროა ანალიზის პროცედურის ოდნავ განსხვავებული დებულება, რაც გააადვილებს სინტაქსის აღწერას (პაიკი 1943:65).

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზს წამყვანი ადგილი უჭირავს 40-იან წლებში. ენათმეცნიერთა შრომებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო მათ გამოყენებას სინტაქსში. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საკმაოდ დიდი სხვადასხვაობა შეინიშნება ცალკეულ მკვლევრებს შორის იმ სინტაქსური კონცეფციების თვალსაზრისით, რომელთაც უშუალო შემადგენელთა თეორია ემყარება.

პაიკმა შრომაში „ტაქსემები და უშუალო შემადგენლები“ თავის სინტაქსურ მოძღვრებას საფუძვლად დაუდო ტაქსემისა და ტაგემის ცნებები. გამოყოფს რა ინგლისურ წინადადებაში სტრუქტურის თანმიმდევრულ ფენებს უშ-თა სახით, ავტორი იძლევა შემადგენელთა დახასიათებას ტაქსემებისა და ტაგემების ტერმინებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქციების უშ-ები წარმოდგენილია პაიკის თეორიაში, მაგრამ მკვეთრად განსხვავებულ როლში,



ვიდრე ზოგადად იმდროინდელ ენათმეცნიერებაში და კერძოდ, ბლუმფილდთან. ნაცვლად იმისა, რომ წარმოადგენენ გრამატიკული ანალიზის საწყის პუნქტს, ისინი გვევლინებიან ანალიზის საბოლოო პროდუქტად (პაიკი 1967:155).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, როგორც წესი, დესკრიპტივისტების სინტაქსური თეორიები უფრო ვიწროდ არის შემოფარგლული, ვიდრე ბლუმფილდთან იყო. ბლუმფილდის მიერ აღიარებული მთელი რიგი დებულებები დესკრიპტივისტებს არა მხოლოდ განუვითარებიათ, არამედ სრულიად უგულვებელყვეს კიდევ.

პაიკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბლუმფილდს არ მოუცია ცალკე თავი უშუალო შემადგენლებად დაყოფის კრიტერიუმთა შესახებ. ამის გამო, ხშირად იქმნებოდა გაუგებრობა ამ პრინციპის გამოყენებისას როგორც ინგლისური ენის, ისე მიქსტეკოს ანალიზის დროს. პაიკმა თავის ამოცანად დაისახა თავი მოეყარა ბლუმფილდის მიერ ნახსენები ან გამოყენებული პრინციპებისთვის და დაემატებინა მათთვის თავისი საკუთარი ილუსტრაციები, პრინციპები და დაკვირვებები.

პაიკის შემდეგ უშ-თა მიხედვით ანალიზის პროცედურებს ეხებოდნენ უელზი, პიტმენი, ფრიზი, სტრიტი და სხვები.

ანალიზის დროს სინტაქსური და მორფოლოგიური დონეები არ არის გამიჯნული, რის ერთგვარ საფუძველს თვით ბლუმფილდი იძლეოდა, რადგან მოძღვრება უშ-თა შესახებ მას მორფოლოგია-სინტაქსს გარეთ ჰქონდა გამოტანილი. იგივე შეიძლება ითქვას პაიკის, უელზის, პიტმენის, ჰოკეტის და სხვათა შრომებზე.

პაიკი ცოტა განსხვავებულად აყალიბებს თავის შეხედულებას. სინტაქსური ანალიზი მთავრდება მაშინ, როდესაც მივალწვეთ უშუალო შემადგენელთა თანმიმდევრული ფენებით თითოეული სიტყვის ტაგმემამდე ან ტაქსემამდე. მთლიანი გრამატიკული ანალიზისათვის კი უნდა გადავიდეთ მორფოლოგიაზე და დავამთავროთ თითოეული მორფემის ტაგმემითა და ტაქსემით (Pike 1967:70).

უშ-თა ანალიზის დროს რიგ მკვლევრებს მორფოლოგია-სინტაქსის დიქტომიის უგულვებელყოფა არ მიაჩნიათ გამართლებულად. სინტაქსური და მორფოლოგიური კონსტრუქციები, მიუხედავად მსგავსებისა, მაინც საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უშ-თა განხილვისას ამ ორი დონის გაერთიანება უგულვებელყოფს თითოეული მათგანის სპეციფიკას. ამასთან, ასეთი გაერთიანება არათანმიმდევრულია იმ დესკრიპტივისტების მხრივ, რომლებიც საჭიროდ თვლიან მორფოლოგიისა და სინტაქსის გამიჯვნას.

დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლები სინტაქსის საკითხების დამუშავებისას ბლუმფილდის მოძღვრებს ემყარებიან, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით ავითარებენ ამ მოძღვრებას. შედეგად ვიღებთ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ თეორიებს, რომლებშიც ბლუმფილდის პრობლემატიკა დავიწროვებულია, რიგი ძირითადი ცნება გაბუნდოვანებულია.

**უშ-თა** თეორია, რომელსაც საყრდენად არ აქვს ექსპლიციტურად დადგენილი სინტაქსური ცნებები და მიმართებანი, ვერ იძლევა ობიექტურ კრიტერიუმს ენის ანალიზისათვის. მიუხედავად ცდებისა, გამოემუშავებინათ ენის აღწერის პროცედურები, კონსტრუქციათა დაყოფა **უშ-ებად** ძირითადად მოლაპარაკის ან მკვლევარის ინტუიციას ემყარება (შარაძენიძე 1972:112).

აღნიშნულ მოსაზრებას სრულად ვეთანხმებით, თუმცა ეს შენიშვნები პაიკის მოღვაწეობის ადრეული პერიოდის შრომებს უკავშირდება, რომლებიც მიუხედავად ზოგიერთი წინაღმდეგობრივი ასპექტისა, წინ გადადგმული ნაბიჯი გახდა XX ს-ის 40-იანი წლების ენათმეცნიერებაში. სწორედ მაშინ ეყრებოდა საფუძველი იმ დიდ ევოლუციას მეცნიერის კვლევებში, რაც პაიკის უფრო გვიანდელ შრომებშია ასახული.

დესკრიფციული ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლის კ.ლ. პაიკის შრომა, „ენა მის მიმართებაში ადამიანის ქცევის სტრუქტურის ერთიან თეორიასთან“ არის ფუნდამენტური კვლევა ამ კუთხით. მასში მკვლევარი განიხილავს ენას, როგორც ადამიანის ქცევას, როგორც ერთგვარ ფაზას ინტეგრირებული მთლიანობისა. მის მიერ მოყვანილი მაგალითები მყარ საფუძველს ქმნის ერთიანი თეორიისა და მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებისათვის, ადამიანის ქცევა ქმნის ვერბალური და ასავე არავერბალური ქცევების სტრუქტურულ მთლიანობას და თეორია და მეთოდოლოგია პაიკის მიხედვით სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას და განვითარდეს.

მოვლენის, როგორც ცალკეული ერთეულის სტრუქტურული ანალიზი შეუძლებელია ქცევის დანაწევრებული მიდგომის გარეშე. სწორედ ამიტომ, მეცნიერი გვთავაზობს კვლევის საუკეთესო მეთოდს—ერთიან თეორიას, რომლის მიხედვით: 1) ენობრივი და არაენობრივი ქცევა შეთავსებულია ცალკეულ მოვლენებში და 2) ვერბალურმა და არავერბალურმა ელემენტებმა შესაძლოა დროდადრო სტრუქტურულად შეცვალონ ერთმანეთის ფუნქციები.

სშირად გვექმნება წარმოდგენა, თითქოსდა ენა ქცევისაგან განსხვავებულია და ქცევა და ენა ერთდროულად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად

არსებობს. კ. ლ. პაიკის მიხედვით ასეთი მიდგომა იმთავითვე მცდარია და აღნიშნულის დასამოწმებლად, შევნიშნავთ, რომ მის მიერ ჩატარებული ანალიზი მოიცავს ერთდროულად ორივე – ვოკალური და არავოკალური სახის ქმედებებს, რომლის მიხედვით, როგორც არაენობრივი ჩანაწერები საჭიროებს ენობრივ შეფასებას, ასევე ენობრივი ჩანაწერიც ხშირ შემთხვევაში არ არის ღირებული, თუ მას თან არ ახლავს არაენობრივი გარეგნული ნიშნები,

დავუშვათ, ვუყურებთ ამერიკული ქორწილის ჩანაწერს გახმოვანების გარეშე და ვაკვირდებით მონაწილეთა ყოველგვარ ქცევას, გარდა სამეტყველო ქცევისა. შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი აღწერა სრულფასოვანია? რა თქმა უნდა – არა, რადგან მონაწილეები სულ მცირე იმის გაგონებას ხომ მაინც მოისურვებენ, მღვდელმა წარმოსთქვა თუ არა შემდეგი სიტყვები: “I pronounce you man and wife” (გაკურთხებთ ცოლ-ქმრად). ქორწილის ჩანაწერი ქცევის ვერბალურ ნაწილსაც უნდა მოიცავდეს.

ბევრი სხვა შემთხვევაც არსებობს იმის საჩვენებლად, რომ როგორც მხოლოდ არავერბალური ქცევის ჩანაწერია არასრულფასოვანი, თუ მას თან არ ახლავს ვერბალური ქცევა, ასევე არასრულფასოვანია მხოლოდ ვერბალური ჩანაწერი, რომელიც ღირებულებას კარგავს არავერბალური, ვიზუალური სახის ქცევის დართვის გარეშე.

მაგალითად: მოვისმინეთ მაგნიტოფონზე ჩაწერილი უარყოფითი ნაწილაკი “No”! რომლის წინ და შემდგომ ხანგრძლივი დუმილია. გარემოება, რომელშიც ეს სიტყვა ითქვა, გაურკვეველი დარჩება. სიტუაციის ასახსნელად აუცილებელია სურათობრივი ჩვენება ან ვერბალური მოხსენება იმის შესახებ, რომ ბავშვი მისწვდა გარკვეულ საგანს მაგიდაზე და დედამ დაუყვირა – “No!”

განხილული მაგალითების საფუძველზე პაიკი ასკვნის, რომ ენობრივი და არაენობრივი ქცევა მჭიდრო ურთიერთკავშირშია. უფრო მეტიც, ენობრივი და არა ენობრივი ქცევა ხშირად სტრუქტურულად ანალოგიურია და გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია მათ შეცვალონ ერთმანეთი (პაიკი 1967:22).

ამ თვალსაზრისით, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველგვარი ფსიქოლოგიური პროცესი, ყოველი შინაგანი რეაქცია რაიმე მოვლენის მიმართ – აზროვნება, ფიქრი, გრძნობა შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ქცევის შემადგენელ ნაწილად, რაც სტრუქტურულად სრულფასოვანი სწორედ მაშინ გახდება, თუ თეორია და ანალიტიკური პროცედურა შესაბამისობაშია და მკვეთრი წყვეტილობის გარეშე ფარავს ქმედებას. ენა მხოლოდ ერთ-ერთი სტრუქტურული ფაზაა ამ ქცევისა.

პაიკის 'ინტერესის' სფერო „ერთეულთა სისტემა“ ნაცვლად „ოპოზიციური წყვილებისა“, რაც ამერიკულ და ევროპულ კვლევებს შორის დავის საგანს წარმოადგენდა. პაიკი არ ემხრობა იმ აზრს, რომ მხოლოდ „ბინარული ოპოზიცია“ წარმოადგენს ვერბალური ქცევის გაშიფვრის საუკეთესო გზას. მეცნიერის აზრით, გარკვეულ უზუსტობას აქვს ადგილი, როცა ბინარული ოპოზიცია განიხილება როგორც ერთადერთი მკაფიო მახასიათებელი.

„ბინარული ემფაზა ასევე ახდენს „უშუალო შემადგენელთა ანალიზს“ პაიკის თეორიის მიხედვით. „უშუალო შემადგენლები“ არ წარმოადგენენ საწყისი თავდასხმის საგანს, არამედ ანალიზის პროდუქტის სახით გვევლინებიან. პაიკის მიხედვით, უმჯობესია კვლევა ვაწარმოოთ კომპლექსურობიდან, ერთიანი სისტემიდან, ვიდრე ტრადიციული გზით მოვიძიოთ მასალის ამონარიდები და წარვმართოთ კვლევა ნაწილებიდან მთელისაკენ.

„ოპოზიციასა“ და „კლასს“ შორის ძირეული კორელაციის „გასაღების“ განსაზღვრისათვის პაიკმა აირჩია ბლუმფილდისეული ტერმინი „ტაგმემა“ ახალი მნიშვნელობით და მიიჩნია ის უფრო მნიშვნელოვნად ვიდრე „უშუალო შემადგენლები“. ტაგმემა განასხეულებს თეზისს, რომლის მიხედვით უფრო მაღალი სტრუქტურის ფუნქცია პოზიციის ჯგუფში არის ყოველთვის უშუალოდ რელევანტური ერთეულის ბუნებისა. ამასთან, ერთეული არ შეიძლება განისაზღვროს როგორც თავისთავად აღმოჩენადი ან აღწერადი. იგი მხოლოდ უფრო ვრცელი ერთეულის შემადგენელ ნაწილად შეიძლება იყოს განხილული. თუმცა, ზოგიერთი ლინგვისტი არ ემხრობა პაიკის ამ მოსაზრებას: „რადგან „კლასის“ ჯგუფის ყველა ქმედება ერთდროულად, ერთი ცალკეული მოვლენის მსგავსად ვერ წარიმართება, ამიტომ ტაგმემა უფრო არაკონკრეტულ ცნებად გამოიყურება, ვიდრე მორფემა. მიუხედავად იმისა, რომ იგი მიჩნეულია ობიექტურ ემიკურ ერთეულად და არა მხოლოდ ლინგვისტის უმნიშვნელო კონცეპტუალურ კონსტრუქციად (ბეუგრანდუ 2000:10).

კიდევ უფრო მრავლისმომცველი, ტაგმემასთან შედარებით, არის „ჰიპერტაგმემა“, ისეთი გრამატიკული იერარქიის მაღალი დონის წევრებისათვის, როგორებიცაა დიალოგი, მონოლოგი, საუბარი და ა. შ. პაიკი გარკვევით არ გამოჰყოფს ჰიპერტაგმემებსა და მათი დონეების ტიპებს.

ისმის კითხვა: როგორი ფორმებია ჰიპერტაგმემები: „აბსოლუტური“ თუ „რელატივისტური“? ანუ რა პრინციპით უნდა მოხდეს მათი იდენტიფიკაცია – უბრალო მექანიკური მეთოდოლოგიით თუ სხვა საშუალებით. ტაგმემა

დამოკიდებულია დროებითი ყურადღების ფოკუსზე. „მინიმალური ტაგმემა“ არ არის ისევე უშუალოდ მოცემული, როგორც „ფონემა“ და „მორფემა“. ზღვრული კატეგორიის ჩართვაა საჭირო იმისათვის, რომ გავარკვიოთ ერთი დონიდან მეორეზე გადასვლა, რაც გავლენას ახდენს თეორიის უწყვეტობაზე. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად ტერმინები „აბსოლუტური“ უნდა გახდეს. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭირო იყო ძირეული ცვლილებების გატარება თეორეტიკულ ჩარჩო-ტიპში, რაც კ. პაიკმა თავისი თეორიით განახორციელა.

როგორც ვხედავთ, კ. ლ. პაიკმა ბლუმფილდისეულ უშუალო შემადგენლებით ანალიზსა და ადამიანის ქცევასთან დაკავშირებული საკუთარი ზოგადი თეორიის საფუძველზე ჩამოაყალიბა ტაგმემიკური თეორია, რომელმაც ჩვენი ღრმა რწმენით, გარდატეხა მოახდინა XX საუკუნის ლინგვისტიკაში ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგიის კუთხით. ტაგმემიკა ასევე ცნობილია, როგორც “string Constituent analysis” („სიმობრივ შემადგენელთა ანალიზი“) და ნაწილობრივ განსხვავდება ბლუმფილდისეული მოძღვრებისაგან, რადგან როგორც სემანტიკური, ისე სინტაქტიკური ფუნქცია გამოიყენება ტაგმემათა ამოსაცნობად. პაიკმა მოგვიანებით ტაგმემიკა ველის თეორიის მატრიცას და ინგლისურ რიტორიკაც მიუსადაგა.

#### **§ 4. კ. ლ. პაიკის მეცნიერული შრომების მიმოხილვა მათი ისტორიული მემკვიდრეობისა და XX-ის ენათმეცნიერების ჭრილში**

ამერიკული მეცნიერების ტრადიციათა ნიადაგზე მოხდა უნივერსალურ ძიებათა დაკავშირება ადამიანის ქცევის შესახებ მეცნიერებასთან (ბიჰევიორიზმთან), ფსიქოლინგვისტიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციალურ მეცნიერებებთან. ენათმეცნიერების დაკავშირება ანთროპოლოგიასთან, ე.ი. კულტურის ფორმათა შემსწავლელ სოციალურ მეცნიერებასთან. ეს პროცესი მიმდინარეობს ჯერ კიდევ ფ. ბოასისა და მის მოწაფის ედ. სეპირისაგან. ცხადია, კ. ლ. პაიკი აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესებში და თავისი შრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაში.

შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე შევეცდებით განვიხილოთ პაიკის მეცნიერული მოღვაწეობა მისი თანამედროვე ეპოქის ამერიკული საენათმეცნიერო სკოლის მიმართულებებისა და ამ სკოლის თვალსაჩინო

წარმომადგენლების მიმოხილვის ჭრილში, რაც დაგვეხმარება, XX საუკუნის ენათმეცნიერებაში კ. ლ. პაიკისათვის შესაფერისი ადგილის მიკუთვნებაში.

1999 წლის ჟურნალში “Scientific American” სტივენ ვაინბერგის სტატიაში, „ერთიანი ფიზიკა 2050 წლისთვის“ კითხულობთ: „ფიზიკის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი არის ბუნების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნების ერთიანი თეორიის გზით შესწავლა. ჩვენი დროის უდიდესი აღმოჩენები ამ მიზნის მისაღწევად წინგადადგმული ნაბიჯებია...“ (ვაინბერგი 1999:68).

მსგავსად ამისა, პაიკისეული ყოველი მიგნება ენისა და კულტურის ერთიანი თეორიით შესწავლისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

ისმის კითხვა: ‘როგორ ხდება ინგლისური ენის გავრცელება?’ – ‘სხვადასხვა დიალექტის საშუალებით’. ‘ მაგრამ სად ხდება ყველა ამ დიალექტის დისტრიბუცია?’ – ‘კულტურაში’.

სწორედ ამ აღმოჩენამ განსაზღვრა პაიკის კვლევას წლების მანძილზე. მეცნიერი ამ მიგნების შემდეგ უკვე ვეღარ გამოიკვლევდა ფონოლოგიას, რითიც დაიწყო, ან ნებისმიერ სხვა საკითხს კულტურისაგან იზოლირებულად დისტრიბუციული კომპონენტის განხილვის დროს. ასევე, ვერ უგულებელყოფდა იერარქიას გრამატიკაში, ფონოლოგიასა და ლექსიკაში, რამაც იგი მიიყვანა მისი უდიდესი მეცნიერული შრომის „ენა მის მიმართებაში ადამიანის ქცევის სტრუქტურის ერთიანი თეორიასთან“ (1967) შექმნამდე. მკვლევარს ესაჭიროებოდა ერთიანი თეორია, რამაც გავლენა იქონია წინამდებარე ლინგვისტური თეორიის განვითარების მისეულ ხედვაზე: „მე არ მინდა ვიყო „ნეიტრალური“ ან „აბსტრაქტული“, არამედ ერთიანი ჩემს მიმართებაში ადამიანურ ბუნებასთან, როგორც მე შევიმეცნებ მას“ (ვაინბერგი 1999:121).

ბევრი ლინგვისტი თვლის, რომ წიგნი „ენა მის მიმართებაში ადამიანის ქცევის სტრუქტურის ერთიანი თეორიასთან“ არის პაიკის magnum opus-ი. ეს ვებერთელა 760 გვერდიანი შრომა მდიდარია მნიშვნელოვანი მოსაზრებებით ენისა და კულტურის შესწავლის კუთხით. მისი დიდი მნიშვნელობა განისაზღვრა კულტურის ჰოლისტიკური ხედვისაკენ გეზის ალებით.

ჯორჯთაუნში კ. ლ. პაიკის დეკანის მედალზე წარდგენის დროს ჯეიმს ი. ალატისის მიერ გაკეთებული პრეზენტაციის (Alatis 1993:5) ციტირების მიხედვით: „მიუხედავად იმისა, რომ პაიკი ავტორია 12-ზე მეტი მნიშვნელოვანი წიგნისა, მისი ერთადერთი პუბლიკაცია რომ ყოფილიყო „ენა მის მიმართებაში ადამიანის ქცევის სტრუქტურის ერთიანი თეორიასთან“, იგი მაინც აღიარებულ იქნებოდა, როგორც

ერთ-ერთი ყველაზე უფრო დეაწლმოსილი მეცნიერი ჩვენს დარგში”. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით მოცემულ შეფასებას, თუმცა არანაკლებ ღირებულად ვთვლით მეცნიერის სხვა შრომებს, რომელთაგან ზოგიერთს მიმოვიხილავთ. კითხვაზე “თქვენ დაწერილი გაქვთ ურიცხვი წიგნი, ასობით სტატია, წიგნების ცალკეული თავები და მიმოხილვები, თუ კი მხოლოდ ერთი წიგნის ან ერთი სტატიის არჩევის უფლება გექნებოდათ რომელს გამოარჩევდით? პაიკი პასუხობს: „მე არ მაქვს გამორჩეულად საყვარელი წიგნი, რადგან ყველა ისინი ძვირფასია ჩემთვის სხვადასხვა მიზნების გამო”.

შევეცდებით განვსაზღვროთ ეს „მიზნები”: პაიკის წიგნმა “Phonetics” დიდი გავლენა იქონია თვით მეცნიერის შემდგომ მოღვაწეობაზე და აღიარებაც ჰპოვა ლინგვისტურ წრეებში. ეს იყო პირველი სამეცნიერო ვრცელი შრომა, რომელიც პაიკს შთააგონა თაუნსენდმა, მოგვიანებით კი ჩარლზ ფრიზმა ურჩია აერჩია იგი სადისერტაციო თემად. თემა დაასრულა 1941 წელს, ხოლო 1943 წელს იგი გამოიცა წიგნად. მეცნიერის გამოკვლევა განსაკუთრებით საყურადღებოა ბგერათა უნივერსალიების დადგენის თვალსაზრისით.

საინტერესოა, როგორ დაიწყო პაიკმა სოციალური მიმართულებით კვლევა და როგორ გადაიზარდა იგი მოგვიანებით მისი ფილოსოფიით დაინტერესებაში.

მიზიგანში ასოცირებულ პროფესორად დანიშნის შემდეგ (1948), პაიკმა გადაწყვიტა დაეწერა წიგნი ხმის ხარისხზე, მაგრამ იგი არ შემოიფარგლა ფონოლოგიით და შეეხო გრამატიკასაც. მას სურდა ეცადა ფონოლოგიური გამოცდილების გამოყენება გრამატიკაში. ასე რომ, ფონემიკის წიგნიდან ამოიღო შედარებით ზოგადი საკითხები, რომლებიც შესაძლოა გამოსადეგი ყოფილიყო და დაასრულა კონტრასტის, ვარიაციის, დისტრიბუციის (ან მათი ეკვივალენტების) მიკვლევით. შემდეგ დაიწყო მიღებული მასალის გრამატიკაზე მორგება და როცა იგი აუყვა ენის იერარქიას, დაინტერესდა ენის გავრცელების არეალით და დარწმუნდა, რომ არ სჭირდებოდა აუცილებლად ინგლისური ენის მორგება მხოლოდ ინგლისურზე. მან იგრძნო, რომ ენა უნდა გავრცელდეს კულტურაში! ამან კარი გაუღო პაიკის ინტერესს ანთროპოლოგიისაკენ. მაგრამ როგორც კი ეს ბიძგი განიცადა, მაშინვე იგრძნო აუცილებლობა ვერბალური და არავერბალური ქცევის განხილვისა, რამაც, თავის მხრივ, მიუთითა მეცნიერს არა მხოლოდ ანთროპოლოგიის, არამედ ფსიქოლოგიის მნიშვნელობაზე, რაც ხაზს უსვამდა კულტურული სტრუქტურის კომპონენტებს და, ამასთან, იყო მცდელობა, ადამიანის ქცევის როგორც უნივერსალური პრესუპოზიციების გაგებისა. ყოველივე ამან

დაანახა პაიკს საჭიროება დაეწერა ფილოსოფიური კუთხით თავის შრომაში „საუბარი, ფიქრი და საგანი“ (Talk, Thought and Thing). აღნიშნულ წიგნს განსაკუთრებული ღირებულება აქვს ფილოსოფიისა და ლინგვისტიკის კავშირის ურთულესი პრობლემის პაიკის მიერ მკითხველისთვის ორიგინალურად, მაგრამ იმავდროულად ნათლად და მისაწვდომად წარმოდგენის თვალსაზრისით.

ლინგვისტთა ინტერესის სფეროში ფილოსოფიური პრესუპოზიციებიც უნდა შედიოდეს. 1980-იან წლებში პაიკის ინტერესიც ამ კუთხით გაღვივდა, რაც შესაბამისად აისახა მის წიგნში “Talk, Thought and Thing - ემიკური გზა ცნობიერი ცოდნისაკენ”, სადაც პაიკი აღნიშნავს, რომ კულტურათაშორისი ცოდნის თეორია უნდა ეყრდნობოდეს ადამიანის ინტერაქციას სოციალურ და ფიზიკურ კონტექსტში. დამკვირვებელი ჩართული უნდა იყოს ყოველგვარი სოციალური ინტერაქციის ან წესებზე ორიენტირებული მასალის აღწერილობაში. ფონოლოგიური, გრამატიკული, რეფერენციული თვისებები გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე. თუმცა ძირეული პრესუპოზიცია მეცნიერის აზრით, მომდინარეობს ადამიანიდან და არა აბსტრაქტულად. შესაბამისად არსებობს დამკვირვებელი, რომელიც უნდა მივიჩნიოთ წყაროდ ნებისმიერი ძიებისა ან ამა თუ იმ ხერხის არჩევისა. ამიტომ, პაიკისათვის ადამიანი მშრალ ლოგიკაზე მაღლა დგას.

წიგნი “Talk, Thought, and Thing: The Emic Road towards Conscious Knowledge” არის ფილოსოფიური წიგნი, რომელიც ძალიან გამოადგებათ ახალგაზრდა მეცნიერების მცირე აუდიტორიას, რომლებიც გულგატეხილნი თანამედროვე საზოგადოების მექანიცისტური ორიენტაციით და არ იციან საით აიღონ გეზი. ეს წიგნი ფანჯარას გაუღებს ასეთ მკვლევრებს რომ, დაანახოს გონებისა და საგნის საჭიროება, ორივეს გათვალისწინების აუცილებლობა.

კ. ლ. პაიკის სტატიებიდან უფრო ხშირად იქნა გამოყენებული „გრამატიკული პრერეკვიზიტები“ (1947), რადგან იგი ეხებოდა ტრანსფორმაციულ რევოლუციას და უჩვენებდა, რომ ფონოლოგიის წმინდა ფორმალიზმი საკმარისი არ იყო, ასევე საჭირო იყო გრამატიკა.

ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების, ადამიანისა და მოვლენის, ადამიანისა და საგნის, ადამიანისა და გრძნობის, ადამიანისა და არსებული რეალობის ურთიერთმიმართების გაგებისათვის მეცნიერი აღიარებს პოეზიის როლს. პოეზიის ფიზიკური ფორმა, წარმოთქმის ელემენტები: ინტონაცია, ხმის სირბილე-სიუხეშე და სხვ. – ადამიანური ბუნების ინტერ-სოციალური მნიშვნელობის მატარებელია მის პოლისტიკურ მიმართებაში ხალხთან და



კონტექსტთან. მეცნიერმა თავის პოეზიაც კი ლინგვისტიკის სამსახურში ჩააყენა. შერონ ჰაიმბრახმა (1997) შეკრიბა პაიკის ათასობით ლექსი და გამოსცა 5 ტომად.

პაიკის მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის ამსახველი ბიბლიოგრაფია თემათა მრავალფეროვნებით გაგაოცებთ: „ჩემი თემები განვითარდა ჩემი მცდელობიდან დაეხმარებოდი სტუდენტებსა და კოლეგებს, როცა ისინი წააწყდებოდნენ რაიმე პრობლემებს ენის შესწავლისას. ეს თემები შერჩეულ იქნა იმ ხალხთან ურთიერთობით, რომლებიც სირთულეებს წააწყდნენ არაცივილიზებულ ენათა ანალიზისას. ამან მიმიყვანა ინტერესთა მრავალგვარობამდე, რაც ჩემს ნაწერებში აისახა”. (იხ. კეის ინტევიუ პაიკთან კეი 1993:7)

ჩვენი კვლევის ობიექტი მხოლოდ მეცნიერის შრომები როდია, ასევე შევისწავლეთ პაიკის მის თანამედროვე ლინგვისტებთან მიმართების საკითხი.

კ. პაიკს წლების მანძილზე ურთიერთობა ჰქონდა ისეთ გამოჩენილ ლინგვისტებთან, როგორებიცაა ე. სეპირი, ლ. ბლუმფილდი, ბ. ბლოხი, კ. ტრაგერი, სვოდეში, მარტინერი, იაკობსონი და სხვები. საინტერესოა, პაიკის დამოკიდებულების შესწავლა მათ მიმართ და მისეული შეფასების გაცნობა.

კ. ლ. პაიკი თავის ადრეულ მენტორთა შორის, პირველ რიგში მოიხსენიებს უილიამ კამერონ თაუნსენდს, რომელმაც ბიძგი მისცა პაიკის კარიერას. თაუნსენდი არ გახლდათ პროფესიონალი ლინგვისტი, მაგრამ მისი კვლევის ცენტრალური სფერო დამწერლობის არმქონე ენებათა ტექსტების თარგმნა და მათი გრამატიკული ანალიზი იყო. სწორედ მისმა გრამატიკულ-თეორიულმა პრეზენტაციამ 1935 წელს დასაბამი მისცა მოგვიანებით პაიკის ტაგმემიკური თეორიის „პოზიციათა კლასს” (Pike, 1982).

შემდეგი მეცნიერი, რომელმაც ასევე დიდი გავლენა იქონია პაიკის აკადემიურ მოღვაწეობაზე გახლდათ ალბერტ მაკ-კერი, რომელიც ზოგად ფონეტიკაში მუშაობდა. პაიკის საწყისი კარიერა და მისი დისერტაციაც ამ სფეროს შეეხებოდა. ასევე, მნიშვნელოვანია ე. ნაიდასთან თანამშრომლობა. პაიკი 24 წლის ასაკიდან თაუნსენდთან და ნაიდასთან ერთად მუშაობდა საენათმეცნიერო წიგნებზე. (ნაიდა – მორფოლოგიაზე, ხოლო პაიკი – ფონეტიკაზე).

მეცნიერის მოღვაწეობის პირველ ეტაპს უშუალოდ მოსდევს სეპირ – ბლუმფილდის ერა. სეპირმა, როგორც პაიკი აღნიშნავს გაცილებით მეტი რამ ასწავლა მას, ვიდრე მხოლოდ ლინგვისტიკა. სეპირი საზოგადოდ, ძალიან

სწავლობდა დამწყებთ, მათ შორის, ახალგაზრდა პაიკსაც. სეპირის სტატიამ „ბევრათა ნიმუშები ენაში“ (1925), დიდი გავლენა იქონია პაიკზე. ეს გახდა ძირითადი ფილისოფიური საფუძველი ფონეტიკასა და ფონემიკას შორის განსხვავების აღქმისათვის. მოცემული ენის ფონემა სტატიაში მოიაზრებოდა როგორც ფსიქოლოგიური რეალობა მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთათვის ხოლო ზოგადი ფონეტიკის ხედვას სულაც არ ჰქონდა ფსიქოლოგიურად „ლოკალური“ სტატუსი, რაც შეიძლება etic და emic ორმხრივი მიდგომით კვლევის საწყისად მივიჩნიოთ.

ლეონარდ ბლუმფილდსაც, ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პაიკის წარმატებულ აკადემიურ მოღვაწეობაში. თუმცა, სეპირისაგან განსხვავებით იგი ბევრად უფრო ჩაკეტილი და ნაკლებად კომუნიკაბელური იყო პიროვნული თვისებებით იგი, როგორც უფროსი კოლეგა და მასწავლებელი, ყოველთვის მხარში ედგა პაიკს. ახალგაზრდა ლინგვისტის პირველ კვლევას, რომელიც მან წიგნად გამოსცა, ბლუმფილდი ასე გამოეხმაურა: „ეს მშვენიერი წიგნია და პირველი ინტონაციაზე გამოქვეყნებულ წიგნთა შორის, რომელიც ინტერესით წავიკითხე და შედეგიც მივიღე“ (პაიკი 2001:5).

თუ თაუნსენდს პაიკი თავის მასწავლებლად მოიაზრებს ლინგვისტიკის ზაფხულის სკოლაში (SIL), ჩარლზ ფრიზი მის მენტორად გვევლინება მიჩიგანის უნივერსიტეტში. მას წვლილი მიუძღვის პაიკის ავტორობით რამდენიმე წიგნის გამოცემასა და მის მიერ გრანტების მოპოვებაში. პაიკი აცხადებს, რომ იგი მეტად დავალებულია მისგან როგორც პროფესიული, ისე პიროვნული კუთხით.

ლ. უაითი, ე. დ. ჰანი, ჯ. რ. ფირსი, მ. ა. კ. ჰალიდეი – ის ლინგვისტები იყვნენ, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობდა კ. ლ. პაიკი და მათ გვერდით კიდევ უფრო გამოცდილ ლინგვისტად ყალიბდებოდა.

ბლოხი-ტრაგერის პერიოდიდან მ. სვოდეშთან, ა. ჰილთან, ჩ. ვოგელთან და სხვებთან ერთად უნდა გამოვეყოთ მარვინ ჰარისი, რომელიც XX საუკუნის მატერიალური ანთროპოლოგიის წამყვან თეორეტიკოსად ითვლება. ამერიკის საენათმეცნიერო სკოლისათვის ცნობილია emic/etic ცნებათა განმარტებასთან დაკავშირებული დაპირისპირება ჰარისსა და პაიკს შორის. ჰარისი ტერმინს ‘emic’ მენტალურ კატეგორიად განიხილავდა, ხოლო etic ცნებას – ფიზიკურად. ორივე მეცნიერმა აღნიშნულ ცნებებთან დაკავშირებული განსხვავებული ხედვა კონსტრუქციულად ჩამოაყალიბა ამერიკის ანთროპოლოგიური ასოციაციის 1988 წლის შეკრებაზე. ჰარისი და პაიკი საბოლოოდ მაინც განსხვავებულად ახდენდნენ

ამ ცნებათა კონცეპტუალიზაციას, თუმცა პაიკი კმაყოფილი იყო იმ ფაქტით, რომ მის მიერ შემოღებული ცნებები საკმაოდ ხელსაყრელი აღმოჩნდა ანთროპოლოგიისათვის.

1957 წელს ახალგაზრდა ლინგვისტმა, ნოამ ჩომსკიმ, გამოაკვეყნა წიგნი, რომელმაც დრამატულად შეცვალა დესკრიპციული ლინგვისტიკის იმიჯი ამერიკაში. ჩომსკი ფორმალისმს უსვამდა ხაზს ტრანსფორმაციული გრამატიკის სახით. მას აქცენტი გადაჰქონდა წინადადებაზე და უგულებელყოფდა სემანტიკას ან დისკურსის სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ პაიკი არ იზიარებდა მის შეხედულებებს, მას მაინც დიდ პატივს სცემდა როგორც ნოვატორ თეორეტიკოსს.

კ. პაიკი მაღალ შეფასებას აძლევს ედუარდ სეპირს და აღიარებს მის ძლიერ გავლენას ენათმეცნიერების ფონემიკისკენ წარმართვისა და ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის დაკავშირების კუთხით. მისმა წიგნმა „Language” (1933) უზარმაზარი გავლენა იქონია ფორმალური მიმართულების სტრუქტურებაზე. პაიკის მიხედვით, ბლოხის საზრუნავს წარმოადგენდა ყოფილიყო ზედმიწევნით მეცნიერული და ტრაგერთან ერთად დისციპლინის ლიდერობა იტვირთა მას შემდეგ, რაც სეპირისა და ბლუმფილდის გავლენა შედარებით შესუსტდა. ტრაგერის მცდელობამ, უპირატესობა მიენიჭებინა ფონემიკისთვის გრამატიკის ან სხვა იერარქიასთან მიმართებაში, დიდი ყურადღება დაიმსახურა. პაიკმა ეს მოსაზრება უარყო თავის სტატიაში „გრამატიკული პრერეკვიზიტები”. მეცნიერი ს ხაზგასმით მიუთითებს მექსიკის ლინგვისტიკის დაწინაურების საქმეში ვოდეშის როლზეც.

პაიკი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს მარტინეს. მას მოსწონდა მის მიერ ფონეტიკური ცხრილის გამოყენება, რომელშიც მოცემული დაშორებები ნასესხებ ბგერათა ალბათობაზე მიუთითებდა, რომლებიც ავსებდნენ სიცარიელეს უმატებდნენ რა ახალ ბგერებს ცხრილის გარეთ. პაიკს აგრეთვე ძალიან მოსწონდა იაკობსონი. ცოტა შეცბა კიდევ, როცა გაიგო, რომ ბლოხმა გააკრიტიკა მისი სტატია პოეზიასთან დაკავშირებით (როგორც მეცნიერების მიღმა მდგომი რამ). მისმა შრომამ ჰალესა და სხვებთან ერთად სტიმული მისცა უფრო დიდ დაინტერესებას კონტრასტული თვისებებისადმი მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე.

ჩვენი შრომის II თავში ნაწილობრივ შევეხეთ პაიკისა და ჰარისის განსხვავებულ შეხედულებებს ინსაიდერ აუთსაიდერის ცნებებთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა etic/emic ცნებებსა და მათ ჰარისისეულ ვერსიებს.

მოცემულ მასალაზე დაკვირვების შედეგად შევეცადეთ გაგვეგო მათი „განხეთქილების” მიზეზები: 1) ჰარისი განიხილავდა ემიკურ ცნებებს, როგორც შინაარსს, არსებულს ზოგადად ადამიანის თავში, ხოლო ეტიკურ თვალთახედვას, როგორც გარედან დამკვირვებელი მეცნიერის ხედვას. თუმცა, დამკვირვებელსაც ხომ უნდა გააჩნდეს ეს ემიკური პოტენციური თავისი დაკვირვების დროსაც. ე. ი. ასეთი გამოიყვანა არასწორია. ამიტომ, პაიკი არ ცნობს ამ სახის განსხვავებას. 2) ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პაიკს სურდა ემიკური სისტემა ყოფილიყო მოცემული ენის ფონემიკური სისტემა. 3) რაც თავად ჰარისისაგან იყო სტიმულირებული კვლევის განვითარება და ის, რომ პაიკს დასჭირდა აღწერის დროს წასულიყო ცოტა უფრო შორს აღწერის დროს, ვიდრე ნებისმიერი საფეხბურთო მატჩის, ბეისბოლისა და კრიკეტის ემიქსია. მას აგრეთვე სურდა დაესაბუთებინა, რომ „მეცნიერული მეთოდოლოგია ემყარება არსებულ სისტემას”, რაც შესაძლოა იყოს გარკვეულწილად არაზუსტი, რადგან იგი განსხვავდება ერთი სწავლულიდან მეორემდე, მსგავსად ენებისა და კონკრეტული ქვედიალექტებისა.

ამ კუთხით, შესაძლებელია ავსხნათ ჰარისისა და პაიკის განსხვავებული მიდგომა საკითხისადმი. ჰარისმა დაიწყო ევოლუციისადმი რწმენით და, ამიტომ ნებისმიერი ახსნა უნდა ყოფილიყო დიაქრონიული დროში. პაიკი ევოლუციით არ იყო დაინტერესებული. მას აინტერესებდა ახლანდელი – რა ხდებოდა ენაში ახლა, რომ შეიძლებოდა მოცემულ მომენტში კომუნიკაციის დამყარება. პაიკი სწორედ, საკომუნიკაციო კომპონენტით იყო დაინტერესებული, ახლანდელი დროის ემიქსით. რა თქმა უნდა, ჰარისს აინტერესებდა, ამ კუთხით რა ხდებოდა 2000 - 2500 წლის წინ – დიაქრონია. ცხადია, ესეც მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, ხარ თუ არა ევოლუციონერი.

ერთ-ერთი ავტორი, რომელიც კომენტარს აკეთებს ჰარისსა და პაიკზე, მურეი, აღნიშნავს, რომ ორივე მკვლევარი დაინტერესებული იყო საზოგადოების ენასთან კავშირის პრობლემებით, მაგრამ სხვადასხვა კუთხით. მათ ურთიერთშეთანხმებას ვერ მიაღწიეს, თუმცა ჭეშმარიტება ნაწილობრივ ორივეს მხარეს იყო.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება ვიყოთ დაინტერესებული მხოლოდ ენათა ისტორიით ან მხოლოდ ამჟამინდელი მდგომარეობით; ორივე უნდა წარმოადგენდეს მკვლევრის ინტერესის სფეროს რადგან, როგორც თავად პაიკი არასდროს არ მიჰყავს მენტალურ და ფიზიკურ მხარეს ქმედებისა, ასევე არ უნდა დავაშოროთ ერთმანეთს ენის თანამედროვე მდგომარეობა და მისი წარსული, რადგან

დღევანდელი ენობრივი ერთეული emics სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული წინარე ენის ენობრივი ერთეულის, emics-ის, მემკვიდრე ან მისი ვარიაციული ფორმა. სწორედ ამიტომ, ჩვენის აზრით, კონკრეტულ საკითხებში შესაძლოა ორ მეცნიერს საკამათო თემა მრავლად ჰქონდათ, თუმცა ამოსავალი მათთვის მაინც ერთი იყო, მაგრამ სხვადასხვა კუთხით დანახული. აქ კი ვაწყდებით წინააღმდეგობას ისევ ურთიერთგაგების მხრივ. ორი ადამიანის წარმოდგენათა სისტემა ერთმანეთისთვის უცხოა, რადგან ერთის ემიკურ ხედვას მეორე ეტიკური კუთხით აკვირდება და პირიქით. ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევებში, ისეთი დიდი პრაქტიკოსიც კი როგორც პაიკია, ვერ ახორციელებს იმ ორმაგი თვალთახედვით დაკვირვებას, რაც ასე კარგად და დასაბუთებულად აქვს მოცემული თავის თეორიაში.

მიუხედავად ზოგიერთი წინააღმდეგობრივი სახის მიმართებისა, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით კანონზომიერია, თავის თანამედროვე ლინგვისტებთან პაიკს ყოველთვის კარგი დამოკიდებულება აკავშირებდა. „მე ყველასთან ურთიერთობა მსიამოვნებდა და ბევრიც ვისწავლე მათგან“ – აღნიშნავს თავად მეცნიერი.

ჩვენი კვლევისათვის საინტერესოდ მივიჩნიეთ გაგვეჩვენა, თუ რა არის არსებითი ადამიანის ბუნებისათვის და რატომ მიიჩნევს მეცნიერი მათ უნივერსალურად.

პაიკი აღნიშნავს, რომ არ იარსებებს ადამიანური ბუნება იმ სახით, როგორითაც ჩვენ მას ვიცნობთ, თუ ხალხი ვერ განასხვავებს X-ს Y-ისაგან: ჩვენ უნდა შეგვეძლოს გარჩევა ხისა და ბუჩქის.. შესაბამისად, არ იარსებებს ადამიანური ცხოვრება, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ცნობას, რომ მაგ. ანა ისევ ანაა 24 წლის შემდეგ. ასევე, არ შეგვეძლება გავიგოთ ნებისმიერი კულტურის ადამიანური ბუნება, თუ ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ცალკეული პირი ეკუთვნის ოჯახს ან ერს ან რომელიმე ენობრივ ჯგუფს ანუ არის ნაწილი უფრო დიდი სტრუქტურისა. შესაბამისად, უნდა შეგვეძლოს შევიცნოთ საგანი ან საკითხი გონივრულად სხვადასხვა პერსპექტივიდან; ჩვენ უნდა აღვიქვათ ცალკეული რამ, როგორც „საგანი“, კიდევ რომ ვხედავდეთ მის „ზრდას“ ან „ცვლას“. ე. ი. ჩვენ ვაკვირდებით საგნებს, როგორც ნაწილაკს, ტალღას ან ველს. შესაბამისად, ყოველ ენას უნდა შეეძლოს საუბარი გარკვეულ ფონურ სიტუაციებზე: ფიზიკურზე, სოციალურსა თუ მენტალურზე, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული სახის მუდმივობა ჩვენს გაგებაში. მიუხედავად იმისა, რომ ვსაუბრობთ მათზე სხვადასხვა საშუალებებით. ინგლისურ ენაში, მაგალითად, შესაძლებელია წინადადება ისე

ავაგოთ, რომ ჯერ შედეგი მოვიყვანოთ, შემდეგ კი მიზეზი. მაგრამ ეს არ ცვლის ამ ენაზე მოლაპარაკეთათვის იმის აღქმას, რომ მიზეზი არსებობს.

პაიკი არ არის ცნობილი პოლიგლოტად. იგი, ინგლისურის გარდა, მხოლოდ ესპანურ და მიქსტეკის ენებზე საუბრობდა და მაინც, ასობით ენების ანალიზში მიუძღვის წვლილი ფონოლოგიისა და გრამატიკის კუთხით. იგი თავად ამბობდა: „მე არ ვარ გაერთიანებული ერების თარჯიმანი. სხვა ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება იცოდეს ჩემზე მეტი ენა“. ეს გახლდათ განზოგადება ყველა სახის ბგერისა მისი საარტიკულაციო წერტილიდან, რამაც საშუალება მისცა მკვლევარს დახმარებოდა ხალხს თავიანთი ფონეტიკის კვლევაში. შესაბამისად, ბგერათა ჯგუფებად დაწყოების გზების მოძიებამ მიიყვანა მეცნიერი ფონემიკური პროცედურის უნივერსალიებად და სიტყვების მათი მრავალგვარობით თანმიმდევრულ უნივერსალიებად დალაგებამდე გრამატიკაში. საინტერესოა, ასევე, პაიკის შეხედულება XX საუკუნის მეორე ნახევრის ლინგვისტიკის განვითარებასა და ენათმეცნიერებაში კოგნიტიურ რევოლუციასთან დაკავშირებით.

კ. ლ. პაიკის მიხედვით ძალზედ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ამ კუთხით წინა საუკუნის ბოლო 50 წლის მანძილზე. ბლოხისა და ტრაგერის რწმუნებით „მეცნიერების“ ფონეტიკით და ფონემიკით დაწყება ძალიან ხელსაყრელი, მაგრამ ჰიპერბოლური იყო. ჩომსკის მიერ სიმბოლოთა აბსტრაქციაზე ემფაზის გაკეთებაც გამოსადეგი და საინტერესო აღმოჩნდა ბევრი ლინგვისტისათვის, მაგრამ პაიკს სურდა ორივეს – ემპირიული და ფიზიკური მასალის დაკავშირება აბსტრაქტულ სისტემასთან. კოგნიტიურ მასალაზე ემფაზის დამატება, ხელს შეუწყობს ჰოლისტიკურ ხედვას, რომელიც არის სწორედ ის, რაც პაიკს ესაჭიროება თავისი საქმის შესრულებისათვის.

კ. პაიკი წლების მანძილზე მუშაობდა ექსპერიმენტალურ სინტაქსსა და მატრიცა ლინგვისტიკაზე. იგი თავის ექსპერიმენტალურ სინტაქსში გულისხმობს შემდეგს: იღებს ტექსტს, ნომრავს წინადადებებს და შემდეგ გადმოსცემს მასალას შეცვლილი, განსხვავებული წყობის წინადადებებით. იმპლიკაცია შემდგომში მდგომარეობდა: თუ შეიცვლებოდა წინადადებების წყობა, გრამატიკაც უნდა შეცვლილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიცვლებოდა მნიშვნელობა. ბევრ ენაში შესაძლებელია თქვა: „ჯონი მოვიდა სახლში, ივახშმა, წავიდა კინოში“. მაგრამ ინგლისური ენა ემფაზის, ფოკუსის შეცვლის შესაძლებლობას გვაძლევს: “John went to the movies after he came home”. მსგავსი აქცენტის შენარჩუნება შესაძლებელია სიტყვის “after” გამოყენების გარეშე, თუ კი პირველ ნახევარს წინადადებისა

დაბალი ინტონაციით წარმოეთქვამთ, დავადაბლებთ: “Coming home and eating supper, he went to the movies”.

რაც შეეხება მატრიცა ლინგვისტიკას, იგი გვიჩვენებს მონაცემებს ერთმანეთის გადამკვეთი რიგებისა და სვეტების სტრუქტურის გარკვეული სახის ცხრილში. ასევე, ძირეული სისტემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთი მთელი პატარა მარტივი ნაწილით, რომელიც ინტეგრირებადი იყო ანალიზში სხვა კომპონენტებთან მოცემული უჯრედის მნიშვნელობის გამოსარკვევად. უფრო მოგვიანებით პაიკმა გამოიყენა ლინგვისტური მატრიცა ისტორიული მასალის რეკონსტრუქციის მცდელობისას.

პაიკის კარიერა ყოველგვარი სტანდარტის მიხედვით, ძალიან გამორჩეული იყო. იგი ცნობილია, როგორც პარადიგმა ტაგემიკის ფუძემდებელი და ცხადია, სუბიექტურად იქნება განწყობილი ამ ლინგვისტური თეორიისადმი, თუმცა, საინტერესოა, რომ არ ჩამოყალიბებულყო ტაგემიციისტად, რომელი სხვა თეორიით ან თეორიებით დაინტერესდებოდა.

სანამ ტაგემიციისტი გახდებოდა, იგი შეისწავლიდა სეპირს ანთროპოლოგიური კუთხით. ასევე ეცნობოდა ბლუმფილდის მნიშვნელოვან წვლილს სტრუქტურასთან დაკავშირებით. ბლოსი დაეხმარა მას ინგლისური ენის ხმოვანთა სტრუქტურის შეცნობაში. ჩომსკის აღსაქმელად პაიკმა შეისწავლა ცოტაოდენი მათემატიკა ფორმალისმის გაგებისათვის, რომელიც ცხადია, არ არის პაიკის სტილი, თუმცა იგი აღიარებს ჩომსკის წვლილს ლინგვისტიკაში, რადგან სწორედ მან იქონია გავლენა, რომ დაკვირვების სფეროში მეტად შემოსულიყო ადამიანის თანდაყოლილი უნარები და მნიშვნელოვანი სტრუქტურული კავშირები.

კ. ლ. პაიკი თავისი ხანგრძლივი აკადემიური კარიერის მანძილზე ამერიკული ანთროპოლოგიის კონკრეტული კვლევის სფეროში გამოჰყოფს ორ ძირითად მიმართულებას. როგორც იგი აღნიშნავს, ორივე ცვლილება არაკომფორტული არმოჩნდა მისთვის. პირველი მათგანი გულისხმობდა ლინგვისტიკის გამოყოფას ანთროპოლოგიის სამი დანარჩენი დარგისაგან. მოგვიანებით იგი გამოთქვამდა კმაყოფილებას იმის გამო, რომ იყო რეალური მცდელობა ლინგვისტიკის მის კუთვნილ „4-ქიმიანი“ ამერიკული ანთროპოლოგიის ქოლგის ქვეშ დაბრუნებისა. (აქ იგულისხმება 4-დარგიანი ამერიკული ანთროპოლოგია – კულტურული ანთროპოლოგია, ფიზიკური ანთროპოლოგია, არქეოლოგია და ლინგვისტიკა – როგორც ფუნქციონირებდა ანთროპოლოგია სანამ ლინგვისტიკა გამოეყოფოდა მას

ცალკეულ დისციპლინად XX საუკუნის შუახანებამდე. დღესდღეობით ლინგვისტიკა ისევ ხდება ამერიკული ანთროპოლოგიის ნაწილი).

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება იყო პარადიგმის გადართვა ლინგვისტიკაში აღწერილობითი (ან სტრუქტურული) ლინგვისტიკიდან ჩომსკისეულ ტრანსფორმაციულ ლინგვისტიკად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილება კარგი იყო ანთროპოლოგიური ლინგვისტიკისათვის, პირადად პაიკისათვის ეს გარდატეხა არახელსაყრელი აღმოჩნდა, რადგან იგი ბლუმფილდისეული დესკრიფციული ლინგვისტიკის სკოლის წარმომადგენელი გახლდათ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ტრანსფორმაციულმა რევოლუციამ მისი ტაგმემიკური თეორია უკანა ფონზე გადაიტანა.

რაც შეეხება პაიკის დამოკიდებულებას ამერიკული ანთროპოლოგიის დღევანდელი მდგომარეობისადმი, იგი დიდ კითხვის ნიშანს სვამს ანთროპოლოგიასა და განსაკუთრებით მის მეოთხე დარგში (ლინგვისტიკაში) მიმდინარე და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით. იგი ეწინააღმდეგება დეკონსტრუქციონალიზმისა და პოსტმოდერნიზმის მზარდ გავლენას ამერიკულ ანთროპოლოგიაზე, რასაც განსაკუთრებით აშკარა ხასიათი XX საუკუნის 90-იან წლებში მიეცა. თუმცა, ბოლო პერიოდში შეინიშნება პოსტმოდერნისტული გავლენის შესუსტება.

ლინგვისტიკა და ანთროპოლოგია მართლაც ძალიან ახლოს იყო სეპირის პერიოდში, მაგრამ XX საუკუნის ბოლო პერიოდის გენერაციული თეორიის მიმდევარი ლინგვისტები, პაიკის დაკვირვებით არ არიან დაინტერესებული კულტურით. დიდი მეცნიერის პროგნოზი უახლოეს მომავალში ლინგვისტიკის განვითარების მიმართულებებთან დაკავშირებით შემდგენაირია: მისი აზრით, თანამედროვე ლინგვისტები განსხვავდებიან იმ ენათმეცნიერებისაგან, რომლებიც 1960-იან წლებში დიდად იყვნენ დაინტერესებულნი ცნობილი ენებით (განსაკუთრებით იმ ენებით, რომლებზეც თავად საუბრობდნენ) და აბსტრაქტული სტრუქტურებით. პაიკი თვლიდა, რომ სეპირის მიზანი მოიცავდა ორივეს, კულტურისა და სფეციფიკური ენის მნიშვნელობისა და ფორმის აღწერას (დამწერლობის არ მქონე ენების ჩათვლით).

ძირითადი ცვლილება ამ კუთხით სწორედ წინა საუკუნის ბოლო ათწლეულის მანძილზე ვითარდებოდა ზოგიერთი ლინგვისტის კვლევაში. მეცნიერები სწავლობენ მოთხრობების, ზღაპრების, არგუმენტების მონათხრობების და სხვა ტექსტური მასალის სტრუქტურას და ენას სოციალურ ქმედებასთან კავშირში.



ამასთან, მეტი ყურადღება ექცევა კოგნიტიურ სტრუქტურას. პაიკი იმედოვნებდა, რომ ეს მიმართულებები განვითარებას პოვებდა მომავალი თაობის კვლევაში, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენდნენ პაიკის პირად ინტერესს 1954 წლის შემდეგ. ეს დამოკიდებულება იკვეთება ენისა და საზოგადოებისადმი, მოგვიანებით კი ფილოსოფიისადმი პაიკის ჰოლისტიკურ დამოკიდებულებაში: „მე მჯერა, რომ ადამიანთა გაგება (რაც მნიშვნელოვანია ანთროპოლოგიისათვის) მოიცავს ხალხის ინტეგრირებულ ხედვას მათ ოჯახთან, მთავრობასთან, ყოფით ნივთებთან, ნაფიქრთან მიმართებაში, იმედი მაქვს, ეს მიმართულება ჰოლისტიკურ განვითარებას პოვებს მომდევნო ათასწლეულის მანძილზე. (თუ არა, არ მესმის რატომ უნდა ვამჯობინოთ აბსტრაქტული მათემატიკა ხალხს?)” – აღნიშნავს თავად მეცნიერი.

რაც შეეხება სეპირისეული ტრადიციის გაგრძელებას და ლინგვისტური ანთროპოლოგიის, როგორც მეცნიერული დარგის, განვითარებას, პაიკი თვლის, რომ ფონეტიკურ და ფონემიკურ მსგავსება-განსხვავების პრინციპები ძალიან ღრმად დევს ადამიანურ ბუნებაში იმისათვის, რომ მათ სამუდამოდ ავუაროთ გვერდი. მეცნიერება ან „თავიდან გამოიგონებს ველოსიპედს“ ან დაუბრუნდება აღნიშნულ პრინციპებს გარკვეული ფორმით. ჩვენის აზრით, უკვე ხდება ასე ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებით. მაგალითად, ენის ფუნქციონირებასთან კოგნიტიური რელევანტურობის აღნიშვნით. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ასეთი ცვლილებები მხოლოდ ცირკულარული როდია. უბრუნდება რა საწყის წერტილს, იმავდროულად მიიწევს მაღლა სპირალზე ბრუნვის პრინციპით.

ასევე საგულისხმოა ახალგაზრდა მეცნიერთა პაიკისეული გამხნეების ფორმა ახალბედა მეცნიერებისადმი, როცა (1) მათ ახალი იდეები მოსდით, რითაც შეიძლება დისკუსიაში გამოიწვიონ მათი საყვარელი პროფესორები, ან (2) როცა ძველი შეხედულებები მოულოდნელად მოექცევა ხოლმე ნაწილობრივ ფოკუსში. პაიკი იყენებს მშვენიერ მეტაფორას. იგი სპირალს ადარებს ვაზს, რომელიც დაეხვევა ბოძს ისე, რომ ერთი კონკრეტული მხრიდან თავიდან ჩანს, შემდეგ გადის მხედველობის არეიდან, შემდეგ ისევ ჩნდება და ა. შ. ანალოგიურად, ენათმეცნიერებაშიც ახალი შეხედულებები აუცილებლად კი არ ანადგურებს ძველს, არამედ სიახლეს ჰმატებს ან ღრობით ცვლის დაკვირვების სფეროს და აქტუალურს ხდის იმ ნაწილს, რომელიც შემოდის მხედველობის არეში. სპირალთან მეტაფორული კავშირი კიდევ ერთ პრიორიტეტს ავლენს. ამ მიდგომით უფრო ხელმისაწვდომია ორმხრივი პერსპექტივით, ‘ორივე ბოლოდან’ კვლევა,

ნაცვლად კვლევისა 'x-დან y-საკენ'. მკვლევარი გვეუბნება: „ ამ მეტაფორას ვიყენებ იმისათვის, რომ მოხუცის (ჩემი) „ღირიჟორის ჯოხი“ გადმოგცეთ (თქვენ) ასაღლაზრდებს:

“ Our day is done  
Who carries on  
In wind and tropic rain  
On journey round the clock”

( პაიკი, 2001)

როგორც ჩანს, შემდგომი თაობის მკვლევარებმა ყურად იღეს მათი წინამორბედის ანდერძი და გაერთიანდნენ აღნიშნული წრებრუნვის პროცესში, რაც ნათლად ჩანს დანდესის შრომაში, რომელიც ეხება ზღაპრებს ეტიქსსა და ემიქსთან კავშირში და ჰიმეს შრომაში, რომელიც მოიცავს თხრობით სტრუქტურას, სამეტყველო აქტებს, სასაუბრო ჩართვებს და მიიჩნევს მათ „არა მხოლოდ ანთროპოლოგიის და ლინგვისტიკის საკითხებად“ (ჰიმე 1990:125). პაიკი კმაყოფილებას გამოთქვამდა ამგვარი ინტეგრალური დარგების ზრდით, რაც ჩვენი მოსაზრებით, დიდად განპირობებული იყო იმ ძლიერი გავლენით, რაც, მისმა შრომებმა იქონია მოცემული მიმართულებების განვითარებაზე.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ კ. ლ. პაიკი აქტიურად მონაწილეობდა ყველა პროცესში, რაც XX საუკუნის ლინგვისტიკის მაჯისცემას განსაზღვრავდა. მან თავისი წარუშლელი წვლილი შეიტანა ფონოლოგიის, ანთროპოლოგიის, ბიჰევიორიზმის, ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საქმეში და, რაც მთავარია, თავისი ტაგმემიკური თეორიით გარდატეხა მოახდინა მეთოდოლოგიური კუთხით და დაამკვიდრა იდეალური კვლევის მეთოდი, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ლინგვისტიკის, არამედ მეცნიერების სხვა დარგებშიც საკვლევი საქმიანობის დაწინაურებას, რის საშუალებასაც მის მიერ შემოთავაზებული განზოგადებული მოდელი იძლევა. საინტერესოა, თავად კ. ლ. პაიკის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ადგილს დაიჭერს იგი XX საუკუნის ენათმეცნიერების ისტორიაში, როცა ეს ისტორია დაიწერება.

„მე არ ვიცი, ჩემი მასალა რას მოერგება ასი წლის შემდეგ დაწერილ ისტორიაში: ჩემი საუკეთესო პროგნოზი იქნება, თვალი გადავაგლო ბოლო 10 წლის შენიშვნებს. ერთ-ერთი ჩემი კონცეფცია, რომელიც ხშირად აღინიშნება, არის emics/etics. შესაძლოა ეს თვალთახედვა შენარჩუნდეს, რადგან იგი დაჟინებით

მოითხოვს დამკვირვებლის კავშირს მონაცემებთან აბსტრაქტული მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომელშიც დამკვირვებელი გარკვეულწილად უგულებელყოფილია იქაც კი, სადაც ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. ასევე ვფიქრობ, რომ ფონემა შესაძლოა თავიდან დაიბადოს; იგი ძალიან არსებითია იმისათვის, რომ სამუდამოდ დაიკარგოს. ჩვენ ხომ კვლავ მიემართავთ 2000 წლის წინანდელ ბრუნვათა ნაირსახეობას, ზმნებსა და არსებითებს. მე, ასევე, ხშირად ვახსენებ ჩემს სტუდენტებს ტერმინს “Sandni” საუკუნეების წინანდელი სანსკრიტის გრამატიკოსებისაგან. კარგი იქნება, თუ სიტყვა “emics” დაახლოებით ამდენ ხანს გასტანს” (იხ. კეის პაიკთან ინტერვიუ კეი 1993:6).

ჩვენ ცხადია, ასეთი ხანგრძლივი პერიოდის პროგნოზისაგან თავს შევიკავებთ, თუმცა აქვე დავძენთ, რომ ენათმეცნიერება, როგორც დისციპლინა, აუცილებლად შენარჩუნდება, სანამ ადამიანები მეტყველების საშუალებად ენას ვიყენებთ. შესაბამისად, იარსებებს მისი ისტორიაც, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლად ყოველთვის დარჩება კ. ლ. პაიკი. მის მიერ დაწერილი თეორიები და დამკვიდრებული ცნებათსისტემატიკა კიდევ მრავალი თაობის ლინგვისტის შთაგონების წყაროდ მოგვევლინება.

### III თავის დასკვნები:

1) კ. ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლების მიმოხილვაზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ადამიანს ესაჭიროება ენა, რომ დაეხმაროს მას საკუთარ ფიზიკურ, კულტურულ, სოციალურ, ესთეტიკურ და ფილოსოფიურ გარემოსთან კავშირში საკუთარი თავის შეცნობაში.

2) კ. ლ. პაიკისა და ვ.ფ. ჰუმბოლტის მოძღვრებათა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად მივაკვლიეთ ბევრ პარალელს, რაც ამ ორი მოაზროვნის მსოფლმხედველობრივ და მეცნიერულ ნათესაობაზე მიუთითებს:

ა) ენას კულტურული ფესვები გააჩნია და თითოეულ კულტურას თავისი წვლილი შეაქვს სამყაროს აღქმის, ჭეშმარიტების შეცნობის საქმეში. სამყაროს ენობრივ კონცეპტუალიზაციაზე წარმოდგენა სპეციფიურია ყოველი ენისათვის და ასახვას პოვებს ამ ენით მოსარგებლე კულტურის თავისებურებებში;

ბ) ენის ანთროპოცენტრულობის იდეა, რაც პარადიგმის სახით XX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, დასაბამს იღებს ჰუმბოლდტთან და ვითარდება პაიკის ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკაში;

გ) ორივე მეცნიერი ენათმეცნიერებას უყენებს ყველაზე იმანენტურ მოთხოვნებს და არ კმაყოფილდება ენის, როგორც ანალიტიკური ლინგვისტიკის ობიექტისადმი ვიწრო მიდგომით;

დ) ენათა მრავალგვარობა არა მხოლოდ ენობრივ, არამედ მსოფლმხედვით განსხვავებაზე მიგვითითებს;

ე) ი. კანტის შემეცნებით თეორიასთან კავშირი აისახება ჰუმბოლდტისა და პაიკის ენობრივ თეორიებში.

3) პაიკის ტაგმემიკური თეორია აღმოცენდა ბლუმფილდისეული უშუალო შემადგენლებით ანალიზისა და ადამიანის ქცევასთან დაკავშირებული პაიკის ზოგადი თეორიის საფუძველზე, როგორც გზა ანთროპო- და კულტუროცენტრიზმისაკენ.

4) პაიკის ლინგვისტურმა მოძღვრებამ გარდატეხა მოახდინა XX საუკუნის ენათმეცნიერებაში და დანერგა კვლევის უნიკალური მეთოდი, რომლითაც შეიძლება იხელმძღვანელოს არა მხოლოდ ლინგვისტმა, არამედ სხვა დარგების მკვლევრებმაც.

## ზოგადი დასკვნები:

კ. ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრების შესწავლას მივყავართ შემდეგ დასკვნებამდე:

1) ერთ-ერთ ძირითად პრინციპად პაიკის თეორიაში გვევლინება კონკრეტული დამკვირვებლის – ლინგვისტის ფენომენის აუცილებელი გათვალისწინება კვლევის ჩატარების დროს, რითაც მეცნიერი ხაზს უსვამს ადამიანის, პირველ რიგში კი მისი კულტურული იდენტურობის გავლენის ფაქტორს კვლევით მასალაზე. პაიკი ადამიანს და ადამიანებს შორის ურთიერთობას ანიჭებს თეორიულ უპირატესობას ფორმალისმთან, წმინდა მათემატიკურ გაანგარიშებებთან და იდეალიზირებულ აბსტრაქციებთან მიმართებაში. აქ იკვეთება კონტურები მოგვიანებით ჩამოყალიბებული ანთროპოლოგიური პარადიგმისა, რომლის მიხედვით კულტურისა და კულტურული ტრადიციის ცენტრში დგას ენობრივი არსება მთელი თავისი მრავალსახეობით.

2) ენობრივი და არაენობრივი ქცევა მჭიდრო ურთიერთკავშირშია. უფრო მეტიც, ისინი ხშირად სტრუქტურულად ანალოგიურია და გარკვეულ შემთხვევებში ცვლიან ერთმანეთს. ენა არ შეიძლება განვიხილოთ ქცევისაგან დამოუკიდებლად. იგი მხოლოდ ერთ-ერთი სტრუქტურული ფაზაა ქცევისა.

3) ტაგმემიკური თეორია ითვალისწინებს სულ მცირე სამ პერსპექტივას, რომლებიც გამოიყენება Homo Sapiens-ის მიერ. ერთის მხრივ, ადამიანი თანმიმდევრობას სეგმენტებად, ნაწილაკებად ანაწევრებს. მეორეს მხრივ, მის ხელში საგნები მიმდინარე წყლის ჭავლებად, დიდ-პატარა ტალღებად წარმოდგება. ეს ორი პერსპექტივა ივსება მესამეთი – ველების ცნებით. გადამკვეთი თვისებები გროვდება ერთდროული მახასიათებლების ჯგუფებად, რომელთა ერთიანობა ქმნის დამკვირვებლის გამოცდილების მოდელს.

4) ენაში სამი სახის იერარქიას ვხვდებით, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, მაგრამ მაინც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული: გრამატიკული, ფონოლოგიური და რეფერენციული იერარქია. იერარქიათა ფარგლებში ბუნებრივია, რა თქმა უნდა რეფერენციის პრიმატი, ხოლო ამ პრიმატს კი მივყავართ ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემამდე. სამივე იერარქიის დაწვრილებითი განხილვით ვასკვნით, რომ ენის ზოგადი თეორია ხელსაყრელია თანაზიარი თვისებების პროპორციის გამო.

5) ტაგმემიკური თეორია ჩამოყალიბდა უნიკალურ თეორიად მე-20 საუკუნის რიტორიკულ თეორიებს შორის. მისი მისწრაფებით უნივერსალიების ამოცნობისადმი და იმ საფუძვლიანი მტკიცებულებებით, რომ ტაგმემიკის აქსიომები ჭეშმარიტია ადამიანის ქცევის ყველა სახისათვის. ამის გამო იგი განჭვრეტს არა მხოლოდ წიგნიერებასა და პედაგოგიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიასა და ანთროპოლოგიურ კომპლექსურობაშიც ღრმად გვახედებს.

6) ტაგმემიკური მატრიცის მიხედვით აგებულ დავალებათა თანმიმდევრობა ერთმნიშვნელოვნად სწორ მიმართულებას აძლევს ენის სწავლების პრაქტიკულ კურსებს. ამ კუთხით შეიძლება აიგოს კითხვის, საუბრის, გრამატიკის და სხვა მოდულების პროგრამები. იგი საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს არა მხოლოდ უცხო ენის სწავლების კუთხით, არამედ შესაძლებელია მისი წარმატებით დანერგვა სხვადასხვა დარგის სასწავლო პროგრამებში.

7) "etic" და "emic" ორმხრივი პერსპექტივით კვლევა დიდი ღირებულების მქონეა ქცევის ანალიზის გარკვეული ფაზებისათვის. ამ ორი მიდგომით კვლევისას წარმოიშობა ე. წ. „სამგანზომილებიანი ეფექტი“, „ბრტყელი“ ეტიკური კვლევიდან ადამიანის „სამგანზომილებიან“ გაგებამდე.

8) არსებული უამრავი ვერბალური ქცევიდან ენები არჩევენ ვერბალური ქცევის იმ ფორმას, რომელიც უკეთ ერგება მათი ენის ემიკურ ანუ ენათა და კულტურათა მიერ ერთობლივად განპირობებულ სტრუქტურას. პაიკის მიხედვით, ვერბალური და არავერბალური ქმედების ერთობლივი შესწავლით ენის კვლევას სწორი მიმართულებით წარვმართავთ.

ჰუმბოლდტანაც „ერის გონის“ შესაცნობად ამოსავალი ენაა. ზოგადი ვარიანტებიდან ადამიანი ირჩევს მისი კონკრეტული ენის ვარიანტებს. ე. ი. ენაში არსებული მოდელები არის etics და რასაც ვიყენებთ emics. ჰუმბოლდტისეული „ზოგადი და შენი ენით აგებული სამყარო“ პაიკის etic და emic ერთეულებშია წარმოდგენილი. თუ ამ ლოგიკის ხაზს გავეყვებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პაიკი ჰუმბოლდტის სოციოლინგვისტური გამოვლენაა.

9) არსისა და მოვლენის დაახლოებით სინონიმური დებულებების განხილვის შედეგად ვღებულობთ თანმიმდევრულ ლოგიკურ ხაზს ოპოზიციური წყვილებისა, ერთის მხრივ: არსი → ენა/კულტურა → ფონოლოგია → emics; ხოლო მეორეს მხრივ მოვლენა → მეტყველება → ფონეტიკა → etics.

10) ერთ-ერთი უპირატესობა მონოლინგვისტური დემონსტრაციისა მდგომარეობს მის ინტერსუბიექტურობაში. იგი ერთ შეკვრაში ათავსებს ხალხსა და საგნებს საწყისი წერტილისათვის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მეთოდი უკუაგდებს აბსტრაქტულ გონებას ფიზიკურ სამყაროსთან მიმართების გარეშე. ასე რომ, მონოლინგვიური დემონსტრაცია იწყება ფიზიკურ კონტექსტში ადამიანის ქცევის რელევანტურობითა და შესაძლებლობით. „დასაკვირვებელი წინადადება“ – როგორც მონოლინგვიური დემონსტრაციის მეთოდის საწყისი გვევლინება ყოველგვარი ცოდნის, ყოველი მეცნიერების და რწმენის საწყისად.

11) ადამიანი არის სამყაროს არსებითი ნაწილი და შესაბამისად, მას შესწევს უნარი მოახდინოს სამყაროს არსებითი კატეგორიზაცია. აღნიშნული აყენებს ადამიანს მშრალ ლოგიკაზე მაღლა – ინდივიდის სული იძენს ხანგრძლივ შიგა პრიორიტეტს, ნააზრევის ფილოსოფიურ ელევანტურობას, მეცნიერებას, საზოგადოებასა ან განცდილ რეალობასთან მიმართებაში. ე. ი. პიროვნება ადამიანურ ბუნებაში არ ექვემდებარება მხოლოდ ლოგიკას არც ცხოვრებაში და არც ენასა და ფილოსოფიაში.

12) კ. ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლების მიმოხილვაზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ადამიანს ესაჭიროება ენა, რომ დაეხმაროს მას საკუთარ ფიზიკურ, კულტურულ, სოციალურ, ესთეტიკურ და ფილოსოფიურ გარემოსთან კავშირში საკუთარი თავის შეცნობაში.

13) კ. ლ. პაიკისა და ვ.ფ. ჰუმბოლტის მოძღვრებათა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად მივაკვლიეთ ბევრ პარადელს, რაც ამ ორი მოაზროვნის მსოფლმხედველობრივ და მეცნიერულ ნათესაობაზე მიუთითებს:

ა) ენას კულტურული ფესვები გააჩნია და თითოეულმა კულტურამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სამყაროს აღქმის, ჭეშმარიტების შეცნობის საქმეში. სამყაროს ენობრივ კონცეპტუალიზაციაზე წარმოდგენა სპეციფიურია ყოველი ენისათვის და ასახვას ჰპოვებს ამ ენით მოსარგებლე კულტურის თავისებურებებში. ეს იდეა ჰუმბოლდტს უკავშირდება და პაიკის გავლით კვლავ პოპულარობას იძენს თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიაში.

ბ) ენის ანთროპოცენტრულობის იდეა, რაც პარადიგმის სახით საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, დასაბამს იღებს ჰუმბოლდტთან და ვითარდება პაიკის ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკაში. ადამიანის ფაქტორი განმსაზღვრელია მათ ენათმეცნიერულ კვლევებში.

გ) ორივე მეცნიერი უგულვებლყოფს აბსტრაქტულ, განზოგადებულ მიდგომას ენებისადმი. ისინი ენათმეცნიერებას უყენებენ ყველაზე იმანენტურ მოთხოვნებს და არ კმაყოფილდებიან ენის, როგორც ანალიტიკური ლინგვისტიკის ობიექტისადმი ვიწრო მიდგომით.

დ) ენათა მრავალგვარობა არა მხოლოდ ენობრივ, არამედ წარმოდგენით განსხვავებაზე მიგვითითებს, რის შედეგადაც ფართოვდება ადამიანის აზროვნების დიაპაზონი.

ე) ე. კანტის შემეცნებით თეორიასთან კავშირი აისახება ჰუმბოლდტისა და პაიკის ენობრივ თეორიებში.

14) პაიკის ტაგმემიკური თეორია აღმოცენდა ბლუმფილდისეული უშუალო შემადგენლებით ანალიზისა და ადამიანის ქცევასთან დაკავშირებული პაიკის ზოგადი თეორიის საფუძველზე, როგორც გზა ანთროპო და კულტუროცენტრიზმისაკენ.

15) კ. ლ. პაიკის ლინგვისტური თეორიის მისი მეცნიერული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ლინგვისტური მიმართულებების ანალიზზე დაყრდნობით და მისი თეორიული კვლევის პრაქტიკული შედეგების ჩვენებით ვასკენით, რომ პაიკის ლინგვისტურმა მოძღვრებამ გარდატეხა მოახდინა XX საუკუნის ენათმეცნიერებაში და დანერგა კვლევის უნიკალური მეთოდი, რომლითაც შეიძლება იხელმძღვანელოს არა მხოლოდ ლინგვისტმა, არამედ სხვა დარგების მკვლევარებმაც.

16) და ბოლოს, ლინგვოკულტუროლოგია აუცილებელია ე. პაიკის ადეკვატური გაგებისთვის, მაგრამ პირიქითაც: ლინგვოკულტუროლოგიაც საჭიროებს პაიკს; ე. ი. მას სურს შეუერთდეს იმ მიმართულებას, რომელიც სათავეს იღებს ჰუმბოლდტის — ენის ენერგეისტულ გაგებასთან.

ამრიგად, კ. ლ. პაიკის თეორიები მრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა ყოველი მისი შრომა, ცალკეული ქმედება წარმოადგენს ერთი ამადლებული თემის — ადამიანთა შორის მეგობრობის — ვარიაციას: განათლების შეტანა მეოთხე მსოფლიოს ხალხებში, თეორიული ჩარჩოების მიწოდება ხალხისათვის თავიანთ საქმიანობაში გამოსაყენებლად; ყველაფერი, რაც მიმართულია ხალხთა შორის უფრო ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისაკენ. ეს თემა ფოკუსში ექცევა პაიკის ცნობილი მონოლინგვური დემონსტრაციის დროს, რომლის დროსაც რამდენიმე წუთში იგი ამყარებს კომუნიკაციას მეორე ადამიანთან, ვის ენას მანამდე საერთოდ არ იცნობდა. ამ დემონსტრაციისადმი თავისთავად არსებული დიდი



ინტელექტუალური ინტერესი იზრდებოდა ემოციური გავლენით, რომელშიც ვექცევით, როცა ვაკვირდებით, თუ როგორ ვითარდება კომუნიკაცია, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ სწრაფად და როცა ვამჩნევთ არა მხოლოდ კომუნიკაციის მზარდ საფუძველს, არამედ ინტერპერსონალურ სიტბოს, რომელიც ასევე იზრდება დიალოგთან ერთად. ეს გახლავთ ყველაზე შთამბეჭდავი არსი მსოფლიოს ხალხთა მიმართ მეცნიერის თავდადებული ერთგულებისა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ალატისი 1993: Alatis, James E. Presentation of the Dean's Medal to K.L.Pike. Georgetown: Georgetown University Press, 1993.
- ალისტერი 1983: Allister, Mark. *A Marriage of Pedagogy and Theory: Sequence Pentad*. The Writing Instructor 2, 1983.
- არუტუნოვა... 1985: Арутюнова Н. Д., Падучева Е. В., *Проблемы и категории прагматики*. Новое в зарубежной лингвистике. Москва: вып. 16, 1985.
- არუტუნოვა 1999: Арутюнова Н.Д. *Введение, Логический анализ языка. (Образ человека в культуре и языке)*. Москва: изд. «Индрик», 1999.
- ახმანოვა 1966: Ахманова О. С. *Словарь лингвистических терминов*. Москва: „Советская энциклопедия”, 1966.
- ბარხუდაროვი...1973: Бархударов Л. С., Штелинг Д. А. *Грамматика английского языка*. Москва: „Высшая школа”, 1973.
- ბეიტსი 1976: Bates E. *Language and Context: the Acquisition of Pragmatics*. New York: Academic Press, 1976.
- ბეკერი... 1987: Becker.N, Belanoff, Pat and Peter, Elbow. *Using Community in a Writing Program*. Journal of Writing Program Administration, 1986.
- ბეუგრანდე 2000: ბეუგრანდე, რობერტ დ. ლინგვისტური თეორია: ფუნდამენტალური შრომების დისკურსი. განთავსებულია 2000 წლის იანვრიდან. მის: <http://www.revista.discurso.org/beaugrande/introduction.htm>
- ბეუგრანდე 2000: Beaugrande, Robert D. *Linguistic Theory: The Discourse of Fundamental Works*. accessible from January 2000. available on: <http://www.revista.discurso.org/beaugrande/introduction.htm>
- ბენვენისტი 1965: Бенвенист Э. *Уровни лингвистического анализа*. Москва: Новое в лингвистике. „Прогресс”, вып. III, 1965.
- ბენეტი 1973: Bennet J. *Linguistic Behaviour*. Cambridge: Cambridge University Press, 1973.
- ბიბლია 1989: ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 1989.

- ბლეკი 1993: Black, S. *Portfolio Assessment*. The Executive Educator. New York, 1993.
- ბლოხი 1986: Блох М. Я. *Теоретические основы грамматики*, Москва : „Высшая школа”, 1986.
- ბლუმფილდი 1953: Bloomfield L. *Language*. New York: Halt, Rinechar and Winston, 1933.
- ბონდარკო 1986: Бондарко А. В. *Функциональная грамматика*. Москва.: изд. ЛГУ, 1984.
- ბრენდი 1987: Brend R. M. *Biography of Kenneth Lee Pike*. Eurolingua, Euroasian Linguistic Association. Bloomington Indiana, 1987.
- ბუდაგოვი 1976: Будагов Б. Л. *Философские исследование*. Новое в зарубежной лингвистике, вып. 16. Москва, 1985.
- გალპერინი 1981: Гальперин И. Р. *Текст как объект лингвистического исследования*. Москва : „Наука”, 1981.
- გამყრელიძე... 2003: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
- გრინბერგი... 1970: Гринберг Дж., Осгуд Ч. *Меморандум о языковых универсалиях*. Новое в зарубежной лингвистике. М., 1970.
- გუდენოუ 1971: Goodenough, Ward A. *Description and Comparison in Cultural Anthropology*. Chicago: Aldine, 1970.
- დაი... 1977: Dye, T. Wayne and Merrifield, William R. *'Anthropology' In the Summer Institute of Linguistics: Its Works and Contributions*. The Hague: Mouton 1977.
- დანდესი 1968: Dundes, Alan. *Every Man in Sin Hid Way: Readings in Cultural Anthropology*. Englewood cliffs: Prentice-Hall, 1968.
- ვოლტერი 1969: Walter C. *Introduction to Tagmemic Analysis*. New York: Holt, Rinehart and Winston, Inc. 1969.
- ვორკაჩოვი 2004: Воркачев С. Г. *Счастье как лингвокультурный концепт*. Монография. Москва: ИТДГК «Гнозис», 2004.
- ვოტერჰაუსი 1974: Waterhouse Viola G. *The History and Development of Tagmemics*. The Hague:Mouton, 1974.

- ზვიადაძე** 1981: ზვიადაძე გ. დ. *თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკონი (ბრიტანულთან შეპირისპირებით)*, თბილისი, 1981.
- იარცევა** 1976: Ярцева В. Н. *Типология языков и проблема универсалии*. М.: Вопросы языкознания, №2, 1976.
- იუნგ...** 1970: Young R.E; Pike K.L and Becker A.L. *Rhetoric: Discovery and Change*. New York: Harcourt, Brace and World, 1970.
- კანტი** 1966: Kant J. *The fundamental Principles of the Metaphysics of Ethics*. New York: Appleton-Century-Crofts, 1966.
- კეი** 1993: Kaye A. S. *An Interview with Kenneth Pike*. California State University, Fullerton, December 4, 1993.
- კინი** 1978: Kinney, J. *Tagmemic Rhetoric: A Reconsideration*. College Composition and Communication. 1978.
- კუნი** 1962: Kuhn, Thomas S. *The Structure of Scientific Revolutions*. Chicago: University of Chicago press, 1962.
- ლაიონზი** 1968: Lyons J. *Introduction to Theoretical Linguistics*. London and New York: Cambridge University Press, 1968.
- ლაიონზი** 1970: Lyons J. *New Horizons in Linguistics*. Harmondsworth: Penguin Books., 1970.
- ლამბი** 1987: Lamb S. *The Influence of Kenneth Pike*. Houston. Texas: Eurolingua, Bloomington, Indiana, 1987.
- ლარსონი** 1981: Larson R. *The Writing Teacher's Sourcebook*. New York: Oxford University press, 1981.
- ლებანიძე** 1997: ლებანიძე გ. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: „ენა და კულტურა“, 1997.
- ლებანიძე** 1998: ლებანიძე გ. *ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: „ენა და კულტურა“, თბილისი, 1998.
- ლიჩი** 1974: Leech, G. N. *Semantics*. Harmondsworth: Penguin books, 1974.
- ლონგეიკერი** 1976: Longacre, Robert E. *Discourse in Tagmemics: Aspects of the Field*, Vol. 1 The Hague: Mouton, 1976.

- ლონგეიკერი 1987: Longarce R. E. *Kenneth L. Pike: Summer Institute of Linguistics*. Bloomington, Indiana:Eurolingua,1987
- მაკაი 1987: Makkai, A. *Pike's Tagmemic Theory*. Bloomington, Indiana: Eurolingua, 1987.
- მაკკოუნი 1974: McQuown, Normant A. *Review of 'Kenneth L. Pike: Selected Writings*.American Anthropologist.1974.
- მასლოვა 1991: Маслова В. А. *Параметри экспрессивности текста и человеческий фактор в языке: Языковые механизмы экспрессивности*. Москва.: »Наука», 1991.
- მასლოვა 2004: Маслова В. А. *Лингвокультурология*. Учебное пособие для студ. высш. учеб. заведения — 2-е изд., стереотип — М.: »Академия». 2004.
- ნებიერიძე 2003: ნებიერიძე გ. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: „ნეკერი“, 2003.
- ნაიდა 1975: Nida, Eugene A. *Componential analysis of meaning: an introduction to semantic structures*. The Hague: Mouton, 1975.
- ოდელი 1981: Odell L. *Another Look at Tagmemic Theory*. New York : Oxford University Press, 1981.
- ორბელიანი 1991: ორბელიანი ს. ს. *ლექსიკონი ქართული*. თბილისი:„ მერანი“, 1991.
- პაიკი 1943: Pike K. L. *Taxemes and Immediate Constituents*. Language, 19,1943.
- პაიკი 1947: Pike K. L. *Phonemics: A Technique for Reducing Languages to Writing*. University of Michigan Publication in Linguistics 1. Ann Arbor:University of Michigan Press, 1947.
- პაიკი 1947: Pike K. L. *Grammatical Prerequisites to Phonemic Analysis*. Word,3 (December),1947.
- პაიკი 1955: Pike K. L. *Meaning and Hypostasis*. Monograph 8,. Geortown University,Institute of Languages and Linguistics, 1955.
- პაიკი 1957: Pike K. L. *Grammemic Theory in Reference to Restricted Problems of*

*Morpheme Classes*. International Journal of Americal Linguistics 23, 1957.

- პსოპო 1957: Pike K.L. A Stereoscope Window on the World. Bibliotheca Sacra, 1957.
- პსოპო 1957: Pike K.L. *Prescription for Intellectuals*. Eternity 8:8 1957.
- პსოპო 1957: Pike K.L. *Slots and Classes in the Hierarchical Structure of Behaviour*. (Language and Life, Part 2). Bibliotheca Sacra, 1957.
- პსოპო 1958: Pike K. L. *Interpretation of Phonology, Morphology and Syntax*. Proceedings of the Eighth International Congress of Linguistics. Oslo: University Press, 1958.
- პსოპო 1958: Pike K.L. *Tristructural units of Behavior*, Bibliotheca Sacra, 1958.
- პსოპო 1959: Pike K.L. *Our Own Tongue Wherein We Were Born*. The Work of the Summer Institute of Linguistics and Wycliffe Bible Traslators. The Bible Translator 10:2, 1959.
- პსოპო 1962: Pike K.L. *Dimentions of Grammatical Constructions*. Language 38, 1962.
- პსოპო 1962: Pike K.L. *With Heart and Mind: A Personal Synthesis of Scholarship and Devotion*. Mich. Wm Erdmans Publishing Co., 1962.
- პსოპო 1964: Pike K.L. *Discourse Analysis and Tagmeme Matrices*. Oceanic Linguistics 3, 1964.
- პსოპო 1966: Pike K.L. *A Guide to Publications Related to Tagmemic Theory*. Current trends in Linguistics 3 ed. The Hague: Mouton, 1966.
- პსოპო 1967: Pike K. L. *Language in Relation to a Unified Theory of the Structure of Human Behaviour*. The Hague: Mouton, 1967.
- პსოპო 1969: Pike K.L. *Language as Behavior and Etic and Emic Standpoints for the Description of Behavior*. Social psychology: Readings and perspective, Chicago: Rand, McNally, 1969.

- პსოპო 1971: Pike K.L. *Mark My Words*. Grand Rapids, Mich: Wm. B. Erdmans Publishing Co., 1971.
- პსოპო 1972: Pike K. L. *Strange Dimensions of truth: Kenneth Lee Pike*. Selected Writings, 1972.
- პსოპო 1972: Pike K.L. *Beyond the Sentence: Selected Writings*. 1972
- პსოპო 1972: Pike K.L. *Language as particle wave and field*. K.L. Pike: Selected Writings. The Hague: Mouton 1972.
- პსოპო 1972: Pike K.L. *Language and Faith*. Language and Faith. Santa Ana, Calif.: Wycliffe Bible Traslators, 1972.
- პსოპო 1974: Pike K.L. *Recent developments in tagmemics*. Proceedings of the 11<sup>th</sup> International Congress of Linguists, Bologna – Florence, 1974.
- პსოპო... 1976: Pike K. L. and Brend, R. M. *Tagmemics: Aspect of the Field*. Vol.1 Tagmemics: Theoretical Discussion Vol. 2: Aspects of the field. The Hague: Mouton, 1976.
- პსოპო 1978: Pike K.L. *Social Interaction as the Break in Point for the Analysis of Verbal Behavior*. Proceedings of the 12<sup>th</sup> International Congress of Linguists Vienna, 1978.
- პსოპო 1979: Pike K. L. *Christianity and Culture*. Journal of the American Scientific Affiliation 31, 1979.
- პსოპო 1980: Pike K.L. *Person Above Logic. New Personality*: Proceedings of the Edward Sapir Centenary Conference, Amsterdam, 1980.
- პსოპო 1981: Pike, Eunice, V. *Ken Pike: Scholar and Christian*. Dallas, TX: Summer Institute of Lingusitics, 1981
- პსოპო 1981: Pike, Kenneth L. *Tagmemics, Discourse and Verbal Art*. Michigan studies in the humanities. Ann Arbor: University of Michigan 1981.
- პსოპო 1982: Pike K. L. *Linguistic Concepts: An Introduction to Tagmemics*. Lincoln: University of Nebraska Press, 1982.
- პსოპო 1982: Pike K. L. *Phonological Hierarchy in a Four-cell Tagmemic Representation from Discourse to Phoneme Class*. From Linguisticum

- 7, 1982.
- პსიკო 1983: Pike K. L. *On Understanding People: An Intergrative Philosophy*. The Ninth LACUS Forum 1982 Columbia, South Carolina: Hornbeam Press, 1983.
- პსიკო 1983: Pike K.L. *The Future for Unit-in-Context: The Tagmeme*. Proceedings of the 13<sup>th</sup> International Congress of Linguists, Tokyo, 1983.
- პსიკო 1985: Pike K.L. *The Need for Rejection of Autonomy in Linguistics*. The Eleventh LACUS Forum 1984. Columbia, South Carolina: Hornbeam Press, 1985.
- პსიკო 1987: Pike K.L. *The Relation of Language to the Works*. International Journal of Dravidian Linguistics 17, 1987.
- პსიკო 1995: Pike K.L. *A holistic Semantics: The Semantics of Phonology, grammar and reference*. Temas de lingüística aplicada, Granada, 1995.
- პსიკო 1996: Pike K.L. *The importance of purposive behaviour in the text analysis, the mystery of culture contacts, historical reconstruction, and text analysis: An emic approach*. Washington, D. C.: Georgetown University Press, 1996.
- პსიკო 1996: Pike K. L. *Talk, Thought, and Thing*. Dallas: Summer Institute of Linguistics. 1996.
- პსიკო 1996: Pike K.L. *With Heart and Mind*. Adalt Learning Systems, Inc. Ducanville, 1996.
- პსიკო... 1976: Pike K. L. and Brend, R. M. *Tagmemics: Aspect of the Field*. Vol.1 Tagmemics: Theoretical Discussion Vol. 2: Aspects of the field. The Hague: Mouton, 1976.
- პსიკო... 1985: Pike K.L. and Fries P.H. *Slot in referential hierarchy in relation to Charles C. Fries view of Language*. Current Issues in Linguistic Theory 40. Amsterdam: Benjamins, 1985.
- პსიკო 1984: Pike K.L. and Keller B. *The Integration of Self in Society Through Language*. 7<sup>th</sup> World Congress of Applied Linguistics, AILA Brussels 84, Proceedings, 1984.



- პაიკი... 1996 Pike K.L and McKinney C. V. *Understanding misunderstanding as cross-cultural emic clash. The mystery of culture contacts, historical reconstruction, and text analysis*. Washington, D. C.: Georgetown University Press, 1996.
- პაიკი... 1982: Pike K.L. and Evelyn G. Pike. *Grammatical Analysis* (Rev. ed) Dallas: Summer Institute of Linguistics, 1982.
- პაიკი... 1977: Pike K.L. and Pike E.G. *Grammatical Analysis*. Summer Institute of Linguistic Publications in Linguistics 53. Dallas, Texas, 1977 .
- პაიკი... 1983: Pike K.L. and Pike E. G. *Text and Tagmeme*. Dallas :Printer, 1983.
- პაიკი 2001: პაიკი კ. ლ. *პაიკის რემინისცენციები ამერიკის ადრეულ ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკასთან დაკავშირებით*. სლს-ის შრომების ელექტრონული ვერსია. განთავსებულია 2001 წლის მაისიდან. მის: <http://www.sil.org/klp>.
- პაიკი 2001: Pike K. L. *Reminiscences by Pike on Early American Anthropological Linguistics*. SIL Electronic working papers. accessed May, 2001. available from: <http://www.sil.org/klp>.
- პეტერსი 1995: Peters S. *More Than the Sum of it Parts: Tagmemics, AssignmenT sequencing and Portfolio Evaluation as an Invention Heuristic*. Rhetorical Invention and Postmodern Writing instruction. 1995
- პიტლიკი 1987: Pytlick, Betty P. *Sequenced Writing Assignment: What's Been Done and Why?* Conference on College Composition and Communication. Atlanta, 19-21 March, 1987.
- პრაიდი 1970: Pride, J. *Social Meaning and Language*. London: Oxford University Press, 1970.
- პუტნამი 1975: Putnam, H, *Mind, Language and Reality*. London and New York: Cambridge University Press, 1975.

- რამიშვილი 1978: რამიშვილი გ. *ენის ენერგეტული თეორიის საკითხები*, თბილისი: „მეცნიერება“, 1978.
- რამიშვილი 1995: რამიშვილი გ. *ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.
- რამიშვილი 1984: Рамишвили Г. *Гумбольдт Вильгельм Фон. Избранные труды по языкознанию*. Москва: »Наука«, 1984.
- რიჩარდსი 1983: Richards J., Schmidt R. *Language and Communication*. N. Y.L:Longman, 1983.
- საყვარელიძე 2001: საყვარელიძე ნ. *პრაგმატული ასპექტები შიდაენობრივ და ენათაშორის კომუნიკაციაში*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2001.
- საყვარელიძე 2001: საყვარელიძე ნ. *თარგმანის თეორიის საკითხები ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2001.
- სეპირი 1921 Sapir E. *Language: An Introduction to the Study of Speech*. New York: Harcourt, Brace and Co. 1921.
- სეპირი 1925: Sapir E. *Selected Writings*. The Hague: Mouton, 1921.
- სერლი 1971: Searle, J. R. (ed.) *The Philosophy of Language*. London: Oxford University Press, 1971.
- სინკლერი 1944: Sinclair A. *An Introduction to Philosophy*. London: Oxford university Press, 1944.
- სიროვატკინი 1977: Сыроваткин Н. С. *Типологические основания сравнения родного и иностранного языков*. Калинин.: изд. Калинин. гос. ун-та, 1977.

- ტელია** 1991: Телия В. Н. *Экспрессивность как проявление субъективного фактора в языке и ее прагматическая ориентация и человеческий фактор в языке: Языковые механизмы экспрессивности*. М.: »Наука», 1991.
- ტოფლერი** 1984: Toffler A. *Order Out of Chaos: Man's New Dialogue With Nature*. The Hague: Mouton, 1984.
- ტრესნოვა** 1989: Треснова С. И. *Социолингвистические проблемы массовой коммуникации. Принципы языковой вариативности*. М.: »Наука». 1989.
- ტრიპი** 1978: Tripp, Janice. *An Introduction to Tagmemic Invention*. Denver. Colorado, 1978.
- უზნაძე** 1947: უზნაძე დ. *ენის შინაფორმა, ფსიქოლოგია, IV*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1947.
- ფრანკი** 1957: Frank, Philip. *Philosophy of Science: the Link between Science and Philosophy*. Englewood Cliffs, N. J.: Prentice –Hall, Inc, 1957.
- ფრანკლინი** 1991: Franklin, Karl, J. *Review of Emics and Etics by Headland, Pike and Harries*. Australian Journal of Linguistics 11, 1991.
- ფრანკლინი** 1991: Franklin K. J. *Review of Emics and Etics*. TX.: Summer Institute of Linguistics, 1996.
- ფრანკლინი** 1996: Franklin K. J. *K. L. Pike on Etic vs. Emic: A Review and Interview*. Summer Institute of Linguistics. Movember 27, 1996. available on: <http://www.sil.org/klp>
- ფრიზი** 1952: Fries, Charles C. *The Structure of English*. New York: Harcourt Brace, 1952.
- ფრიზი** 1987: Fries P. H. Kenneth L. Pike: *Mentor and Friend*. Bloomington, Indiana: Eurolingua, 1987.

- ქვინი 1990: Quinne W.V.O. *Pursuit of Truth*. Harward: Harward Umiversity Press, 1990.
- ქვინი... 1978: Quine, Willard V. and J.S. Ullian. *The web of belief*. 2<sup>nd</sup> edition..New York: Random House, 1978.
- შარაძენიძე 1972: შარაძენიძე თ. *თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები*. თბილისი: „მეცნიერება“ 1972.
- შარაძენიძე 1980: Шарадзенидзе Т. С. *Лингвистическая теория И. А. Бодуэна де Куртене*. Москва.: »Наука», 1980.
- შური 1974: Шур Г. С. *Теория поля в лингвистике*. М.: »Наука», 1974.
- ჩიქობავა 1983: ჩიქობავა არნ. *ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983.
- ჩომსკი 1957: Chomsky Noam. *Syntactic Structures*. The Hague: Mouton and Co. 1957.
- ჩომსკი 1968: Chomsky N, *Language and Mind*. New York: Harcourt, Brace and World 1968.
- ჭრელაშვილი 1990: ჭრელაშვილი კ. *ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.
- ხროლენკო 2004: Хроленко А. Т. *Основы лингвокультурологии . Учебное пособие*. М.:Изд. «Флинта», Изд. »Наука», 2004.
- ჰარისი 1964: Harris, Marvin. *The nature of cultural things*. New York: Random House, 1964.

- ჰარმსი 1968: Harms R. and Bach E. (eds.) *Universals in Linguistic Theory*. New York: Holt, Rinehart and Winston, 1968.
- ჰედლენდი... 1990: Headland Th. N., Pike K.L; Harris M. *Emics and etics: The insider/outsider debate*. *Frontiers of Anthropology* 7, Newbury Park, 1990.
- ჰერბერტი... 1967: Herbert Stahlke and Brend, M. Ruth. *The use of matrices in the preparation of language textbooks*. *Language Learning* 15, 1967.
- ჰიმესი 1969: Hymes D. *Review of 'Kenneth L. Pike Language in Relation to a Unified Theory of the Structure of Human Behavior'*. *American Anthropologist* 17, 1969 .
- ჰუმბოლდტი 1903: Humboldt W. V. *Gesamelte Schriften* { in 17 Baden }, Berlin: Hrsg. von Albert Leitzmann, 1903.
- ჰუმბოლდტი 1985: Гумбольдт В.Ф. *Язык и философия культуры*. Москва: "Прогресс", 1985.